იაკობ მესხია, გონერ ურიდია,
ფრიდონ რუხაია

საბაჭო გადასახდელები

(გადასახადები და მოსაკრებლები)

თბილისი
2004

ი.მესხია. გ.ურიდია. ფ.რუხაია. საბაჟო გადასახდელები. - თბილისი, 2004. - 228 გვ.

წიგნში განხილულია საბაჟო გადასახდელებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები: გადასახადების არსი; საგადასახადო სისტემის პრინციპები; საბაჟო გადასახადის და მოსაკრებლის არსი, სახეები, ფუნქციები, განაკვეთები; საბაჟო დაბეგვრის შეღავათები; საბაჟოზე აქციზით და დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საკითხები; საბაჟო გადასახდელები ცალკეული საბაჟო რეჟიმების თავისებურებების გამოყენებით; ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის დაბეგვრა; საბაჟო გადასახდელების ადმინისტრირების ფორმები და მეთოდები, საქონლის იმპორტირებისას არასაბაჟო გადასახადების აკრების წესები და ა.შ.

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ასპირანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს საბაჟო სისტემის მუშაკებს, მეწარმეებს, იმპორტიორ-ბიზნესმენებს, აუდიტორებს, ბუღალტრებს და საბაჟო დაბეგვრის თეორიითა და პრაქტიკით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

რედაქტორი: **გედევან ხელაია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **გიორგი მალაშხია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი ჯულაყიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შინაარსი

წინასიტყვაობა.....7

თავი 1. გადასახადები: არსი, წარმოშობა და თეორიული წანამძღვრები.....11

1.1. გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი.....11
1.2. გადასახადების წარმოშობის მოკლე რეტროსპექტივა.....13
1.3. გადასახადების თეორიული წანამძღვრები.....17
1.4. გადასახადების ისტორია საქართველოში.....22

თავი 2. საგადასახადო სისტემის პრინციპები, გადასახადის ფუნქციები და კლასიფიკაცია.....29

2.1. საგადასახადო სისტემის პრინციპები და ამოცანები.....29
2.2. გადასახადების ფუნქციები.....33
2.3. გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების თანაფარდობის პრობლემები.....36
2.4. გადასახადების კლასიფიკაცია.....42

თავი 3. საბაჟო გადასახდელების არსი.....51

3.1. საბაჟო გადასახდელების ცნება.....51
3.2. საბაჟო გადასახდელების გადამხდელი სუბიექტები დაბეგვრის დრო და ადგილი.....53
3.3. ზედმეტად გადახდილი ან ვადაზე გადაუხდელი საბაჟო გადასახდელები.....53

თავი 4. საბაჟო მოსაკრებლები.....56

4.1. საბაჟო მოსაკრებლების ცნება.....56
4.2. საბაჟო მოსაკრებლებით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი.....56
4.3. საბაჟო მოსაკრებლის სახეები და განაკვეთები.....58

თავი 5. საბაჟო გადასახადი.....61

5.1. საბაჟო გადასახადის ცნება.....61
5.2. საბაჟო გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი.....62
5.3. საბაჟო გადასახადის სახეები და ფუნქციები.....64
5.4. საბაჟო გადასახადის განაკვეთები.....67

5.5. ფასთა სხვაობა, როგორც საბაჟო ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძველი....74
5.6. შეღავათები საბაჟო გადასახადით დაბეგვრის დროს....77
თავი 6. აქციზი....84
6.1. აქციზის ცნება....84
6.2. აქციზის დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი....84
6.3. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხა....85
6.4. აქციზური მარკის ცნება. აქციზურმარკიანი საქონლის ნუსხა და დაბეგვრის მექანიზმი....86
6.5. აქციზური საქონლის ექსპორტის დაბეგვრა ნულოვანი განაკვეთით....88
6.6. აქციზის დაბრუნება....89
6.7. აქციზის განაკვეთები....92
6.8. შეღავათები აქციზით დაბეგვრის დროს....94
თავი 7. დამატებული ღირებულების გადასახადი....97
7.1. დღგ-ს ცნება....97
7.2. დღგ-ით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი....98
7.3. დღგ-ით დასაბეგრი იმპორტის თანხა. დღგ-ს გამოანგარიშება და ჩათვლა იმპორტირებული საქონლის მიწოდების დროს....99
7.4. დღგ-ს განაკვეთი. ექსპორტის დაბეგვრა ნულოვანი განაკვეთით....100
7.5. შეღავათები დღგ-ით დაბეგვრის დროს....101
თავი 8. საბაჟო გადასახდელები ცალკეული საბაჟო რეჟიმების თავისებურებების მიხედვით....107
8.1. იმპორტი ანუ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება....107
8.2. რეიმპორტი....110
8.3. ტრანზიტი....110
8.4. საბაჟო საწყობი....111
8.5. უბაჟო ვაჭრობა....112
8.6. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე. საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლქვეშ. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ....112

8.7. თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება.....113
8.8. ექსპორტი.....113
8.9. რეექსპორტი.....113
8.10. დროებით შემოტანა/გატანა.....114
8.11. საქონლის განადგურება. უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ.....129
თავი 9. ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის დაბეგვრა.....130
9.1. ზოგადი დებულებები.....130
9.2. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია.....131
9.3. ფიზიკური პირის „სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია“ ფორმა №2.....131
9.4. ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი საქონლის დაბეგვრისა და განთავისუფლების მექანიზმი.....133
თავი 10. საბაჟო გადასახდელების ადმინისტრირების მექანიზმი.....137
10.1. საბაჟო-საგადასახადო კონტროლის ზოგადი პრინციპები.....137
10.2. ფინანსური სანქციები იმპორტირებული საქონლის შიდა ბაზარზე მიმოქცევის დროს.....138
10.3. გადასახადების იძულებით გადახდევინება.....138
10.4. საურავი და ჯარიმა.....141
10.5. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება.....142
10.6. ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება.....142
თავი 11. არასაბაჟო გადასახადები, რომელიც გადაიხდება ზოგიერთი სახის საქონლის იმპორტის დროს ან იკრიბება საბაჟო ორგანოების მიერ.....144
11.1. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის.....144
11.2. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის.....145

თავი 12. საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები საბაჟო-საგადასახადო რეგულირების შესახებ. საბაჟო გადასახდელები ევროკავშირში.....149
12.1. საქონლის იმპორტზე გადასახადების შემოღების ზოგადი პრინციპები ვმო-ს წევრ ქვეყნებში.....149
12.2. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი ვმო-ს წევრ ქვეყნებში.....150
12.3. საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი ვმო-ს წევრ ქვეყნებში.....152
12.4. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები დსთ-ს ქვეყნებთან.....154
12.5. საბაჟო გადასახდელები ევროკავშირში.....156
12.6. ევროკავშირის პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა (GSP) და საქართველო.....158
დანართები.....160
ლიტერატურა.....224

წინასიტყვაობა

თანამედროვე ეკონომიკური განვითარება ხასიათდება ეროვნული ეკონომიკების ერთიან მსოფლიო სამეურნეო კომპლექსში ინტეგრაციის მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენციით. მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელიც უკანასკნელ წლებში სულ უფრო იკრებს ძალას, დღის წესრიგში აყენებს თავისფალი ვაჭრობის ზონების შექმნის, საქონლისა და მომსახურების გაცვლაზე საერთაშორისო შეთანხმებების როლის ამაღლების, ფინანსური რესურსების მოძრაობის გამარტივებისა და საბაჟო ურთიერთობათა უნიფიცირებული მოდელის ფორმირების ამოცანას. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში საფუძველი ჩაეყარა ერთიანი თამაშის წესებით ფუნქციონირებად მსოფლიო ბაზარს, სადაც რეგლამენტირებულია ფინანსური სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების ბრუნვის პროცესი. ყოველივე ეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკებისაგან მოითხოვს გარკვეული ზომით ვაჭრობის გახსნილობას, შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებას და საერთაშორისო კონკურენციულ ბაზარში აქტიურ მონაწილეობას.

დღეისათვის მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა იზრდება უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე მსოფლიო წარმოება. ამავე დროს ვაჭრობის სტრუქტურაში თანდათანობით მატულობს მომსახურების წილი, იზრდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გაყიდვის მოცულობა, ძლიერდება ქვეყნებს შორის ფულადი საშუალებების ბრუნვა კაპიტალისა და კრედიტების ფორმით. გლობალური ინფორმაციული ქსელების შექმნამ და საერთოდ საზოგადოების ინფორმატიზაციის სწრაფი ტემპებით ზრდამ ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკის, საქონლისა და მომსახურების, ფულის და სავალუტო კურსების, საფონდო ბირჟების და სხვა ეკონომიკური მოვლენების სრულ გამჭვირვალობას. საბოლოო ჯამში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი გახდა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. საგარეო-ეკონომიკური კავშირები მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში განსაზღვრავენ ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობას და მოსალოდნელია ამ ტენდენციის გაღრმავება უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში.

სახალხო-მეურნეობრივი კავშირების გაღრმავებამ და მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის ფორმირებისა და მეთოდების სრულყოფის პრობლემა. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი როლი განეკუთვნება ოპტიმალური საბაჟო სისტემის შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას.

საუბარია საბაჟო პოლიტიკის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე როგორც ავტონომიური რეჟიმში, ასევე ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში. დღემდე საქართველოში შემუშავებული ისეთი ეკონომიკური პროფილის კომპლექსურ დოკუმენტებში როგორიცაა ,,საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები" (1992 წ.), ,,საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა" (1993 წ.), ,,საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრინციპების შესახებ" (1993 წ.), ,,საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა" (1994 წ.), ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპის პროგრამა (1998 წ.) და ა.შ. სათანადო ადგილი არა აქვს დათმობილი საბაჟო პოლიტიკის საკითხებს.

საქართველოს საბაჟო პოლიტიკის რეგულირება ხდება უკანასკნელ წლებში მიღებული კანონმდებლობებით, კერძოდ, საქართველოს საბაჟო კოდექსით, საქართველოს კანონით „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ", საქართველოს კანონით „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ", ნაწილობრივ საქართველოს საგადასახადო კოდექსით, სამოქალაქო, საპროცესო და სისხლის სამართლის კოდექსით, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებით და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტებით.

საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ფინანსურ მხარეებს არეგულირებს კანონი ,,საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ". გარდა ამისა, აღნიშნული კანონის მიზნებია საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის იმპორტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, სავალუტო შემოსავლისა და გასავლის თანაფარდობის რაციონალიზაცია, ადგილობრივი ეკონომიკის დაცვა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ მს-

გავსად საბაჟო კოდექსისა, ზემოაღნიშნული კანონი გვერდს უვლის საბაჟო ტარიფისა და გადასახადის რეგულირების გზით ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების პრობლემას. არადა, სწორედ ტარიფები და გადასახადების სიდიდეები წარმოადგენენ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის (შემცირების) უმნიშვნელოვანეს ინდიკატორებს. ცნობილია, რომ საბაჟო ტარიფი წარმოადგენს საბაჟო გადასახადის განაკვეთების ზღვრულ მაჩვენებელს, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი ან მისი ტერიტორიიდან გატანილი საქონლის მიმართ. თითოეული ქვეყანა (სახელმწიფო) საბაჟო ტარიფების სიდიდეებს ადგენს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. საბაჟო ტარიფი საბაჟო პოლიტიკის ერთიანი შემადგენელი ნაწილია. ტარიფის საშუალებით ფორმირდება საბაჟო გადასახადი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანს ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის.

საბაჟო ინსტიტუტი განსაკუთრებულ ფისკალურ როლს თამაშობს ისეთი განუვითარებელი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა. ინდუსტრიული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საბაჟო გადასახდელების წილი ბიუჯეტის შემოსავლებში უმნიშვნელოა და, შესაბამისად, ძირითადი აქცენტი გადატანილია შიგა ბაზრის დაბეგვრის საკითხებზე, ხოლო საბაჟო ორგანოს ძირითადად აკისრია ეროვნული ბაზრის დაცვის და რეგულირების ფუნქციები.

საქართველოს სინამდვილეში, 2002, 2003 და 2004 წლების ნაერთი ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში საბაჟო სისტემიდან მობილიზებული თანხების წილი შეადგენს საშუალოდ 30 %-ს, რაც მაღალი მაჩვენებელია და მიანიშნებს იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარების დაბალ დონეზე.

თავისთავად, ეკონომიკური და მათ შორის ფისკალური პრობლემების მოწესრიგება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბაჟო გადასახდელების სტრუქტურის, განაკვეთების, პრეფერენციების და სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებით გადაადგილებული საქონლის დაბეგვრის რეჟიმის სრულყოფაზე.

წინამდებარე წიგნის ძირითადი მიზანია წინა პლანზე წამოწიოს საბაჟო დაბეგვრის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები და ქართველ მკითხველებს - სტუდენტებს, ასპირანტებს, სახელმწიფო

მოხელეებს, იმპორტიორებს და ექსპორტიორებს, საბაჟო სისტემის მუშაკებს მარტივი და გასაგები ენით გააცნოს საქართველოს საბაჟო გადასახდელების მართვისა და რეგულირების აქტუალური საკითხები.

ავტორები ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას მადლიერების გრძნობით მიიღებენ და გაითვალისწინებენ შემდგომ გამოცემებში.

თავი I

გადასახადები: არსი, წარმოშობა და თეორიული წანამძღვრები

- გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი
- გადასახადების წარმოშობის მოკლე რეტროსპექტივა
- გადასახადების თეორიული წანამძღვრები
- გადასახადების ისტორია საქართველოში

1.1. გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადი ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანია, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. არც ერთ სახელმწიფოს გადასახადების გარეშე არსებობა არ შეუძლია, რადგანაც ისინი ქვეყნის ძირითადი სახელმწიფო ფინანსური გეგმის - ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ.

გადასახადი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარომეტრი და ინსტრუმენტია. იგი სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დონეს და ხარისხს ასახავს. გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნებით განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის წილია, რომელიც მიმართულია ხელისუფლების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გადასახადების გარეშე სახელმწიფოს არ შეუძლია საკუთარი თავის შენახვა. სწორედ ამითაა განპირობებული სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტებს შორის არათანაბარუფლებრივი, ცალმხრივი საგადასახადო ურთიერთობა. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ ურთიერთობაში სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ, აქტიურ მოქმედ პირს, ხოლო, გადასახადის გადამხდელები არიან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო საგადასახადო კანონების პასიური შემსრულებლები.

საგადასახადო ურთიერთობა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. კერძოდ, იგი გამოიხატება იმაში, რომ გადასახადები ატარებენ აუცილებელ ხასიათს, ისინი წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებისაგან იძულების წესით ამოიღებს. ამგვარი, ადმინისტრაციული მეთოდის გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს ის გარემოება, რომ გადასახადის გადამხდელები მათი შინაგანი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ცდილობენ საკუთარი შემოსავლების მაქსიმალურ გადიდებას და, შესაბამისად, ნებაყოფლობით არ იხდიან გადასახადებს. ამიტომაცაა, რომ გადასახადის გადახდა ნებისმიერი პიროვნებისა თუ სამეურნეო სუბიექტისათვის მეტად მძიმე და არასასიამოვნო პროცედურაა.

გადასახადების მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ ახასიათებთ დაბრუნებადობა, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო გადასახადის გადამხდელისაგან ამოღებულ თანხას უკან ფულადი ექვივალენტით არ აბრუნებს. აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. მართალია, სახელმწიფო ამოღებულ გადასახადს უკან ფულადი ფორმით არ აბრუნებს, მაგრამ, იგი საგადასახადო შემოსავლების გარკვეულ ნაწილს ხარჯავს ეკონომიკის განვითარებისათვის, სოციალურ-კულტურული და სხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებებისათვის. ამით გადასახადების დიდი ნაწილი მის გადამხდელებს უბრუნდება არაპირდაპირი გზით, ხმარდება როგორც მათი, ასევე მთელი საზოგადოების სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობას, თავდაცვას, წესრიგის დამყარებას და ა.შ. ამრიგად, გამოდის, რომ გადასახადები ერთგვარად წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისადმი გაწეული მომსახურების საფასურს.

დღევანდელ ცივილიზებულ საზოგადოებაში გადასახადების წინაშე წაყენებულ ამოცანათა წრე თანდათანობით ფართოვდება. ცივილიზებული სახელმწიფოები საგადასახადო მექანიზმს აქტიურად იყენებენ საზოგადოებრივი წარმოების დინამიკისა და სტრუქტურის რეგულირებისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიურ მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვისა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციისათვის.

1.2. გადასახადების წარმოშობის მოკლე რეტროსპექტივა

გადასახადების წარმოშობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ისინი შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ საზოგადოებრივი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, როგორც კი გაჩნდა მათზე პირველი საზოგადოებრივი მოთხოვნილება. რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, იგი შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა, მაშინ, როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო და ფორმირდებოდა სახელმწიფოს განვითარების პარალელურად.

სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საწყის ეტაპზე წარმოიშვა **რელიგიური დაბეგვრა**. მისი ძირითადი ფორმა იყო **პირუტყვის მსხვერპლად შეწირვა**, შემდგომ შემოვიდა ე.წ. **საეკლესიო დესეტინა** და თანდათანობით დამკვიდრდა მიღებული შემოსავლის 10 პროცენტიანი დაბეგვრა. რელიგიური გადასახადები უმეტესწილად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა. შემდგომ ეტაპებზე სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ შემოღებულ იქნა ცალკეული გავლენიანი პირების (მთავრების) სასარგებლო გადასახადები. ასეთი პრაქტიკა ასეული წლების განმავლობაში არსებობდა ძველ ეგვიპტესა და შუა საუკუნეების ევროპაში. გადასახადების თანდათანობით განვითარებამ სახელმწიფოებს საშუალება მისცა სახსრები მიემართათ დაქირავებული არმიის შესანახად, ქვეყნის დედაქალაქის ირგვლივ ციხე-სიმაგრეების, ეკლესიების, წყალგაყვანილობის, გზების და სხვა დამხმარე სისტემების ასაშენებლად, აგრეთვე დღესასწაულების მოსაწყობად, ღარიბებისა და უმწეობებისათვის პროდუქტების დასარიგებლად.

გადასახადების ისტორიული ეტაპების ანალიზის მიზნით საინტერესოა მიმოვიხილოთ ძველი რომის გადასახადების რეტროსპექტივა. ცნობილია, რომ თავდაპირველად რომის სახელმწიფო შედგებოდა ქალაქ რომისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებისაგან. მშვიდობიანი პერიოდის ძველ რომში გადასახადები გაუქმებული იყო. სახელმწიფოსა და ქალაქის მართვის ხარჯები მინიმუმამდე იყო დაყვანილი, არჩეული ხელმძღვანელი პირები თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ საწყისებზე, შრომის ანაზღაურების გარეშე. უფრო მეტიც, ისინი ხშირად თავიანთ დანაზოგებს ხარჯავდნენ საზოგადოებისათვის, რაც მეტად საპატიოდ ითვლებოდა და ავტორიტეტს უხვეჭდა ქვეყნის მეთაურებს. ომის

პირობებში კი მოქალაქეთა შემოსავალი იბეგრებოდა, თუმცა ძალიან ორიგინალური მეთოდით. გადასახადის მოცულობას (მას ეწოდებოდა ,,ცენზი") ადგენდნენ ხუთი წლის ვადით არჩეული ჩინოვნიკ-ცენზორები. ამ უკანასკნელს წარმოადგენდა მოსახლეობის შედარებით პატიოსანი და კვალიფიციური ნაწილი. რომის მოქალაქეები ცენზორებს წარუდგენდნენ განაცხადს თავიანთი ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ეს იყო გადასახადების ისტორიაში დეკლარაციების წარდგენის პირველი პრაქტიკა, რომელმაც შემდგომ განვითარება ჰპოვა სხვა ქვეყნებშიც და დღესაც ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში.

მას შემდეგ, რაც რომის სახელმწიფო გაძლიერდა და შემოიერთა ახალი ტერიტორიები, სახელმწიფო გადასახადებთან ერთად შემოღებული იქნა ადგილობრივი გადასახადები. რომის იმპერიად გადაქცევის შემდეგ, როგორც ისტორიულად ცნობილია, პროვინციებში მცხოვრებ მოსახლეობას არ გააჩნდა მოქალაქის სტატუსი. ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ პროვინციებში საგადასახადო განაკვეთი შედარებით მაღალი იყო. ამასთან, პროვინციებში დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა სახელმწიფო საფინანსო ორგანოების შექმნა და, შესაბამისად ,გართულებული იყო გადასახადების სახეების და მოცულობის კვალიფიციური დადგენა და აკრება. ამ საქმეში სახელმწიფო დასახმარებლად იყენებდა ე.წ. მოიჯარე-შემსყიდველებს, თუმცა, მათ საქმიანობას სახელმწიფო სათანადოდ ვერ აკონტროლებდა და, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კორუფციას და გამფლანგველობას. ყოველივე ამის შედეგად ქვეყანაში იფეთქა ეკონომიკურმა კრიზისმა (I საუკუნე, ჩ.წ.ა.).

შემდგომში რომის იმპერიაში თანდათანობით დაიხვეწა საგადასახადო სისტემა. იმპერატორმა **ავგუსტ ოქტავიანმა** ქვეყნის ყველა პროვინციაში შექმნა გადასახადების ამკრები და შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოები, მოახდინა ძირითადი საგადასახადო ბაზის - მიწების ხელახალი აზომვა-კადასტრირება, ქონების აღწერა და ყველა მოსახლეს დაევალა თემის (პროვინციის) ხელისუფალთათვის წარედგინათ დეკლარაცია შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

მიწის გადასახადთან ერთად თანდათანობით შემოღებულ იქნა სხვა სახის გადასახადი, მაგალითად, გადასახადი **მონით ვაჭრობაზე**, გადასახადი **მონის გათავისუფლებაზე**. სწორედ ამ პერიოდიდან

იღებს სათავეს გადასახადების პირდაპირ და არაპირდაპირ სახეებად დაყოფა, რომელიც დღესაც ფართოდაა გამოყენებული მთელ მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ რომის იმპერიაში გადასახადები ასრულებდნენ არა მხოლოდ ფისკალურ ფუნქციას, არამედ ასტიმულირებდნენ მეურნეობის განვითარებას. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გადასახადების დიდი ნაწილის მობილიზება ხდებოდა ფულადი ფორმით, რაც მოსახლეობას აიძულებდა ეწარმოებინათ ნამეტი პროდუქტი, გაეყიდათ იგი და ფულადი სახით გადაეხადათ გადასახადი. აღნიშნული თავის მხრივ ხელს უწყობდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებას და აღრმავებდა შრომის დანაწილების პროცესს.

გადასახადების წარმოშობასა და განვითარებას საინტერესო ისტორია აქვს რუსეთში. იქ ფინანსური სისტემა ჩაისახა შედარებით მოგვიანებით IX საუკუნის ბოლოს, როდესაც დაიწყო ძველრუსული სახელმწიფოების გაერთიანება. სამთავროთა ხაზინის ძირითად წყაროს თავდაპირველად შეადგენდა ხარკი, რომელიც საწყის ეტაპზე არარეგულარულად აიკრიბებოდა და საკმაოდ დიდი დროის შემდეგ მიიღო სისტემატური გადასახადის სახე. ამასთანავე, ძველ რუსეთში შემოღებულ იქნა საადგილმამულო გადასახადი, რომელიც ითვალისწინებდა მიწის ნაკვეთიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადის გადახდას. გამოიყენებოდა აგრეთვე ირიბი გადასახადები სავაჭრო და სასამართლო მისაგებლების სახით. მისაგებლებს ახდევინებდნენ აგრეთვე მთიან უღელტეხილებში გადაზიდვაზე, საწყობების ქონაზე, ბაზრის მოწყობაზე, საქონლის აწონვასა და გაზომვაზე, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ რთული საქმე იყო. განსაკუთრებით მაღალი მისაგებელი იყო დადგენილი სასამართლოებში მკვლელობის საქმეთანარმოებაზე, შედარებით დაბალი სხვა სამართალდარღვევებზე.

რუსეთში თათარ-მონგოლთა შემოსევის შემდეგ გადასახადების აკრება დაევალათ ხანის მიერ დანიშნულ რწმუნებულებს, ხოლო უცხოელ დამპყრობთაგან გათავისუფლებისთანავე ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს რუსმა მთავრებმა. გადასახადი აიკრიბებოდა თითოეული მამრობითი სქესის სულისაგან, აგრეთვე პირუტყვისაგან. გარდა მისაგებლისა, ხაზინის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ხარკი, რომელსაც იხდიდნენ სამთავროების მიერ გაცემულ სახნავ და

საძოვარ მიწებზე, ტყეზე, მდინარეებზე, წისქვილებზე, ბაღებზე და ა.შ.

რუსეთის საგადასახადო სისტემა შედარებით მოწესრიგდა ივანე გროზნოს მეფობის დროს. ამ პერიოდში შემოღებულ იქნა ისეთი გადასახადები, როგორიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნატურალური ჩაბარება, გადასახადი არმიის შექმნაზე, სავაჭრო მისაგებელი, საბაჟო მოსაკრებლები, გადასახადი ლუდზე, არაყზე, თაფლზე და ა.შ.

რუსეთში მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური და ფინანსური გარდაქმნები ჩაატარა პეტრე I-მა. ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების კვალდაკვალ მან შემოიღო ახალი სახის გადასახადები: სამხედრო გადასახადი (მისაგებელი დრაგუნის ცხენების შესაძენად), საგერბო მოსაკრებელი, სულადი მისაგებელი მეეტლისაგან, გადასახადი სადგომებისაგან, ღუმელებიდან, საკვები პროდუქტების გაყიდვიდან, სახლის გაქირავებიდან და სხვ. მისი მეფობის დროს ჩაეყარა სწორედ საფუძველი დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპს. საფინანსო სისტემა ორიენტირებული იყო გადასახადების შემცირებაზე ან გადიდებაზე იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო სახელმწიფო ხაზინის მოთხოვნილება. ამასთანავე, საგადასახადო ტვირთის სიმძიმეს განსაზღვრავდა ქვეყნის რეალური ეკონომიკური მდგომარეობა.

შუა საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის ქვეყნებში თანდათანობით ვითარდებოდა საგადასახადო სისტემა. ინგლისში, დანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში შემოღებულ იქნა ახალი გადასახადები: აქციზი, საბაჟო მისაგებელი, საგანგებო გადასახადები, კომუნალური და ადგილობრივი გადასახადები, სავაჭრო გადასახადი და სხვა.

ამრიგად, ევროპის ძველ ქვეყნებში და რუსეთში გადასახადების წარმოშობისა და განვითარების რეტროსპექტული ანალიზიდან ირკვევა, რომ მან გაიარა ორი ძირითადი ეტაპი. პირველი ეტაპი მოიცავს უძველესი პერიოდიდან შუა საუკუნეების დასაწყისამდე პერიოდს, როდესაც მიმდინარეობდა სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი და არ იყო შექმნილი გადასახადების დამდგენი და ამკრები კვალიფიცირებული საფინანსო სისტემა. მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს XVI საუკუნის დასასრულიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა საგადასახ-

ადო-საფინანსო დაწესებულებების ქსელი და სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო საგადასახადო ადმინისტრაციული და მეთოდური საკითხების გადაწყვეტა. გადასახადების განვითარების მესამე ეტაპი სათავეს იღებს XIX საუკუნის დასაწყისიდან და გრძელდება დღემდე. ამ ეტაპზე სახელმწიფო საკუთარ ხელში იღებს გადასახადების დადგენისა და აკრების ყველა ფუნქციას, ადგენს საკანონმდებლო ბაზას და უზრუნველყოფს მის შესრულებაზე კონტროლს. თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო ურთიერთობებს და სისტემებს ცალკეული ქვეყნების ჭრილში გააჩნიათ გარკვეული თავისებურებანი და სპეციფიკური ნიშნები, რაც თავის მხრივ განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული, ეროვნულ-ტრადიციული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა თავისებურებებით.

1.3. გადასახადების თეორიული წანამძღვრები

გადასახადების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლების მუდმივი კვლევისა და ყურადღების საგანი იყო. გადასახადების თეორიული ასპექტების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVI -XVII საუკუნეებში მერკანტილიზმის პერიოდიდან. მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ თითოეულმა სუბიექტმა უნდა გადაიხადოს იმის ექვივალენტი გადასახადი, რა სარგებლობასაც იგი ღებულობს სახელმწიფოსაგან. მათ თეორიაში წინა პლანზეა წამოწეული გადასახადების სამართლიანობის პრინციპი, რომელიც დღესაც ძალაშია და სულ უფრო და უფრო იძენს აქტუალობას ცივილიზებულ ქვეყნებში. ამასთანავე, მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ რაც მეტს მუშაობს ადამიანი, მით ნაკლებად უნდა დაიბეგროს იგი, ხოლო პირიქით, ზარმაცი და უმუშევარი – უფრო მაღალი განაკვეთებით. ამ თეორიული დებულებით ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ რაც მაღალია გადასახადი, მეწარმე მით უფრო მეტ მატერიალურ სიმდიდრეს შექმნის. მართალია, ამ შემთხვევაში ჩადებულია იძულების მეთოდი, რითაც თითქოსდა მოსახლეობის მეტი ნაწილი დასაქმდება ქვეყანაში და, შესაბამისად, გაიზრდება ეროვნული სიმდიდრის მოცულობა. აღნიშნული მიდგომა არც იმ დროისათვის და არც დღევანდელობისათვის არაა მისაღები, რად-

გან, გადასახადების მეშვეობით შრომითი იძულება აშკარად ეწინააღმდეგება სამართლიანობის და დემოკრატიის პრინციპებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის ცალკეულ ეტაპებზე მთელ რიგ ქვეყნებში მერკანტილისტური საგადასახადო მოდელი ფართოდ გამოიყენებოდა. მაგალითად, ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში და ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყნებში შობადობის სტიმულირების მიზნით მარტოხელა მამაკაცების ფულადი შემოსავლები იბეგრებოდა ე.წ. **უშვილობის გადასახადით.** ამით სახელმწიფო თითქოსდა აიძულებდა პიროვნებას შეექმნა ოჯახი და ხელი შეეწყო მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, თუმცა, დაბეგვრის ამ ფორმას სათანადო შედეგი არ მოჰყოლია.

XVII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ევროპის სახელმწიფოების ფორმირებისა და განვითარების პარალელურად გადასახადების თეორია ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელმა **უილიამ პეტიმ,** რომელმაც 1662 წელს გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „ტრაქტატი გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ". ამ ნაშრომში მან დაასაბუთა, რომ სამართლიანი და მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა სტიმულს აძლევს ეკონომიკის განვითარებას და სტაბილურს ხდის სახელმწიფოს ფუნქციონირებას. უ. პეტის მიაჩნდა, რომ გადასახადებმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის აქტიური მოსახლეობის ეროვნული სიმდიდრის შექმნაში ჩართვა. მისი აზრით, პიროვნების მიერ მისი ფიზიკური არსებობისათვის მინიმუმზე ზევით გამომუშავებული შემოსავალი უნდა გადაეცეს სახელმწიფოს გადასახადის სახით. ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რაც მეტს საფასურს გადაუხდიან მშრომელებს, ისინი მით ნაკლებს იმუშავებენ, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი შეხედულება იყო და მას არსებობის არავითარი საფუძველი არ გააჩნდა.

გადასახადების თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ფიზიოკრატიული სკოლის წარმომადგენლებმა. ამ მიმართულების დამფუძნებლის და მთავარი იდეოლოგიის ფრანსუა კენეს მიერ შემუშავებულ იქნა თეორია, რომლის თანახმად ზედმეტი ღირებულების ფორმირების წყაროს წარმოადგენს მიწათმოქმედება და, შესაბამისად, გადასახადი მხოლოდ მიწიდან მიღებული წმინდა შემოსავლიდან უნდა იქნეს გადახდილი. რა თქმა უნდა, დღევანდელი გადასახედიდან აღნიშნული თეორიული დებულება

არანაირად არ ხსნის გადასახადების თეორიულ არსს და იგი მიუღებელია, მაგრამ ფიზიოკრატების დამსახურებას წარმოადგენს, ის რომ მათ საკმაოდ დამაჯერებლად და არგუმენტირებულად დაასაბუთეს დებულება შემოსავლების ზრდის შესაბამისად გადასახადების გადიდების მიზანშეწონილობის შესახებ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეისათვის გავრცელებული გადასახადების ერთ-ერთ მყარ თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თვალსაჩინო წარმომადგენლის **ადამ სმითის** საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომი ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ", რომლის ერთ-ერთი დიდი ნაწილი დათმობილი აქვს სახელმწიფო ფინანსებისა და გადასახადების გამოკვლევას. მასში დასაბუთებულია, რომ სამეურნეო სუბიექტის შემოსავლების მთავარი წყაროა რენტა, ხელფასი და მოგება და, შესაბამისად, გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი თანაბრად შემოსავლების ამ წყაროებიდან.

ცოტა მოგვიანებით ადამ სმითის მოძღვრება გადასახადების თეორიაზე განავითარა საყოველთაოდ ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა **დავიდ რიკარდომ**. მისი აზრით, გადასახადი უნდა იქნას აკრებილი სამეურნეო სუბიექტის ყველა სახის შემოსავლიდან. მასვე ეკუთვნის დებულება იმის შესახებ, რომ მოგების გადასახადის გადიდება იწვევს პროდუქციისა და მომსახურების ფასის ზრდას, რაც შემდგომ ეკონომიკურმა პრაქტიკამ დაადასტურა და აღნიშნული დებულება დღესაც ძალაშია.

XIX და XX საუკუნეების გასაყარზე მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ეკონომისტმა **ჯონ მეინარდ კეინზმა** წამოაყენა რა ,,ეფექტური მოთხოვნის" თეორია, დაასაბუთა, რომ გადასახადები ეკონომიკურთან ერთად არის სოციალური ურთიერთობების რეგულირების მძლავრი ინსტრუმენტი და მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მაკროეკონომიკური წონასწორობისა და სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. კეინსის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება მდგომარეობს შემდეგი დებულების წამოყენებასა და დასაბუთებაში: რაც მაღალია ეროვნული შემოსავლის მოცულობა, მით უფრო მეტი საგადასახადო შემოსავალი უნდა იქნეს აკრებილი და პირიქით. გარდა ამისა, კეინსმა მის მიერ შემუშავებული ე.წ. ,,ჩასმული სტაბილიზატორების" თეორიის თანახმად დაასაბუთა, რომ რაც

უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო არასტაბილური და მერყევია საგადასახადო ბაზა. მანვე დაამტკიცა, რომ გადასახადების შემცირება ასტიმულირებს შემოსავლების ზრდას და, შესაბამისად, მატულობს მოხმარება და – საბოლოო ჯამში იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის ფაქტორს წარმოადგენს.

კეინსის ერთ-ერთი დიდი აღმოჩენაა გადასახადების ,,ფსიქოლოგიური კანონი", რომლის თანახმად, სამეურნეო ერთეულს მიდრეკილება აქვს შემოსავლების ზრდის პარალელურად გაზარდოს მოხმარება, მაგრამ შედარებით ნაკლები მასშტაბით, ვიდრე შემოსავლები იზრდება. ეს თავის მხრივ იწვევს დაზოგვის (დაგროვების) გადიდებას, ხოლო ამ უკანასკნელის შესამცირებლად საჭიროა საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთების დაწესება. ყოველივე ამის შედეგად გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, შესაბამისად მეტი თანხა წარიმართება ინვესტირებისათვის, შემცირდება უმუშევრობის დონე და სტიმული მიეცემა ეკონომიკურ აღორძინებას და განვითარებას.

– გადასახადების თეორიული საფუძვლების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე ნეოკეინსიანურმა მიმართულებამ. მისმა წარმომადგენლებმა შეიმუშავეს თავისუფალი მეწარმეობის, კონკურენციის და ფასების ლიბერალიზაციის თეორიული ასპექტები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საგადასახადო მექანიზმი წარმოადგენს წარმოების რეგულატორს, ხოლო, საგადასახადო პოლიტიკა ანტიკრიზისული და ანტიინფლაციური რეგულირების მძლავრ საშუალებას.

კეინსის და ნეოკეინსიანელთა თეორიული ეკონომიკური მოძღვრებანი გარკვეულწილად ეჭვის ქვეშ დააყენა XX საუკუნის 30-40-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. საგადასახადო შემოსავლების გადიდებამ კრიზისულ პერიოდში ვერ უზრუნველყო სამომხმარებლო მოთხოვნის კომპენსირება და კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი. ამან საფუძველი შეურყია ფართოდ აღიარებულ გადასახადების კეინსიანურ თეორიას.

ყოველივე ამის შედეგად, XX საუკუნის პირველ ნახევარში მეცნიერ-ეკონომისტებმა და სპეციალისტებმა დაიწყეს გადასახადების მანამდე აღიარებული და გაბატონებული თეორიული საფუძვლების რევიზია. ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა, ნობელის

პრემიის ლაურეატმა პ. სამეულსონმა წამოაყენა და დაასაბუთა კონცეფცია საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინტეგრირებულად, ურთიერთდაკავშირებულად ფორმირების აუცილებლობის შესახებ. მისი აზრით, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ოპტიმალურ ურთიერთშეხამებას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკის არა მხოლოდ აღმავლობა ან დაცემით გამოწვეული ნეგატიური მოვლენების შერბილება ან ნიველირება, არამედ, შექმნას პირობები და გარემო ეკონომიკის განუხრელი აღმავლობისა და სტაბილური განვითარებისათვის.

აღნიშნული იდეა კიდევ უფრო განავითარა და მას ახალი თვისებრივი შინაარსი შესძინა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა მ. ფრიდმენმა. მან დაასაბუთა ეკონომიკის მართვის რეგულირებაში სახელმწიფოს მინიმალურ დონეზე ჩარევის ეფექტიანობა და კეინსის „ეფექტიანი მოთხოვნის“ თეორიას დაუპირისპირა „მიწოდების თეორია“ ანუ ეკონომიკის წონასწორობის უზრუნველსაყოფად მოთხოვნას დაუპირისპირა მიწოდება. სწორედ, აღნიშნული თეორია უდევს საფუძვლად დღეისათვის მრავალი განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემას. თანამედროვე პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეფექტურია ის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს დაზოგვას და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. გამომდინარე აქედან, საგადასახადო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება პროდუქციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ამასთან, ეკონომიკური ზრდის მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა შეუმსუბუქდეს საგადასახადო ზეწოლა მწარმოებლებს. ამ ამოცანით საგადასახადო პოლიტიკა გამოდის ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტის როლში.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის და სისტემის ფორმირება და განვითარება მიმდინარეობს მისი სათანადო თეორიული საფუძვლების დაუმუშავებლობის პირობებში, რის გამოც, მოქმედი საგადასახადო სისტემა არაეფექტურია და სათანადო შედეგები არ მოაქვს. ყველაზე დიდ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ არაა შემუშავებული მწარმოებლებს და მომხმარებლებს შორის საგადასახადო ტვირთის გადანაწილების ოპტიმალური მოდელი. ფაქტობრივად, მთელი საგადასახადო სიმძიმე

ანვება პროდუქციის მწარმოებლებს, რის შედეგადაც არ ეძლევა გასაქანი ეკონომიკის აღორძინება- განვითარებას.

ჩვენი აზრით, საქართველოს თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკას თეორიულ საფუძვლად უნდა დაედოს ამერიკელი მეცნიერის ა. ლაფერის საგადასახადო კონცეფცია, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: საგადასახადო განაკვეთის გარკვეულ ზღვრამდე (30-35 %) ზრდა იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, ხოლო მის ზევით გადიდება ამუხრუჭებს შემოსავლების გადიდებას და ეკონომიკურ პროგრესს. ამ კონცეფციის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი საგადასახადო წნეხი ახშობს სამეწარმეო და საინვესტიციო აქტივობას, რის გამოც, ეცემა წარმოების ზრდის ტემპები, ვიწროვდება საგადასახადო ბაზა და კლებულობს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა.

1.4. გადასახადების ისტორია საქართველოში

მსგავსად მსოფლიოს სხვა ქვეყნებისა, საქართველოშიც დაბეგვრას საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოს წარმოშობისთანავე. ისტორიას ცოტა რამ შემორჩა უძველეს საქართველოში არსებული გადასახადებისა და დაბეგვრის წესის შესახებ. შედარებით მეტი ინფორმაციაა შემონახული შუა საუკუნეების, ფეოდალური და შემდგომი პერიოდის გადასახადების შესახებ.

შუა საუკუნეების საქართველოში გადასახადების ძირითად გადამხდელებს წარმოადგენდნენ გლეხები. ეს უკანასკნელნი მოკლებულნი იყვნენ თავისუფლებას და ვალდებული იყვნენ გადაეხადათ ბეგარა. გლეხი ამუშავებდა თავისი პატრონის მიწას და მოყვანილი მოსავლის ნაწილს მიწის პატრონს აძლევდა. ამგვარი ურთიერთობის არანაირი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა და იგი დაფუძნებული იყო პატრონსა და გლეხს შორის პირად გარიგებაზე და იმ დროისათვის არსებულ ტრადიციასა და ისტორიულ პირობებზე.

XI საუკუნის საქართველოში გადასახადის (მეტწილად სოციალური ხასიათის) ერთ-ერთი ფორმა იყო **პატრონის ხლება და ლაშქრობით სამსახური**. ასეთები იყვნენ მეტწილად თავისუფალი მიწათმოქმედნი, თუმცა უფრო მოგვიანებით გლეხობამ მთლიანად დაკარგა

თავისუფლება და იძულებული გახდა შრომითი ბეგარით ერჩინა თავი.

ბატონყმობის პერიოდში ფეოდალს მიწაზე მომუშავე ყმა-გლეხებისაგან გადასახადი შემოსდიოდა **კულუხის**, ღალის და სხვა გამოსაღებების სახით. გლეხებისაგან გამოსაღებების ამოღებას ახდენდა მოხელე–ხელისუფალი, ციხისთავი, მოხარაჯე და მესაბანჯრე. მოხარაჯე კრეფდა **ხარაჯს** ანუ სახელმწიფო გადასახადს, ხოლო მესაბანჯრე - საძოვრების გამოყენებისათვის დადგენილ გადასახადს - **საბანჯარს**. შემდგომ პერიოდში გადასახადების ამკრებთა რიცხვს შეემატა **გზირი** და **მსახური**, რომლებიც ძირითადად „საჭირისუფლო“ და „საქორწინო“ გადასახადების აკრებით იყო დაკავებული. ლხინისათვის განკუთვნილ გადასახადს ეწოდებოდა **სანიჭარი**, ხოლო სიკვდილის შემთხვევაში გადასახდელს - **შესაწევარი**. თავდაპირველად აღნიშნული გადასახადები ნებაყოფლობითი, ძალდაუტანებელი ხასიათის იყო, ხოლო შემდგომში ისინი აუცილებელ გამოსაღებად იქცა.

გარდა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისა, ხარკს (გადასახადს) იხდიდა აგრეთვე დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაც. მას ერქვა **ნაალაფევი**. გადასახადის აკრებას ახდენდა მოხელეთა მრავალრიცხოვანი შტატი, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ სოფლებზე, საციხისთაოებზე და საერისთაოებზე.

გვიანფეოდალური პერიოდის საქართველოში გავრცელებული იყო გადასახადის ისეთი სახე, როგორიცაა **შრომამიგებითი რენტა**. იგი გულისხმობდა გლეხების შრომას იმ ოდენობით, რასაც მებატონე მოითხოვდა. მასში შედიოდა მცენარეების დათესვა, დამუშავება, მორწყვა, მოსავლის აღება, სამშენებლო საქმიანობა, შეშის დამზადება, ცხოველების მოშენება და მოვლა, საკვების დამზადება და ა.შ. ამრიგად, გლეხები ვალდებული იყვნენ ბატონისათვის ემსახურათ მომსახურების ყველა სახეობებით.

გარდა ამისა, გავრცელებული იყო გადასახადების გადახდა **რენტა - პროდუქტით**. იგი გულისხმობდა მებატონისათვის გასამრჯელოს პირუტყვით, ნივთით გადასახადს. გლეხი ჩადენილი დანაშაულისათვის ბატონს ხარკს მიართმევდა. საერდგომოდ გლეხი ვალდებული იყო მებატონისათვის სასმელ-საჭმელი მიერთმია, ხოლო ქეიფის ან ქორწილის დროს - ძროხა.

გარდა ნატურალურისა, გლეხი იხდიდა ფულად გადასახადსაც. გლეხს მებატონისათვის ფული უნდა ეხადა ქორწილის შემთხვევაში, გლეხის ქვრივის გათხოვებისას მებატონე ფულს საქმროს ახდევინებდა, ასევე ფული უნდა გადაეხადა გლეხს ქალის გათხოვებისას, ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, მებატონის სიკვდილისას გლეხებს უნდა გაეღოთ შესაწევარი.

მე-18 საუკუნის დასასრულისათვის საქართველოში გავრცელებული იყო გადასახადის სხვადასხვა სახე, რომელთა შორის აღსანიშნავია **სურსათის გადასახადი, კოდის პური, მახტა, საკომლო, კულუხი, საბალახე, მალი, ყალანი, საქვრივო, შევარდენი, საჩექმე და სხვა.**

სურსათის გადასახადი აიკრიბებოდა ომების დროს ჯარის გამოსაკვებად, ამასთან, როგორც ქართული, ისე რუსეთის ჯარისთვისაც. სურსათის გადასახადს იხდიდა როგორც სახელმწიფო, ისე საბატონო და საეკლესიო გლეხები. სურსათის გადასახადიდან ძირითადი იყო ხორბალი და ქერი. გადასახადის აკრება წელიწადში ერთხელ ევალებოდათ მელიქეებს. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ამ გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო.

კოდის პური ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი გადასახადი იყო. წელიწადში კომლზე დადგენილი იყო 4 კოდი (10 ლ მოცულობის) პურის გადახდა. აღნიშნულ გადასახადზე დაწესებული იყო შეღავათები. არ იხდიდნენ თუშები და ფშავ- ხევსურები და სხვა იმ ტერიტორიების მოსახლეობა, სადაც ხორბლის მოყვანა შეუძლებელი იყო.

მახტა გვიანფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასახადი იყო. იგი ნატურალური და ფულადი გადასახადის ერთობლიობაა. მახტით დაბეგვრის ობიექტი იყო მიწათმოქმედება, ხელოსნობა და ვაჭრობა. მახტას სოფლად იხდიდნენ ოჯახები ნატურით (2 კოდი ხორბალი, 1 კოდი ქერი), ხოლო ქალაქად ვაჭრები და ხელოსნები ფულადი სახით.

ხაზინის სასარგებლოდ იკრიბებოდა აგრეთვე **საბალახე** გადასახადი. იგი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უძველესი გადასახადია. მისი გადამხდელი იყო ის, ვინც საძოვარს იყენებდა. დაბეგვრის სუბიექტი იყო საქონლის მეპატრონე. საქონლის რაოდენობა აღირიცხებოდა სპეციალურ დავთარში და გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო ყოველ 100 ცხვარზე გადაეხადა 2 ცხვარი და ერთი ბატკანი.

შემოღებული იყო აგრეთვე **საკომლო** გადასახადი, რომელიც ძალიან წააგავს დღევანდელ მიწის გადასახადს. კომლი, რომელსაც ეკავა მიწის გარკვეული ფართობი, ვალდებული იყო მიწის მეპატრონესათვის ეხადა გადასახადი ფულადი ან ნატურალური ფორმით. საგადასახადო განაკვეთი შეადგენდა კომლზე ორ აბაზს წლის განმავლობაში (1901 წ.).

კულუხი, როგორც გადასახადი, ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. მას ღვინოს სახით იხდიდნენ იმ მიწით სარგებლობისათვის, სადაც ვენახი იყო გაშენებული. გადასახადის სიდიდე დამოკიდებული იყო მოსავლიანობაზე.

გავრცელებული იყო გადასახადი მარცვლეულზე (ყანაზე), რომელსაც ეწოდებოდა ღალა. იგი გადაიხდებოდა მარცვლეულის სახით.

ისტორიულ დოკუმენტებში მოხსენიებულია **სამასპინძლო** გადასახადი. იგი, როგორც ჩანს, თავდაპირველად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა, ხოლო შემდგომ სავალდებულო გადასახადის სახე მიიღო. მისი არსი მდგომარეობდა ბატონისათვის სამსახურის გაწევას ან გადასახადის გადახდას.

გადასახადების ისტორიას შემორჩა ორიგინალური გადასახადი ე.წ. **შევარდენი**. იგი უფრო მომსახურებითი ფორმის გადასახადს წარმოადგენდა. კერძოდ, ზოგიერთ სოფელს ებარა მეფის შევარდნების ბუდეები და გლეხებს ევალებოდათ მათი მოვლა. ზოგიერთი სოფელი ვალდებული იყო მეფისათვის მიერთმია შევარდენი.

მე-18 საუკუნეში საქართველოში შემორჩა **საქვრივოს** გადასახადი. იგი გულისხმობდა ბატონისათვის გადასახადის გადახდას ქვრივის გლეხთან დაქორწინების შემთხვევაში. გადასახადის გადამხდელი იყო გლეხის ქვრივის წამყვანი (სიძე). ანალოგიურ გადასახადს წარმოადგენდა ე.წ. **საჩექმე** გადასახადი, რომელიც გადაიხდებოდა ბატონის სასარგებლოდ გლეხის ქალის გათხოვებისას. ბატონყმობის პერიოდში არსებობდა აგრეთვე **სააღდგომო, საშობაო გადასახადები** და **ძღვენი**. ეს უკანასკნელი თავდაპირველად ნებაყოფლობითი საჩუქრის სახეს ატარებდა, მაგრამ გვიანფეოდალურ საქართველოში გადასახადის სახეს ღებულობს.

აღსანიშნავია, რომ ფეოდალურ საქართველოში საგადასახადო ტვირთი მთლიანად გლეხობას აწვა. გლეხი იძულებული იყო საკუთარ მებატონესთან ერთად გადასახადი გადაეხადა სახელმწიფოსა

და ეკლესიისათვის. რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობას, ისინი იხ
დიდნენ გადასახადს **მახტის** და მალის სახით, მაგრამ ბევრი მათ
განი სხვადასხვა ფორმით ახერხებდა გადასახადისაგან თავის
არიდებას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საგადასახადო
სისტემამ ცვლილებები განიცადა. ამ დროისათვის გატარებულმა
ფინანსურმა რეფორმამ გადასახადების ნატურალურ სახეს უფრო
ფულადი ფორმა შესძინა. რუსეთმა დაიწყო გადასახადის გადა
მხდელთა აღწერა და მკაცრი აღრიცხვა.

რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ შენარჩუნებული იქნა
კოდის პურის გადასახადი, მახტა, მალი. გარდა ამისა, შემოღებულ
იქნა სამხედრო სასურსათო ბეგარა, რომელსაც მეფის მთავრობა
კრებდა მოსახლეობისაგან. წინააღმდეგობის შემთხვევაში ეგზეკუ
ციას ჩააყენებდა და ძალით მიჰქონდა. მართალია, მთავრობა გადა
ხდილ სურსათზე გარკვეულ ანაზღაურებას აძლევდა გლეხს, მა
გრამ იგი საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად მცირე იყო.

მე-19 საუკუნის შუა პერიოდისათვის შემოღებულ იქნა ახალი სახ
ის გადასახადები: კერძოდ, ე.წ. **საპოლიციო** გადასახადი, რომელ
იც დღევანდელ ქონების გადასახადს უფრო ჰგავს. დაბეგვრის
ობიექტი იყო ქ. თბილისში არსებული შენობები (ბინები), სავაჭრო
და სახელოსნო ფართობი. გადასახადს ჰქონდა ფულადი სახე და მას
იხდიდა შენობის პატრონი. ამის პარალელურად დაარსდა **უძრავი**
ქონების გადასახადი, რომლის დაბეგვრის ობიექტი იყო უძრავი
ქონება, მათ შორის შენობა. გადასახადის სიდიდე დამოკიდებული
იყო უძრავი ქონების გამოყენებით მიღებულ შემოსავლის სიდიდეზე
შემოღებულ იქნა აგრეთვე **ვაჭრობის** გადასახადი. მას იხდიდნენ
როგორც ადგილობრივი ვაჭრები, ასევე სხვა ქალაქებიდან დროე
ბით ჩამოსული უცხოელი ვაჭრები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგადასახადო სისტემაში შემოვი
და გადასახადი **დაქირავებულებზე**. ამ გადასახადს ახდევინებდ
ნენ დაქირავებულ შინა-მოსამსახურეებს და მუშებს ფულადი ფორ
მით. შემოღებულ იქნა აგრეთვე მოსაკრებელი **მესაკლავეობაზე**
ანუ იგივე პირუტყვზე გადასახადი, რაც გულისხმობდა ქალაქში
დასაკლავად ჩამორეკილ თითოეულ სულ პირუტყვზე ფულადი გა
დასახადის გადახდას.

ამრიგად, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში გადასახადის ნატურალური ფორმა თანდათანობით ფულადი ფორმით შეიცვალა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე მანძილზე, სახელმწიფომ ვერ მოასწრო ავტონომიური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და გადასახადები აიკრიბებოდა ძირითადად მეფის რუსეთის დროს დამკვიდრებული საგადასახადო სისტემისა და წესების მიხედვით.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საგადასახადო სისტემა მთლიანად იმეორებდა სსრკ-ს ფარგლებში დადგენილ გადასახადებს. ამასთან, თავისი არსებობის შვიდი ათეული წლის განმავლობაში, საბჭოთა საგადასახადო სისტემამ მრავალჯერ განიცადა ცვლილება. ქვემოთ მოკლედ განხილული იქნება 70-80-იან წლებში სსრკ-ს მასშტაბით სავალდებულო გადასახადები და გადასახდელები, რომელიც ვრცელდებოდა მაშინდელ მოკავშირე რესპუბლიკებზე და მათ შორის საქართველოზეც.

საბჭოთა საქართველოში ბიუჯეტის შემოსავლების 90 %-ზე მეტს შეადგენდა საწარმოთა გადასახადები. ამ უკანასკნელის წყარო იყო მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი წმინდა შემოსავალი.

სოციალისტური საწარმოები ბიუჯეტში იხდიან სამი სახის გადასახადებს: **ბრუნვიდან გადასახდელს, მოგებიდან გადასახდელს, სხვა შემოსავლებიდან გადასახდელს**. საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ბრუნვიდან გადასახდელი იყოფოდა სასაქონლო და არასასაქონლო ბრუნვიდან გადასახდელად. სასაქონლო ბრუნვიდან გადაიხდებოდა ბრუნვის გადასახადი, ხოლო არასასაქონლო ბრუნვიდან - შემოსავლიდან გადასახადი.

სახელმწიფო საწარმოების მოგებიდან გადასახდელი ბიუჯეტში ჩაირიცხებოდა შემდეგი ფორმით: ძირითად საწარმოო ფონდებზე გადასახდელი და ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებზე გადასახდელი, გადასახდელი წყალზე, ფიქსირებული გადასახდელი (რენტული და არარენტული ხასიათის), მოგების თავისუფალ ნაშთზე შენატანები.

კოოპერატიული საწარმოებიდან ბიუჯეტში ჩაირიცხებოდა: კოლმეურნეობებიდან საშემოსავლო გადასახადი, აგრეთვე კოოპ-

ერაციული სამომხმარებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი.

საბჭოური პერიოდის საქართველოში მთავარ როლს თამაშობდა ბრუნვის გადასახადი, რამდენადაც სოციალისტური მეთოდოლოგიით ახალი ღირებულება მხოლოდ წარმოების სფეროში იანგარიშებოდა, ბრუნვის გადასახადს იხდიდნენ სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, საწარმოო გაერთიანებები (კომბინატები), საზოგადოებრივი კოოპერაციული და მეურნეობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც ახდენდნენ საკუთარი წარმოების საქონლის რეალიზაციას.

ბრუნვის გადასახადის სიდიდის გამოსაანგარიშებლად გამოიყენებოდა სამი მეთოდი: ფასთასხვაობის მეთოდი, მყარ თანხაში ფიქსირებული განაკვეთი, ბრუნვის მიმართ საპროცენტო განაკვეთი.

საბჭოთა საგადასახადო სისტემაში ბრუნვის გადასახადის შემდეგ, მეორე ადგილი ეკავა მოგებიდან გადასახადს, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაიხდებოდა შენატანებისა და გადასახდელის სახით. საწარმოები ვალდებული იყვნენ ბიუჯეტში პირველ რიგში ჩაერიცხათ ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების გადასახდელები. ძირითად საწარმოო ფონდებზე გადასახდელი დადგენილი იყო პროცენტებში - მაღალრენტაბელური საწარმოებისათვის დასაბეგრი ობიექტის ღირებულების 6 პროცენტი, ხოლო ნაკლებრენტაბელური საწარმოებისათვის - 3 პროცენტი.

საბჭოურ საგადასახადო სისტემაში გამოიყენებოდა აგრეთვე ფიქსირებული გადასახდელი, განსაკუთრებით მომპოვებელი მრეწველობის საწარმოებში, რომლებსაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო წარმოექმნებოდათ დიფერენციული წმინდა შემოსავალი, აგრეთვე დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში, რომელთა რენტაბელობა უფრო მაღალი იყო საშუალო დარგობრივთან შედარებით. ფიქსირებული გადასახდელი შეიტანებოდა ბიუჯეტში მოგებიდან მისი განაწილების პროცესში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საწარმოები ვალდებული იყვნენ ბიუჯეტში შეეტანათ მოგების თავისუფალი ნაშთი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დირექტიული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში საწარმოებს არ გააჩნდათ თავისუფლება და შესაბამისად დაბალი იყო ეკონომიკის განვითარების ტემპები.

თავი 2

საგადასახადო სისტემის პრინციპები, გადასახადის ფუნქციები და კლასიფიკაცია

- საგადასახადო სისტემის პრინციპები და ამოცანები
- გადასახადების ფუნქციები
- გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების თანაფარდობის პრობლემა
- გადასახადების კლასიფიკაცია

2.1. საგადასახადო სისტემის პრინციპები და ამოცანები

საგადასახადო სისტემის შინაარსის გაგებაში მეცნიერ-ეკონომისტებს და სპეციალისტებს შორის ჯერჯერობით ერთიანი შეხედულება არაა ჩამოყალიბებული, თუმცა, მათ კონცეფციებს შორის არსებითი, პრინციპული ხასიათის სხვაობა არ შეინიშნება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო სისტემა წარმოადგენს გადასახადების (მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების) გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოების და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას. უფრო ფართო გაგებით საგადასახადო სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: დაბეგვრის სუბიექტი (გადასახადის გადამხდელი), დაბეგვრის ობიექტი (შემოსავალი, ქონება და ა.შ.), საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო იმუნიტეტი, საგადასახადო სანქციები, საგადასახადო კრედიტი, გადასახადების დაგეგმვა, საგადასახადო ვალდებულება, საგადასახადო კონტროლი, საგადასახადო ადმინისტრირება (გადასახადების ამოღების წესები და ფორმები) და საგადასახადო პრინციპები. სამწუხაროდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მკაფიოდ არაა გამოკვეთილი ის საგადასახადო პრინციპები, რომელზედაც დაფუძნებულია ქვეყნის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა.

საგადასახადო სისტემის პრინციპები წარმოადგენენ იმ ამოსავალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელზედაც აიგება ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა. ამასთან, საგადასახადო სისტემის პრინციპები არაა მუდმივი და იგი შეიძლება შეიცვალოს იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა, განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის სასიათი, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების სიდიდე, საზოგადოებაში შექმნილი სოციალური კლიმატი და ა.შ. დღეისათვის ეკონომიკური მეცნიერების მიერ შემუშავებულია იმ ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელზედაც უნდა აიგოს ცივილიზებული და სამართლიანი საგადასახადო სისტემა. ძირითადი ამ პრინციპებს შორის შემდეგია:

- ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი;
- დაუშვებელია ისეთი გადასახადის დაწესება, რომელიც არღვევს ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს;
- გადასახადის მიზანი უნდა იყოს საზოგადოების და სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;
- გადასახადები უნდა იყოს სტაბილური, საგადასახადო განაკვეთები და ტარიფები უნდა დადგინდეს ხანგრძლივი დროისათვის;
- ყოველი გადასახადი უნდა იყოს კანონით რეგლამენტირებული;
- მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს გადასახადის გაანგარიშების მეთოდიკა;
- დაუშვებელია პარალელური (დუბლირირებული) გადასახადების დაწესება;
- გადასახადების აკრების სისტემა უნდა იყოს მარტივი და ეკონომიური;
- საგადასახადო განაკვეთები უნდა იყოს პროპორციული იმ სარგებელთან, რისი მიცემა სახელმწიფოს შეუძლია გადასახადის გადამხდელებისათვის;
- გადასახადების დადგენის და ამოღების წესი უნდა იყოს უნიფიცირებული საგადასახადო ბაზის გეოგრაფიული განლაგების, საკუთრების ფორმის, ეკონომიკური საქმიანობის სახეობის და შემოსავლის წყაროების მიუხედავად;

- მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული სამართლიანობა საგადასახადო ტვირთის განაწილების დროს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში;
- ტოლდიდ დასაბეგრ ობიექტებზე უნდა დაწესდეს თანასწორი გადასახადები.

საგადასახადო სისტემის აღნიშნული პრინციპები სავალდებულო და აუცილებელია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ამოცანაა მაქსიმალურად ისწრაფოდნენ მათი პრაქტიკაში დამკვიდრებისათვის. მართალია, დღეისათვის საქართველოს საგადასახადო სისტემა არ შეიცავს თანაბარი ზომით ყველა პრინციპებს, მაგრამ ეს არ არის საგანგაშო. საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია საგადასახადო სისტემის ყველა პრინციპების პრაქტიკული რეალიზაცია. ძირითადად ეს განპირობებულია იმ სპეციფიკური ამოცანებით და პრობლემებით, რომლის გადაწყვეტა უწევს სახელმწიფოს, მეორეც, დემოკრატიული და გაწონასწორებული საგადასახადო სისტემის ფორმირება არაა ერთჯერადი პროცესი, იგი მოითხოვს დიდ დროს, გამოცდილებას, ფინანსებს, ტრადიციის ჩამოყალიბებას და რაც ყველაზე მთავარია, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე ქვეყნებშიც კი იდეალურად მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა ჯერჯერობით არ არსებობს. საგადასახადო სისტემა იმდენად რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია, რომ მისი გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიმართულებით დისკუსია დღესაც აქტიურად მიმდინარეობს მაღალგანვითარებულ, ცივილიზებულ სახელმწიფოებშიც კი. თუმცა, ყველა ქვეყანასა და ყველა დროში არის საგადასახადო პრინციპების ისეთი აუცილებელი წრე, რომელთა უგულებელყოფა ქაოსსა და დესტაბილიზაციას შეიტანს არა მხოლოდ ქვეყნის საგადასახადო, არამედ მთელ ეკონომიკურ სისტემაში.

ჩვენი აზრით, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებში შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, მიმდინარე და უახლოესი ეტაპების საგადასახადო სისტემას საფუძვ-

ლად უნდა დაედოს პრინციპების ისეთი წრე, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

- საგადასახადო სისტემა ყველა გადასახადის გადამხდელისათვის უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი და გასაგები. ნებისმიერ საგადასახადო დოკუმენტს, კანონს თუ ინსტრუქციას უნდა გააჩნდეს ერთნიშნა, ცალსახა განმარტება. სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსი, შესაბამისი ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები არ იძლევიან მკაფიო პასუხს მთელ რიგ საგადასახადო პრობლემებთან დაკავშირებულ კითხვებზე, რაც დღის წესრიგში აყენებს ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურების ამოცანას.
- საგადასახადო სისტემა უნდა იყოს იაფი, მით უმეტეს ისეთ საბიუჯეტო კრიზისში მყოფი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ძვირი საგადასახადო სისტემა, როგორც ამას მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, იწვევს მწვავე დაპირისპირებას გადასახადის გადამხდელთა და მის მამობილიზებელ საგადასახადო სისტემას შორის. საგადასახადო სისტემის მუშაკთა ხელფასების ასჯერ გაზრდაც კი ვერ შეაჩერებს ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის მასშტაბების ზრდას. აქ მთავარია მაღალი ზნეობის კვალიფიციური კადრების მოზიდვა და გადასახადის გადამხდელებთან მათი პარტნიორული და საქმიანი ურთიერთობა. როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც საგადასახადო სისტემაში გარანტირებული შრომის ანაზღაურება საშუალოდ უნდა გაუტოლდეს ქვეყანაში ფორმირებული მინიმალური საარსებო მინიმუმის 3-ჯერად სიდიდეს. ამასთან ერთად დასაშვებია პრემიალური სისტემის დანერგვა მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის შემთხვევაში, თუმცა აქაც უნდა დაწესდეს ზედა ზღვარი. წინააღმდეგ შემთხვევაში დღეისათვის ქვეყანაში არსებული ინფორმაციული ვაკუუმი, აღრიცხვის მუშაკთა დაბალი კვალიფიკაცია, კანონების ცალკეული მუხლების სხვადასხვა ვარიანტებში ფორმულირების შესაძლებლობა და სხვა ფაქტორები შექმნიან ხელსაყრელ პირობებს საგადასახადო სისტემის მუშაკთა არაკანონიერი ქმედებისა და კორუფციისათვის.
- საგადასახადო სისტემა არ უნდა იყოს მეტისმეტად მძიმე გადასახადის გადამხდელებისათვის, მან ნეგატიური გავლენა არ უნდა მოახდინოს მეწარმეთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, არ უნდა

შეზღუდოს საბრუნავი საშუალებების (სახსრების) დაგროვება და ინვესტიციური აქტივობა. მაღალი საგადასახადო წნეხი ფისკალურ ეფექტს იძლევა დროის მოკლე მონაკვეთში და მისი დიდი ხნით შენარჩუნება ავიწროებს საგადასახადო ბაზას და შესაბამისად იწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას.

- საგადასახადო განაკვეთები მნიშვნელოვნად არ უნდა აღემატებოდეს მეზობელი ქვეყნების და იმ ქვეყნების საგადასახადო განაკვეთებს, რომლებთანაც მჭიდრო ეკონომიკური კავშირია დამყარებული. თუმცა, აღნიშნული მიდგომის რეალიზაცია გარდამავალ ეტაპზე მყოფი საქართველოს საგადასახადო სისტემისათვის არ უნდა ჩაითვალოს აუცილებელ პირობად ქვეყნის წინაშე მდგარი სხვადასხვა სახის პრობლემათა გამო.
- დღევანდელი საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა დაუსაბუთებელი საგადასახადო შეღავათების გაუქმება. შეღავათების დაწესების კრიტერიუმი უნდა იყოს არა კორუმპირებული პირებისა და გავლენიანი დაჯგუფებების პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ზეწოლა, არამედ, სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები, შემოსავლების გადანაწილება მდიდრებიდან ღარიბების სასარგებლოდ, დეპრესიული ტერიტორიული ერთეულების (რეგიონების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების გამოთანაბრება, ფასებისა და ხელფასების ზრდის დაბალანსება ინფლაციის გათვალისწინებით და სხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტა.

სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ მიმდინარე პროცესების დარეგულირებისათვის მიმართულ პრინციპებს, არამედ, იგი უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის პერსპექტიულ სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს და სტრატეგიულ გრძელვადიან ამოცანებს.

2.2. გადასახადების ფუნქციები

გადასახადის ფუნქცია გულისხმობს მისი არსისა და თვისების გამოვლენას, აგრეთვე საზოგადოებაში მისი როლის განსაზღვრას. ფუნქცია გვიჩვენებს თუ როგორ ხდება მოცემული ეკონომიკური კატეგორიის როგორც შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტარის გამოყენება, მისი მეშვეობით მოსახლე-

ობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გამოთანაბრება და ეკონომიკის რეგულირება-სტიმულირება. გამომდინარე აქედან, განასხვავებენ გადასახადების შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

1. სახელმწიფოს ხარჯების ფინანსური უზრუნველყოფის ფუნქცია, რაც ნიშნავს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციას (ფისკალური ფუნქცია). მისი საშუალებით ხდება გადასახადების ძირითადი საზოგადოებრივი დანიშნულების - სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ფორმირება, რომლებიც აკუმულირდება ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში. გადასახადების ფისკალური ფუნქციის საშუალებით ხდება სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების რეალიზაცია, განსაკუთრებით კი ბიუჯეტის მეშვეობით თავდაცვის, მართლწესრიგის, სოციალური სფეროების და დარგების, გარემოსდაცვითი ღონისძიებების და სხვა სფეროების დაფინანსება;

2. სოციალური ფუნქცია, ანუ, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების გამოთანაბრების ფუნქცია. მისი ამოცანაა მაღალშემოსავლიანი ფიზიკური და იურიდიული პირების პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრის მეშვეობით ეროვნული შემოსავლის დაბალშემოსავლიან ჯგუფში გადანაწილება;

გადასახადების სოციალური ფუნქციის რეალიზაცია ხორციელდება სხვადასხვა მოცულობის შემოსავლებზე არათანაბარი დაბეგვრის გზით. საწარმოების და მოსახლეობის პირადი შემოსავალი უმეტესწილად იბეგრება პროგრესული საშემოსავლო გადასახადით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, პროგრესული მეთოდით გადასახადების ამოღება იწვევს აზრთა სხვადასხვაობას მოსახლეობის ცალკეულ ფენებში. დაბალშემოსავლიანები თვლიან, რომ გადასახადების განაკვეთი მაღალ შემოსავლებზე კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, ხოლო მაღალშემოსავლიანები თვლიან, რომ მათი შემოსავლების მაღალი კოეფიციენტებით დაბეგვრა ამუხრუჭებს ინვესტიციურ აქტივობას და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას.

სოციალურად ყველაზე არასამართლიანს წარმოადგენენ **არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადები (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი).** ისინი თანაბარ საგადასახადო ზეწოლას ახდენენ საზოგადოების თითოეულ წევრზე. ამასთან, მათი ზეწოლა განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე. საქმე იმაშია, რომ არაპირდაპი-

რი გადასახადები წარმოადგენენ პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასნამატს, რის გამოც მომხმარებელი მას თავისი პირადი შემოსავლიდან იხდის. რა თქმა უნდა, მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ჯგუფებიც ჩვეულებრივი მომხმარებლები არიან და მათზე ვრცელდება ფასნამატის საკუთარი შემოსავლიდან გადახდა, თუმცა ის მათ იმ სიმძიმით არ აწვებათ, როგორც დაბალშემოსავლიან ჯგუფებს. გამომდინარე აქედან, სოციალური სამართლიანობის მიღწევის მიზნით, საგადასახადო სისტემა უშვებს ცალკეულ შეღავათებს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისათვის.

3. მარეგულირებელი ფუნქცია, რაც ნიშნავს საგადასახადო განაკვეთების მანევრირებით ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ან შენელებას.

გადასახადების მარეგულირებელ ფუნქციას ხშირად ეკონომიკურ ფუნქციასაც უწოდებენ. ამ ბოლო დროს ეკონომიკურ ლიტერატურაში მას გადასახადების მასტიმულირებელ ფუნქციადაც მოიხსენიებენ, თუმცა, მისი შინაარსის გაგებაში რაიმე პრინციპული განსხვავება არ შეინიშნება. სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებას ახორციელებს დაბეგვრის სისტემის ცვლილებით, გადასახადების განაკვეთების მანევრირებით და საგადასახადო შეღავათების დაწესებით. პრაქტიკაში ეკონომიკის რეგულირებისათვის გამოიყენება ორი საგადასახადო მოდელი: **ლიბერალური და მკაცრი.**

ლიბერალური საგადასახადო მოდელის გამოყენებისას დაბალია საგადასახადო განაკვეთები, შედარებით მეტია საგადასახადო შეღავათების წრე, რის გამოც გადასახადის გადამხდელებს თავიანთ განკარგულებაში რჩებათ შემოსავლების უფრო დიდი ნაწილი და შესაბამისად შესაძლებლობა ეძლევათ წარმართონ იგი ინვესტირებისათვის, საწარმოთა ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფისათვის, რაც საბოლოო ჯამში იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

მკაცრი საგადასახადო მოდელი გულისხმობს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს და შეღავათების ვიწრო წრეს. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს არ რჩებათ საბრუნავი სახსრები წარმოების განვითარებისათვის, მისი ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღებისათვის, რის გამოც მცირდება სამეურნეო აქტივო-

ბა და შესაბამისად ეცემა წარმოების მოცულობა და ვიწროვდება საგადასახადო ბაზა.

ამ ბოლო დროს ეკონომიკურ ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ გადასახადების მაკონტროლებელ ფუნქციას. იგი იძლევა საშუალებას შეფასდეს საგადასახადო მექანიზმი, გაკონტროლდეს ფინანსური ნაკადების მოძრაობა, გამოვლინდეს საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემაში შესატანი ცვლილებები. გადასახადების მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება, მისი სისრულე და სიღრმე მეტწილად დამოკიდებულია საგადასახადო დისციპლინაზე, რაც ნიშნავს გადასახადის გადამხდელთა მიერ კანონით დადგენილი გადასახადების სრულად და დროულად გადახდას. ჩვენი აზრით, გადასახადების მაკონტროლებელი ფუნქციის ავტონომიურად გამოყოფა აუცილებლობას არ წარმოადგენს, რამეთუ აღნიშნული ფუნქცია დამახასიათებელია ფინანსებისათვის, როგორც, ეკონომიკური ბერკეტისათვის.

2.3. გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების თანაფარდობის პრობლემები

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს **ოპტიმალური თანაფარდობის („ოქროს შუალედის“) დადგენა გადასახადის ფისკალურ და მარეგულირებელ (ეკონომიკურ-მასტიმულირებელ) ფუნქციებს შორის.** საგადასახადო განაკვეთების შემცირებისა და საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის იდეა თავისი შინაარსით ძალიან მიმზიდველია და მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ასეთი კონცეფცია უფრო გავრცელებული იყო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ თეორიულად და პრაქტიკულად ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, რეალური სექტორის განვითარებას, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებით უზრუნველყოფა. ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემა დღის წესრიგში აყენებს ხარჯების შემცირების ამოცანას, რაც ყოველთვის არაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც საბაზრო ეკონომიკისა და დამოუკიდე-

ბელი სახელმწიფოს მშენებლობის გზას დაადგნენ. საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად ისინი ხშირ შემთხვევაში მეტისმეტად ზრდიან საშინაო და საგარეო ვალებს, რაც თავის მხრივ გრძელვადიან პერიოდში იწვევს ბიუჯეტის ხარჯების გადიდებას. ამასთანავე, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა იწვევს ინფლაციური პროცესების პროვოცირებას, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ მენარმეთა საბრუნავი საშუალებების და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების გაუფასურებამდე.

მენარმეთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ გადასახადის ორი მიზნის ერთობლივად მიღწევისათვის ანუ გადასახადების შემცირების პარალელურად საბიუჯეტო შემოსავლების ზრდისათვის საჭიროა წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოცულობის ზრდა (საგადასახადო ბაზის გაფართოება). მათი (და არა მარტო მათი) აზრით, საგადასახადო წნეხის შემსუბუქება იწვევს წარმოების მოცულობის გადიდებას და შესაბამისად საგადასახადო ბაზის გაფართოებას. ამ დამოკიდებულების დასადასტურებლად საჭიროა იმის გამოკვლევა, თუ როგორი ხარისხით ახდენს გადასახადების შემცირება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდას, ანუ საჭიროა ამ ორ სიდიდეს შორის ელასტიკურობის რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენა. ცნობილია, რომ თანაფარდობა გადასახადის განაკვეთების სიდიდესა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას შორის აღიწერება ლაფერის მრუდით (კონცეფციით) და მან პირველად პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა აშშ-ში რ.რეიგანის პრეზიდენტობის დროს. ამასთან, ბევრმა როდი იცის, რომ პრეზიდენტის იმედი, გადასახადების შემცირება გამოიწვევდა საბიუჯეტო შემოსავლების გადიდებას, არ გამართლდა, პირიქით, შემცირდა შემოსავლები და იკლო ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების მოცულობამ. რა თქმა უნდა, ამ ერთი მაგალითით არ შეიძლება ლაფერის ეფექტის უარყოფა, რადგან მეტწილ ქვეყნებში მეტისმეტად მაღალი გადასახადების შემცირებამ გაზარდა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობათა მოცულობა, მაგრამ აქ დგება მეტად საინტერესო პრობლემა. კერძოდ, მოცემული ქვეყნის კონკრეტულ პირობებში (იგულისხმება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემო) გადასახადების შემცირება ხელს შეუწყობს თუ არა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და თუ კი, მაშინ რამდენი დრო დასჭირდება თავდაპირველად გადასახა-

დების შემცირების შედეგად საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების კომპენსირებას? ეს ურთულესი პრობლემაა. რა თქმა უნდა, მისი გაანგარიშება შესაძლებელია უტყუარი და სანდო ინფორმაციის პირობებში, მაგრამ ჩვენს პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების მეთოდოლოგიურად გამართული სისტემა და ინფორმაციული მონაცემები წამდაუწუმ იცვლება, ასეთი გაანგარიშების ჩატარება სარისკოა და მისი შედეგების უტყუარობაზე პასუხისმგებლობას არავინ აიღებს.

ამიტომაც, ჯერჯერობით ალბათ უფრო მიზანშეწონილია დავკმაყოფილდეთ ანალოგიის მეთოდის გამოყენებით. ამერიკის მაგალითი არ გამოგვადგება. საინტერესოა ევროსაბჭოს წევრი ზოგიერთი ქვეყნების მონაცემები. გაანგარიშებები მოწმობენ, რომ ამ ქვეყნებში საგადასახადო კოეფიციენტის (ანუ გადასახადების ჯამის შეფარდება მშპ-თან) შემცირება 10 პროცენტული პუნქტით იწვევს მშპ-ის ყოველწლიურად 0,5-1 პროცენტით ზრდას. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ლაფერის ჰიპოთეზა ყველა ქვეყანაში არ დასტურდება.

რაც შეეხება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების შესაბამისი მაჩვენებლების ანალიზის შედეგებს, ირკვევა, რომ სპეციფიკური დამოკიდებულება ყალიბდება გადასახადის დონესა და მშპ-ს სიდიდეს შორის. სახელმწიფოები, რომლებიც ამოიღებენ შედარებით მაღალ გადასახადებს და შესაბამისად, აქვთ უფრო მეტი შესაძლებლობა დააბანდონ ინვესტიციები საწარმოო სფეროში, მეცნიერულ-ტექნიკურ ინოვაციებში, ხასიათდებიან ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპებით. მაგალითად, რეალური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპები 1996-1998 წლებისათვის **ბელარუსიაში, უნგრეთში, მაკედონიაში, პოლონეთში, სლოვაკიაში, სლოვენიაში, ხორვატიასა და ჩეხეთში**, სადაც სახელმწიფო შემოსავლები აჭარბებდნენ მშპ-ის 40 პროცენტს, შეადგენდა 4,4 პროცენტს. იმ ქვეყნებში კი, სადაც საგადასახადო კოეფიციენტი მერყეობდა 30-40 პროცენტის ფარგლებში **(ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა, ესტონეთი)**, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 0,6 პროცენტს წელიწადში.[1]

[1] *Вишневский В., Линицкий Д. Оценка возможностей снижения налогово бремени в переходной экономике, ж., Вопросы экономики, №2, 2000, с.108.*

აღნიშნული თანაფარდობების ანალოგიის საქართველოს პირობებში გამოყენება არანაირი მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ამაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები. 1997 წელს 1996 წელთან შედარებით საქართველოს მშპ-ის ზრდამ შეადგინა 11.3 პროცენტი, ხოლო მთელი შემოსავლები და გრანტები მშპ-ის მიმართ შეადგენდა მხოლოდ 11.3 პროცენტს. 1998 წელს კი მშპ-ის ზრდის ტემპი დაეცა 2.9 პროცენტამდე, ხოლო საგადასახადო კოეფიციენტმა შეადგინა 10.9 პროცენტი. აქედან გამოდის დასკვნა, რომელიც დღევანდელი ეკონომიკური თეორიის (განსაკუთრებით ლაფერის კოეფიციენტის) ჩარჩოებში არ თავსდება. კერძოდ, გამოდის, რომ საქართველოს დღევანდელ პირობებში საგადასახადო წნეხი არაა ელასტიკურ დამოკიდებულებაში ეკონომიკურ ზრდასთან. როგორც ჩანს, თითქმის ერთი და იგივე საგადასახადო ტვირთის პირობებში რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური ზრდის ტემპები ყალიბდება. შეიძლება წარმოიშვას სრულიად კანონზომიერი კითხვა: სახელმწიფო შემოსავლები ხომ ვერ შეძლებენ ერთწლიანი ლაგით ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებას? ამაზე პასუხს იძლევა 2000 წლის 1999 წელთან მშპ-ის ზრდის ტემპი, რომელმაც მხოლოდ 3 პროცენტი შეადგინა. რა თქმა უნდა, ასეთი არაბუნებრივი კანონზომიერების გარკვეული კომენტარების გარეშე, მშრალად დატოვება არ შეიძლება.

შევეცადოთ გავხსნათ იმ ძირითადი ფაქტორების და მიზეზების არსი, რომლებიც ამუხრუჭებენ გადასახადების მულტიპლიკაციურ მოქმედებას, ანუ გავცეთ პასუხი კითხვაზე საგადასახადო წნეხის შემსუბუქებამ რატომ არ გამოიწვია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 10-14 პროცენტიანი საგადასახადო კოეფიციენტი (საგადასახადო შემოსავლების შეფარდება მშპ-თან პროცენტებში) არ ადასტურებს საგადასახადო ტვირთის სიმძიმეს. ცნობილია, რომ იგი საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში და მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში გაცილებით მაღალია და მერყეობს 30-დან 70 პროცენტამდე. აქედან მხოლოდ თეორიული დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი. ფაქტობრივად კი მეწარმეები ამტკიცებენ საპირისპიროს - საქართველოში საგადასახადო ტვირთის მეტისმეტ სიმძიმეს, რაც მათ ხელს უშლის წარმოების აღორძინებასა და განვითარებაში. თავისთავად ორივე დებულებას - საგადასახადო შემო-

საველების დაბალ კოეფიციენტს და საგადასახადო ტვირთის მეტის-მეტ სიმძიმეს, გააჩნია თავისი დამამტკიცებელი არგუმენტები. მაღალი საგადასახადო ტვირთის პირობებში საგადასახადო შემოსავლების დაბალი დონე შეიძლება აიხსნას ძირითადად სამი ფაქტორით. პირველი, ესაა აღრიცხვის და სტატისტიკური მეთოდოლოგიის გაუმართაობა, რის გამოც სახელმწიფო სტატისტიკამ ვერ უზრუნველყო მშპ-ის არგუმენტირებული მაჩვენებლის გაანგარიშება. ამ ბოლო პერიოდში მისი ადრე გამოცხადებული სიდიდე თითქმის 2 მილიარდით შემცირდა, რაც რა თქმა უნდა, პირდაპირპროპორციულად მოქმედებს საგადასახადო კოეფიციენტის დონეზე. მეორე, და ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარი ფაქტორი საგადასახადო ტვირთის და საგადასახადო კოეფიციენტის სიდიდეს შორის შეუსაბამისობისა, არის ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართო მასშტაბები და მისი ზრდის მაღალი ტემპები. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით აღურიცხავი ეკონომიკის წილი, მიუხედავად მისი შემცირების ტენდენციისა (?), ჯერ კიდევ მაღალია და სამეწარმეო სექტორში აღწევს 45-50 პროცენტს. თუ ამ ციფრებს დავუჯერებთ და გავიანგარიშებთ საგადასახადო კოეფიციენტის დონეს (საგადასახადო შემოსავლები შეფარდებული მშპ-თან), მისი სიდიდე 10-12-დან 20-24 პროცენტამდე გაიზრდება სტატისტიკის მიერ ადრე გამოცხადებულ მშპ-თან მიმართებაში. რაც შეეხება სსფ-თან შეთანხმებულ ახალ მშპ-ის მაჩვენებელთან შეფარდებით და ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩათვლით საგადასახადო კოეფიციენტის დონე გაიზრდება დაახლოებით 5-6 პროცენტული პუნქტით და მიაღწევს 27-29 პროცენტს. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საგადასახადო წნეხი საქართველოში არც ისე მაღალია და იგი შედარებით დაბალია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან.

მესამე, საგადასახადო შემოსავლების არამულტიპლიცირება ეკონომიკურ ზრდასთან გამოწვეულია საბიუჯეტო ხარჯების არაოპტიმალურობით. საქმე იმაშია, რომ საბიუჯეტო ხარჯების უდიდესი ნაწილი მიიმართება უშუალოდ ყოველდღიური მოხმარებისაკენ და თითქმის არ რჩება სახსრები ინვესტიციურ სექტორში მის დასაბანდებლად. გამომდინარე აქედან, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ვიდრე ბიუჯეტი თავისი ხარჯების ნაწილს არ მოახმარს ეკონომიკის სექტორს, რაც არ უნდა გაიზარდოს საგადასახა-

დო შეღავათები, ისინი ეკონომიკის განვითარების ტემპების ზრდაზე პოზიტიურ ზეგავლენას ვერ მოახდენენ. აქედან გამომდინარეობს მეორე დასკვნა - საჭიროა საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაცია და მისი ისეთნაირი გადანაწილება, რომ გადასახადებმა რეალურ სექტორში გამოიწვიონ მულტიპლიკაციური ეფექტი.

იმისათვის, რომ ლაფერის კონცეფციამ რეალური ეფექტი მოგვცეს, საჭიროა საქართველოში გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების ოპტიმალური თანაფარდობის მოძებნა. ამ უკანასკნელის მარტო საგადასახადო სისტემაში ძიება არანაირ დადებით შედეგებამდე არ მიგვიყვანს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საგადასახადო პოლიტიკის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში ფორმირება. საკითხი ეხება საგადასახადო პოლიტიკის შეთანაწყობას ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან, ინვესტიციურ პოლიტიკასთან, საბიუჯეტო და განსაკუთრებით ხარჯების პოლიტიკასთან და ა.შ.

მეორეს მხრივ, გადასახადების მულტიპლიკაციური ეფექტის მისაღებად საჭიროა საგადასახადო სტრუქტურის რადიკალური ტრანსფორმაცია. საქმე იმაშია, რომ საგადასახადო ბაზა ძირითადად შემოისაზღვრება არა ადგილობრივი წარმოების და მომსახურების სფეროთი, არამედ იმპორტირებული საქონლით (ბენზინი, ფქვილი, სიგარეტი, შაქარი და ა.შ.), რაც ერთი მხრივ, მაღალი რისკის ქვეშ აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ხოლო მეორე მხრივ, სტიმულს უკარგავს და ამუხრუჭებს სამამულო ეკონომიკის განვითარებას. დღეისათვის საქართველოში არსებული საგადასახადო წნეხი არანაირად არ აფერხებს პროდუქციის იმპორტს, მაგრამ იგი ნამდვილად არ ასტიმულირებს ეროვნული რეალური-საწარმოო სექტორის განვითარებას. გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება საგარეო-ეკონომიკური კავშირების სფეროში არ შეამცირებს კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებს. ამ სექტორში წესრიგის დამყარებისათვის ეკონომიკური მექანიზმი არა თუ მკაცრია, არამედ უფრო რბილია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამიტომაც, მთელი ძალისხმევა უნდა წარიმართოს ეკონომიკურთან ერთად ადმინისტრაციული და ძალოვანი მეთოდების გონივრული გამოყენებისაკენ.

რაც შეეხება საწარმო-რეალურ სფეროში საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, აქ სხვანაირი მიდგომა უნდა განხორციელდეს. სწორედ, ამ სექტორში უნდა იქნეს მაქსიმალურად გამოყენებული გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია. მართალია, რეალურ სექტორში დაუშვებელია ეკონომიკის სხვა სექტორებისაგან განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების დაწესება, ეს დაარღვევდა ქვეყნის ერთიან საგადასახადო სივრცეს, მაგრამ, აქ შეიძლება ამოქმედდეს საგადასახადო პრეფერენციების სისტემა, რომლითაც შესაძლებელი გახდება ქვეყნის ტრადიციულ და სტრატეგიულ საწარმოო-სექტორში საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას საბიუჯეტო ხარჯებიც, რომელთა სტრუქტურაში უნდა გაიზარდოს რეალური სექტორის ხვედრითი წილი. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს ოპტიმალურ ნერტილში შევუპირისპიროთ გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქცია და შესაბამისად ავამოქმედოთ გადასახადების მულტიპლიკაციური ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

2.4. გადასახადების კლასიფიკაცია

კანონით დადგენილი გადასახადები, მოსაკრებლები და სხვა გადასახდელები იყოფა (კლასიფიცირდება) ცალკეულ ჯგუფებად გარკვეული კრიტერიუმების, ნიშნების და სპეციფიკური თვისებების მიხედვით.

ფინანსების ისტორიაში გადასახადების კლასიფიკაციის პირველი მცდელობა გვხვდება ჯერ კიდევ XVII საუკუნეში. ძირითადი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადების კლასიფიკაცია, მიწათმფლობელთა (საადგილმამულო) გადასახადის გადატანა-გადანაწილება იყო. ეს ნიშნავდა, რომ მიწათმფლობელებიდან გადასახადი ამოიღებოდა პირდაპირ მათ მიერ მფლობელობაში არსებული მიწის ფართობიდან, ან მიღებული მოსავლის მოცულობიდან, ხოლო სხვა დანარჩენი გადასახადები წარმოადგენდა არაპირდაპირს, ანუ იგი თანაბრად აიკრიბებოდა მოსახლეობიდან ან სამეურნეო სუბიექტებიდან. შემდგომში გადასახადების პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბ) სახეობებად დაყოფამ უფრო მკაფიოდ გამოხატული სახე მიიღო. ა.სმითმა, გამომდინარე წარ-

მოების ფაქტორებიდან (მიწა, შრომა, კაპიტალი), მიწათმფლობელთა შემოსავალი განაცალკევა კაპიტალით და შრომით მიერ მიღებული შემოსავლებიდან. შესაბამისად, მიწათმფლობელთა პირდაპირი გადასახადის პარალელურად გაჩნდა ორი ახალი პირდაპირი გადასახადი: გადასახადი კაპიტალის მესაკუთრის სამეწარმეო შემოსავლიდან (მოგებიდან) და გადასახადი დაქირავებული მუშაკის ანაზღაურებიდან (ხელფასიდან).

ა. სმითის კონცეფციით არაპირდაპირ (ირიბ) გადასახადებს წარმოადგენენ ის გადასახდელები, რომლებიც დაკავშირებული არიან ხარჯებთან და გადანაწილდებიან მომხმარებლებზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი გადასახადები უკავშირდება შემოსავლებს, ხოლო არაპირდაპირი კი გასავლებს (ხარჯებს). პირდაპირი გადასახადები სახელმწიფოს მიერ აიკრიბება უშუალოდ გადასახადის გადამხდელთა შემოსავლებიდან და ქონებიდან. მისი ობიექტია შემოსავალი ხელფასი, მოგება, პროცენტი და ა.შ. აგრეთვე გადასახადის გადამხდელის ქონების მიწის, აგარაკის, სახლის, მანქანის და ა.შ. ღირებულება. ირიბი გადასახადები დგინდება საქონლის და მომსახურების ფასის დანამატის სახით.

შემოსავალ-გასავლის კრიტერიუმიდან გამომდინარე, გადასახადების კლასიფიკაცია პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად, ძალაში რჩება დღესაც და იგი გამოიყენება საგადასახადო ტვირთის საქონლის და მომსახურების მწარმოებლებიდან მომხმარებლებზე გადანაწილების ხარისხის შესაფასებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო პერიოდამდე დასავლეთ ევროპისა და მსოფლიოს სხვა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საგადასახადო სისტემა და შესაბამისად გადასახადების სახეები (კლასიფიკაცია) ძირეულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. 80-იანი წლების ბოლოსათვის აღნიშნული განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ პროცესს ხელი შეუწყო ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ სწრაფვამ, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაღრმავებამ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიმართულებით სახელმწიფოთა ზრუნვამ და ა.შ. თითოეული ქვეყანა თავისი ეკონომიკის სპეციფიკური თავისებურებების, მოსახლეობის ტრადიციების და მენტალიტეტის გათვალისწინებით ამკვიდრებს მისთვის ხელსაყრელ და ეფექტიან საგადასახადო სისტემას. თითქმის ყველა ქვეყანაში დაწესებულია ერთი და იგივე სახის

პირდაპირი და ირიბი გადასახადები. პირდაპირ გადასახადებს ძირითადად მიაკუთვნებენ: საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადს, მიწის გადასახადს, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადს, ფი ზიკური და იურიდიული პირების ქონების გადასახადს და ა.შ. არაპირდაპირ (ირიბ) გადასახადებს საფუძვლად უდევს სამეურნეო ბრუნვა, ფინანსური ოპერაციები და მათ რიცხვში შეაქვთ დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა საქართველოში მოქმედი გადასახადების პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბ) გადასახადებად კლასიფიკაცია მთლიანად ემთხვევა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დღეისათვის დამკვიდრებულ მეთოდოლოგიას.

მრავალ განვითარებულ ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში პირდაპირი გადასახადები სჭარბობენ. მაგალითად, აშშ-ში 1997 წლის მონაცემებით, იგი შეადგენდა 91.1%-ს, იაპონიაში - 71.2%, ინგლისში - 54.3%, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მისი სიდიდე არ აღემატებოდა 44.1%-ს (1995 წ.), რუსეთში კი 45 პროცენტს.

უკანასკნელი წლების მონაცემებით, საქართველოში პირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 21-37 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძირითადი საგადასახადო ტვირთი არაპირდაპირ გადასახადებზე (ანუ მომხმარებელზე) მოდის. 2000 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში პირდაპირი გადასახადების ისეთ სახეებზე, როგორიცაა საშემოსავლო და მოგების გადასახადი შესაბამისად მოდის 5.1 და 2.1 პროცენტი, ხოლო არაპირდაპირ გადასახადებზე - დღგ და აქციზზე შესაბამისად - 31.7 და 21.7 პროცენტი. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის, მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონისა და საწარმოთა დაბალი რენტაბელობის გამო, საგადასახადო ტვირთის შემცველია ძირითადად არაპირდაპირი გადასახადები. რა თქმა უნდა, დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პროპორცია პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის არაა მისაღები, თუმცა, გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის უფრო ხელსაყრელი სტრუქტურის ფორმირება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლისა და ეკონომიკური ზრდის პარალელურად


უთუოდ ჩამოყალიბდება ოპტიმალური თანაფარდობა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის.

მეორე კრიტერიუმი, რომლითაც ხდება გადასახადების კლასიფიკაცია, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ხასიათი და საბიუჯეტო მოწყობის მრავალდონიანობაა. ისეთი ფედერაციული მოწყობის ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, გფრ, რუსეთის ფედერაცია და ა.შ. საბიუჯეტო სისტემა წარმოდგენილია მრავალსაფეხურიანი იერარქიით (ფედერალური, რეგიონალური, ადგილობრივი). საბიუჯეტო სისტემის მრავალდონიანობის კრიტერიუმიდან გამომდინარე, საგადასახადო კანონმდებლობაში გამოიყენება გადასახადების სტატუსური კლასიფიკაცია. ამის მკაფიო მაგალითია რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კანონმდებლობა, რომლის თანახმად, გადასახადები კლასიფიცირდება სამ ჯგუფად: ფედერალური გადასახადები; რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების და ავტონომიური წარმონაქმნების გადასახადები (რეგიონული გადასახადები); ადგილობრივი გადასახადები. სამი სახის გადასახადებს განასხვავებენ აგრეთვე აშშ-ში, კერძოდ, ფედერალურ, შტატის და ადგილობრივ გადასახადებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადების სახეები იერარქიული მრავალდონიანობის კრიტერიუმით შეიძლება დაიყოს საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებად (იხ. სქემა 1).

ამრიგად, დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 12 საერთო-სახელმწიფო და 6 ადგილობრივი გადასახადი, რაც სხვა ქვეყნებში მოქმედი გადასახადების რაოდენობისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს 12 ფედერალური, 8 რეგიონული და 12 ადგილობრივი გადასახადი. საფრანგეთში დაწესებულია 15 ადგილობრივი გადასახადი, ინგლისში ეს უკანასკნელი შეადგენს 29-ს და ა.შ.

იერარქიულობის, დონიანობის კრიტერიუმით გადასახადების კლასიფიკაცია პირობითია და რაიმე კონკრეტულ მიზანს არ ემსახურება. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ფედერალური (საერთო-სახელმწიფო) გადასახადები, როგორც ბიუჯეტის შემოსავლების წყარო, შეიძლება მთლიანად მიემაგროს საბიუჯეტო იერარქიის ქვედა რგოლზე მდგომ ბიუჯეტს, ხოლო ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა პროპორციით გადანაწილდეს ბიუჯეტის სხვადასხვა დო-



სქემა 1. საქარიშველოს გადასახადების კლასიფიკაცია

ნეებს შორის. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს დამატებული ღირებულების და მოგების გადასახადი, რომლებიც მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც შემოსავლის წყარო სხვადასხვა, დონის ბიუჯეტებს შორის ნაწილდება.

გადასახადების კლასიფიკაციისათვის ხშირად იყენებენ **საალრიცხვო-ეკონომიკურ კრიტერიუმს.** ამ უკანასკნელის ჩარჩოებში განასხვავებენ საწარმოების და ორგანიზაციების გადასახადების შემდეგ ჯგუფს:

გადასახადები, რომლებიც განეკუთვნებიან წარმოების და მიმოქცევის დანახარჯებს;

გადასახადები, რომლებიც ჩართულია პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) გასაყიდ ფასში;

გადასახადები, რომლებიც განეკუთვნებიან ფინანსურ შედეგებს (მოგების დაბეგვრამდე);

გადასახადები მოგებიდან და იმ მოგებაზე, რომლებიც რჩება გადასახადის გადამხდელს.

გადასახადების კლასიფიკაციას ხშირად საფუძვლად უდევს დაქვემდებარებულობის და ნებაყოფლობის პრინციპები. დაქვემდებარებულობის პრინციპით გადასახადების კლასიფიკაცია უმნიშვნელოდ განსხვავდება იერარქიულობის, მრავალდონიანობის კრიტერიუმით კლასიფიკაციის სქემიდან. იგი გულისხმობს გადასახადების დაყოფას **სახელმწიფო, ადგილობრივ (რეგიონულ), საზოგადოებრივ და საფირმო გადასახადებად.** ასეთი მიდგომის პირობებში გადასახადების კლასიფიკაცია გამოიყურება შემდეგნაირად: **სახელმწიფო გადასახადი საპენსიო ფონდი, ადგილობრივი საავტომობილო გადასახადი, ფირმის საპენსიო და სადაზღვევო გადასახადი, საზოგადოებრივი პროფკავშირების და საეკლესიო გადასახადი.** მსოფლიოს უმეტეს წილ ქვეყნებში ფედერალური გადასახადების ძირითად სახეებს წარმოადგენენ:

ინდივიდუალური (პირადი) საშემოსავლო გადასახადი;

პირობითად - წმინდა პროდუქციაზე გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი);

სოციალური გადასახადი (გადასახადი სოციალურ დაზღვევაზე);

გადასახადი კორპორაციის შემოსავალზე.


ნებაყოფლობის კრიტერიუმით განასხვავებენ გადასახადებს პოლიტიკური პარტიებისა და საეკლესიო საზოგადოებისათვის. ამ ჯგუფების გადასახადების (ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია

მათ ეწოდოს შენატანები) გადარიცხვა ხდება შემდეგი ვარიანტებით: **ავტომატური**, როდესაც საგადასახადო თანხა გადაირიცხება იმ თანხიდან ავტომატურად, მანამდე, ვიდრე მუშაკი მას მიიღებს; **დამოუკიდებლად**, როდესაც შემოსავლის მიმღები საკუთრივ თვითონ გადარიცხავს თანხას სათანადო ფონდში; **დავალებით**, როდესაც სპეციალურ ორგანოს ეძლევა უფლება შემოსავლის მიმღების ანგარიშიდან მოხსნას გადასახადის თანხა.

გადასახადების გამოყენების მიმართულების კრიტერიუმით განასხვავებენ საერთო და სპეციალურ (მიზნობრივ გადასახადებს). საერთოს წარმოადგენენ ის გადასახადები, რომლებიც გამოიყენებიან საერთო-სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის, ხოლო სპეციალურს - გადასახადები, რომლებიც გამოიყენებიან მკაცრად შემოსაზღვრული კონკრეტული მიზნებისათვის, მაგალითად, სამედიცინო დაზღვევისათვის, დასაქმებისათვის, გზების რეაბილიტაციისა და მშენებლობისათვის და სხვა.

გარდა გადასახადებისა, პრაქტიკაში გვხვდება აგრეთვე დაბეგვრის კლასიფიკაცია. **კერძოდ, დაბეგვრა შეიძლება იყოს: პროპორციული, პროგრესული და ფიქსირებული.** პროპორციული დაბეგვრა ნიშნავს, როდესაც გადასახადი მატულობს შემოსავლების ზრდის ტემპების თანაბრად. პროგრესული დაბეგვრის დროს გადასახადების ამოღების ხვედრითი წილი მატულობს შემოსავლების ზრდის შესაბამისად. განასხვავებენ მარტივ პროგრესულს, როდესაც გადასახადის გაზრდილი განაკვეთი გამოიყენება შემოსავლების მთელი ჯამის მიმართ, და რთულ პროგრესულს, როდესაც გადასახადის გაზრდილი განაკვეთი გამოიყენება საფეხურებრივად იმ ჯამის ზემოთ, რომელიც აჭარბებს კანონით დადგენილ ზღვრულ შემოსავლებს. დაბეგვრის პროცესში გამოიყენებენ აგრეთვე რეგრესიულ მიდგომას, როდესაც შემოსავლების ზრდის შემთხვევაში გადასახადის ხვედრითი წილი მცირდება. ფიქსირებული გადასახადი გულისხმობს დასაბეგრ ობიექტზე განსაზღვრული, მყარი საგადასახადო განაკვეთის მიმაგრებას. მეტწილად პრაქტიკაში იგი გამოიყენება რაოდენობრივი (ნატურალური) სიდიდის მიმართ და დასაბეგრი სიდიდის ღირებულების ცვლილება არ ახდენს გავლენას საგადასახადო განაკვეთზე.

გადასახადების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით სქემატურად შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად (სქემებზე 2; 3).



სქემა 2. გადასახადების კლასიფიკაცია

ბანკის საქმიანობის პროცესების
მართვის ობიექტი:
პირდაპირი
ბანკისაგან
ირიბი
ბანკისაგან
პირდაპირი ბანკისაგან ირიბი ბანკისაგან

თავი 3.

საბაჟო გადასახდელების არსი

- საბაჟო გადასახდელების ცნება
- საბაჟო გადასახდელების გადამხდელი სუბიექტები. დაბეგვრის დრო და ადგილი
- ზედმეტად გადახდილი ან ვადაზე გადაუხდელი საბაჟო გადასახდელები

3.1. საბაჟო გადასახდელების ცნება

საქართველოს საბაჟო საზღვრის ანუ ზოგადად, ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთის დროს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ახდენენ საქონლის გადაადგილებას - სახელმწიფო ახდევინებს გადასახადებს და მოსაკრებლებს. ამ გადასახადებისა და მოსაკრებლების ერთობლიობას ეწოდება **საბაჟო გადასახდელები** (აქ მხედველობაში არა გვაქვს ის გადასახდელები, რომელიც გადაიხდება საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას, მაგრამ არ შეიტანება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში). საბაჟო გადასახდელებში შედის:

ა) საბაჟო მოსაკრებელი;

ბ) საბაჟო გადასახადი;

გ) აქციზი;

დ) დამატებული ღირებულების გადასახადი.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით საბაჟო გადასახდელები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

ა) გადასახდელები, რომელიც ფუნქციურად და შინაარსობრივად წმინდა საბაჟო ადმინისტრირების საგანს შეადგენს და;

ბ) გადასახდელები, რომელიც არ არის საკუთრივ ,,საბაჟო ხასიათის".

პირველ ჯგუფს განეკუთვნება საბაჟო მოსაკრებელი და საბაჟო გადასახადი, როგორც უშუალოდ საბაჟო ორგანოს საქმიანობასა და საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული გადასახდელები, ხოლო მეორე ჯგუფს – აქციზი და დღგ, რომელთა რეგულირება და ადმინისტრირება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექ-

სის შესაბამისად, ანუ ეს გადასახდელები, ეკონომიკური შინაარ
სით, შიგა გადასახადებია (მიწოდების გადასახადებია) და ამდე
ნად, მათ საბაჟო საზღვარზე დაბეგვრის ფუნქციური დატვირთვ
არ გააჩნიათ.

აღსანიშნავია, რომ დაბეგვრის სუბიექტის თვალსაზრისით საბა
ჟო გადასახდელები (საბაჟო მოსაკრებლის გარდა) განეკუთვნებ
არაპირდაპირ გადასახდელებს. ეს გაპირობებულია იმით, რომ სა
ბაჟო გადასახადის, აქციზის და დღგ-ს პირდაპირი გადამხდელი
საქონლის საბოლოო მომხმარებელი. ამრიგად, საბაჟო გადასახა
დი, აქციზი და დღგ, რომელსაც იხდის საქონლის შემომტანი (იმ
პორტიორი) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს
არაპირდაპირი გადასახადებია. ისინი წინასწარ შეიტანება საქონ
ლის სარეალიზაციო ფასში და გადაიხდება საბოლოო მომხმარებ
ლის მიერ.

არაპირდაპირი გადასახადის ბუნების გათვალისწინება აუცილე
ბელია საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისას, რომელიც ერთ
ერთ უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ კატეგორიას
განეკუთვნება.

საბაჟო გადასახდელების გადამხდელები არიან იურიდიული და
ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ საქონლის გადაადგ
ილებას საბაჟო საზღვარზე. მაგალითად, საქონლის შემოტანისას
გადაიხდევინება საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აქციზი
(აქციზურ საქონელზე) და დღგ, ხოლო საქონლის გატანისას (სხვა
დასხვა საბაჟო რეჟიმების მიხედვით) – მხოლოდ საბაჟო მოსაკრე
ბელი.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო გადასახდელებით დაბეგვრის დრო
ემთხვევა საბაჟო გაფორმების დასრულების დროს. ეს ნიშნავს, რომ
საბაჟო გაფორმების დასრულებამდე გადახდილ უნდა იქნეს შესა
ბამისი საბაჟო გადასახდელები. უფრო ზუსტად კი, შესაბამისი
სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმებამდე ანუ საბაჟო ორ
განოს მიერ მის საბოლოო დამოწმებამდე გადახდილ უნდა იქნეს
შესაბამისი საბაჟო გადასახდელები.

3.2. საბაჟო გადასახდელების გადამხდელი სუბიექტები. დაბეგვრის დრო და ადგილი

საბაჟო გადასახდელების გადახდის ადგილი ემთხვევა საბაჟო გაფორმების ადგილს, რადგანაც საბაჟო გადასახდელების გადახდა არის საბაჟო გაფორმების ერთ-ერთი პროცედურა.

ვინ არის ვალდებული გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები და ვინ არის საბაჟო გადასახდელებით დაბეგვრის სუბიექტი? წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის:

ა) მესაკუთრეს;

ბ) საქონლის მფლობელს;

გ) საქონლის მესაკუთრის ან მფლობელის უფლებამოსილ პირს, მათ შორის საბაჟო ბროკერს;

დ) საბაჟო გადამზიდველს;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საბაჟო საწყობის მფლობელს.

რაც შეეხება დაბეგვრის სუბიექტს, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური კატეგორია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაბეგვრის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქონლის იმპორტიორი ან ექსპორტიორი. იმპორტიორის ან ექსპორტიორის უფლებამოსილი პირები განიხილებიან, როგორც საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებული პირები და არა დაბეგვრის სუბიექტები. მოცემულ გამიჯვნას პირობითი მნიშვნელობა აქვს.

3.3. ზედმეტად გადახდილი ან ვადაზე გადაუხდელი საბაჟო გადასახდელები

საბაჟო გადასახდელების ადმინისტრირების პოლიტიკა და კანონმდებლობა განასხვავებს ორ ძირითად მომენტს:

ა) ზედმეტად გადახდილი გადასახდელების მართვას;

ბ) ვადაზე გადაუხდელი გადასახდელების მართვას.

საბაჟო პრაქტიკაში არის შემთხვევა, როდესაც იმპორტიორი ზედმეტად იხდის გადასახდელებს, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა ძირითადად იგი მაინც უკავშირდება საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას (არცოდნას ან უგულვებელყოფას).

მოქმედი კანონმდებლობით გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა. საგადასახადო პერიოდად იგულისხმება დღგ-ს საანგარიშო პერიოდი, ანუ კალენდარული თვე.

საბაჟო გადასახდელების და შესაბამისი პროცენტის თანხა გადასახადის გადამხდელს უნდა დაუბრუნდეს საბაჟო ორგანოში განცხადების შეტანის დღიდან 30 დღის განმავლობაში. ამასთან, მოცემული გადასახადის დაბრუნების დროს გადასახადის ძირითად თანხას უნდა დაერიცხოს პროცენტი, რომელიც ყოველი კვარტლისათვის შეადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს (2003 წელს იგი 9%-ია). პროცენტის გაანგარიშება უნდა მოხდეს გადასახადის გადამხდელის მიერ განცხადების წარმოდგენის მომენტიდან ნამეტი თანხის, ანუ ზედმეტი თანხის დაბრუნების მომენტამდე არსებული პერიოდის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ რეექსპორტირებულ საქონელზე გადახდილი აქციზის თანხა გადასახადის გადამხდელს უბრუნდება რეექსპორტის განხორციელებიდან 15 დღის განმავლობაში.

სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების ჩათვლა ან გადატანა სხვა გადამხდელების - საბაჟო გადასახდელების ვალდებულებათა დაფარვის ანგარიშში დაუშვებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელის ე.წ. ,,აქტივი" გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ გადამხდელის საჭიროებისათვის და იგი არ უნდა მიიმართოს სხვა გადამხდელის საბაჟო გაფორმების მიზნებისათვის.

საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, 74-ე მუხლის მე-2 ნაწილით: **,,თუ საბაჟო გადასახდელის გადამხდელმა განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა დადგენილი საბაჟო გადასახდელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი და მისი შესაბამისი საბაჟო ორგანოები აღნიშნული გადასახდელის იძულებით გადახდევინებას ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 42-ე თავით საგადასახადო ორგანოებისათვის დადგენილი წესით".**

,,განსაზღვრულ ვადაში" საბაჟო გადასახდელების გადაუხდელო-

ბის შემთხვევა არ წარმოადგენს ტიპიურს საბაჟო ურთიერთობებში, განსხვავებით საგადასახადო ურთიერთობებისაგან, რადგანაც საბაჟო გადასახდელები გადაიხდება საბაჟო გაფორმებამდე (როგორც ცნობილია, საგადასახადო ურთიერთობებში შესაბამისი გადასახდელები გადახდილ უნდა იქნეს შესაბამის პერიოდში, მაგ., დღგ - კალენდარული თვე).

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, საბაჟო გადასახდელების დადგენილ ვადაში გადაუხდელობის პრეცედენტი პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ არ ჩავთვლით შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევით საქონლის გათავისუფლებას საბაჟო გადასახდელებისაგან ან საბაჟო წესების დარღვევას.

თავი 4.

საბაჟო მოსაკრებლები

- საბაჟო მოსაკრებლების ცნება
- საბაჟო მოსაკრებლებით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი
- საბაჟო მოსაკრებელის სახეები და განაკვეთები

4.1. საბაჟო მოსაკრებლების ცნება

საბაჟო მოსაკრებელი არის საბაჟო მომსახურების საფასური. ეკონომიკური შინაარსით იგი განსხვავდება სხვა საბაჟო გადასახდელებისაგან. კერძოდ, საბაჟო მოსაკრებელს არა აქვს გადასახადის ისეთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, როგორიცაა ,,არაექვივალენტურობა" და ,,უსასყიდლობა". ყველა სახის გადასახადი არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათისაა, ანუ გადასახადის გადახდის დროს სანაცვლოდ არაფერს იძლევიან, ხოლო საბაჟო მოსაკრებლის გადახდის დროს შესაბამისი პირი ღებულობს ექვივალენტურ საბაჟო მომსახურებას, რომელიც სხვადასხვა საბაჟო პროცედურების განხორციელებაში გამოიხატება.

ამდენად, საბაჟო მოსაკრებელი არის სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გაფორმების პროცედურების განხორციელებისათვის.

4.2. საბაჟო მოსაკრებლებით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი

საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრის სუბიექტად იგულისხმება საქონლის (სატრანსპორტო საშუალებების) ექსპორტიორი ან იმპორტიორი პირი (იურიდიული ან ფიზიკური).

საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრის ერთეული, საბაჟო მოსაკრებლის ცნებიდან გამომდინარე, არ არის ერთგვაროვანი (თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დაბეგვრის ობიექტისა და დაბეგვრის ერთეულის გამიჯვნას ამ შემთხვევაში პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. აბსტრაგირებისა და გამარტივებისათვის დაბეგვრის ობიექტად ვგულისხმობთ დაბეგვრის ერთეულსაც, რომელიც გადასახადის ელემენტს წარმოადგენს).

საბაჟო მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტი შეიძლება 4 ჯგუფად დავყოთ:

1. საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით;

2. საბაჟო რეჟიმის, სატრანსპორტო საშუალებათა სახისა და დეკლარაციების რაოდენობის მიხედვით;

3. საბაჟო რეჟიმისა და საქონლის წონის მიხედვით;

4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოყვანის ვადისა და რაოდენობის მიხედვით.

ამგვარი დიფერენციაცია შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

საქონლის საბაჟო ღირებულება.

● საქონლის საბაჟო ღირებულება წარმოადგენს საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრის უმთავრეს და ძირითად ობიექტს. თხუთმეტივე საბაჟო რეჟიმით გადაადგილებული საქონელი (გარდა ტრანზიტისა და დროებითი შემოტანა/გატანის საბაჟო რეჟიმებისა) ექვემდებარება საბაჟო მოსაკრებლის ადვალური (ღირებულებით - პროცენტული) განაკვეთით დაბეგვრას, რაც სწორედ საბაჟო ღირებულებიდან გაიანგარიშება. ამდენად, ადვალური განაკვეთით დაბეგვრის დროს საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია საქონლის საბაჟო ღირებულება.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გაფორმების დროს საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთები ფიქსირებული და დიფერენცირებულია საქონლის გადამაადგილებელი ტრანსპორტის სახეობების მიხედვით, ხოლო ფიქსირებული განაკვეთით დაბეგვრის ერთეულია საქონლის შესაბამისი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაჟო მოსაკრებლის ფიქსირებული განაკვეთი შეესაბამება დეკლარაციათა რაოდენობას. მაგ. საავტომობილო ტრანსპორტით ტრანზიტული საქონლის გადაადგილების დროს ერთ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაზე გადაიხდევინება 100 ლარი, ორ დეკლარაციაზე - 200 ლარი და ა.შ. ამდენად, ამ შემთხვევაში საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრის ერთეულია საქონლის სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საქონლის წონა.

● დროებით შემოტანა/გატანის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონელზე საბაჟო მოსაკრებელი გადაიხდევინება ამ საქონლის

წონის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბეგვრის ობიექტია საქონლის წონა. მაგალითად, დროებით შემოტანა/გატანის დროს 10 ტონაზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე გადაიხდევინება 1 თეთრი.

სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა.

- მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 24 საათზე მეტი ვადით შემოყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმების დროს საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია ავტოსატრანსპორტო საშუალება (რაოდენობა). კერძოდ, ასეთ შემთხვევაში ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გადაიხდება 10 ლარის ფიქსირებული საბაჟო მოსაკრებელი.

43. საბაჟო მოსაკრებლის სახეები და განაკვეთები

კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად საბაჟო მოსაკრებელი გადაიხდევინება მხოლოდ საბაჟო გაფორმების დროს. შესაბამისად, საბაჟო მოსაკრებლის სახეს მოსაკრებლის სათანადო განაკვეთი შეესაბამება.

ქვემოთ მოგვყავს საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები დღეისათვის მოქმედი ნორმების მიხედვით:

- **საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის** - საბაჟო ღირებულების 0,2%, რაც არ უნდა იყოს 50 ლარზე მცირე და 2000 ლარზე მეტი (ფიზიკური პირებისათვის არსებობს გამონაკლისი). კერძოდ, თუ ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს, მაშინ საბაჟო მოსაკრებელი შეადგენს საბაჟო ღირებულების 0,15%-ის შესაბამის აბსოლუტურ თანხას, ხოლო თუ ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება აღემატება 2000 ლარს, მაშინ საბაჟო მოსაკრებელი არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები და 2000 ლარზე მეტი.
- **საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 24 საათზე მეტი ვადით შემოსაყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო გაფორმებისათვის;** - ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე - 10 ლარი;
- **ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გაფორმებისათვის:**

✓ **საავტომობილო ტრანსპორტით** - ერთ დეკლარაციაზე - 100 ლარი;

✓ რკინიგზის ტრანსპორტით - ერთ დეკლარაციაზე - 200 ლარი;

✓ საზღვაო ტრანსპორტით - ერთ დეკლარაციაზე - 300 ლარი.

• დროებით შემოტანა/გატანის საბაჟო რეჟიმით გაფორმებისათვის: -

✓ 10 ტონაზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე - 1 თეთრი;

✓ 10 ტონაზე მეტი წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე - 100 ლარიდან დამატებით 0,3 თეთრი;

✓ საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე - 2,5 თეთრი.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ლიცენზირებას ექვემდებარება საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის საქმიანობა, რომელზეც სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს შესაბამისად 1000-1000 ლარს და არ წარმოადგენს საბაჟო მოსაკრებელს. ამასთან ,,საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება" და ,,საბაჟო კონტროლქვეშ საქონლის გადამუშავება", რომელიც ადრე ექვემდებარებოდა ლიცენზირებას, ამჟამად ექვემდებარება ნებართვების გაცემას. ამ რეჟიმებზე გაცემულ ნებართვებზე გადახდილი მოსაკრებელი აღარ განეკუთვნება საბაჟო მოსაკრებელს, რადგანაც კანონმდებლობით,საბაჟო მოსაკრებელი მხოლოდ საბაჟო გაფორმებაზეა დაწესებული (ლიცენზირებასა და ნებართვაზე საბაჟო მოსაკრებელი აღარ არსებობს 2003 წლის 1 ოქტომბრიდან).

ქვემოთ მოგვყავს შესაბამისი სანებართვო მოსაკრებლის სახეები და განაკვეთები:

- უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის შექმნა - 500 ლარი;
- საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება - 1000 ლარი;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავება - 1000 ლარი;
- საბაჟო და დროებითი შენახვის საწყობის შექმნა - 500 ლარი;
- საერთო მოხმარების შემდეგი ფართობის საბაჟო საწყობზე:

ა) 1000 კვადრატულ მეტრზე ნაკლები - 500 ლარი;

ბ) 1000-დან 2000 კვადრატულ მეტრამდე - 700 ლარი;

გ) 2000 კვადრატულ მეტრზე მეტი - 1000 ლარი.

საბაჟო მომსახურების საფასურისაგან, ანუ მოსაკრებლისაგან გათავისუფლება ძირითადად დაკავშირებულია სტიქიური უბედურების, ჰუმანიტარული დახმარების, გრანტების და დიპლომატი-

ურ ურთიერთობების საფუძველზე შემოტანილ საქონელთან. კერძოდ, საბაჟო მოსაკრებლებისგან თავისუფლდება:

- საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით.
- საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით.
- უცხო ქვეყნის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი.
- საქონლის იმპორტი უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მასთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომლის მონაწილეც საქართველოა; აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი.
- ფიზიკური პირის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი 50 კილოგრამზე ნაკლები წონის საქონელი.
- საქონლის იმპორტი უცხოეთში საქათველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებებით, რომლის მონაწილეც საქართველოა; აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთა ქონების იმპორტი.
- ფიზიკური პირის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი 50 კილოგრამზე ნაკლების წონის საქონელი.

თავი 5.

საბაჟო გადასახადი

- საბაჟო გადასახადის ცნება
- საბაჟო გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი
- საბაჟო გადასახადის სახეები და ფუნქციები
- საბაჟო გადასახადის განაკვეთები
- ფასთა სხვაობა, როგორც საბაჟო ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძველი
- შეღავათები საბაჟო გადასახადით დაბეგვრის დროს

5.1. საბაჟო გადასახადის ცნება

საბაჟო გადასახადი ეწოდება სავალდებულო შენატანს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან იმპორტიორები საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანისათვის. საბაჟო გადასახადი არაპირდაპირი გადასახადია და მისი რეალური გადამხდელია საქონლის მომხმარებელი.

ქვეყნებს შორის ძველთაგანვე არსებობდა ვაჭრობის ორი მიმართულება: **ფრიტრედერობა** და **პროტექციონიზმი**, ანუ თავისუფალი ვაჭრობა საბაჟო გადასახადების გარეშე (ან მინიმალური ტარიფებით) და შიგა ბაზრის დაცვა საბაჟო გადასახადებით.

თანამედროვე პირობებში ვაჭრობის პრინციპებს არეგულირებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომლის წევრია საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან. აღნიშნული ორგანიზაციის პრინციპი ის არის, რომ საბაჟო გადასახადების ე.წ. ბმული განაკვეთები თანდათანობით მიუახლოვდეს ნულოვან ნიშნულს. ეს პრინციპი უკვე მოქმედებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. იგივე პრინციპით ვაჭრობს საქართველო დსთ-ს 6 ქვეყანასთან, რომლებშიც საქონლის ექსპორტ-იმპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისაგან.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო გადასახადის ცნებაც და მისი მნიშვნელობაც ხშირად არასწორად გამოიყენება სხვა გადასახადების მიმართ, რომლებიც საბაჟო ორგანოში გადაიხდება. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბაჟოზე გადაიხდევინება საბა-

ჟო გადასახდელები, ხოლო საბაჟო გადასახადი საბაჟო გადასახდელის ერთ-ერთი სახეა. ასეთივე სახეებია აგრეთვე საბაჟო მოსაკრებელი, აქციზი და დღგ, რომლებიც ასევე გადაიხდება საბაჟო ორგანოში. არც თუ იშვიათად საკანონმდებლო აქტებსა და შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში (რომ არაფერი ვთქვათ სათანადო ლიტერატურაზე) ზემოაღნიშნული გადასახადები აღრეულია. მაგალითად, ჩანაწერი – საქონლის იმპორტი თავისუფლდება ,,საბაჟო გადასახადებისაგან", ნიშნავს საქონლის გათავისუფლებას მხოლოდ საბაჟო გადასახადისაგან და არა აქციზისა და დღგ-საგან. ამ შემთხვევაში კანონმდებელი გულისხმობს (მოაიზრებს) საქონლის გათავისუფლებას, როგორც საბაჟო გადასახადის, ასევე აქციზისა და დღგ-საგან, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით ფორმა და შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვევა. ამდენად, ტერმინი ,,საბაჟო გადასახადები" არ ნიშნავს (არ მოიცავს) აქციზსა და დღგ-ს, რადგანაც აქციზი და დღგ არის არა საბაჟო გადასახადები, არამედ საბაჟო გადასახდელები და ისინი კანონმდებლობით მკაცრად არის გამიჯნული.

5.2. საბაჟო გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი

საბაჟო გადასახადით დაბეგვრის სუბიექტია პირი (იურიდიული ან ფიზიკური), რომელიც ახდენს საქონლის გადაადგილებას საბაჟო საზღვარზე. პრაქტიკულად, მოცემული პირი წარმოადგენს საქონლის იმპორტიორს საქართველოში, რადგანაც საქონლის ექსპორტი თავისუფალია საბაჟო გადასახადისაგან.

როგორც წინა პუბლიკაციაში აღვნიშნეთ, დაბეგვრის ობიექტი და დაბეგვრის ერთეული, აბსტრაგირებისა და გამარტივების მიზნით, გაიგივებული გვაქვს და ამდენად, საბაჟო გადასახადის დაბეგვრის ობიექტსა და დაბეგვრის ერთეულს არ გამოვყოფთ, თუმცა თეორიული ინტერესიდან გამომდინარე, ეს აუცილებელია. მაგალითად, ყველა შემთხვევაში, თეორიულად, დაბეგვრის ობიექტია საქონელი, ხოლო დაბეგვრის ერთეული ხან ღირებულებაა, ხან საქონლის მოცულობა და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი (ერთეული) შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

- **საბაჟო ღირებულების მიხედვით;**

• მსუბუქი ავტომანქანის ასაკისა და ძრავის მოცულობის მიხედვით;

• ალკოჰოლური სასმელის მოცულობის და/ან მოცულობისა და ალკოჰოლის პროცენტული შემადგენლობის მიხედვით.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

• საბაჟო ღირებულება საბაჟო გადასახადით დაბეგვრის უმთავრესი წყაროა. ამ შემთხვევაში საქონლის ღირებულება, როგორც აბსტრაქტული კატეგორია, წარმოადგენს დაბეგვრის ერთეულს.

ყველა სახის საქონელი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისი სასაქონლო ნომენკლატურით ექვემდებარება საბაჟო გადასახადით საბაჟო ღირებულების მიხედვით დაბეგვრას (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა). დაბეგვრა ადვალური ხასიათისაა და შესაბამისი პროცენტული განაკვეთი დიფერენცირებულია საქონლის წარმოშობის ქვეყნის მიხედვით (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში წარმოშობილ საქონელზე და დანარჩენ ქვეყნებში წარმოშობილ საქონელზე საბაჟო გადასახადის ადვალური განაკვეთები სხვადასხვაა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი).

• მოქმედი კანონმდებლობით მსუბუქი ავტომანქანების იმპორტის საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია (ერთეული) მოცემული **ავტომანქანის ძრავის მოცულობა**, ე.ი. ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი არ არის ღირებულებითი ხასიათის და წმინდა ფიზიკურ ერთეულს ეყრდნობა. კერძოდ, მსუბუქი ავტომანქანის (8703) იმპორტის დროს საბაჟო გადასახადი შემდეგნაირად გაიანგარიშება: ძრავის მოცულობის ყოველი კუბური სანტიმეტრი გამრავლებული 5 თეთრზე და მიღებულ თანხას დამატებული ამ თანხის 5 პროცენტი, გამრავლებული ავტომანქანის ასაკზე ანუ ექსპლოატაციაში ყოფნის წლებზე.

• მოქმედი კანონმდებლობით ზოგიერთი **ალკოჰოლური სასმელის** დაბეგვრა საბაჟო გადასახადით ხორციელდება ფიქსირებული განაკვეთებით **მოცულობის მიხედვით** (მაგალითად, 1 ლიტრი შამპანური - 1,5 ევრო) **და/ან მოცულობისა და ალკოჰოლის შემცველობის მიხედვით** (მაგალითად, 5 ევრო პროცენტულად ჰექტა ლიტრზე, რაც იმას ნიშნავს, რომ 5 ევრო მრავლდება სპირტიან სასმელში სპირტის მოცულობის შესაბამის პროცენტზე და იყოფა 100-ზე. მიღებული სიდიდე წარმოადგენს საბაჟო გადასახადის განაკვეთს (ევროებში) 1 ლიტრ ალკოჰოლურ საქონელზე. მაგალითად, თუ

ვისკში სპირტის შემცველობა შეადგენს 60%-ს, მაშინ საბაჟო გადასახადის განაკვეთი არის ლიტრზე 3 ევრო ((60X5):100).

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში დაბეგვრის ობიექტია (ერთეული) საქონლის მოცულობა (ლიტრი) და/ან საქონლის მოცულობა (ლიტრი) და ალკოჰოლის პროცენტი ერთდროულად.

საერთო წესებისაგან განსხვავდება თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრის ობიექტიც. თამბაქოს ნაწარმის იმპორტი, საბაჟო გადასახადით, როგორც ასეთით, არ იბეგრება. კერძოდ, დაბეგვრის შესაბამისი ერთეულის მიხედვით (წონა, ცალი, კოლოფი), თამბაქოს ნაწარმის იმპორტი საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დღგ-ს ნაცვლად იბეგრება ფიქსირებული გადასახადით.

საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ამავე დროს დარიცხვის ობიექტსაც წარმოადგენს. ადვალური დაბეგვრის დროს საბაჟო გადასახადი გამოიანგარიშება საბაჟო ღირებულებიდან, რომელშიც არ შედის საბაჟო მოსაკრებლის თანხა (ბუნებრივია არ შედის არც აქციზისა და დღგ-ს თანხები).

5.3. საბაჟო გადასახადის სახეები და ფუნქციები

საბაჟო გადასახადები სამ ჯგუფად იყოფა:

1. ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი;

2. სეზონური საბაჟო გადასახადი;

3. განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი.

თავის მხრივ, განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი ასევე სამ სახედ შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. სპეციალური საბაჟო გადასახადი;

2. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი;

3. საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი.

საბაჟო გადასახადების ზემოაღნიშნული დაყოფა გაპირობებულია საბაჟო გადასახადების ფუნქციებით. მაგალითად, საგარეო ვაჭრობისადმი პროტექციონისტური მიდგომა მოითხოვს სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადების შემოღებას.

განვიხილოთ ზემოაღნიშნული საბაჟო გადასახადების შემოღების საფუძვლები, მიზეზები და მიზნები, რაც საბოლოო ჯამში წარმოაჩენს საბაჟო გადასახადის ფუნქციებს.

• **ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი** ისეთი გადასახადია, რომელ-

იც, განსხვავებით სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადებისაგან, მოქმედებს მუდმივად. კანონმდებლობით, თითოეულ სასაქონლო ნომენკლატურაზე შემოღებულია განსხვავებული განაკვეთების ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი, რომელთა მოქმედების ვადა დიფერენცირებულია. კერძოდ, 2003 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 იანვრამდე, 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე და 2005 წლის 1 იანვრიდან. ზემოაღნიშნულ დროით დაყოფას შეესაბამება ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთები, თუმცა თავად ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი, როგორც ასეთი, მუდმივად მოქმედებს.

ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის მოქმედება ჩერდება შესაბამის საქონელზე სეზონური ან განსაკუთრებული საბაჟო გადასახადების შემოღებით იმ დროის განმავლობაში, როცა მოქმედებს სეზონური ან განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადის განაკვეთები უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის განაკვეთებს.

• **სეზონური საბაჟო გადასახადი** შემოაქვთ მაშინ, როდესაც ადგილობრივი წარმოების საქონელს გარკვეულ პერიოდში, ანუ განსაზღვრულ სეზონში მკვეთრად „ავიწროებს" იმპორტირებული უცხოური საქონელი (ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტის დროს). საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, აუცილებელია სეზონურად შედარებით მაღალი საბაჟო გადასახადების შემოღება ყურძენსა და თამბაქოს ნედლეულზე, კარტოფილსა და სხვა შესაბამის საქონელზე გარკვეული ვადით. მოქმედი კანონმდებლობით მოცემული ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

თუ სეზონური საბაჟო გადასახადის შემოღება წელიწადის გარკვეულ სეზონთან არის დაკავშირებული – **განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი** გარკვეულ დროს ან სეზონს არ ექვემდებარება. განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი ძირითადად იმ საქონლის იმპორტზე წესდება, რომელიც განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ადგილობრივ ბაზარს ან ზოგადად საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი სამი სახისაა:

1. სპეციალური;
2. ანტიდემპინგური;
3. საკომპენსაციო.

• **სპეციალური საბაჟო გადასახადი** შეიძლება შემოღებულ იქნე მაშინ, როდესაც შიგა ბაზარზე დიდი რაოდენობით იმპორტირებუ ლი საქონელი შედის, რაც ხელს უშლის ფასწარმოქმნისა დ კონკურენტუნარიანობის პრინციპების დაცვას. დიდი რაოდენობი შემოტანილი კონკრეტული საქონლის შიგა ბაზარზე მიწოდებ დროს ხდება დაბალი (შემცირებული) ფასწარმოქმნის მოტივაცია რაც ხელს უშლის ანალოგიური ადგილობრივი ან იმპორტირებუ ლი საქონლის რეალიზაციას. ამასთან, სპეციალური საბაჟო გადა სახადი შეიძლება შემოღებულ იქნეს არა მარტო იმპორტის, არამე ექსპორტის დროსაც, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან საქონლის გატანის შეზღუდვის წინაპირობა.

• **ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი** გამოიყენება მაშინ, როც საქონლის იმპორტი ხორციელდება ექსპორტის (დამზადების) ქვეყ ანაში მოცემულ საქონელზე გაწეული წარმოების ხარჯებზე უფრო მცირე ფასად. ეს ის შემთხვევაა, როცა შემოტანილი საქონლის გაცხ ადებული საბაჟო ღირებულება არ შეესაბამება ამ საქონლის რე ალურ საბაჟო ღირებულებას, ხოლო მოქმედი საერთაშორისო შეთ ანხმებებით არ შეიძლება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მე თოდების გამოყენება მოცემული ღირებულების ,,ასაწევად". ა შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისი ანტიდემპინგურ გადასახადი. აღსანიშნავია, რომ ანტიდემპინგური გადასახადი ოდენობა არ უნდა იყოს იმ ფასთა სხვაობაზე მეტი, რომელიც შეად გენს სწორედ შემცირებულ (დემპინგურ) ღირებულებას.

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღების მიზანი, ბუნე ბრივია არის ადგილობრივი წარმოების დაცვა. ამ გადასახადი შემოღების თეორიული საფუძვლები დაწვრილებით გადმოცემული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამის შეთანხმებაში რომელსაც მიერთებულია საქართველო.

• ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის მსგავსად **საკომპენსაციო საბაჟო გადასახადიც** პროტექციონისტური გადასახადია. იგი გამოიყენებ იმ საქონლის მიმართ, რომელიც ექსპორტის (დამზადების) ქვეყანაში დაექვემდებარა გარკვეულ პირდაპირ თუ არაპირდაპირ სუბსიდიებს

ეს ის შემთხვევაა, როცა ექსპორტიორი (დამამზადებელი) ქვეყნის მთავრობა ექსპორტიორს კონკრეტულ საქონელზე უწევს გარკვეულ დახმარებას, აძლევს სუბსიდიას, ასევე სუბვენციას, უსასყიდლო სხვა სახის დახმარებას ან უწესებს გადასახადებისაგან გათავისუფლების რეჟიმს და ა.შ., რაც საბოლოო ჯამში იწვევს საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ხელოვნურ ზრდას საქართველოს შიგა ბაზარზე და ზიანს აყენებს ადგილობრივ ანალოგიური საქონლის წარმოებას.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღებით ხდება შესაბამისი სუბსიდიის ოდენობის კომპენსირება ანუ ნეიტრალიზება. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის მსგავსად, საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღების საფუძვლებიც რეგულირდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი შეთანხმებით.

5.4. საბაჟო გადასახადის განაკვეთები

საბაჟო გადასახადის განაკვეთების სისტემატიზებულ ერთობლიობას **საბაჟო ტარიფი** ეწოდება. ტარიფის ეტიმოლოგია ორ სხვადასხვა მოვლენას უკავშირდება: ჩ.წ.ა. მე-2 ს. რომის იმპერიაში ქვაზე (ანუ ტარიფზე) ამოკვეთილი იყო ქალაქ-ოაზისის - პალმირის მთელი საგადასახადო სისტემა. არსებობს სხვაგვარი ახსნაც: მე-7 საუკუნეში სამხრეთ ესპანეთის კუნძული დაიპყრეს არაბებმა, რომლებიც გადასახადს იღებდნენ გიბრალტარის სრუტეში გამავალი გემებისაგან. არაბების მეთაურს ერქვა ტარიფ ბენ გალიკი და კუნძულსაც მისი სახელი დაერქვა, რომლისგანაც მომდინარეობს ტერმინი „ტარიფიც“.

საბაჟო გადასახადის განაკვეთები ეფუძნება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ე.წ. „ბმული ტარიფების“ სისტემას. ტერმინი „ბმული“ გულისხმობს საბაჟო გადასახადის განაკვეთების ქრონოლოგიურ დაკავშირებას ერთმანეთთან შემცირების პრინციპებით. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობით, ტარიფი განისაზღვრება 2003 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 იანვრამდე, ასევე 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე და 2005 წლის 1 იანვრიდან უვადოდ. საბოლოო ჯამში ბმულ ტარიფებს შემცირების ტენდენცია აქვს. კერძოდ, სოფლის მეურნეობის (სასურსათო) საქონლისა და სამრეწველო საქონლის ტარიფების საშუალო მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვს:

- სოფლის მეურნეობა - მოქმედი სატარიფო განაკვეთები WTO-ში შესვლამდე - 12%;

- ბმული ტარიფები გაწევრიანებისას - 16,5%;

- ბმული ტარიფები გაწევრიანებიდან 5 წლის შემდეგ - 15,6%;

- მრეწველობა - მოქმედი სატარიფო საშუალო განაკვეთი WTO-ში შესვლამდე - 10%;

- ბმული ტარიფები გაწევრიანებისას - 10,1%;

- ბმული ტარიფების განაკვეთები გაწევრიანებიდან 5 წლის შემდეგ - 8,2%.

ამასთან, როგორც ვარაუდობენ, ბმული ტარიფების გამოყენებით მიღებული ჯამური შემოსავალი 5 წლის განმავლობაში იქნება 107,4 მილიონი ლარით ნაკლები, ვიდრე WTO-ში შესვლამდე არსებული განაკვეთების შემთხვევაში, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია*.

მოქმედი კანონმდებლობით, საბაჟო გადასახადის განაკვეთი დაწესებულია დაახლოებით 15 000 დასახელების (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის) საქონელზე ინდივიდუალურად. ყველაზე უმცირესი განაკვეთია 2%, ხოლო ყველაზე უფრო მაღალი განაკვეთი – 30%. იმპორტირებულ საქონელზე დაწესებული საბაჟო გადასახადის განაკვეთების გრადაციას შემდეგი სახე აქვს (ანუ არსებობს შემდეგი ოდენობის განაკვეთები შესაბამის საქონელზე):

1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20, 22, 25, 26, 27 30 (საშუალო პროცენტი შეადგენს 13,9-ს).

განარჩევენ საბაჟო გადასახადის განაკვეთის სამ სახეს:

1. ადვალურს;

2. სპეციფიკურს;

3. კომბინირებულს.

ადვალური განაკვეთი გულისხმობს საბაჟო გადასახადის პროცენტულ განაკვეთს, რომელიც გაიანგარიშება საქონლის საბაჟო ღირებულებიდან;

სპეციფიკური განაკვეთი ნიშნავს გარკვეულ ფიქსირებულ განაკვეთს დაბეგვრის ერთეულის მიმართ (მაგალითად, 1,5 ევრო

---

* *იხ. ვ.ლორთქიფანიძე, ბმული ტარიფებით ეროვნული ეკონომიკის დაცვის პრობლემები, ჟურნალი ,,გადასახადები" №10-11, 2000 წ. ვ.ლორთქიფანიძე, საბაჟო საქმის საფუძვლები. თბ., 2002 წ. გვ.178.*

ლიტრ შამპანურზე). რაც შეეხება კომბინირებულ განაკვეთს, იგი გულისხმობს, როგორც ადვალური, ასევე სპეციფიკური განაკვეთების ერთდროულ თანაარსებობას, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგადად, მაგრამ კონკრეტულად არცერთ საქონელზე არ არსებობს კომბინირებული საბაჟო გადასახადი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასაქონლო ნომენკლატურის თითოეულ საქონელს შეესაბამება საბაჟო გადასახადის სათანადო განაკვეთი. თუმცა შესაბამისი განაკვეთის სიდიდე ერთნაირი არ არის ერთი და იგივე საქონლის მიმართაც, თუ ეს საქონლები წარმოშობილია სხვადასხვა ქვეყნებში. კერძოდ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში წარმოშობილი და საქართველოში იმპორტირებული საქონლის მიმართ გამოიყენება უფრო დაბალი განაკვეთები, ვიდრე დანარჩენ სხვა ქვეყნებში წარმოშობილი საქონლის მიმართ. კერძოდ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში წარმოშობილი ზოგიერთი საქონელი იბეგრება 1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 10%-იანი საბაჟო გადასახადის განაკვეთებით, ხოლო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გარეთ წარმოშობილ ანალოგიურ საქონელზე საბაჟო გადასახადის განაკვეთი არ შეიძლება 12%-ზე მცირე იყოს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოცემული საქონლის გათავისუფლებას საბაჟო გადასახადისაგან). ამდენად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები საქართველოსთან მიმართებით გარკვეული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით სარგებლობენ სხვა ქვეყნებთან შედარებით (მხედველობაში თუ არ მივიღებთ დსთ-ს 6 ქვეყანასთან საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებას). ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირისა და სხვა ქვეყნებთან საქართველო ზოგიერთი საქონლის ექსპორტზე ხელშეწყობის რეჟიმით სარგებლობს და მასზე ვრცელდება პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა (GSP).

ქვემოთ მოგვყავს სპეციფიკური პირობები, რომლებიც აუცილებელია საბაჟო გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთების გამოყენების დროს:

• თუ საქონელი (ეს არ ეხება მსუბუქ ავტომობილებს №1 და №2 დანართებში ჩამოთვლილ საქონელს) წარმოშობილია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში, მაშინ ამ საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფები ემთხვევა „სატარიფო ცხრილებში" დაფიქსირებულ განაკვეთებს.

• თუ საქონელი (ეს არ ეხება მსუბუქ ავტომობილებს, №1 და № 2 დანართებში ჩამოთვლილ საქონელს) წარმოშობილია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის არაწევრ ქვეყნებში, მაშინ ამ საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფები ემთხვევა ,,სატარიფო ცხრილებში" დაფიქსირებულ განაკვეთებს, მაგრამ ეს განაკვეთი უნდა იყოს არანაკლებ 12%-ისა (ანუ, თუ ,,სატარიფო ცხრილში" დაფიქსირებულია, მაგალითად, 2 ან 5 პროცენტიანი განაკვეთი, საქონელი უნდა დაიბეგროს 12%-ით. აქვე უნდა ითქვას, რომ ,,სატარიფო ცხრილში" ციფრი ,,0" აღნიშნავს გათავისუფლებას და არა ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრას. ამდენად, 12%-იანი დაბეგვრა მასზე არ გავრცელდება).

• თუ №2 დანართში ჩამოთვლილი საქონელი წარმოშობილია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში, მაშინ ამ საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფი ემთხვევა ,,სატარიფო ცხრილებში" დაფიქსირებულ განაკვეთს, მაგრამ ეს განაკვეთები არ უნდა იყოს 5%-ზე მეტი (ანუ, თუ ,,სატარიფო ცხრილში" მოცემულ საქონელზე დაფიქსირებულია, მაგალითად, 12 ან 20%-იანი განაკვეთი, მაშინ საქონელი უნდა დაიბეგროს 5%-ით, ხოლო თუ ,,სატარიფო ცხრილში" მოცემულ საქონელზე დაფიქსირებულია 5%-ზე ნაკლები განაკვეთი, მაგალითად, 2 ან 4, მაშინ საქონელი დაიბეგრება ამ განაკვეთებით).

• თუ №2 დანართში ჩამოთვლილი საქონელი წარმოშობილია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის არაწევრ ქვეყნებში, მაშინ ამ საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფი შეადგენს 5%-ს.

• თუ საქონლის წარმოშობის ქვეყანა გარკვეული არ არის (არ არსებობს წარმოშობის სერთიფიკატი), მაშინ მოცემული საქონელი დაიბეგრება ,,სატარიფო ცხრილში" მოცემულ შესაბამის კონკრეტულ საქონელზე არსებული საბაჟო გადასახადის განაკვეთით, ანუ აქ გაითვალისწინება ის ფაქტი, რომ მინიმალური განაკვეთი არ შეიძლება 12%-ზე ნაკლები იყოს (№ 1 დანართში ჩამოთვლილ საქონელზე - ამ დანართში არსებული ტარიფებით).

• №1 დანართში დაფიქსირებული საბაჟო ტარიფი გამოიყენება ნებისმიერ ქვეყანაში წარმოშობილ და საქართველოში იმპორტირებულ საქონელზე.

• მსუბუქი ავტომანქანების იმპორტის დროს საბაჟო გადასახადი განისაზღვრება 0,05 ლარით ავტომანქანის ძრავის მოცულობის

დანართი №1

საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	საბაჟო გადასახადის განაკვეთი
2204	ღვინო ყურძნის ნატურალური, შემაგრებული ღვინოების ჩათვლით; ყურძნის ბაღადი, 2009 საბაჟო პოზიციაში მოთითებულის გარდა:	
2204 10	- ღვინო ცქრიალა:	
	არანაკლებ 8.5 მოც.% სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით:	
2204 10 11	- - - შამპანური	1.5 euro/lt
2204 10 19	- - - სხვები	1.5 euro/lt
	- - სხვები:	
2204 10 91	- - - ასტი სპუმანტე	1.5 euro/lt
2204 10 99	- - - სხვები	1.5 euro/lt
22042	- ღვინო სხვა; ყურძნის ბაღადი, რომლის დუღილის პროცესი ან შეწყვეტა მოხდა სპირტის დამატებით:	
220421	- 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში:	
2204 21 10	- - - ღვინო, 2204 10 სუბპოზიციაში აღნიშნულის გარდა, დამჭერიან ან სამაგრიან "სოკოსებურ" - საკობებიან ბოთლებში: ღვინო სხვა ტარაში, ხსნარში ნახშირბადის დიოქსიდით განპირობებული ჭარბი წნევით 1-დან 3 ბარამდე, 20 °C ტემპერატურაზე	0.5 euro/lt
2204 21 90	- - - სხვები	0.5 euro/lt
220429	- - სხვები:	
2204 29 10	- - - ღვინო, 2204 10 სუბპოზიციაში აღნიშნულის გარდა, დამჭერიან და სამაგრიან "სოკოსებურ" - საკობებიან ბოთლებში: ღვინო სხვა ტარაში, ხსნარში ნახშირბადის დიოქსიდით განპირობებული ჭარბი წნევით 1-დან 3 ბარამდე, 20 °C ტემპერატურაზე	0.2 euro/lt
2204 29 90	- - - სხვები	0.2 euro/lt
220430	- ყურძნის ბაღადი სხვა	0.2 euro/lt
2205	ვერმუტები და ნატურალური ღვინოები ყურძნის სხვა, მცენარეული ან არომატიზებული ექსტრაქტების დამატებით:	
220510	- არა უმეტეს 2 ლ ტევადობის ჭურჭელში	0.5 euro/lt
220590	- სხვები	0.2 euro/lt
2206	- სასმელები დადუღებული სხვა (სიდრი ვაშლის, პერი [სიდრი მსხლის], სასმელი თაფლის); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვაგან მოუთითებელი	
220600	- სასმელები დადუღებული სხვა (სიდრი ვაშლის, პერი [სიდრი მსხლის], სასმელი თაფლის); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვაგან მოუთითებელი	0.5 euro/lt
2207	სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის არანაკლებ 80 მოც. % კონცენტრაციით; სპირტი ეთილის და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	

220710	- სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის არანაკლებ 80 მოც. % კონცენტრაციით	3 euro/lt
220720	- სპირტი ეთილის და სხვა სპირტები დენატურირებული, ნებისმიერი კონცენტრაციით	3 euro/lt
2208	სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის 80 მოც.%-ზე ნაკლები კონცენტრაციით; სპირტიანი ნაყენი, ლიქიორი და სხვა სპირტიანი სასმელები:	
220820	ნაყენი სპირტიანი, მიღებული ყურძნის ღვინის ლექსტილაციის (გამოხდის) ან ყურძნის ჭაჭის გამოწურვის შედეგად	5 euro/%vol/HL
220830	- ვისკი	5 euro/%vol/HL
220840	- რომი და ტაფია	5 euro/%vol/HL
220850	- ჯინი და ღვინის ნაყენი:	
	- - ჯინი:	
2208501 10	- - - 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	5 euro/%vol/HL
2208501 90	- - - 2ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში	5 euro/%vol/HL
	- - ღვინის ნაყენი:	
2208509 10	- - - 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	5 euro/%vol/HL
2208509 90	- - - 2ლ ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში	5 euro/%vol/HL
220860	- არაყი	5 euro/%vol/HL
220870	- ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	5 euro/%vol/HL
220890	- სხვები:	
ex 220890	- - ტეკილა და მეზკალი	5 euro/%vol/HL
ex 220890	- - სხვები	5 euro/%vol/HL
2209	ძმარი და ძმარმჟავასაგან მიღებული მისი შემცვლელები:	
220900	- ძმარი და ძმარმჟავასაგან მიღებული მისი შემცვლელები	0.4 euro/lt

ყოველ კუბურ სანტიმეტრზე პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომანქანის ექსპლოატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

• ნებისმიერ ქვეყანაში წარმოშობილი (რაც გათავისუფლებული არ არის საბაჟო გადასახდისაგან) ჩაი და ჩაის ნაწარმი, მინერალური წყლები და ლუდი იბეგრება საბაჟო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით, ხოლო ხილისა და ბოსტნეულის წვენები 30%-იანი განაკვეთით.

20-პროცენტიანი განაკვეთით - ჩაი და ჩაის ნაწარმი; მინერალური წყლები; ლუდი.

30-პროცენტიანი განაკვეთით - ხილისა და ბოსტნეულის წვენები.

დანართი №2

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130110000, 130120000, 150420, 151530, 1520, 170211000 კოდებში, 28-ე და 29-ე თავებში წარმოდგენილი სამკურნალო ნედლეული და სუბსტანციები, 30-ე თავში მითითებული ფარმაცევტული პროდუქცია, მათ შორის, ვაქცინები, 391212000,

391231000, 701010000, 701090470, 701090670, 960200000 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონელი, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა;

ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 84-ე, 85-ე, 88-ე და 90-ე ჯგუფებში მითითებული იმ საქონლის იმპორტი, რომელიც დღგ-ისგან განთავისუფლებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შემდეგი პოზიციების მიხედვით:

3808 10 000 - ინსექტიციდები;

3808 20 - ფუნგიციდები;

3808 30 100 - ჰერბიციდები;

3808 90 000 - თესლის შესაწამლი პრეპარატები;

3904 10 000 - პოლივინილქლორიდი, სხვა ნივთიერებებთან შეურევლად;

4001 - ნატურალური კაუჩუკი;

4702 00 000 - ხის ცელულოზა, ხსნადი ხარისხები;

5001 - გადახვევისათვის ვარგისი აბრეშუმის პარკი;

50101 - მატყლი, ვარცხნილის გარდა;

5106 და 5107 - საცალო ვაჭრობისათვის დაუფასოებელი შალის აპარატული და ვარცხნილი ნართი;

5203 00 000 - ბამბის ბოჭკო, ვარცხნილი;

5402 - საცალო ვაჭრობისათვის დაუფასოებელი სინთეზური კომპლექსური ძაფები;

7207 - არალეგირებული ფოლადის და რკინის ნახევარფაბრიკატები;

7208 - ფურცლოვანი ფოლადი;

7216 - არალეგირებული ფოლადის და რკინის კუთხოვანი, ფასონური და სპეციალური პროფილები;

7408 - სპილენძის მავთული;

7606 - ფურცლოვანი ალუმინი;

8713 და 8714 20 000 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტლები და მათი სათადარიგო ნაწილები.

3808 40 - მადეზინფიცირებელი საშუალებები.

5.5. ფასთა სხვაობა, როგორც საბაჟო ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძველი

საბაჟო ტარიფი ანუ საბაჟო გადასახადის განაკვეთების სისტემატიზებული ერთობლიობა ის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია სახელმწიფოს ხელში, რომელიც უნდა მიიმართებოდეს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისა და შიდა ბაზრის დასაცავად. სწორედ საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა წარმოადგენს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განმსაზღვრელ მიზანს (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი I, პუნქტი 2), რაც ორგანულად უკავშირდება საბაჟო-სატარიფო ესკალაციის ანუ საბაჟო გადასახადის განაკვეთების დიფერენცირების საკითხს სანედლეულო და გადამუშავების პროდუქტების იმპორტის დაბეგვრის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ საბაჟო ტარიფი ანუ საბაჟო გადასახადის ადვალური (ან ფიქსირებული) განაკვეთი თეორიულად და პრაქტიკულად ეფუძნება ფასების სისტემას, ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ანალოგიური საქონლის ფასთა შორის სხვაობა წარმოადგენს ამ ქვეყნებს შორის საბაჟო ტარიფის დაწესების მეთოდოლოგიურ საფუძველს. კერძოდ, არსებობს საბაჟო ტარიფის შემოღების მიზანშეწონილობის 3 ფაქტორი, როცა:

1. ტარიფი უდრის ფასთა სხვაობას;
2. ტარიფი აღემატება ფასთა სხვაობას;
3. ტარიფი დაბალია ფასთა სხვაობაზე.

განვიხილოთ თითოეული შემთხვევა:

● **ტარიფი უდრის ფასთა სხვაობას.** ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ შემდეგი მომენტები: ა) როცა ფასთა სხვაობა ნულის ტოლია; ბ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია იმპორტირებულზე; გ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი ნაკლებია იმპორტირებულზე.

● **ფასთა სხვაობა ნულის ტოლია და საბაჟო ტარიფი უდრის ფასთა სხვაობას ანუ ნულს.** ამ შემთხვევაში საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ანალოგიური საქონელი ერთნაირ დაბეგვრის რეჟიმშია მოქცეული და ამდენად საბაჟო

ტარიფის განაკვეთი შემზღუდველ გავლენას ვერ ახდენს მოცემული საქონლის იმპორტზე.

● **ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია იმპორტირებული საქონლის ფასზე და საბაჟო ტარიფი უდრის მათ შორის სხვაობას.** ამ შემთხვევაში საბაჟო ტარიფს მაკომპენსირებელი ფუნქცია აქვს ანუ ადგილობრივი წარმოების საქონლის მაღალი ფასი გადაიფარება საბაჟო გადასახადის იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება ფასთა სხვაობას და ხდება იმპორტირებული საქონლის დაბალი ფასის კომპენსირება და ჩანაცვლება-აწევა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასის დონემდე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელოვნურად ზრდის იმპორტირებული საქონლის ფასს, რათა თანაბარ პირობებში ჩააყენოს კონკურენცია.

● **ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია იმპორტირებული ანალოგიური საქონლის ფასზე და საბაჟო ტარიფი უდრის მათ შორის სხვაობას.** ამ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების საქონელი სახელმწიფოს ორმაგი პროტექციის საგანი ხდება, რადგანაც დაბეგვრის შემდგომ ფასთა შორის სხვაობა ორჯერ იზრდება.

● **ტარიფი აღემატება ფასთა სხვაობას.** აქაც უნდა განვასხვაოთ 3 შემთხვევა: ა) როცა ფასთა სხვაობა ნულია; ბ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია, ვიდრე იმპორტირებულის და გ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებულის.

● **ფასთა სხვაობა ნულია, ხოლო საბაჟო ტარიფი აღემატება ფასთა სხვაობას.** ამ შემთხვევაში ადგილობრივ წარმოებას სახელმწიფო იცავს იმ დოზით, რაც გათვალისწინებულია ფასთა სხვაობით. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებული საქონლის ფასი აღემატება ადგილობრივი წარმოების ფასს, რაც სხვა თანაბარ პირობებში არაკონკურენტუნარიანს ხდის იმპორტირებულ საქონელს.

● **ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასები მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო ტარიფი აღემატება ფასთა სხვაობას.** ამ შემთხვევაში იმპორტირებული საქონლის დაბალი ფასი არა მარტო კომპენსირდება ფასთა სხვაობით, არამედ უსწრებს ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასს, რაც სხვა თანაბარ პირობებში, არაკონკურენტუნარიანს ხდის იმპორტს და, შესაბამისად, იწვევს ადგილობრივი წარმოების სტიმულირებას.

● **ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე**

იმპორტირებული საქონლისა, ხოლო ტარიფი აღემატება ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების საქონელი დაცულია იმ ზომით, რაც აისახება ფასთა სხვაობასა და, შესაბამისად, ტარიფის სიდიდეში.

● **ტარიფი დაბალია ფასთა სხვაობაზე.** აქაც უნდა განვიხილოთ 3 შემთხვევა: ა) როცა ფასთა სხვაობა ნულია; ბ) როცა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა; გ) როცა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა.

● **ფასთა სხვაობა ნულია, ხოლო ტარიფი დაბალია ფასთა სხვაობაზე.** ასეთი შემთხვევა პრაქტიკულად და თეორიულად არ არსებობს, რადგანაც არ შეიძლება იმპორტირებულ საქონელს გადასახადებისაგან გათავისუფლებაზე უკეთესი პირობები შეუქმნან (თუმცა თეორიულად „უკეთესი პირობა" ის იქნებოდა, თუ სახელმწიფო მონოპოლიურად უფრო მაღალ ფასად შეისყიდიდა იმპორტირებულ საქონელს, ვიდრე ანალოგიურ ადგილობრივ საქონელს).

● **ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო ტარიფი დაბალია ფასთა სხვაობაზე.** ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადგილობრივი წარმოების საქონელი ნაკლებად არის დაცული სატარიფო ბარიერით ანუ, რადგანაც ტარიფი ვერ ფარავს ფასთა სხვაობას, იმპორტირებული საქონლის ფასები ყოველთვის კონკურენტუნარიანია ადგილობრივი წარმოების საქონლის ბაზარზე.

● **ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო ტარიფი დაბალია ფასთა სხვაობაზე.** ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ტარიფი არ წარმოადგენს ნულს, არამედ იგი მერყეობს ნულიდან იმ სიდიდემდე, რაც ფასთა სხვაობის მაქსიმუმს შეადგენს. ეს ის მომენტია, როდესაც ადგილობრივი წარმოების საქონელი დაცულია შესაბამისი სატარიფო ბარიერით.

როგორც ვხედავთ, საბაჟო ტარიფი ყოველთვის ეფუძნება საქონლის ფასთა სისტემას, მაგრამ რომელ ფასებზეა მსჯელობა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში?

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ იმპორტირებული საქონლის „CIF" ღირებულება და ადგილობრივი წარმოების ანალოგიური საქონლის საბითუმო ფასები ადგილობრივ

ბაზარზე, რომელიც სტრუქტურულად შეესაბამება „EXW“ ფასებს. მსგავს მეთოდოლოგიურ მიდგომას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ფასთა სხვაობის დადგენის სიზუსტისათვის. ეს პრინციპი საშუალებას იძლევა შედარდეს იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ხარჯები, რაც შეადგენს შესაბამისი სატარიფო განაკვეთის დაწესების მიზანშეწონილობის უმთავრეს საფუძველს.

5.6. შეღავათები საბაჟო გადასახადით დაბეგვრის დროს

მოქმედი კანონმდებლობით, სატარიფო შეღავათი გულისხმობს საბაჟო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებას, აგრეთვე საბაჟო გადასახადის დაბრუნებას და საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირებას. შინაარსობრივად საბაჟო გადასახადის დაბრუნება გათვალისწინებულია სათანადო საბაჟო რეჟიმებით საქონლის შემოტანის დროს (მაგ., რეექსპორტი და ა.შ.). რაც შეეხება განაკვეთების შემცირებას, მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებით (კანონით, როგორც ნორმატიული აქტით).

საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება:

1) საქონლის ექსპორტი (გარდა სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადებისა);

2) საქონლის რეექსპორტი. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი, ან საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი, ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

3) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;

4) იმპორტული საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას;

5) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიის და კატასტროფის ლიკვიდაციისას, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

6) საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;

7) საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით და შეიცავს გრანტის ელემენტს არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით. გრანტის ელემენტს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით, კრედიტის ფარგლებში გადასახდელთა დისკონტირების გზით, დისკონტის განაკვეთიდან გამომდინარე, კრედიტის პირობების შესაბამისად;

8) საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ასევე უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი, აგრეთვე პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომელიც განკუთვნილია „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის. უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებით, რომლის მონაწილეც საქართველოა;

9) საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული საქონლის დროებით შემოტანა (გარდა იმ საქონლის, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ვადა); გემების, საჰაერო საფრენი საშუალებების და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-

თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის მშენებლობა) შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებითი შემოტანა; საქონლის დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; აგრეთვე პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

10) საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. ამ ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, ტარა-შესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან დაიტოვება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით.

11) ფიზიკური პირის მიერ უცხოეთიდან ყოველი შემოსვლისას შემოტანილი 300 ლარამდე ღირებულების საქონელი, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის № 273-IIს დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად;

12) ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომელიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის. რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების იმპორტი);

13) ქართველ კლასიკოსთა და საქართველოს მოქალაქეთა მიერ საზღვარგარეთ გამოცემული შემოქმედებითი და მეცნიერული ნაწარმოებების იმპორტი;

14) 16 დასახელების ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი

საქართველოს ფინანსთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ფინანსთა სამინისტროების მიერ დამტკიცებული ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალის შესაბამისად:

1) ვაქცინები - კოდი (3002 20000);
2) ინსულინი - 300431100;
3) მორფინი - 300440900;
4) რიფამპიცინი - 300420100;
5) ცეტოფაქსიმი - 3004 20100;
6) პირაზინამიდი - 3004 10 900;
7) პეტიდინი - 3004 39 900;
8) პოლივიტამინი - 3004 50 100;
9) ამპიცილინი - 300190 910;
10) ჰეპარინი - 3001 90910;
11) ბამბა და მისი ნაწარმი - 3005 90110;
12) დოლბანდი და მისი ნაწარმი - 3005 90 310;
13) თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინები - 3002 31 000;
14) სხვა ვეტერინალური ვაქცინები - 300239000;
15) მაკროორგანიზმების კულტურები - 300290500;
16) მიკროორგანიზმების კულტურები - 300290900;

ბ) საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე ამ საქონლის შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი, ან საბაჟო ორგანოები იტოვებენ საბანკო გარანტიას, ხოლო საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა, ან უქმდება საბანკო გარანტია (საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლების პრინციპებს არეგულირებს „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ 1944 წლის ჩიკაგოს კონვენცია, რომელსაც საქართველოს შეუერთდა 1994 წლის 20 თებერვალს და ძალაშია ამ თარიღიდან).

15) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მონყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

16) საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემები;

17) საქართველოს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი;

18) ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები;

19) ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის იმპორტი 2005 წლის 1 ოქტომბრამდე;

20) თამბაქოს ნაწარმისათვის ნედლეულის იმპორტი („ტრაპზონის“ ჯიშის თამბაქოს გარდა) 2004 წლის 31 დეკემბრამდე;

21) თამბაქოს ნაწარმის (ნედლეულის გარდა) იმპორტი 2005 წლის 1 იანვრამდე.

საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება აგრეთვე შემდეგ სასაქონლო ნომენკლატურაში მოქცეული საქონლის იმპორტი:

1) 100 110 000; 100 190 910; 100 200 000.

2) 1202; 1203; 1204; 1205; 1206; 1207; 1208; 120911000 - 120924000;

3) 391721910; 391722910; 391723910; 391729910; 391731100; 391733100; 391739910; 3917401100;

4) 400829100; 400950100; 401210100; 401220100; 401610100; 401693100; 401699100;

5) 4504 90 100;

6) 482390100;

7) 730431100; 730439200; 730441100; 730449300; 730451300; 730459500; 730490100; 730630100; 730640100; 730650100; 730660100;

8) 731210100; 731290100;

9) 732410100; 732490100; 732620100;

10) 741300100;

11) 760810100; 760820100;

12) 830210100; 830220100; 830242100; 830249100; 830260100; 830710100; 830790100;

13) 840710100; 840890100; 840910100;

14) 841111100; 841112110; 841112130; 841112190; 841121100; 841122110; 841122190; 841181100; 841182100; 841191100; 841199100; 841210100; 841221100; 841229100; 841231100; 841239100; 841280910; 841290100; 841319100; 841320100; 841330100; 841350100; 841360100; 841370100; 841381100; 841391100; 841410100; 841420100; 841430100; 841451100; 841459100; 841480100; 841490100; 841581100; 841582100;

841583100; 841590100; 841810100; 841830100; 841840100; 841861100; 841869100; 841950100; 841981110; 841989150; 841989200; 841989250; 841990100;

15) 842119100; 842119930; 842119950; 842121100; 842123100; 842129100; 842131100; 842139100; 842151100; 842410100; 842511100; 842531100; 842539100; 842542100; 842549100; 842699100; 842810100; 842820100; 842833100; 842839100; 842890100;

16) 843139900; 8438;

17) 845610100; 845691100; 845699; 845699100; 845699300;

846221050; 846229050; 846410100; 846420050; 846691150; 846693150; 846694100; 846911000;

18) 847110100; 847141100; 847149100; 847150100; 847160100; 847170100; 847310110; 847321100; 847340110; 847350100; 847350900; 847710100; 847759050; 847790050; 847989100; 847989650 - 847989790; 847990100; 847990500;

19) 848310100; 848330100; 848340100; 848350100; 848360100; 848390100; 848410100; 848490100;

20) 850120100; 850131100; 850132100; 850133100; 850134100; 850140100; 850151100; 850152100; 850153100; 850161100; 850162100; 850163100; 850211100; 850212100; 850213100; 850220100; 850239100; 850240100; 850410100; 850431100; 850432100; 850433100; 850440100; 850710100; 850720100; 850730100; 850740100; 850780100; 850790100;

21) 851110100; 851120100; 851130100; 851140100; 851150100; 851180100; 851580050; 851590100; 851680100; 851810200; 851821100; 851822100; 851829100; 851829200; 851830100; 851830200; 851840100; 851850100;

22) 852090100; 852110100; 852290100; 852290510; 852431000; 852440100; 852440910; 852440990; 852491100; 852491900; 852499100; 852510100; 852520100; 852610100; 852691110; 852692100; 852790100; 852910100; 852990100; 852990400;

23) 853120100 - 853400900; 853650030; 853650050; 853650070; 853669100; 853669300; 853690100; 853690200; 853910100;

24) 8541;

8542;

854311000; 854330100; 854330300; 854381000; 854389100; 854389150; 854389170; 854389700; 854389720; 854389730; 854389790; 854390100; 854390200; 854390300; 854430100;

25) 871310000; 871390000; 871420000;

26) 880110100; 880190100; 880211100; 880212100; 880220100; 880230100; 880240100; 880310100; 880320100; 880330100; 880390910; 880520100;

27) 900190100; 900290100;

28) 901041000 - 901050100; 901090100; 901110100; 901120100; 901190100; 901210100; 901290100; 901380110; 901380190; 901380300; 901390100; 901410100; 901420130; 901420180; 901490100;

9015

9018

9019

29) 902000

9021

9022

902511100; 902519100; 902580150; 902590100; 902610100; 902620100; 902680100; 902690100; 902720100; 902720900; 902730000; 902750000; 902780110; 902780150; 902780170; 902780910; 902780950; 902780970; 902790500; 902910100; 902920100; 902990100;

30) 903020900; 903031100; 903039100; 903040100; 903040900; 903082000; 903083100; 903089100; 903090100; 903090200; 903141000; 903149100; 903149900; 903180100; 903190100; 903210100; 903220100; 903281100; 903289100; 903290100;

31) 910400100; 910990100;

32) 940110100; 940320100; 940370100; 940510100; 940560100; 940592100; 940599100.

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია აგრეთვე ზოგიერთ ქვეყანაში (რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი, მოლდოვა, ბელარუსი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი) წარმოშობილი და საქართველოში იმპორტირებული საქონელი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, რაზეც ცალკე გვექნება მსჯელობა.

თავი 6.

აქციზი

- აქციზის ცნება
- აქციზით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი
- აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხა
- აქციზური მარკის ცნება. აქციზურმარკიანი საქონლის ნუსხა და დაბეგვრის მექანიზმი
- აქციზური საქონლის ექსპორტის დაბეგვრა ნულოვანი განაკვეთით
- აქციზის დაბრუნება
- აქციზის განაკვეთები
- შეღავათები აქციზით დაბეგვრის დროს

6.1. აქციზის ცნება

აქციზი ლათინური სიტყვაა (ECCISE) და ნიშნავს ,,ჩამოჭრას". ისტორიულად მას ახდევინებდნენ ე.წ. ,,ფუფუნების საგნებზე", აგრეთვე ზოგიერთი სახის ფართო მოხმარების საქონელზე.

აქციზი ისეთივე ხასიათის არაპირდაპირი საბაჟო გადასახდელია, როგორც საბაჟო გადასახადი ან დღგ, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი რეალური საბოლოო გადამხდელი არის აქციზური საქონლის მომხმარებელი (იგულისხმება საცალო ქსელის მომხმარებელი).

მოცემულ შემთხვევაში აქციზის ეკონომიკურ კატეგორიას განვიხილავთ საბაჟო ურთიერთობათა თვალსაზრისით, ამდენად მიწოდების საკითხებს არ შევეხებით.

6.2. აქციზით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი

საბაჟო ურთიერთობათა თვალსაზრისით აქციზით დაბეგვრის სუბიექტია პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის გადაადგილებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე. აქ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ აქციზით დაბეგვრის სუბიექტია არა მარტო ის პირი, ვინც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს,

არამედ ის პირიც, რომელიც ახდენს აქციზური საქონლის ექსპორტს, რეექსპორტს, დროებით შემოტანას და ა.შ. სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებში საქონლის მოქცევას.

დაბეგვრის სუბიექტი უშუალო კავშირშია დაბეგვრის ობიექტთან. აქციზით დაბეგვრის ობიექტია შესაბამისი აქციზური საქონელი (ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის იმპორტი ან ექსპორტი). თუ უფრო დავაკონკრეტებთ, აქციზით დაბეგვრის ობიექტად (დაბეგვრის ერთეულად) გვევლინება საბაჟო ღირებულება, საქონლის მოცულობა (მაგ. სპირტიან სასმელზე), საქონლის წონა (მაგ. ნავთობპროდუქტები).

მოქმედი კანონმდებლობით ისეთ აქციზურ საქონელზე, როგორიცაა თამბაქოს ნაწარმი ან მსუბუქი ავტომობილები აქციზი არ გადაიხდევინება. ამ შემთხვევაში აქციზისა და დღგ-ს, აგრეთვე თამბაქოს ნაწარმზე საბაჟო გადასახადის ნაცვლად გადაიხდევინება ფიქსირებული გადასახადი, რომელიც განცალკევებული და დამოუკიდებელი გადასახადის სახეს ღებულობს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბაჟო კოდექსში, რომელიც ახდენს საბაჟო გადასახდელების კლასიფიცირებას, ფიქსირებული გადასახადი, როგორც დამოუკიდებელი გადასახადი, მოცემული არ არის.

6.3. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხა

დასაბეგრ ოპერაციაში ვგულისხმობთ იმპორტიორის დასაბეგრ ოპერაციას. როდესაც მხედველობაში გვაქვს დასაბეგრი ოპერაციის თანხა, ყოველთვის იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს ადვალურ-ღირებულებით ასპექტთან, ხოლო ფიქსირებული აქციზის შემთხვევაში ნაზარდი ჯამით აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხა არ გამოიანგარიშება.

ამდენად, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხა იმპორტირებული საქონლის მიმართ განისაზღვრება მოცემული საქონლის საბაჟო ღირებულებისა (აქციზისა და დღგ-ს გარეშე) და საბაჟო გადასახდელების (აქციზისა და დღგ-ს გარეშე) ჯამით. აღსანიშნავია, რომ სხვა, არასაბაჟო მოსაკრებლები და გადასახადები, რომელიც გადაიხდება იმპორტისას, სხვა ქვეყნებსაც არ შეაქვთ დასაბეგრი ოპერაციის თანხაში (მაგალითად, რუსეთის ფედერაციას).

როდესაც ვამბობთ, რომ დასაბეგრ ოპერაციაში შედის საქონლის საბაჟო ღირებულება აქციზისა და დღგ-ს გარეშე, იგულისხმება, რომ მოცემული საქონელი არ უნდა იყოს დაბეგრილი აქციზითა და დღგ-ით, ან თუ იგი დაიბეგრა ექსპორტის ქვეყანაში (ან იმპორტის ქვეყანაში დაბეგვრის პროცესისას), მაშინ აქციზისა და დღგ-ს შესაბამისი თანხები უნდა გამოიქვითოს საბაჟო ღირებულებიდან და, შესაბამისად, დასაბეგრი ოპერაციიდანაც. ამასთან, დასაბეგრ ოპერაციაში უნდა შევიდეს საბაჟო მოსაკრებლებისა და საბაჟო გადასახადის თანხები. საბოლოოდ დასაბეგრი ოპერაციის თანხა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხა = საბაჟო ღირებულებას + საბაჟო მოსაკრებლის თანხა + საბაჟო გადასახადის თანხა.

6.4. აქციზური მარკის ცნება. აქციზურმარკიანი საქონლის ნუსხა და დაბეგვრის მექანიზმი

აქციზური მარკა არის გარკვეული ნომინალური ღირებულების მქონე დამცავნიშნებიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი გადასახადის (ან გადასახადების) გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

აქციზური მარკის დართვას ექვემდებარება თავისუფალი მიმოქცევის საბაჟო რეჟიმში მოქცეული (მოსაქცევი) ზოგიერთი საქონელი (სხვა საბაჟო რეჟიმებში ამ საქონლის მოქცევა არ მოითხოვს აქციზური მარკით ნიშანდებას). კერძოდ, აქციზური მარკებით მარკირებას ექვემდებარება:

1. ალკოჰოლური სასმელები, რომელშიც სპირტის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს და რომელიც ჩამოსხმულია 50 გრამზე მეტი მოცულობის ჭურჭელში. ამასთან, მოცემული ჭურჭლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ათ ლიტრს. თუ შესაბამისი ჭურჭლის მოცულობა შეადგენს 50 გრამს ან ნაკლებია 50 გრამზე, აგრეთვე თუ ამ ჭურჭლის მოცულობა შეადგენს 10 ლიტრს ან აღემატება მას, მაშინ აქციზური მარკებით ნიშანდება არ ხდება (მარკირებას დაქვემდებარებულ ალკოჰოლურ სასმელებს განეკუთვნება ,,აქციზური ცხრილის" 1-14 პუნქტში ჩამოთვლილი საქონელი);

2. თამბაქოს ნაწარმი, რომელიც მითითებულია ,,აქციზური ცხრილის" მე-15 პუნქტში.

მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია აქციზურ მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში გაშვება აქციზური მარკების გარეშე. თუ საქონელი შეტანილია თავისუფალ მიმოქცევაში აქციზური მარკების გარეშე, ასეთ შემთხვევაში საქონელი ექცევა სახელმწიფო საკუთრებაში, ჩამოერთმევა შესაბამის პირს და მოხდება მისი რეალიზაცია ან განადგურება დადგენილი წესით.

თუ იმპორტიორს აქვს აქციზური მარკის დანაკლისი ანუ, თუ მას დაეკარგა, გაუნადგურდა ან სხვა შემთხვევების შედეგად გამოუსადეგარი გაუხდა აქციზური მარკები (ფორსმაჟორული სიტუაციების გარდა), ამ შემთხვევაში შესაბამისი მარკების დანაკლისი განიხილება შესაბამისი ოდენობის საქონლის იმპორტად, ხოლო მოცემული საქონელი ჩაითვლება აქციზით დაბეგრილად. ამდენად იმპორტიორს აქციზის თანხა არ დაუბრუნდება. ასევე, თუ იმპორტიორმა აქციზური მარკების მიღებიდან ექვს თვეში არ განახორციელა ამ საქონლის იმპორტი, ითვლება, რომ განხორციელდა მოცემული საქონლის იმპორტი და შესაბამისი საქონელი დაბეგრილია აქციზით. თუ იმპორტიორი ექვსი თვის შემდეგ (მარკების მიღებიდან) განახორციელებს დაუბრუნებელი (თუ იმპორტიორმა არ განახორციელა იმპორტი 6 თვეში, მაშინ მან უნდა დააბრუნოს აქციზური მარკები) აქციზური მარკებით შესაბამისი საქონლის მარკირებას და იმპორტს, მაშინ ჩაითვლება, რომ ამ საქონელზე უკვე გადახდილია აქციზი (სხვაობა გადაანგარიშდება).

აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ აქციზურ მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის დროს ამ საქონლის იმპორტიორები ახდენენ აქციზური მარკების ექსპორტს საქართველოდან და შესაბამისად იმპორტს იმ ქვეყანაში, სადაც უნდა დაეკრას საქონელს აქციზური მარკა. ამ შემთხვევაში ხდება აქციზური მარკის, როგორც საქონლის ექსპორტი, რომელიც ექვემდებარება საბაჟო მოსაკრებლებით დაბეგვრას. აქედან გამომდინარე, განსაზღვრული (გაანგარიშებული) უნდა იქნას აქციზური მარკების საბაჟო ღირებულება, რაც მის ნომინალურ ღირებულებას ეფუძნება.

აქციზური მარკების ნომინალურ ღირებულებას (საუბარია საქართველოს აქციზურ მარკებზე) საქონლის სახეობების მიხედვით შემდეგი სახე აქვს:

1000 (ათასი) ცალი აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება

№	აქციზური მარკის სახეობა	დაბეჭდვის, ტრანსპორტირების და განბაჟების ხარჯები		მიმოქცევასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	ნომინალური ღირებულება
	იმპორტული იამბაქოს	ამშ დოლარებში	ლარებში	ლარებში	ლარებში
1	ნაწარმი ადგილობრიეი თამბაქოს	6,21	12,11	0,98	13,09
2	ნაწარმი ალკოპოლიანი სასმელები	7,16	13,96	0,98	14,94
3	ღუდი	10,39	20,26	0,98	21,24
4		7,00	13,65	0,98	14,63

ზემოაღნიშნულ ცხრილში აშშ დოლარი გადაიყვანება გაფორმების დღისათვის არსებული შესაბამისი კურსით ლარებში (ეს კურსი მოცემულ ცხრილში პირობითად შეადგენს 1 აშშ დოლარი - 1,95 ლარს), ხოლო მიმოქცევასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები უცვლელია (მუდმივია) და შეადგენს 0,98 ლარს.

ამასთან, კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ აქციზური მარკის შეძენის დროს იმპორტიორები იხდიან აქციზური მარკის ნომინალურ ღირებულებასაც (აქციზთან ერთად), რომელიც თავის მხრივ შედის აქციზის აბსოლუტურ თანხაში.

6.5. აქციზური საქონლის ექსპორტის დაბეგვრა ნულოვანი განაკვეთით

მოქმედი კანონმდებლობით აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით, თუ ამ საქონელზე ადრე გადახდილია აქციზი - მაშინ აქციზის გადახდილი თანხები უნდა

დაუბრუნდეს ექსპორტიორს ან ჩაეთვალოს მომავალ გადასახდელებში (სწორედ ეს არის ძირითადი საფუძველი ზედმეტად გადახდილ გადასახადებთან ერთად ე.წ. ,,აქტივების" ფორმირებისა). ექსპორტის დროს აქციზის თანხების დაბრუნება დაკავშირებულია შემდეგ მომენტებთან:

1. როდესაც ადრე იმპორტირებული საქონელი, რომელზეც საბაჟო ორგანოში გადახდილია აქციზი, ექცევა ექსპორტის საბაჟო რეჟიმში;

2. როდესაც საექსპორტო საქონელი დამზადებულია ადგილობრივი წარმოშობის აქციზური ნედლეულისაგან, რაზედაც მიწოდების დროს გადახდილია აქციზი და ეს საქონელი ექცევა ექსპორტის საბაჟო რეჟიმში.

3. როდესაც საექსპორტო საქონელი დამზადებულია ადრე იმპორტირებული ნედლეულისაგან (საქონლისაგან), რომელზეც გადახდილია აქციზი, და ეს საქონელი ექცევა ექსპორტის საბაჟო რეჟიმში.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში აქციზის თანხების დაბრუნება ხდება საგადასახადო ორგანოში (და არა საბაჟო ორგანოში) დღგ-ს თანხების დაბრუნების პროცესების შესაბამისად. კერძოდ, ექსპორტიორმა საგადასახადო ორგანოში შესაბამისი საანგარიშო პერიოდისათვის უნდა წარადგინოს ორი დოკუმენტი:

ა) რეზიდენტი პირის მიერ უცხოელ პირთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საქონლის ექსპორტს;

ბ) ექსპორტის შესაბამისი სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

6.6. აქციზის დაბრუნება

ზედმეტად გადახდილი აქციზის დაბრუნება ხდება საერთო წესების შესაბამისად. ზემოთ განვიხილეთ, აგრეთვე აქციზის დაბრუნება ექსპორტის ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის დროს. ამასთან, გარკვეულ სპეციფიკას შეიცავს აქციზის დაბრუნება სხვადასხვა საბაჟო რეჟიმების პირობებში. შემდგომში მოცემულ საკითხებს განვიხილავთ ცალ-ცალკე, როცა დაფიქსირებული იქნება საბაჟო გადასახდელების გადახდის და დაბრუნების ნიუანსები სათანადო საბაჟო რეჟიმების თავისებურებების მიხედვით. განვიხილავთ აგრეთვე აქციზის

5	სხვა დაძველებული სასმელები (ეთილის სპირტი, პური, თაფლის სასმელი); დაძველებული სასმელების ნარევი და დაძველებული სასმელებისა და უალკოლო სასმელების ნარევი, რომლებიც ამ ცხრილში სხვა ადგილას არ არის დასახელებული	2206 00	1 ლიტრი	2,00 ლარი
6	ეთილის სპირტი	2207	1 ლიტრი	0,70 ლარი
7	სპირტიანი სასმელები, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით	2208 20	1 ლიტრი	2,00 ლარი
8	ვისკი	2208 30	1 ლიტრი	2,00 ლარი
9	რომი და ტაფია	2208 40	1 ლიტრი	2,00 ლარი
10	ჯინი და ღვინის ნაყენი	2208 50	1 ლიტრი	2,00 ლარი
11	არაყი	2208 60	1 ლიტრი	1,00 ლარი
12	ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	2208 70	1 ლიტრი	2,00 ლარი
13	სხვა სპირტიანი სასმელები	2208 90	1 ლიტრი	2,00 ლარი
14	ლუდი	2203 00	1 ლიტრი	0,12 ლარი
15	თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა): - სიგარა, სიგარები გადაჭრილი ბოლოებით და სიგარელა (წვრილი სიგარები), რომლებიც შეიცავენ თამბაქოს - ფილტრიანი სიგარეტი - ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - სხვა ნაწარმი დამზადებული თამბაქოსა და მისი შემცვლელებისაგან; „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქო; თამბაქოს ექსტრაქტები და ესენციები	2402 10 000 2402 20 2402 20 2403	1000 ღერი 1000 ღერი 1000 ღერი 1 კგ	150 ლარი 7,50 ლარი 2,50 ლარი 20,00 ლარი
16	მსუბუქი აქტივობილები	8703		15%
17	ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებული ზეთები და სხვა პროდუქტები; ანალოგიური პროდუქტები, რომლებშიც არომატული შემადგენელი ნაწილების მასა აჭარბებს არაარომატულის მასას (გარდა ნაფტალინისა და კრეოზოტული ზეთებისა, რაც გამოიყენება ნახშირბადის მისაღებად (სახაზინო კოდექსის 2803 კოდი)	2707 (გარდა 2707 40 000 2707 99 910)		60%

	(სასაქონლო ჯგუფის კოდი			
18	ბუნებრივი გაზის კონდენსატი, გარდა მილსადენისა	2709 00 100		60%
19	ნავთობის დისტილატები: მსუბუქი და საშუალო მძიმე	2710 00 110- -2710 00 590; 2710 00 610- -2710 00 690;	1 ტონა 1 ტონა	200 ლარი 100 ლარი
20	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	2711 12 2711 13 2711 14 000 2711 19 000		60%
21	ნედლი ნავთობისაგან და ბითუმინოზური მინერალებისაგან მიღებული სხვა ნავთობპროდუქტები (გარდა ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებისა და მაზუთისა)	271000 (გარდა 2710 00 110 2710 00 690 და 2710 00 710- -2710 00 780)		60%
22	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	391190000 391190900	1 ტონა	400 ლარი
23	მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი	270710100- -270760000 (გარდა 270740000);		
		2712 20 000; 290211100- -290230900; 2905 11 000- -2905 16 900; 3811 11 100- -3811 90 000; 3814 00 100; 3814 00 900;	1 ტონა	400 ლარი

დაბრუნების საკითხს ზოგიერთი საქონლის (მისართები, გამხსნელები, ანტიდეტონატორები) იმპორტის დროს.

6.7. აქციზის განაკვეთები

იმპორტირებული საქონლის აქციზის განაკვეთები დაკავშირებულია აქციზური საქონლის შესაბამის ნუსხასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ განსაზღვრული ნომენკლატურის საქონელი იბეგრება აქციზის შესაბამისი განაკვეთებით. ეს საქონელი პირობითად შეიძლება 4 ჯგუფად დავყოთ:

1. **ალკოჰოლური სასმელები;**
2. **თამბაქოს ნაწარმი;**
3. **ნავთობპროდუქტები;**
4. **მსუბუქი ავტომობილები (8703).**

უნდა აღინიშნოს, რომ აქციზის მოქმედი განაკვეთები ორი სახისაა: **ადვალური (ღირებულებითი) და ფიქსირებული (ლარებში).** ამასთან მსუბუქ ავტომობილებზე და თამბაქოს ნაწარმის იმპორტზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა) აქციზის გადასახადი არ მოქმედებს. კერძოდ, მსუბუქ ავტომობილებზე აქციზისა და დღგ-ს ნაცვლად შემოღებულია ფიქსირებული გადასახადი, ხოლო თამბაქოს ნაწარმზე საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დღგ-ს ნაცვლად ასევე მოქმედებს ფიქსირებული გადასახადი. შესაბამისად ფიქსირებული გადასახადი წარმოადგენს გადასახადის დამოუკიდებელ ფორმას. ამდენად, იგი არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს აქციზთან ან სხვა შესაბამის გადასახადთან (მოცემული საკითხი ლოგიკურად წარმოშობს კითხვას: შედის თუ არა „ფიქსირებული გადასახადი" საბაჟო გადასახდელებში, რაზეც პასუხის გაცემა, ვფიქრობთ, შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს).

ქვემოთ წარმოგიდგენთ „აქციზურ ცხრილს" სათანადო საქონლისა და განაკვეთების კლასიფიკაციით (ცხრილში მოცემული მე-15 და მე-16 პუნქტების მოქმედება შეჩერებულია საგადასახადო კოდექსის „გარდამავალი დებულებებით", ხოლო 23-ე პუნქტში დაფიქსირებული საქონლის დაბეგვრა ითვალისწინებს გადახდილი აქციზის დაბრუნებას გარკვეული პირობების დაცვით):

ამასთან, მსუბუქ ავტომობილებსა და თამბაქოს ნაწარმზე მოქმედებს შემდეგი ფიქსირებული გადასახადები შესაბამისი განაკვეთებით:

• მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი დღგ-სა და აქციზის ნაცვლად იბეგრება ფიქსირებული გადასახადით, ძრავის მოცულობისა და მანქანის წლოვანების მიხედვით. გადასახადი გამოიანგარიშება ძრავის მოცულობისა (სმ³) და მანქანის წლოვანების შესაბამისი ნიხრის ნამრავლით. იმპორტირებული მსუბუქი ავტომანქანის წლოვანების შესაბამისი ნიხრი განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

წლოვანება	ახალი და 1 წლის	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15 წლის და ზევით
ნიხრის ლარებში	1,00	0,90	0,80	0,70	0,80	0,50	0,40	0,40	0,40	0,40	0,40	0,40	0,50	0,60	0,70

• 2001 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 ივლისამდე:

ა. თამბაქოს ნაწარმის იმპორტი (თამბაქოს ნედლეულის გარდა) საბაჟო გადასახადის, დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის ნაცვლად იბეგრება შემდეგი ოდენობის ფიქსირებული გადასახადით:

ა.ა) მოსაწევი თამბაქო (ჩიბუხის) - 20 ლარი 1 კგ-ზე;

ა.ბ) სიგარა - 60 თეთრი 1 ცალზე;

ა.გ) სიგარილა და ფილტრიანი სიგარეტი - 40 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ა.დ) ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - 20 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ბ) ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმის მიწოდება (თამბაქოს ნედლეულის გარდა) დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის ნაცვლად იბეგრება შემდეგი ოდენობის ფიქსირებული გადასახადით:

ბ.ა) მოსაწევი თამბაქო (ჩიბუხის) - 20 ლარი 1 კგ-ზე;

ბ.ბ) სიგარა - 60 თეთრი 1 ცალზე;

ბ.გ) სიგარილა და ფილტრიანი სიგარეტი - 20 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ბ.დ) ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - 7 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

• 2004 წლის 1 ივლისიდან 2006 წლის 1 იანვრამდე:

ა. თამბაქოს ნაწარმის (თამბაქოს ნედლეულის გარდა) იმპორტი საბაჟო გადასახადის, აქციზის ნაცვლად იბეგრება შემდეგი ოდენობის ფიქსირებული გადასახადით:

ა.ა) მოსაწევი თამბაქო (ჩიბუხის) - 20 ლარი 1 კგ-ზე;

ა.ბ) სიგარა - 60 თეთრი 1 ცალზე;

ა.გ) სიგარილა და ფილტრიანი სიგარეტი - 40 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ა.დ) ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - 20 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ბ) ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმის მიწოდება (თამბაქოს ნედლეულის გარდა) აქციზის ნაცვლად იბეგრება შემდეგი ოდენობის ფიქსირებული გადასახადით:

ბ.ა) მოსაწევი თამბაქო (ჩიბუხის) - 20 ლარი 1 კგ-ზე;

ბ.ბ) სიგარა - 60 თეთრი 1 ცალზე;

ბ.გ) სიგარილა და ფილტრიანი სიგარეტი - 25 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ბ.დ) ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - 10 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი).

6.8. შეღავათები აქციზით დაბეგვრის დროს

აქციზით დაბეგვრის დროს შეღავათებში ვგულისხმობთ შესაბამისი საქონლის გათავისუფლებას აქციზისაგან სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებისა თუ დაბეგვრის სუბიექტების სტატუსის გათვალისწინებით. კერძოდ, აქციზისაგან თავისუფლდება:

1. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული და მოხმარებული ალკოჰოლური სასმელები;

2. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი; საქართველოში ავტომობილით შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი;

3. აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. აქციზური საქონლის დროე-

ბით შემოტანისას (გარდა საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქციზური საქონლის დროებით შემოტანისა, იმ მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო და მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის), აგრეთვე საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული იმ აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა, გადაიხდევინება აქციზი ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით.

4. აქციზური საქონლის რეექსპორტი; საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტისათვის გათვალისწინებულ აქციზურ საქონელზე გადაიხდევინება აქციზი, დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

5. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი სტიქიური უბედურების

დროს ჰუმანიტარული დახმარების მიზნთი;

6. საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავი იმპორტისას საბაჟო ორგანოებისათვის საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე;

7. ,,ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი ან/და მიწოდება.

8. საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა, დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი განთავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო (ამ პუნქტში დაფიქსირებული საქონლის გათავისუფლება არ ფიგურირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 128-ე მუხლში, მაგრამ ეს მოთხოვნები ძალაშია ,,დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ" ვენის 1961 წლის კონვენციის 34-ე, 36-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ აქციზური საქონლის ტრანზიტი, დროებით შემოტანა და რეექსპორტი იმ შემთხვევაში თავისუფლდება აქციზისაგან, თუ ამ რეჟიმებში მოქცეული საქონელი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. მოქმედი კანონმდებლობით საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია საქონლის ტრანზიტი და რეექსპორტი. რაც შეეხება დროებით შემოტანას, აქ საქმე გვაქვს საკანონმდებლო კოლიზიასთან. კერძოდ, საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის საქონელი (მაგ. საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილი საქონელი, დიპლომატებისათვის განკუთვნილი საქონელი, ბაქო-ჯეიჰანის და ბაქო-ერზრუმის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი და ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებასთან დაკავშირებული პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონელი, აგრეთვე გემები და საფრენი საშუალებები, რომლებიც არ არის აქციზური საქონელი. სხვა საქონელი არ არის გათავისუფლებული საბაჟო გადასახადისაგან, ე.ი. ავტომატურ რეჟიმში ეს საქონელი არ თავისუფლდება აქციზისაგან (არც დღგ-საგან).

თავი 7.

დამატებული ღირებულების გადასახადი

- დღგ-ს ცნება
- დღგ-ით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი
- დღგ-ით დასაბეგრი იმპორტის თანხა. დღგ-ს გამოანგარიშება და ჩათვლა იმპორტირებული საქონლის მიწოდების დროს
- დღგ-ს განაკვეთი. ექსპორტის დაბეგვრა ნულოვანი განაკვეთით
- შეღავათები დღგ-ით დაბეგვრის დროს

7.1. დღგ-ს ცნება

დამატებული ღირებულების გადასახადი პირველად ფრანგებმა შემოიღეს გასული საუკუნის 50-იან წლებში. ცნება ,,დამატებული ღირებულების გადასახადი" ეტიმოლოგიურად ნიშნავს იმ გადასახადს, რომელიც გამოიანგარიშება ,,დამატებული ღირებულებიდან". საკუთრივ დამატებული ღირებულება არის საქონლის (ამ შემთხვევაში სიმარტივისათვის აბსტრაგირებას ვახდენთ ,,სამუშაოსა" და ,,მომსახურების" ტერმინისაგან, რომლებიც აგრეთვე იბეგრება დღგ-ით) ის ღირებულება, რომელსაც აკლდება ამ საქონლის დამზადებაზე გაწეული ნედლეულის, მასალების და ამორტიზაციული ანარიცხების ხარჯები (თანხები). ამდენად, დღგ-ს ამ სახელწოდებას შესაბამისი მნიშვნელობა დაკარგული აქვს, რადგან დღგ გამოიანგარიშება არა დამატებული ღირებულებიდან (ანუ იგი არის არა დამატებული ღირებულების გადასასადი), არამედ საქონლის ღირებულებიდან, რომელშიც შედის მასალების, ნედლეულისა და ამორტიზაციული ანარიცხების თანხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეალურად დამატებული ღირებულების გადასახადი არის არა ,,დამატებული ღირებულების", არამედ ღირებულების გადასახადი, რაც ორი განსხვავებული ცნებაა.

მოქმედი კანონმდებლობით, დღგ ისეთი არაპირდაპირი გადასახადია, რომელიც გვევლინება საქართველოს ტერიტორიაზე წარ-

მოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ნაწილად, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილად და ექვემდებარება სავალდებულო შეტანას სახელმწიფო ბიუჯეტში. საბაჟო ურთიერთობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ გვაინტერესებს სწორედ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის, ანუ დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდევინებისა და ადმინისტრირების საკითხები.

7.2. დღგ-ით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი

როგორც აღვნიშნეთ, დამატებული ღირებულების გადასახადს განვიხილავთ მხოლოდ საბაჟო ურთიერთობათა თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით დაბეგვრის სუბიექტია პირი (ფიზიკური, იურიდიული), რომელიც ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, რაც ერთგვარად ეწინააღმდეგება დღგ-ს არსს, რომლის მიხედვითაც დღგ არის ,,საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი". საქმე ისაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებით (და არა მხოლოდ იმპორტის საბაჟო რეჟიმით), რაც იმას ნიშნავს, რომ დღგ-ით დაბეგვრის სუბიექტია ნებისმიერი საბაჟო რეჟიმით საქართველოში საქონლის შემომტანი.

აღსანიშნავია, რომ დაბეგვრის სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს, საზოგადოდ არ ექვემდებარება დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციას საგადასახადო ორგანოში, თუმცა არსებობს გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, პირი, რომლის მიერ იმპორტირებული და შიგა ბაზარზე მოწოდებისათვის განკუთვნილი (ერთჯერადად მისაწოდებელი) საქონლის ღირებულება აღემატება 100 000 ლარს, ექვემდებარება საგადასახადო ორგანოში სავალდებულო რეგისტრაციას. რეგისტრაცია უნდა მოხდეს მიწოდების განხორციელებამდე. ამასთან, არის აგრეთვე ე.წ. ნებაყოფლობითი რეგისტრაცია, კერძოდ, თუ პირი ერთჯერადად აწვდის იმპორტირებულ საქონელს, რომლის ღირებულება აღემატება 75 000

ლარს, სურვილის მიხედვით მას შეუძლია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად.

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტად, მოქმედი კანონმდებლობით, განსაზღვრულია დასაბეგრი იმპორტი. დასაბეგრ იმპორტში ნაგულისხმევია იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათავისუფლებული არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდისაგან, ე.ი. იბეგრება მხოლოდ ის პირი, რომელიც ახორციელებს დასაბეგრ იმპორტს და იბეგრება მხოლოდ ის საქონელი, რომელიც მოქცეულია დასაბეგრი იმპორტის რეჟიმში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღგ-ით დაბეგვრის ობიექტის არეალიდან ვარდება სხვა საბაჟო რეჟიმებით შემოტანილი საქონელი, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და პრაქტიკას. კერძოდ, დღგ-საგან გათავისუფლებული და/ან პირობით გათავისუფლებული საქონლის ნუსხაში ხვდება არა მხოლოდ საქონლის იმპორტი, არამედ საქონლის დროებით შემოტანა, რეიმპორტი და სხვა საბაჟო რეჟიმებში მოქცეული საქონელი.

7.3. დღგ-ით დასაბეგრი იმპორტის თანხა. დღგ-ს გამოანგარიშება და ჩათვლა იმპორტირებული საქონლის მიწოდების დროს

როგორც აღვნიშნეთ, დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია საქონლის იმპორტი. იმპორტის რეჟიმში მოქცეული საქონლის დღგ-ით დაბეგვრის დროს მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ დღგ უნდა დაერიცხოს არა მხოლოდ ამ საქონლის საბაჟო ღირებულებას, არამედ საბაჟო გადასახდელებსაც (დღგ-ს გარეშე). საბაჟო გადასახდელები (საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი და აქციზი) ამ შემთხვევაში წარმოადგენენ შესაბამის ღირებულებებს (შემოტანილი საქონლის ღირებულების გადანაწილებით ფორმებს ანუ იმპორტირებული საქონლის ღირებულების ნაწილს), რაც, დღგ-ს ცნებიდან გამომდინარე, უნდა შევიდეს დღგ-ით დასაბეგრი იმპორტის თანხაში. ამდენად, დღგ-ით დასაბეგრი იმპორტის თანხა უდრის იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულებას დამატებული საბაჟო გადასახდელების (დღგ-ს გარდა) თანხები. ამასთან, სხვა არასაბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც გადაიხდება იმპორტის დროს, როგორც აქციზის შემთხვევაში აღვნიშნეთ,

სხვა ქვეყნებშიც არ შეაქვთ დასაბეგრი იმპორტის თანხაში (მაგ., რუსეთის ფედერაცია).

ამრიგად, დღგ-ით დასაბეგრი იმპორტის თანხა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

დღგ-ით დასაბეგრი იმპორტის თანხა = საბაჟო ღირებულებას + საბაჟო მოსაკრებლის თანხა + საბაჟო გადასახადის თანხა + აქციზის თანხა (თუ საქონელი იბეგრება აქციზით).

იმპორტირებული საქონლის მიწოდების დროს, ანუ საქონლის შიგა ბაზარზე რეალიზაციის დროს, იმპორტიორი იხდის დღგ-ს საგადასახადო ორგანოში იმ სხვაობით, რაც წარმოადგენს დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-სა და შესაბამისი საბაჟო დეკლარაციით გადახდილ დღგ-ს თანხებს შორის სხვაობას, ანუ ფაქტობრივად იმ სხვაობით, რაც დაფიქსირებულია შესაბამის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებსა და საბაჟო-სატვირთო დეკლარაციის მონაცემებს შორის.

7.4. დღგ-ს განაკვეთი. ექსპორტის დაბეგვრა ნულოვანი განაკვეთით

ევროკავშირის ქვეყნებსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დღგ-ს განაკვეთი იმპორტზე დიფერენცირებულია ორ ან სამ იარუსად.* საქართველოში დღგ-ს განაკვეთი უნიფიცირებულია ყველა საქონლის მიმართ და შეადგენს დასაბეგრი იმპორტის თანხის 20 %-ს. რაც შეეხება საქონლის ექსპორტს, იგი იბეგრება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით (გარდა შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტისა).

ექსპორტირებული საქონლის დაბეგვრა დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით ანალოგიურია საქონლის ექსპორტის აქციზის ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრისა, რაზეც უკვე გვქონდა მსჯელობა აქციზის განხილვის დროს. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ექსპორტის დროს ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი თანხები გამოიანგარიშება სხვაობით ექსპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ დარიცხული დღგ-ს განაკვეთის შესაბამისი თანხის (ანუ ნულსა) და წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ან/და

---

*ი. მესხია, ო. ნიკოლეიშვილი, გადასახადები და დაბეგვრა. თბ., 2002. გვ. 67-70

საბაჟო დეკლარაციების მოცემულ საქონელზე ან ამ საქონლის დასამზადებლად განკუთვნილ ნედლეულზე გადახდილ დღგ-ს თანხებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ საექსპორტო საქონელზე ან მის დამზადებაზე ადრე გადახდილია დღგ, მაშინ შესაბამისი სხვაობა ყოველთვის იქნება 0-ზე მეტი, რაც ექვემდებარება დაბრუნებას ექსპორტიორების ანგარიშზე, ანუ ე.წ. ,,აქტივების" ფორმირებას (ჩათვლას მომავალ გადასახდელებში).

7.5. შეღავათები დღგ-ით დაბეგვრის დროს

შეღავათებში ვგულისხმობთ საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გათავისუფლებას ან პირობით გათავისუფლებას დღგ-საგან.

დღგ-საგან თავისუფლდება:

1. ეროვნული და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და იმპორტი;

2. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური და სპეციალური მარკების მიწოდება ან/და იმპორტი;

4. ჩამორთმეულ, უპატრონო ფასეულობათა, განძეულობისა და შესყიდულ ფასეულობათა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობათა მიწოდება ან/და იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

5. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130110000, 130120000, 150420, 151530, 1520 და 170211000 კოდებში მითითებული საქონლის, 28-ე და 29-ჯგუფებში წარმოდგენილი სამკურნალო (ფარმაცევტული) ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის, ვაქცინების 391212000, 391231000, 701010000, 701094790 და 960200000 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

6. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000, 9001 30 000 , 9001 40, 9001 50, 9018-9022, 9025 11 910 და 9402 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713 და 8714 20 000 კოდებში მითითებული ინვალიდთა ეტლების, იოდირებული მარილის, რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) მიწოდება ან/და იმპორტი;

7. დიაბეტური კვების პროდუქტების მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

8. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

9. სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტებთან შეთანხმებით დამტკიცებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის ბეჭდვა, მიწოდება ან/და იმპორტი;

10. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება; სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყო-დანადგარებისა და ქიმიური რეაქტივების იმპორტი;

11. სამეცნიერო, სახელოვნებო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, რომელთა ავტორები საქართველოს მოქალაქეები არიან, აგრეთვე უცხოეთში გამოცემული ქართული კლასიკური ლიტერატურის იმპორტი;

12. პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვა, მიწოდება, იმპორტი და რეალიზაციის მომსახურება;

13. სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარებისა და ქველმოქმედების მიზნით საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემული საქონლისა და გრანტების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის

გამცემი ან მიმღები პირის მიერ; სამუშაოების შესრულება კონტრაქტების საფუძველზე, რომელთაც ზემოაღნიშნული მიზნებისათვის აფინანსებს უცხოეთის ორგანიზაცია და რომელთა ერთერთ მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო. ამ ქვეპუნქტის მიზნისათვის საქონლის იმპორტის, აგრეთვე კონტრაქტებით სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

14. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4406, 7208 40 100, 7209 26 900 და 7302 კოდებით, 84-ე, 85-ე, 88-ე და 90-ე ჯგუფებით გათვალისწინებული საქონლის (გარდა 8414 51 900, 8414 59 300, 8414 59 500, 8414 59 900, 8415, 8418, 8419 50 900, 8419 81 910, 8419 81 990, 8419 89 950, 8421 12 000, 8421 21 900, 8421 23 900, 8421 29 900, 8421 31 900, 8422 11 000, 8422 19 000, 8423 10, 8423 81, 8431, 8450, 8469, 8470 10, 8470 21 000, 8470 29 000, 8470 30 000, 8470 90 000, 8471 10 900, 8471 41 900, 8471 49 900, 8471 50 900, 8471 60 400, 8471 60 500, 8471 60 900, 8471 70 400, 8471 70 510, 8471 70 530, 8471 70 590, 8471 70 600, 8471 70 900, 8471 80, 8472 10 000, 8472 90, 8473, 8481 80, 8481 90 000, 8482, 8507 - 8513, 8516 - 8524, 8525 20 910, 8525 30, 8525 40, 8527 -8528, 8529 10 200, 8529 10 310, 8529 10 390, 8529 10 400, 8529 10 500, 8529 10 900, 8531, 8536 61, 8536 69, 8539 - 8540, 8544 - 8546, 8548, 9001 90 900, 9003 - 9004, 9005 10 , 9006 -9010, 9014 20 900 და 9016 00 კოდებში ჩამოთვლილი საქონლისა), აგრეთვე 8531 10 100, 8539 10 100, 8601-8603, 8604 00 000, 8605 00 000, 8606 10 000, 8607 19, 8702 (გარდა 20 კაცის ან ნაკლების გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით), 8704- 8705, 8709, 8716 20, 8716 31, 871 39, 8901 -8902 და 8904-8906 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი, აგრეთვე იურიდიული პირის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ძირითადი საშუალებების მიწოდება;

15. იმ საქონლის იმპორტი და დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; უცხოეთში

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი და დროებით შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

16. საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. აღნიშნული ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და ტარაშესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას ხდება დღგ-ის გადახდევინება ან საბანკო გარანტიის დატოვება, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან მზა პროდუქციის გატანისას გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;

17. საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი და დროებით შემოტანა. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისას (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-15-ე ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის, გემების, საჰაერო საფრენი საშუალებების დროებით შემოტანისას, საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული საქონლის დროებით შემოტანისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობა) შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანისა), აგრეთვე საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული იმ საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა,

გადაიხდევინება დღგ ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

18. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დღგ ან/და საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

19. ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რომელიც დადგენილია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებისათვის;

20. ,,ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი, აგრეთვე ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული ხელშეკრულებების ან/და ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიების შესაბამისად ინვესტორებისა და საოპერაციო კომპანიებისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება;

21. შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი;

22. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 010210, 010310000, 010410100, 010420100, 010511, 051110000, 051191, 060210, 060220, 250300, 280300, 310100000, 3103, 3104, 3105, 380810, 380820 (გარდა 380820100-ისა), 380830 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი, აგრეთვე ანალოგიური საქონლის და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 3102 კოდით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება;

23. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 040700, 060290100, 070110000, 071331100, 071332100 071333100, 071339100, 100190910, 100300100, 120600, 12092, 120923 120991, 283325000, 380820100 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყოველწლიური კვოტების მიხედვით, აგრეთვე ანალოგიური საქონლის მიწოდება.

ამასთან, საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი, დროებით შემოტანა და რეექსპორტი იმ შემთხვევაში თავისუფლდება დღგ-საგან, თუ ეს საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან.

აღსანიშნავია, რომ საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები იბეგრება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას გადაიხდევინება დღგ ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო იმპორტიორს უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით.

თავი 8.

საბაჟო გადასახდელები ცალკეული საბაჟო რეჟიმების თავისებურებების მიხედვით

- იმპორტი ანუ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება
- რეიმპორტი
- ტრანზიტი
- საბაჟო საწყობი
- უბაჟო ვაჭრობა
- საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე. საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლქვეშ. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ
- თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება
- ექსპორტი
- რეექსპორტი
- დროებით შემოტანა/გატანა
- საქონლის განადგურება. უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ

8.1. იმპორტი ანუ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი (აგრეთვე ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელიც არ განიხილება, როგორც საქონელი) შემოდის ან გადის სხვადასხვა საბაჟო რეჟიმების მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონელი საქართველოს საბაჟო საზღვარს კვეთს სხვადასხვა წესით და ფორმით. შესაბამისად, ხშირად დაბეგვრის ობიექტად აღიარებენ, როგორც თავად საქონელს, ასევე ამ საქონლის სათანადო რეჟიმებს. ამასთან, სხვადასხვა საბაჟო რეჟიმს ახასიათებს დაბეგვრის სხვადასხვა ნიუანსი.

როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობა განიხილავს 15 საბაჟო რეჟიმს, რომელთაგან თითოეულს დაბეგვრის სათანადო მექანიზმი მიესადაგება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბაჟო გა-

დასახდელებით დაბეგვრის საკითხებს მრავალი კანონი აწესრიგებს. მათ შორის ძირითადია საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კანონები ,,საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" და ,,საბაჟო მოსაკრებლების შესახებ".

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით (რომელიც აწესრიგებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ-გატანილი საქონლის დღგ-ით და აქციზით, აგრეთვე რიგ საქონელზე ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის საკითხებს), ამ კოდექსში დაბეგვრის თვალსაზრისით ნახსენები საბაჟო რეჟიმები გაგებულ უნდა იქნეს იმ ასპექტით, რა ასპექტითაც ეს რეჟიმები გადმოცემულია საქართველოს საბაჟო კოდექსით. აქედან გამომდინარე, განვიხილოთ იმპორტის ანუ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმები საბაჟო გადასახდელების დარიცხვის თანმიმდევრობის მიხედვით (საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აქციზი, დღგ).

იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი იბეგრება საბაჟო მოსაკრებლის შესაბამისი განაკვეთით. ამ შემთხვევაში კანონმდებლობა არ ახდენს იმპორტის, როგორც რეჟიმის მიმართ, საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრის რაიმე დიფერენციაციას. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საბაჟო მოსაკრებელი დაერიცხება ნებისმიერ, თხუთმეტივე საბაჟო რეჟიმით შემოტანილ-გატანილ საქონელს.

,,საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" საქართველოს კანონით საბაჟო გადასახადის განაკვეთებით იბეგრება მხოლოდ საქონლის იმპორტი, ხოლო ამ გადასახადისაგან თავისუფლდება ის საბაჟო რეჟიმები, რომელთაც არ შეესაბამება იმპორტის შესაბამისი განაკვეთები. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებლობით იბეგრება მხოლოდ საქონლის იმპორტი (რადგანაც მხოლოდ იმპორტს შეესაბამება შესაბამისი განაკვეთები). აქედან გამომდინარე, ყველა სხვა საბაჟო რეჟიმი ავტომატურად უნდა გათავისუფლდეს საბაჟო გადასახადით დაბეგვრისაგან, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ ზოგიერთ რეჟიმს ათავისუფლებს დაბეგვრისაგან, ამასთან მხოლოდ სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით. კერძოდ, საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება ექსპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, საბაჟო საწყობი და დროებით შემოტანა/გატანა. ერთადერთი გამონაკლისი დაშვებულია ნავთობის მსუბუქი,

საშუალო და მძიმე დისტილატების მიმართ, რომლის შემოტანა/გატანა ნებისმიერი, კანონმდებლობით დაშვებულ საბაჟო რეჟიმში, გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან.

იმპორტის საბაჟო რეჟიმის დაბეგვრა აქციზის და დღგ-ით ასევე კოლიზიური ელემენტების მომცველია. კერძოდ, აქციზით იბეგრება იმპორტი (თუ საქონელი არ არის გათავისუფლებული აქციზისაგან), ანუ აქციზით დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის იმპორტი. აქედან გამომდინარე, სხვა საბაჟო რეჟიმით შემოტანილი საქონელი არ უნდა იბეგრებოდეს აქციზით, მაგრამ კანონმდებლობა ჩამოთვლის იმ საბაჟო რეჟიმებს, რომლებიც თავისუფლდება აქციზისაგან. ეს რეჟიმებია: ტრანზიტი, დროებით შემოტანა და რეექსპორტი. რაც შეეხება ექსპორტს, იგი იბეგრება აქციზის ნულოვანი განაკვეთით.

მსგავსი ვითარება გვაქვს იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის თვალსაზრისით. კერძოდ, დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი იმპორტი, ხოლო დასაბეგრი იმპორტი განისაზღვრება, როგორც იმ საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის გათავისუფლებული დღგ-საგან. აქედან გამომდინარე, სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი არ უნდა იბეგრებოდეს დღგ-ით. თუმცა კანონმდებლობა ჩამოთვლის იმ საბაჟო რეჟიმებს, რომელიც უნდა გათავისუფლდეს დღგ-საგან. ეს რეჟიმებია: დროებით შემოტანა, ტრანზიტი, რეიმპორტი და რეექსპორტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაჟო გადასახადით, აქციზით და დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი საბაჟო რეჟიმების მიხედვით განსხვავებულია და წინააღმდეგობრივი. სახელდობრ, საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება მხოლოდ იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, საბაჟო საწყობი და დროებითი შემოტანა; აქციზისაგან თავისუფლდება მხოლოდ იმპორტი, ტრანზიტი, დროებით შემოტანა და რეექსპორტი; დღგ-საგან თავისუფლდება მხოლოდ იმპორტი, დროებით შემოტანა, ტრანზიტი, რეიმპორტი და რეექსპორტი.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დღგ-სა და აქციზისაგან თავისუფლდება მხოლოდ საქონელი (ასევე იბეგრება მხოლოდ საქონელი). ცნება „საქონელი“ საბაჟო კოდექსის მიხედვით განსხვავებული შინაარსის შემცველია საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საქონ-

ლის ცნებასთან შედარებით. კერძოდ, საბაჟო კოდექსის მიხედვით ცნება ,,საქონელში" არ ექცევა ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელიც გამოიყენება მგზავრების საერთაშორისო გადაყვანისა და საქონლის საერთაშორისო გადაზიდვისათვის, მათ შორის კონტეინერები, მისაბმელები და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობა. შესაბამისად იმპორტის ან სხვა ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში მოქცეული ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები არ უნდა დაიბეგროს აქციზით, დღგ-ით და საბაჟო გადასახადით (უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები არ უნდა მოექცეს არცერთ საბაჟო რეჟიმში, გარდა ტრანზიტისა, რადგან ის არ არის საქონელი).

82. რეიმპორტი

რეიმპორტის რეჟიმში მოქცეული საქონელი, ჩვეულებრივ, იბეგრება საბაჟო მოსაკრებლის იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება იმპორტის საბაჟო რეჟიმს. მოცემული რეჟიმი არ თავისუფლდება საბაჟო გადასახადისა და აქციზისაგან, ხოლო დღგ-საგან გათავისუფლებულია იმ პირობით, თუ ამავდროულად გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათავისუფლებულ საქონელს.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რეიმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს უნდა დაიდოს შესაბამისი საბაჟო გარანტია, რაც ასევე კოლიზიას წარმოადგენს.

83. ტრანზიტი

ტრანზიტი ითვალისწინებს, როგორც საქონლის, ასევე ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების მოქცევას ამ რეჟიმში (სხვა საბაჟო რეჟიმები ითვალისწინებენ მხოლოდ საქონლის მოქცევას ამ საბაჟო რეჟიმებში). ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით, ტრანზიტის დროს, საბაჟო მოსაკრებელი ერიცხება არა საქონელს ან სატრანსპორტო საშუალებას, არამედ ,,ტვირთს", რაც წინააღმდეგობაში მოდის საბაჟო კოდექსის შესაბამის მუხლებთ-

ან, რომლებითაც განსაზღვრულია ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის არსი და რომელთა მიხედვით ამ რეჟიმში შეიძლება მოექცეს საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება (და არა ,,ტვირთი").

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია ტრანზიტის რეჟიმში მოქცეული საქონელი (და არა ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელიც არ ექცევა საქონლის ცნებაში). ასევე საქონლის ტრანზიტი თავისუფლდება აქციზისა და დღგ-საგან.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ არ შესრულდა ტრანზიტის რეჟიმის სათანადო პირობები დეკლარანტი ვალდებულია გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები იმპორტის რეჟიმის შესაბამისად.

თავისებურებას წარმოადგენს ტრანზიტის რეჟიმში მოქცეული ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების საგადასახადო მექანიზმი. კერძოდ, ამ საქონლის ტრანზიტის დროს წარმოდგენილ უნდა იქნეს საბაჟო გარანტია (საბანკო, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისის ან ფულადი დეპოზიტის სახით) იმ ოდენობით, რომელიც შეესაბამება იმპორტის საბაჟო რეჟიმს. შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას ბრუნდება ფულადი დეპოზიტი ან უქმდება შესაბამისი გარანტიები.

8.4. საბაჟო საწყობი

საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცეული საქონელი იბეგრება საბაჟო მოსაკრებლით, რომელიც გათვალისწინებულია იმპორტის საბაჟო რეჟიმისათვის. რაც შეეხება აქციზსა და დღგ-ს, საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლი არ ითვალისწინებს ამ რეჟიმის გათავისუფლებას, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქციზითა და დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი იმპორტის რეჟიმი (და არა დასაბეგრი საბაჟო საწყობის რეჟიმი).

ამ რეჟიმში მოქცეული საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. სიახლეა ის ფაქტი, რომ საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება საქონლის მესაკუთრეს, მფლობელსა ან მათ მიერ უფლებამოსილ პირებთან ერთად ეკისრება, აგრეთვე საბაჟო საწყობის მფლობელს, იმ შემთხვევაში, თუ საქონელი გატანილია საბაჟო საწყობიდან სა-

ბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე ან დაიკარგა. ამ შემთხვევაში საბაჟო საწყობის მფლობელმა უნდა გადაიხადოს შესაბამისი საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმით გათვალისწინებული გადასახადები.

8.5. უბაჟო ვაჭრობა

უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი ექვემდებარება საბაჟო მოსაკრებლებით დაბეგვრას იმპორტის რეჟიმის შესაბამისად. რაც შეეხება საბაჟო გადასახადს, აქციზსა და დღგ-ს, შესაბამისი კანონმდებლობა ამ რეჟიმების გათავისუფლებას არ ითვალისწინებს, თუმცა, როგორც აღვნიშნავდით, ამ გადასახადებით დაბეგვრის ობიექტი ყოველთვის იმპორტია.

8.6. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე. საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლქვეშ. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ

მოცემული საბაჟო რეჟიმები ექვემდებარება საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრას იმპორტის რეჟიმის შესაბამისად. ამასთან, საბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო კონტროლქვეშ საქონლის გადასამუშავებლად შემოტანის დროს დატოვებულ უნდა იქნეს საბანკო გარანტია ან ფულადი დეპოზიტი იმპორტის რეჟიმით გათვალისწინებული გადასახადების შესაბამისად. შემდგომ, გადამუშავებით მიღებული საქონლის ექსპორტის დროს, საბანკო გარანტია უქმდება ან ფულადი დეპოზიტის თანხები უბრუნდება ექსპორტიორს, ხოლო ამ საქონლის იმპორტის რეჟიმში მოქცევის დროს შესაბამისი თანხები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

რაც შეეხება საქონლის გადამუშავებას საბაჟო ტერიტორიის გარეთ, ეს რეჟიმი მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათავისუფლებული საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დღგ-საგან, თუმცა საბაჟო გადასახადით, აქციზით და დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია მხოლოდ საქონლის იმპორტი.

8.7. თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება

თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში შეიძლება განთავსებულ ან გამოყენებულ იქნეს, როგორც შემოტანილი უცხოური, ასევე ადგილობრივი სამამულო საქონელი. ორივე შემთხვევაში გამოიყენება საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრა იმპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად.

სამამულო საქონლის განთავსების დროს გამოიყენება ექსპორტის საბაჟო რეჟიმის ადექვატური დაბეგვრის მექანიზმი, ანუ მოცემული საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან და დაიბეგრება აქციზისა და დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით. რაც შეეხება უცხოური საქონლის განთავსებას თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში, იგი მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათავისუფლებული საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დღგ-საგან, თუმცა აქაც ვრცელდება ის პირობები, რომლის მიხედვით ზემოაღნიშნული გადასახადებით იბეგრება მხოლოდ საქონლის იმპორტი.

8.8. ექსპორტი

საქონლის ექსპორტი ექვემდებარება საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრას, ჩვეულებრივ, იმპორტის საბაჟო რეჟიმით გაფორმების შესაბამისად.

ამასთან, საქონლის ექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან და იბეგრება აქციზისა და დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით (გამონაკლისია შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი, რომელიც გათავისუფლებულია დღგ-საგან).

8.9. რეექსპორტი

საქონლის რეექსპორტი იბეგრება საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთით იმპორტის რეჟიმის შესაბამისად.

საქონლის რეექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დღგ-საგან იმ პირობით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტისათვის გათვალისწინებულ საქონელზე გა-

დაიხდევინება საბაჟო გადასახადი, შესაბამისად აქციზი და დღგ ან დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება შესაბამისი გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით.

8.10. დროებით შემოტანა/გატანა

დროებით შემოტანა/გატანის რეჟიმში მოქცეული საქონელი ექვემდებარება საბაჟო მოსაკრებლებით დაბეგვრას საქონლის წონის შესაბამისად (გარდა 24 საათზე მეტი ხნის ვადით შემოსაჯვანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა).

დროებით შემოტანა გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დღგ-საგან სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით. კერძოდ, ეს ეხება, როგორც ცალკეული სახის საქონლის გათავისუფლებას, ასევე პირობით გათავისუფლებას. ამასთან, ამ საკითხში არსებობს საკანონმდებლო კოლიზიები, რაც ვფიქრობთ, ნაჩქარევი (ნაუცბათევი) საკანონმდებლო ცვლილებით არის გამოწვეული.

• ***საქონლის დროებითი შემოტანის გათავისუფლება საბაჟო გადასახადისაგან***

საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება მხოლოდ ზოგიერთი საქონლის დროებითი შემოტანა. კერძოდ:

ა) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომლებიც შემოჰყავთ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის:

ა.ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება, შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვა);

ა.ბ) წარმოდგენებში, გამოფენებში, კონკურსებში, შეჯიბრებებში ან ჩვენებებში მონაწილეობა;

ა.გ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვა), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);

ა.დ) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციისა და სხვა მიზნებისათვის):

ა.ე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

ა.ვ) ძოვება;

ა.ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირების განხორციელება;

ა.თ) სამედიცინო მიზნები (გველის შხამის მიღება და სხვა);

ბ) ბაზრობების, გამოფენების, სხვადასხვა სახის შეხვედრებისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი, გარდა ღონისძიებებზე წარმოდგენილი დასახარჯი (მოსახმარი, გასანადგურებელი) უცხოური საქონლის ნიმუშებისა (კვების პროდუქტები, ელექტროშედუღებისათვის განკუთვნილი ელექტროდები, საღებავი, ლაქი, შპალერი, ნაბეჭდი მასალები, კატალოგები, სარეკლამო პლაკატები, ფასების მაჩვენებლები და სხვა). ეს საქონელია:

ბ.ა) საქონელი, რომელიც განკუთვნილია იმპორტული დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.ბ) სამშენებლო და დეკორატიული მასალები (ელექტრომოწყობილობების ჩათვლით), რომლებიც აუცილებელია იმპორტული დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.გ) სარეკლამო-საჩვენებელი მასალა, რომელიც განკუთვნილია უცხოური საქონლის საჯარო დემონსტრაციისათვის (ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, ფილმები და სლაიდები, ასევე სხვა შესაბამისი მოწყობილობა);

გ) კინემატოგრაფიის, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემების განხორციელებისათვის საჭირო პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც ეკუთვნის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებულ პირს, საქართველოში შემოტანილია და გამოიყენება ამავე პირის მიერ მხოლოდ პრესის, ხმოვანი და სატელევიზიო მოწყობილობებისათვის, რომლებიც საჭიროა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებული პრესის, მაუწყებლობის ან სატელევიზიო ორგანიზაციის ამ წარმომადგენლობისათვის, რომელიც ამზადებს ან გადასცემს რეპორტაჟებს ან იწერს სპეციალურ პროგრამებს; კინემატოგრაფიული მიზნებისათვის განკუთვნილი პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებული იმ პირისათვის, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს ფილმის (ფილმების) გადაღებას (აღნიშნული პროცედურები არ ვრცელდება იმ პროფესიონალურ მოწყობილობებზე, რომ-

ლებიც საჭიროა იმავე მიზნებისათვის, როდესაც არსებობს ერთობლივი სამუშაო კონტრაქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაარსებულ პირთან). ეს მოწყობილობებია:

გ.ა) პერსონალური კომპიუტერები, ტელეფაქსები, საბეჭდი მანქანები, ყველა სახის კამერები, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, შესამოწმებელი და გასაზომი ინსტრუმენტები და აპარატურა (ოსცილოგრაფები, ფირებისა და ვიდეოჩამწერების შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრები, ინსტრუმენტების ყუთები და ჩანთები, ვექტოროსკოპები, ვიდეოგენერატორები და ა.შ.), გასანათებელი დანადგარები, საოპერატორო ნაწილები (კასეტები, ექსპონომეტრები, ლინზები, კომპასები, აკუმულატორები, ბატარეები, ბატარეების დამმუხტველები, მონიტორები, საათები, მიკროფონები, ტრანსფორმატორები, ჰაერის გამაცხელებლები, საკონდიციონერო და სავენტილაციო დანადგარები და სხვა);

გ.ბ) ტელესაკომუნიკაციო დანადგარები, როგორიცაა მიმღებ-გადამცემები, მისაერთებელი ტერმინალები, სატელიტური დამაკავშირებლები, სიხშირის გამომსხივებელი აუდიო დანადგარები;

გ.გ) ტელეკინოაპარატურა, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი და სარეპროდუქციო აპარატურა, სამონტაჟო დანადგარები, მუსიკალური ინსტრუმენტები, დეკორაციები, ასაწევი მასალები, ჰაერის გამოსაშრობები;

გ.დ) სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები, როგორიცაა სატელევიზიო გადამცემი, ასევე ვიდეოჩამწერი, ხმის ჩამწერი, სარეპროდუქციო, ნელმავალი, გამანათებელი და სატელევიზიო დანადგარების ნაწილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები და სპეციალურად შექმნილი სხვა სატრანსპორტო საშუალებები;

დ) საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ან/და დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურებების, ავარიისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციოდ;

ე) სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ დამხმარე საშუალებათა შენახვის, შემოწმების, რემონტის ან დაყალიბებისათვის, მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ე.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ, მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ე.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ე.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

ვ) სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ მოწყობილობათა შენახვის, შემოწმების, რემონტის ან დაყალიბებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ვ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ, მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ვ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ვ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

ზ) სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია საავადმყოფოებისა და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, დიაგნოსტიკური ან თერაპევტული მიზნებისა და გაგზავნილია განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე, უფასოდ;

თ) სატრანსპორტო საშუალებები, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

თ.ა) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

თ.ბ) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად ამავე პირის მიერ;

ი) საქონელი დიპლომატიური, კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული, ტურისტული და გასართობი მიზნებისათვის, იმ

შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

კ) შესაფუთი მასალები, კერძოდ, სავსე ან ცარიელი ფუთები, რომლებიც გამიზნულია სავსე ან ცარიელი სახით დასაბრუნებლად. დროებით შემოტანილი ფუთები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გათვალისწინებულია საქონლის ექსპორტი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან.

თუ ზემოაღნიშნულ საქონელს გაუგრძელდა დროებითი შემოტანის ვადა, მაშინ იგი დაიბეგრება საბაჟო გადასახადით. ამასთან, ზემოაღნიშნული საქონლის ზოგიერთი ტერმინი შემდეგნაირად უნდა იქნეს გაგებული:

ა) ტერმინი ,,ღონისძიება" ნიშნავს:

ა.ა) სავაჭრო, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის ან კერამიკული ნაწარმის გამოფენას, ბაზრობას ან მსგავს საჩვენებელ გამოფენას;

ა.ბ) გამოფენას ან შეხვედრას, რომელიც ორგანიზებულია განათლების, ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების, კულტურის დონის ამაღლებისათვის;

ა.გ) სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჯგუფების შეხვედრას;

ა.დ) ოფიციალური ან ღირსშესანიშნავი ხასიათის წარმომადგენლობით შეხვედრას, გარდა გამოფენებისა, რომლებიც ორგანიზებულია კერძო მიზნებისათვის, მაღაზიებსა და ბიზნეს-ცენტრებში საქონლის გასაყიდად;

ბ) ტერმინი ,,სასწავლო დამხმარე საშუალებები" ნიშნავს დამხმარე საშუალებებს, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო მიზნებისათვის ან პროფესიული წვრთნისათვის, როგორიცაა მოდელები, ინსტრუმენტები, აპარატები და ხელსაწყო მექანიზმები;

გ) ტერმინი ,,დამტკიცებული დაწესებულება" ნიშნავს კერძო ან საჯარო სასწავლო ან პროფესიულ დაწესებულებას, რომელიც არ ითვალისწინებს მოგების მიღებას და რეგისტრირებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც, როგორც სასწავლო დამხმარე საშუალებების მიმღები, გასცემს რწმუნებას დროებითი შემოტანის რეჟიმზე;

დ) ტერმინი ,,სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობა" ნიშნავს

ინსტრუმენტებს, აპარატებს და ხელსაწყო მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის;

ე) ტერმინი ,,მოწყობილობის გაგზავნა განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე" ნიშნავს ნებისმიერი სამედიცინო, ქირურგიული ან ლაბორატორიული მოწყობილობის გაგზავნას ისეთი საავადმყოფოს ან სხვა სახის სამედიცინო დაწესებულების მოთხოვნით, რომელსაც განსაკუთრებულად, აუცილებლად, სასწრაფოდ ესაჭიროება ასეთი მოწყობილობა;

ვ) ტერმინი ,,შესაფუთი მასალა" ნიშნავს:

ვ.ა) საქონლის გარეგანი ან შინაგანი შეფუთვისათვის გამოყენებულ ან გამოსაყენებელ კონტეინერებს;

ვ.ბ) საშუალებებს, რომლებითაც საქონელი არის ან იქნება შეხვეული, შეკრული, მიბმული ან მიმაგრებული. აღნიშნულ საშუალებებში არ იგულისხმება შესაფუთი მასალა, როგორიცაა ჩალა-ნამჯა, ქაღალდი, შუშა-ბამბა, ბურბუშელა და სხვა.

საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი საქონლის დროებით შემოტანა (ვადის გაგრძელების მიუხედავად):

1. გემები და საფრენი საშუალებები;

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის მშენებლობა) შესრულების უზრუნველსაყოფად შემოტანილი საქონელი;

3. საქონელი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო;

4. პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დროებით შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის.

საქონლის დროებითი შემოტანის გათავისუფლება აქციზისაგან

აქციზისაგან თავისუფლდება შემდეგი საქონლის დროებით შემოტანა:

ა) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომლებიც შემოჰყავთ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის:

ა.ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება, შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვა);

ა.ბ) წარმოდგენებში, გამოფენებში, კონკურსებში, შეჯიბრებებში ან ჩვენებებში მონაწილეობა;

ა.გ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვა), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);

ა.დ) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციისა და სხვა მიზნებისათვის);

ა.ე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

ა.ვ) ძოვება;

ა.ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირების განხორციელება;

ა.თ) სამედიცინო მიზნები (გველის შხამის მიღება და სხვა);

ბ) ბაზრობების, გამოფენების, სხვადასხვა სახის შეხვედრებისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი, გარდა ღონისძიებებზე წარმოდგენილი დასახარჯი (მოსახმარი, გასანადგურებელი) უცხოური საქონლის ნიმუშებისა (კვების პროდუქტები, ელექტროშედუღებისათვის განკუთვნილი ელექტროდები, საღებავი, ლაქი, შპალერი, ნაბეჭდი მასალები, კატალოგები, სარეკლამო პლაკატები, ფასების მაჩვენებლები და სხვა). ეს საქონელია:

ბ.ა) საქონელი, რომელიც განკუთვნილია იმპორტული დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.ბ) სამშენებლო და დეკორატიული მასალები (ელექტრომოწყობილობების ჩათვლით), რომლებიც აუცილებელია იმპორტული დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

დროებით შემოტანილი ნებისმიერი საქონელი იმ შემთხვევაში თავისუფლდება აქციზისაგან, თუ იგი იმავდროულად თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად აქ ჩამოთვლილი საქონლის უმრავლესობა აქციზური არ არის.

ბ.გ) სარეკლამო-საჩვენებელი მასალა, რომელიც განკუთვნილია უცხოური საქონლის საჯარო დემონსტრაციისათვის (ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, ფილმები და სლაიდები, ასევე სხვა შესაბამისი მოწყობილობა);

გ) კინემატოგრაფიის, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემების განხორციელებისათვის საჭირო პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც ეკუთვნის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებულ პირს, საქართველოში შემოტანილია და გამოიყენება ამავე პირის მიერ მხოლოდ პრესის, ხმოვანი და სატელევიზიო მოწყობილობებისათვის, რომლებიც საჭიროა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებული პრესის, მაუწყებლობის ან სატელევიზიო ორგანიზაციის იმ წარმომადგენლობისათვის, რომელიც ამზადებს ან გადასცემს რეპორტაჟებს ან იწერს სპეციალურ პროგრამებს; კინემატოგრაფიული მიზნებისათვის განკუთვნილი პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებული იმ პირისათვის, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს ფილმის (ფილმების) გადაღებას (აღნიშნული პროცედურები არ ვრცელდება იმ პროფესიონალურ მოწყობილობებზე, რომლებიც საჭიროა იმავე მიზნებისათვის, როდესაც არსებობს ერთობლივი სამუშაო კონტრაქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაარსებულ პირთან). ეს მოწყობილობებია;

გ.ა) პერსონალური კომპიუტერები, ტელეფაქსები, საბეჭდი მანქანები, ყველა სახის კამერები, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, შესამოწმებელი და გასაზომი ინსტრუმენტები და აპარატურა (ოსილოგრაფები; ფირმებისა და ვიდეოჩამწერების შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრები, ინსტრუმენტების ყუთები და ჩანთები, ვექტოროსკოპები, ვიდეოგენერატორები და ა.შ.), გასანათებელი დანადგარები, საოპერატორო ნაწილები (კასეტები, ექსპონომეტრები, ლინზები, კომპასები, აკუმულატორები, ბატარეები, ბატარეების დამმუხტველები, მონიტორები, საათები, მიკროფონები, ტრანსფორმატორები, ჰაერის გამაცხელებლები, საკონდიციონერო და სავენტილაციო დანადგარები და სხვა);

გ.ბ) ტელესაკომუნიკაციო დანადგარები, როგორიცაა მიმღებ-გადამცემები, მისაერთებელი ტერმინალები, სატელიტური დამაკავშირებლები, სიხშირის გამომსხივებელი აუდიოდანადგარები;

გ.გ) ტელეკინოაპარატურა, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი და სარეპროდუქციო აპარატურა, სამონტაჟო დანადგარები მუსიკალური ინსტრუმენტები, დეკორაციები, ასაწევი მასალები ჰაერის გამოსაშრობები;

გ.დ) სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები, როგორიცაა სატელევიზიო გადამცემი, ასევე ვიდეოჩამწერი, ხმის ჩამწერი, სარეპროდუქციო, ნელმავალი, გამანათებელი და სატელევიზიო დანადგარების ნაწილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები და სპეციალურად შექმნილი სხვა სატრანსპორტო საშუალებები;

დ) საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ან/და დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურებების, ავარიისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციოდ;

ე) სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ დამხმარე საშუალებათა შენახვის, შემოწმების, რემონტის ან დაყალიბებისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა;

ე.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ, მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ე.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ე.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

ვ) სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ მოწყობილობათა შენახვის, შემოწმების, რემონტის ან დაყალიბებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ვ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწეს

ბულების მიერ, მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ვ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ვ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

ზ) სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია საავადმყოფოებისა და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, დიაგნოსტიკური ან თერაპევტული მიზნებისათვის და გაგზავნილია განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე, უფასოდ;

თ) სატრანსპორტო საშუალებები, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

თ.ა) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

თ.ბ) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად ამავე პირის მიერ;

ი) საქონელი დიპლომატიური, კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული, ტურისტული და გასართობი მიზნებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

კ) შესაფუთი მასალები, კერძოდ, სავსე ან ცარიელი ფუთები, რომლებიც გამიზნულია სავსე ან ცარიელი სახით დასაბრუნებლად. დროებით შემოტანილი ფუთები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გათვალისწინებულია საქონლის ექსპორტი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან.

თუ ზემოაღნიშნულ საქონელს გაუგრძელდა დროებითი შემოტანის ვადა, მაშინ მასზე გადაიხდევინება აქციზი, ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიდება საბანკო გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტიურად გატანილი ღირებულების მიხედვით.

აქციზისაგან თავისუფლდება, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი საქონლის დროებით შემოტანა (ვადის გაგრძელების მიუხედავად):

1. მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ

წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო;

2. მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის.

ყველა სხვა აქციზური საქონლის დროებით შემოტანა (ვადის გაგრძელების მიუხედავად) იმ პირობით თავისუფლდება აქციზისაგან, თუ დროებით შემოტანის დროს გადაიხდევინება აქციზი ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო საქართველოდან ამ საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით.

• ***საქონლის დროებითი შემოტანის გათავისუფლება დღგ-საგან.****

დღგ-საგან თავისუფლდება შემდეგი საქონლის დროებით შემოტანა:

ა) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომლებიც შემოჰყავთ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის:

ა.ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება, შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვა);

ა.ბ) წარმოდგენებში, გამოფენებში, კონკურსებში, შეჯიბრებებში ან ჩვენებებში მონაწილეობა;

ა.გ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვა), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);

** დროებით შემოტანილი ნებისმიერი საქონელი იმ შემთხვევაში თავისუფლდება დღგ-საგან, თუ იგი იმავდროულად თასვისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან.*

ა.დ) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციისა და სხვა მიზნებისათვის);

ა.ე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

ა.ვ) ძოვება;

ა.ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირების განხორციელება;

ა.თ) სამედიცინო მიზნები (გველის შხამის მიღება და სხვა);

ბ) ბაზრობების, გამოფენების, სხვადასხვა სახის შეხვედრებისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი, გარდა ღონისძიებებზე წარმოდგენილი დასახარჯი (მოსახმარი, გასანადგურებელი) უცხოური საქონლის ნიმუშებისა (კვების პროდუქტები, ელექტროშედუღებისათვის განკუთვნილი ელექტროდები, საღებავი, ლაქი, შპალერი, ნაბეჭდი მასალები, კატალოგები, სარეკლამო პლაკატები, ფასების მაჩვენებლები და სხვა). ეს საქონელია:

ბ.ა) საქონელი, რომელიც განკუთვნილია იმპორტული დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.ბ) სამშენებლო და დეკორატიული მასალები (ელექტრომოწყობილობების ჩათვლით), რომლებიც აუცილებელია იმპორტული დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.გ) სარეკლამო-საჩვენებელი მასალა, რომელიც განკუთვნილია უცხოური საქონლის საჯარო დემონსტრაციისათვის (ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, ფილმები და სლაიდები, ასევე სხვა შესაბამისი მოწყობილობა);

გ) კინემატოგრაფიის, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემების განხორციელებისათვის საჭირო პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც ეკუთვნის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებულ პირს, საქართველოში შემოტანილია და გამოიყენება ამავე პირის მიერ მხოლოდ პრესის, ხმოვანი და სატელევიზიო მოწყობილობებისათვის, რომლებიც საჭიროა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებული პრესის, მაუწყებლობის ან სატელევიზიო ორგანიზაციის იმ წარმომადგენლობებისათვის, რომელიც ამზადებს ან გადასცემს რეპორტაჟებს ან იწერს სპეციალურ პროგრამებს; კინემატოგრაფიული მიზნებისათვის განკუთვნილი პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებული იმ პირისათვის, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს ფილმის (ფილმე-

ბის) გადაღებას (აღნიშნული პროცედურები არ ვრცელდება იმ პროფესიონალურ მოწყობილობებზე, რომლებიც საჭიროა იმავე მიზნებისათვის, როდესაც არსებობს ერთობლივი სამუშაო კონტრაქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაარსებულ პირთან). ეს მოწყობილობებია:

გ.ა) პერსონალური კომპიუტერები, ტელეფაქსები, საბეჭდი მანქანები, ყველა სახის კამერები, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, შესამოწმებელი და გასაზომი ინსტრუმენტები და აპარატურა (ოსცილოგრაფები, ფირებისა და ვიდეოჩამწერების შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრები, ინსტრუმენტების ყუთები და ჩანთები, ვექტოროსკოპები, ვიდეოგენერატორები და ა.შ.), გასანათებელი დანადგარები, საოპერატორო ნაწილები (კასეტები, ექსპონომეტრები, ლინზები, კომპასები, აკუმულატორები, ბატარეები, ბატერეების დამმუხტველები, მონიტორები, საათები, მიკროფონები, ტრანსფორმატორები, ჰაერის გამაცხელებლები, საკონდიციონერო და სავენტილაციო დანადგარები და სხვა);

გ.ბ) ტელესაკომუნიკაციო დანადგარები, როგორიცაა მიმღებ-გადამცემები, მისაერთებელი ტერმინალები, სატელიტური დამაკავშირებლები, სიხშირის გამომსხივებელი აუდიოდანადგარები;

გ.გ) ტელეკინოაპარატურა, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი და სარეპროდუქციო აპარატურა, სამონტაჟო დანადგარები, მუსიკალური ინსტრუმენტები, დეკორაციები, ასაწევი მასალები, ჰაერის გამოსაშრობები;

გ.დ) სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები, როგორიცაა სატელევიზიო გადამცემი, ასევე ვიდეოჩამწერი, ხმის ჩამწერი, სარეპროდუქციო, ნელმავალი, გამანათებელი და სატელევიზიო დანადგარების ნაწილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები და სპეციალურად შექმნილი სხვა სატრანსპორტო საშუალებები;

დ) საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ან/და დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურებების, ავარიისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციოდ;

ე) სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ დამხმარე საშუალება-

თა შენახვის, შემოწმების, რემონტის ან დაყალიბებისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ე.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ, მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ე.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ე.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

ვ) სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ მოწყობილობათა შენახვის, შემოწმების, რემონტის ან დაყალიბებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ვ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ, მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ვ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ვ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

ზ) სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია საავადმყოფოებისა და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, დიაგნოსტიკური ან თერაპევტული მიზნებისათვის და გაგზავნილია განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე, უფასოდ;

თ) სატრანსპორტო საშუალებები, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

თ.ა) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

თ.ბ) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად ამავე პირის მიერ;

ი) საქონელი დიპლომატიური, კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული, ტურისტული და გასართობი მიზნებისათვის, იმ

შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

კ) შესაფუთი მასალები, კერძოდ, სავსე ან ცარიელი ფუთები, რომლებიც გამიზნულია სავსე ან ცარიელი სახით დასაბრუნებლად. დროებით შემოტანილი ფუთები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გათვალისწინებულია საქონლის ექსპორტი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან.

თუ ზემოაღნიშნულ საქონელს გაუგრძელდა დროებითი შემოტანის ვადა, მაშინ მასზე გადაიხდევინება დღგ ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო აღნიშნული საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით.

დღგ-საგან თავისუფლდება, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი საქონლის დროებითი შემოტანა (ვადის გაგრძელების მიუხედავად):

1. საქონლის დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო;

2. პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დროებით შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

3. გემები და საფრენი საშუალებები;

4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობა) შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანა.

ყველა სხვა საქონლის დროებით შემოტანა (ვადის გაგრძელების მიუხედავად) იმ პირობით თავისუფლდება დღგ-საგან, თუ დროებითი შემოტანის დროს გადაიხდევინება დღგ ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო საქართველოდან ამ საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება დღგ-ს გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით.

8.11. საქონლის განადგურება. უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ

განადგურების ან სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმის რეჟიმებში მოქცეული საქონელი ექვემდებარება საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრას იმპორტის რეჟიმის შესაბამისად. რაც შეეხება საბაჟო გადასახადს, აქციზსა და დღგ-ს, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ რეჟიმების გათავისუფლებას ამ გადასახადებისაგან. თუმცა საბაჟო გადასახადით დაბეგვრის განაკვეთი მხოლოდ იმპორტის რეჟიმს შეესაბამება, ხოლო აქციზითა და დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია იმპორტის რეჟიმი (და არა ზემოაღნიშნული რეჟიმები).

თავი 9.

ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის დაბეგვრა

- ზოგადი დებულებები
- ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია
- ფიზიკური პირის ,,სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია“ ფორმა №2
- ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი საქონლის დაბეგვრისა და განთავისუფლების მექანიზმი

9.1. ზოგადი დებულებები

ფიზიკურ პირს, როგორც მოქალაქეს, შეუძლია საქართველოში შემოიტანოს ან საქართველოდან გაიტანოს ნებისმიერი საქონელი, რომლის შემოტანა ან გატანა კანონმდებლობით აკრძალული არ არის. ფიზიკური პირის მიერ ზოგიერთი სახის საქონლის შემოტანა ან გატანა იზღუდება სპეციალური ნებართვებით ან ლიცენზიებით.

ფიზიკური პირები, როგორც მოქალაქეები, მასობრივად გადიან ან შემოდიან საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით, მათი დაბეგვრის სპეციფიკა განსხვავებულია იურიდიულ პირებთან შედარებით. ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობით, ფიზიკური პირებისათვის შემოღებულია საქონლის დეკლარირების ორი ფორმა. ერთი, რომელიც განკუთვნილია ფიზიკური პირების მიერ პირადი სარგებლობისათვის შემოტანილ-გატანილი საქონლის დეკლარირებისათვის და მეორე, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირების მიერ 700 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის შემოტანა-გატანას.

ფიზიკური პირების მიერ პირადი სარგებლობისათვის შემოტანილ-გატანილი საქონელი დეკლარირდება ,,ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით“, ხოლო 700 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის შემოტანა-გატანა დეკლარირდება ფიზიკური პირის ,,სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია ფორმა №2-ით“.

9.2. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია, როგორც აღვნიშნეთ, ივსება იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი ახორციელებს პირადი სარგებლობის საქონლის გადაადგილებას. პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილ საქონელში იგულისხმება პირადი სარგებლობის საგნები, ვალუტა და ფასიანი ქაღალდები.

პირადი სარგებლობის საგნების, ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების დეკლარირების მექანიზმი მკაცრად დეტერმინირებული არ არის. იგი ზოგჯერ კონკლუდენტურ ხასიათს ატარებს (მაგ. „მწვანე დერეფანი").

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონელი არ ექვემდებარება დაბეგვრას.

9.3. ფიზიკური პირის „სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია" ფორმა №2

ამ დეკლარაციით ხდება ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებული, ექსპორტის ან იმპორტის საბაჟო რეჟიმებში მოსაქცევი საქონლის დეკლარირება. ამასთან, ამ საქონლის დეკლარირება ხორციელდება სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში, ანუ იქ, სადაც ფიზიკური პირი კვეთს საბაჟო საზღვარს.

როგორც აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის მიერ დეკლარირებული საქონლის ღირებულება უნდა იყოს 700 ლარზე ნაკლები (700 ლარზე მეტი ღირებულების საქონლის დეკლარირება ხდება ჩვეულებრივი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციით, რომლითაც სარგებლობენ იურიდიული პირებიც).

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია იმ საქონლის ნუსხა, რომლის დეკლარირება (მიუხედავად ამ საქონლის ღირებულებისა) აღნიშნული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია ფორმა №2-ით აკრძალულია. კერძოდ, დაუშვებელია შემდეგი საქონლის დეკლარირება ზემოაღნიშნული დეკლარაციით:

1. აქციზური საქონელი;

2. მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი გამოხდის პროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; მინერალური ცვილები (ჯგუფი 27);

3. არაორგანული ქიმიის პროდუქტები; ძვირფასი ლითონების, შვიათი ლითონების, რადიაქტიული ელემენტების ან იზოტოპების რაორგანული ან ორგანული ნაერთები (ჯგუფი 28).

4. ორგანული ქიმიური ნაერთები (ჯგუფი 29).

5. ფარმაცევტული პროდუქცია (ჯგუფი 30).

6. ფეთქებადი ნივთიერებები; პიროტექნიკური ნაწარმი; ასანთი, პიროფორული შენადნობები; ზოგიერთი საწვავი ნივთიერება (ჯგუფი 36).

7. მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევარძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები (ჯგუფი 71).

8. ტრაქტორები (8701)

9. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები განკუთვნილი 10 კაცის ან მეტის გადასაყვანად მძღოლის ჩათვლით (8702).

10. მსუბუქი ავტომობილები და ძრავიანი სხვა სატრანსპორტო საშუალებები განკუთვნილი ადამიანების გადასაყვანად (8702 სასაქონლო პოზიციის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გარდა), სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი – ფურგონების და სარბოლო ავტომობილების ჩათვლით (8703).

11. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები ტვირთების გადასაზიდად (8704).

12. სპეციალური დანიშნულების ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, მგზავრების ან ტვირთების გადასაზიდად გამოსაყენებლის გარდა (მაგალითად, სატვირთო-ავარიული ავტომანქანები, ავტოამწეები, სახანძრო სატრანსპორტო საშუალებები, ავტობეტონსარევები, გზების დასუფთავების მანქანები, საწვავ-სარეცხი მანქანები, ავტოსახელოსნოები და ავტომობილები რენტგენული დანადგარებით (8705);

13. სამრეწველო დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები, თვითმავალი, ამწე ან დასატვირთი მოწყობილობით აღჭურვილი, ქარხნებში, საწყობებში, პოსტებში ან აეროპორტებში მოკლე მანძილებზე ტვირთის გადასაზიდად გამოსაყენებელი; საწევარები გამოყენებული სარკინიგზო სადგურების პლატფორმებზე, ზემოთ მოყვანილი სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები (8709).

14. ტანკები და სხვა საბრძოლო თვითმავალი ჯავშნიანი სატრანსპორტო საშუალებები შეიარაღებით ან შეიარაღების გარეშე და მათი ნაწილები (8710);

15. მოტოციკლები (მოპედების ჩათვლით) და ველოსიპედები დაჯენებული დამხმარე ძრავით, ეტლით ან მის გარეშე; ეტლები (8711);

16. ველოსიპედები ორთვლიანი და სხვა სახის ველოსიპედები (სამთვლიანი ველოსიპედები ტვირთების მისატანად) ძრავის გარეშე (8712).

17. ხეიბართა ეტლები, ძრავით ან სხვა გადასაადგილებელი მექანიზმებით აღჭურვილი ან აღუჭურველი (8713);

18. მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები, სხვა არათვითმავალი სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები (8716);

19. საფრენი აპარატები, კოსმოსური აპარატები და მათი ნაწილები (ჯგუფი 88);

20. გემები, ნავები და სხვა მოცურავე საშუალებები (ჯგუფი 89);

21. იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები (ჯგუფი 93).

22. ხელოვნების ნაწარმოებები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი (ჯგუფი 97).

23. ყველა ის საქონელი, რომელიც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებულია დღგ-საგან (გარდა პერიოდული ჟურნალ-გაზეთებისა, მხატვრული ლიტერატურისა და რვეულებისა);

24. ორმაგი დანიშნულების საქონელი;

25. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის №273-IIს დადგენილებით გათვალისწინებული საქონელი.

„სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია ფორმა №2"-ით დეკლარირებული საქონელი ექვემდებარება დაბეგვრას საბაჟო გადასახდელებით (გარდა აქციზისა).

9.4. ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი საქონლის დაბეგვრისა და განთავისუფლების მექანიზმი

ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი საქონლის დაბეგვრისა და გათავისუფლების მექანიზმი რეგულირდება ფიზიკური პირის სტატუსითა და შემოტანილი საქონლის რაოდენობით (ღირებულებითი და წონითი პარამეტრების მიხედვით), კერძოდ, საბაჟო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

1. 300 ლარამდე ღირებულების საქონელი, რომლის წონა არ აღემატება 50 კილოგრამს;

2. შემდეგი აქციზური საქონელი:

ა) ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი - 2 ლიტრი;

ბ) ლუდი - 10 ლიტრი;

გ) სიგარეტი - 200 ღერი;

დ) შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი.

3. ერთი პირისათვის საჭირო სამკურნალო პრეპარატები და სამედიცინო დანიშნულების საგნები.

4. უცხოეთში 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი საქონელი შემდეგი ოდენობით:

ა) 1500 ლარამდე ღირებულების საქონელი, რომლის წონა არ აღემატება 250 კილოგრამს;

ბ) ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი - 2 ლიტრი;

გ) ლუდი - 50 ლიტრი;

დ) სიგარეტი - 200 ღერი.

ზემოაღნიშნულზე მეტი წონის (რაოდენობის) საქონელი იბეგრება საერთო წესით (ყველა საბაჟო გადასახდელის გადახდით).

5. საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემოსული ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი (მათ შორის ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, იჯარაზე ერთი სატრანსპორტო საშუალება).

საბაჟო გადასახადის სპეციფიკური განაკვეთით იბეგრება ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი შემდეგი საქონელი:

1. არაკომერციული დანიშნულებით შემოტანილი 50-დან 100 კგ-მდე წონის საქონელი: 1 კგ-ზე - 1 ლარი;

2. 100 კგ-ზე მეტი საქონლის შემოტანა (ერთჯერადად) იბეგრება საერთო წესით (ყველა საბაჟო გადასახდელით):

3. 20 კილოგრამზე მეტი ოდენობით ერთგვაროვანი საქონლის შემოტანა იბეგრება საერთო წესით (ყველა საბაჟო გადასახდელით).

დანართი №1

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია

საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა ან საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

I ფიზიკური პირის მონაცემები.

1.1 _____ / _____ / _____ / სერია _____ №_____
(გვარი, სახელი, მამის სახელი, პასპორტი)

1.2. _____ / _____
რომელი ქვეყნიდან ჩამობრძანდით რომელ ქვეყანაში მიემგზავრებით.

1.3. მგზავრობის მიზანი: საქმიანი ☐ პირადი ☐ ტურიზმი ☐ სხვა ☐

2. პირადად და ბარგთან ერთად მაქვს:

2.1 საქართველოს ეროვნული ვალუტა და ფასიანი ქაღალდები, უცხოური ვალუტა

ვალუტის დასახელება	რაოდენობა	
	ციფრებით	სიტყვიერად

2.2. ძვირფასეულობა (ძვირფასი ლითონები, ქვები და ნაკეთობები), ანტიკვარული ნივთები და ხელოვნების ნიმუშები (ხატები, ნახატები, ქანდაკებები და სხვა), ყოველგვარი იარაღი, ტყვიწამალი, ადვილადაღებადი ნივთიერება, ნარკოტიკები, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი და მომწამლავი ნივთიერებები, რადიოაქტიური ნივთიერებები, მაღალსიხშირიანი რადიოელექტრონული მოწყობილობები და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ცოცხალი ცხოველები, ცოცხალი ფრინველები, მცენარეები კი ☐ არა ☐

ნივთიერების დასახელება, მათი მოკლე აღწერილობა, საზღვარზე გადაადგილების ნებართვა	რაოდენობა			საბაჟოს აღნიშვნისათვის
	რაოდენობის ერთეული	ციფრებით	სიტყვიერად	

2.3. დაუბეგრავად შემოტანილი აქციზური საქონელი ნორმაზე ზემოთ

2.4. შემოსატანი ერთგვაროვანი საქონელი 20 კგ-ზე მეტი წონის

2.5. შემოსატანი ერთგვაროვანი საქონელი 50 კგ-ზე მეტი წონის

2.6. ჩემგან დამოუკიდებლად იგზავნება ჩემი კუთვნილი ბარგი _____ ადგილი _____


3. ამ გაცნობით შენიშვნას, დეკლარაცია შევსებულია ჩემს მიერ,
რაზეც ხელს ვაწერ თარიღი

---

4. მეზაობის ხელმოწერა _____ ბ.ა.

დანართი №2

სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია ფორმა№2



თავი. 10

საბაჟო გადასახდელების ადმინისტრირების მექანიზმი

- საბაჟო-საგადასახადო კონტროლის ზოგადი პრინციპები
- ფინანსური სანქციები იმპორტირებული საქონლის შიდა ბაზარზე მიმოქცევის დროს
- გადასახადების იძულებით გადახდევინება
- საურავი და ჯარიმა
- საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება
- ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება

10.1. საბაჟო-საგადასახადო კონტროლის ზოგადი პრინციპები

საბაჟო-საგადასახადო კონტროლი საბაჟო გადასახდელების ადმინისტრირების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. მოქმედი კანონმდებლობით, საბაჟო ორგანოებს მიეცათ ადმინისტრირების ის უფლებები, რაც გააჩნიათ საგადასახადო ორგანოებს გადასახადებთან დაკავშირებით. თუმცა, ბუნებრივია, რომ საბაჟო-საგადასახადო ადმინისტრირება საგადასახადო ადმინისტრირებასთან მიმართებით განსხვავებული ხასიათისაა და რიგი სპეციფიკურობებით ხასიათდება, რაც შესაბამისად აისახება სათანადო კონტროლის მექანიზმში.

საგადასახადო შემოწმება საბაჟო ორგანომ შეიძლება ჩაატაროს ორი ფორმით: კამერალური და გასვლითი.

კამერალური შემოწმება გულისხმობს გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის საბაჟო გაფორმების დროს წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებას საბაჟო ორგანოში, ხოლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება ხორციელდება გადამხდელის ოფისში ან შესაბამის ობიექტზე. გასვლითი საგადასახადო შემოწმება არ საჭიროებს გადამხდელისადმი წერილობით შეტყობინებას და იგი ტარდება საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანოში წარდგენილი საბაჟო დეკლარაციით და შესაბამისი დოკუმენტებით არ დასტურდება დაბეგვრის ობიექტისა და გამოანგარიშებული გადასახადების რეალობა. ასეთი შემოწმება შესაძლებელია აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც გადასახადის გადამხდე-

ლი (ამ შემთხვევაში იმპორტიორი) არღვევს საგადასახადო ვალდებულებებს და ასეთი ფაქტები დადასტურებულია.

საგადასახადო-საბაჟო შემოწმების შედეგები ფორმდება აქტით, რომელსაც ხელს აწერს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი (ანუ შემმოწმებელი) და გადასახადის გადამხდელი.

10.2. ფინანსური სანქციები იმპორტირებული საქონლის შიდა ბაზარზე მიმოქცევის დროს

თუ გადასახადის გადამხდელის საწარმოში აღმოჩნდა იმპორტირებული საქონელი საბაჟო დეკლარაციის (სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის) გარეშე, მაშინ გადასახადის გადამხდელს გადახდება თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამ საქონლის საბაზრო ფასებით დღგ-სა და აქციზის გარეშე. ანალოგიურად, თუ გადასახადის გადამხდელი ახდენს საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონლის ტრანსპორტირებას შესაბამისი საბაჟო დეკლარაციის (სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის) გარეშე, მაშინ მას გადახდება თანხები საქონლის საბაზრო ფასებით დღგ-სა და აქციზის გარეშე. აქ მხედველობაში არ მიიღება ის ფაქტი, რომ საქონელი შესაძლებელია მოძრაობდეს საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო დეკლარაციების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ამ საქონელზე გამოწერილია სათანადო შიდა ტრანზიტის ფორმა (შსტ).

ამასთან, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს ჯარიმის თანხის გადახდამდე მოახდინოს საბაჟო დეკლარაციების გარეშე ტრანსპორტირებული საქონლის დაყადაღება.

10.3. გადასახადების იძულებით გადახდევინება

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია, რომ, თუ საბაჟო გადასახდელები განსაზღვრულ ვადაში არ იქნა გადახდილი გადამხდელის მიერ, მაშინ საბაჟო ორგანოები ახორციელებენ საბაჟო გადასახდელების იძულებით გადახდევინებას იმავე წესით, რაც დადგენილია საგადასახადო ორგანოებისათვის.

როგორც აღვნიშნავდით, „განსაზღვრულ ვადაში“ გადასახადების გადაუხდელობა არ არის ტიპიური საბაჟო ურთიერთობისათვის, განსხვავებით საგადასახადო ურთიერთობებისაგან. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საბა-

ჟო გადასახდელები გადაიხდება საბაჟო გაფორმების დამთავრებამდე, ხოლო საგადასახადო გადასახადები (აქციზი, დღგ) გადახდილ უნდა იქნეს განსაზღვრულ ვადაში (მაგ. დღგ- კალენდარულ თვეში). ამასთან, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, საბაჟო გადასახდელების დადგენილ ვადაში გადაუხდელობა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ არ ჩავთვლით შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევით საქონლის გათავისუფლებას საბაჟო გადასახდელებისაგან ან საზოგადოდ საბაჟო წესების დარღვევას.

გადასახადის იძულებით გადახდევინება ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

1. საგადასახადო გირავნობა;

2. ქონებაზე ყადაღის დადება;

3. მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა.

საგადასახადო გირავნობა განიმარტება, როგორც სახელმწიფოს (საბაჟო ორგანოს) უფლება დაიკმაყოფილოს საგადასახადო ვალდებულება გადასახადის გადამხდელის ქონების იმ ნაწილიდან, რომლის ღირებულებაც საკმარისია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვისათვის.

გირავნობის უფლების შესახებ შეტყობინება საბაჟო ორგანოს მიერ ეგზავნება გადასახადის გადამხდელს და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს (საჯარო რეესტრი) 3 დღის ვადაში, ხოლო მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია 24 საათის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატაროს გირავნობის უფლება. საგადასახადო გირავნობის უფლების ვადა განისაზღვრება 6 წლით საგადასახადო ვალდებულებების წარმოქმნის დღიდან.

გირავნობის უფლების რეალიზაცია ხდება ქონებაზე ყადაღის დადებით.

ყადაღის დადება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. იგი შეუძლია განახორციელოს საბაჟო ორგანომ იმ შემთხვევაში, თუ: ა) გადასახადის გადამხდელმა აღიარა გადაუხდელი თანხის ფაქტი; ან ბ) ასეთი ფაქტი დადგენილია სასამართლოს მიერ.

თუ ზემოაღნიშნული ორი პირობიდან ერთ-ერთი შესრულებულია, მაშინ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა გადამხდელის შესაბამის ქონებას, რის შესახებაც საბაჟო ორგანო წერილობით ატყობინებს გადასახადის გადამხდელს არანაკლებ 30 დღით ადრე ყადაღის დადებამდე.

საბაჟო ორგანოს ყადაღის დადების უფლება აქვს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მიიჩნევს, რომ გადასახადის გადახდას საფრთხე ემუ-

ქრება და საჭიროა ყადაღის დაუყონებლივ დადება, ან გადასახადის დაუყონებლივი გადახდის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანო ადებს ყადაღას გადასახადის გადამხდელის შესაბამის ქონებას და ამ გადაწყვეტილებას იგი აცნობებს სასამართლოს არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. სასამართლო ვალდებულია მომდევნო 72 საათის განმავლობაში გამოიტანოს სათანადო გადაწყვეტილება. თუ სასამართლო გამოიტანს უარყოფით გადაწყვეტილებას, ყადაღა უნდა მოიხსნას.

დაყადაღებული ქონების რეალიზაცია ხდება ღია აუქციონის სახით. აუქციონს აწყობს საბაჟო დეპარტამენტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პირველ აუქციონზე შესაბამის საქონელზე შემოთავაზებული ფასი არ უნდა იყოს ამ საქონლის ღირებულების 70%-ზე ნაკლები, ხოლო მეორე აუქციონზე - 50%-ზე ნაკლები (ყადაღის დადებისა და აუქციონის გამართვის მექანიზმები რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 20 სექტემბრის №297 და საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და იუსტიციის მინისტრების ერთობლივი 2002 წლის 17-12 დეკემბრის №1037 ბრძანებებით).

მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა საბაჟო პრაქტიკაში ძირითადად შეიძლება დაემთხვეს საბაჟო გარანტიებზე წარმოქმნილ ვალდებულებებს. კერძოდ, თუ იმპორტიორს შესაბამის საქონელზე დატოვებული აქვს საბაჟო გარანტია სხვადასხვა ფორმით და არსებობს სათანადო აღიარებული ვალდებულებები, მაშინ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს შესაბამისი გარანტიის გამცემის საბანკო ანგარიშებიდან მოახდინოს საინკასო დავალებით კუთვნილი თანხების ჩამოწერა. საინკასო დავალებით თანხების ჩამოწერა იმ შემთხვევაში ხორციელდება, თუ გადასახდელი თანხის გადახდის ვალდებულება აღიარებული აქვს გარანტიის გამცემს (მესამე პირს), ან ეს ფაქტი დადგენილია სასამართლოს მიერ. ანალოგიური მექანიზმი მოქმედებს მესამე პირების ქონების მიმართ. ამ შემთხვევაში მესამე პირმა (გარანტიის გამცემმა) შესაბამისი გადასახადის თანხის ოდენობის ქონება უნდა გადასცეს საბაჟო ორგანოს.

10.4. საურავი და ჯარიმა

როგორც აღვნიშნეთ, გადასახადის გადახდის დადგენილი ვადა საბაჟო ურთიერთობებისათვის განისაზღვრება საბაჟო გაფორმებამდელი პერიოდით, რაც იმას ნიშნავს, რომ საბაჟო გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს საბაჟო გაფორმების დამთავრებამდე, ანუ გადასახადის გადახდა წინ უსწრებს გაფორმების დამთავრების ვადას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია საურავის დარიცხვა იმპორტირებულ საქონელზე, თუ იგი ქვეყნის ტერიტორიაზე საბაჟო წესების დარღვევით არ არის შემოსული. საბაჟო წესების დარღვევა ითვალისწინებს საქონლის გადატანას ან გადმოტანას საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტების ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. ამასთან, ამ შემთხვევაში, საურავის დარიცხვის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს ეს საქონელი დიდი ოდენობით შემოდის თუ ექვემდებარება დაბეგვრის მინიმალურ პარამეტრებს.

ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს გადაუხდელი თანხის 0,15%-იანი საურავი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე - გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან (ანუ იმ დროიდან, როცა მას უნდა მოეხდინა საბაჟო გაფორმება) გადასახადის გადახდის თარიღამდე.

გადამხდელს საურავი არ ერიცხება, თუ საბაჟო ორგანოებს ჰქონდათ ზემდგომი ორგანოებიდან არასწორი წერილობითი მითითება დაბეგვრის ნორმასთან ან შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გადასახადი დროულად არ იქნა გადახდილი.

გადასახადის გადახდის ვადის განსაზღვრა გარკვეულწილად უკავშირდება საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადებს. დეკლარანტმა საქონლის შემოტანის დროს საბაჟო დეკლარაცია უნდა წარუდგინოს საბაჟო ორგანოს არა უგვიანეს 2 დღისა საქონლის წარდგენიდან, ხოლო საბაჟო ორგანომ მოცემული საბაჟო დეკლარაცია უნდა შეამოწმოს მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა. ამ ვადაში (3 დღეში) არ შედის ის დრო, რომელიც სჭირდება სხვა სახელმწიფო ორგანოებს (მაგ. ფიტო-ვეტ კონტროლს და ა.შ.) საქონლის შემოწმებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, როგორც წესი, საქონელი საბაჟო გაფორმებას ექვემდებარება საბაჟო ორგანოში წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა. შესაბამისად საბაჟო გადასახდელების გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ვადაში.

მოქმედი კანონმდებლობა, საურავების გარდა, ითვალისწინებს აგრეთვე ჯარიმებს გადასახადების შემცირებისათვის. კერძოდ, საბაჟო დეკლარაციაში გადასახადის ოდენობის შემცირებისათვის გადასახადის გადამხდელი ფინანსური სანქციის სახით ჯარიმდება გადასახადის შემცირებული თანხის 25 პროცენტის ოდენობით.

თუ გადასახადის შემცირებული თანხა 5000-დან 10000 ლარამდეა, მაშინ ჯარიმა შეადგენს ამ თანხის 50%-ს, ხოლო თუ შემცირებული თანხა 10000 ლარზე მეტია, მაშინ ჯარიმა შეადგენს 100%-ს.

10.5. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბაჟო ორგანოებს აქვთ არა მარტო გადასახადების ადმინისტრირების, არამედ მეწარმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის უფლებაც. ეს უფლება ვრცელდება იმ მეწარმეებზე, რომლებიც ახორციელებენ საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას. საბაჟო ორგანოების კონტროლს ექვემდებარება იმ მეწარმეების საქმიანობა, რომლებიც ახორციელებენ გარკვეული პირობით გამოშვებული საქონლის იმპორტს, აგრეთვე გადამუშავების რეჟიმით საქონლის შემოტანას.

აღსანიშნავია, რომ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების, და საერთოდ, ნებისმიერი შემოწმების უფლება საბაჟო ორგანოს აქვს მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

10. 6. ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება

საბაჟო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც იმპორტიორი ზედმეტად იხდის გადასახადებს. მოქმედი კანონმდებლობით, გადასახადის გადამხდელ უფლებამოსილია საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა. საგადასახადო პერიოდად იგულისხმება კალენდარული თვე.

საბაჟო გადასახდელებისა და შესაბამისი პროცენტის თანხა გადასახადის

გადამხდელს (იმპორტიორს) უნდა დაუბრუნდეს საბაჟო ორგანოში განცხადების შეტანის დღიდან 30 დღის განმავლობაში. ამასთან, ძირითად თანხას დაერიცხება პროცენტი, რომელიც ყოველი კვარტლისათვის შეადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს (2003 წელს იგი იყო 9%). პროცენტის გაანგარიშება უნდა მოხდეს გადასახადის გადამხდელის მიერ განცხადების წარდგენის მომენტიდან ნამეტი თანხის (ზედმეტი თანხის) დაბრუნების მომენტამდე არსებული პერიოდის მიხედვით.

თავი 11.

არასაბაჟო გადასახადები, რომელიც გადაიხდება ზოგიერთი სახის საქონლის იმპორტის დროს ან იკრიბება საბაჟო ორგანოების მიერ

- გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის
- გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის

11.1. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის

გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის (ე.წ. ეკოლოგიის გადასახადი) წარმოადგენს ეკოლოგიური ზიანის აღმოფხვრის მიზნით ერთგვარ საკომპენსაციო გადასახადს. გადასახადი გათვალისწინებულია თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობით.

საბაჟო ურთიერთობათა თვალსაზრისით ეკოლოგიის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს ბენზინის, დიზელის, ნავთის, მაზუთის, ბუნებრივი და თხევადი აირის იმპორტს (გარდა საქონლის საწარმოებლად ნედლეულის სახით გამოყენებული ბუნებრივი აირისა). იმპორტის გარდა, სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი არ ექვემდებარება ეკოლოგიის გადასახადით დაბეგვრას.

ეკოლოგიის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული ბენზინის, დიზელის, ნავთის, მაზუთის, ბუნებრივი და თხევადი აირის მოცულობა და წონა, რომელსაც შეესაბამება გადასახადის ფიქსირებული განაკვეთები. კერძოდ, იმპორტის რეჟიმში მოქცეული ზემოაღნიშნული საქონელი იბეგრება ეკოლოგიის გადასახადის შემდეგი ოდენობის განაკვეთებით:

ეკოლოგიის გადასახადის გადახდა ხდება საგადასახადო ორგანოში სათანადო საქონლის საბაჟო გაფორმებამდე. შესაბამისად, საბაჟო ორგანოში საქონლის გაფორმების დროს იმპორტიო-

NN	საწვავის დასახელება	ზომის ერთეული	გადასახადის განაკვეთი ლარებში
1.	ეთილირებული ბენზინი	1 კილოგრამი	0,12
2.	არაეთილირებული ბენზინი	1 კილოგრამი	0,04
3.	დიზელის საწვავი	1 კილოგრამი	0,035
4.	საავთი	1 კილოგრამი	0,02
5.	0,5%-დან 2%-ის ჩათვლით გოგირდშემცველობის მაზუთი	1 კილოგრამი	0,01
6.	2%-ზე ზევით გოგირდ შემცველობის მაზუთი	1 კილოგრამი	0,02
7.	თხევადი აირი	1 კილოგრამი	0,01
8.	ბუნებრივი აირი	1 კუბური მეტრი	0,005

რი წარადგენს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულ ცნობას ეკოლოგიის გადასახადის გადახდის შესახებ, რაც საბაჟო გაფორმების პროცედურების ჩატარების ერთ-ერთი საფუძველია.

112. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვის გადასახადის ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს საავტომობილო გზების დაცვა და აღდგენა. საქართველოში ამ გადასახადის აკრებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე ახორციელებს საბაჟო დეპარტამენტი.

ზემოაღნიშნული გადასახადით დაბეგვრის სუბიექტებია:

1. პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლია;

2. პირი, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლია და საქართველოს ტერიტორიას ტრანზიტით გაივლის, ითვლება შე-

მოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვის გადასახადის გადამხდელად.

3. პირი, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლია და საქართველოს ტერიტორიას გაივლის ტრანზიტით, ითვლება შემოსვლის გადასახადის გადამხდელად.

4. პირი, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული სატვირთო ავტომობილის მფლობელი ან მძღოლია და საქართველოს ტერიტორიაზე შემოდის, ითვლება ზენორმატიული დატვირთვის გადასახადის გადამხდელად (მიუხედავად იმისა, გაივლის თუ არა იგი საქართველოს ტერიტორიას ტრანზიტით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული სატვირთო ავტომანქანის მფლობელი ან მძღოლი არ იბეგრება შემოსვლის გადასახადით, თუ იგი ტრანზიტით არ გაივლის საქართველოს ტერიტორიას (ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ამ პირს უცხო ქვეყნიდან საქართველოში მოცემული მანქანით შემოაქვს ტვირთი ან შემოყავს მოცემული ცარიელი სატვირთო მანქანა). ამასთან, თუ ზემოაღნიშნულ პირს საქართველოში შემოყავს საქართველოში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომანქანა (ან ავტობუსი), იგი არ იბეგრება შემოსვლის გადასახადით (თუ ტრანზიტით არ გაიარა საქართველოს ტერიტორია).

მოცემული გადასახადის დაბეგვრის ობიექტად განიხილება შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება. კერძოდ, **შემოსვლის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:**

1. საქართველოში შემოსული უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

2. საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება, თუ იგი საქართველოს ტერიტორიას ტრანზიტით გაივლის.

ზენორმატიული დატვირთვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

1. უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული სატვირთო ავტომობილი.

2. საქართველოში რეგისტრირებული სატვირთო ავტომობილი, თუ იგი საქართველოს ტერიტორიას ტრანზიტით გაივლის.

3. საქართველოში რეგისტრირებული სატვირთო ავტომობილი, რომელიც შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე.

შესაბამისად, გადასახადის განაკვეთები 3 ჯგუფად იყოფა:

1. შემოსვლისთვის გადასახადის განაკვეთები;

აეტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობანი	გადასახადის ოდენობა ლარებში
1	2
საგვირთო აეტომობილები და სხვა აეტოსატრანსპორტო საშუალებები - ტვირთამწეობით 3 ტ-მდე (ჩათვლით)	23
საგვირთო აეტომობილები - ტვირთამწეობით 3-10 ტ. (ჩათვლით)	38
საგვირთო აეტომობილები - ტვირთამწეობით 10-20 ტ. (ჩათვლით)	48
საგვირთო აეტომობილები - ტვირთამწეობით 20-40 ტ. (ჩათვლით)	32,9
საგვირთო აეტომობილები - 40 ტონაზე მეტი ტვირთამწეობით	44

2. ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადის განაკვეთები;

3. თითოეულ ღერძზე ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადის განაკვეთები.

შემოსვლისათვის გადასახადის განაკვეთებს შემდეგი სახე აქვს:

ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადის განაკვეთებს შემდეგი სახე აქვს:

აეტოსატრანსპორტო სამუალებების სახეობანი	გადასახადის ოდენობა ლარებში
1	2
მსუბუქი აეტომობილები	60
აეტობუსები (13-მდე ადგილით)	115
აეტობუსები (13-30 ადგილით)	230
აეტობუსები (30-ზე მეტი ადგილით)	380
საგვირთო აეტომობილები და სხვა აეტოსატრანსპორტო სამუალებები - ტვირთამწეობით 3 ტ-მდე (ჩათვლით)	230
საგვირთო აეტომობილები - ტვირთამწეობით 3-10 ტ. (ჩათვლით)	380
საგვირთო აეტომობილები - ტვირთამწეობით 10-20 ტ. (ჩათვლით)	480
საგვირთო აეტომობილები - ტვირთამწეობით 20-40 ტ. (ჩათვლით)	650
საგვირთო აეტომობილები - 40 ტონაზე მეტი ტვირთამწეობით	880

(ზედმეტი წონის ყოველ 1 ტონაზე)

თითოეულ ღერძზე ზენორმატიული დატვირთვის გადასახადის განაკვეთებს შემდეგი სახე აქვს:

1. 0,5 ტონამდე (ჩათვლით) - 50 ლარი.
2. 0,5-დან - 1 ტონამდე (ჩათვლით) - 80 ლარი;
3. 1-დან - 1,5 ტონამდე (ჩათვლით) - 100 ლარი;
4. 1,5-დან - 2 ტონამდე (ჩათვლით) - 125 ლარი;
5. 2-დან - 2,5 ტონამდე (ჩათვლით) - 170 ლარი;
6. 2,5-დან - 3 ტონამდე (ჩათვლით) - 250 ლარი.

შემოსვლის გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია აზერბაიჯანისა და სომხეთის ზოგიერთი რაიონებიდან შემოსული და ამ რაიონებში (თემებში) რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილებისა და სამგზავრო-სარეისო ავტობუსებისათვის. კერძოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის (ყაზახის, თაუზის, განჯის), სომხეთის რესპუბლიკის (ამასიის, აშოვკის, ტაშირის, ალავერდის, ნოემბერიანის) შესაბამის თემებში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილებისა და სამგზავრო ავტობუსების შემოსვლისათვის საქართველოში (ნინოწმინდის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, დედოფლისწყაროს, სილნაღისა და ლაგოდეხის ტერიტორიაზე) - გადაიხდევინება შემდეგი ოდენობის გადასახადის განაკვეთები:

1. მსუბუქი ავტომობილები - 20 ლარი
2. სამგზავრო-სარეისო ავტობუსები (12 ადგილის ჩათვლით) - 25 ლარი;
3. სამგზავრო-სარეისო ავტობუსები (13-დან 30 ადგილის ჩათვლით) - 40 ლარი;
4. სამგზავრო-სარეისო ავტობუსები (30 ადგილზე მეტი) - 60 ლარი.

შემოსვლის გადასახადისაგან გათავისუფლებულნი არიან საინგილოში (აზერბაიჯანის ტერიტორია) რეგისტრირებული და საქართველოში შემოსული მსუბუქი ავტომანქანებისა და სამგზავრო-სარეისო ავტომობილების მფლობელები ან მძღოლები. შემოსვლის გადასახადისაგან თავისუფლდება აგრეთვე საქართველოსა და რიგ სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო შეთანხმებით დამტკიცებული კვოტებით შემოსული ავტოსატრანსპორტო საშუალებები (ამ შემთხვევაში ზენორმატიული დატვირთვის გადასახადისაგან გათავისუფლება გათვალისწინებული არ არის).

თავი 12.

საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები საბაჟო-საგადასახადო რეგულირების შესახებ. საბაჟო გადასახდელები ევროკავშირში

- საქონლის იმპორტზე გადასახადების შემოღების ზოგადი პრინციპები ვმო-ს წევრ ქვეყნებში
- ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი ვმო-ს წევრ ქვეყნებში
- საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი ვმო-ის წევრ ქვეყნებში
- თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები დსთ-ს ქვეყნებთან
- საბაჟო გადასახდელები ევროკავშირში
- ევროკავშირის პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა (GSP) და საქართველო

12.1. საქონლის იმპორტზე გადასახადების შემოღების ზოგადი პრინციპები ვმო-ს წევრ ქვეყნებში

ვმო-ის შესაბამისი ,,გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ" გამოყოფს გადასახადებით დაბეგვრის ორ პრინციპს:

1. საბაჟო გადასახდელებთან დაკავშირებით ნებისმიერი შეღავათი, რომელიც ვრცელდება საქართველოში იმპორტირებულ ვმო-ის არაწევრ ქვეყნებში წარმოშობილ საქონელზე, უნდა გავრცელდეს საქართველოში იმპორტირებული ვმო-ს წევრ ქვეყნებში წარმოშობილი ანალოგიურ საქონელზე;

2. შიდა დაბეგვრასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეღავათი, რომელიც ვრცელდება საქართველოში წარმოშობილ საქონელზე, იმავდროულად უნდა გავრცელდეს საქართველოში იმპორტირებულ ვმო-ს წევრ ქვეყნებში წარმოშობილ ანალოგიურ საქონელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვმო-ის წევრ ქვეყნებში წარმოშობილი საქონლის იმპორტი არ უნდა დაიბეგროს უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთებით, ვიდრე ვმო-ის არაწევრ ქვეყნებში წარმოშობილი საქონლის იმპორტი. ამავე დროს, საქართველოში წარმოებული საქონლის მიწოდების გადასახადებით დაბეგვრის განაკვეთები (მხედველობაში გვაქვს აქციზი და დღგ) არ უნდა იყოს ანალოგიური საქონლის იმპორტის დროს დაწესებულ აქციზსა და დღგ-ზე ნაკლები (შესაძლებელია იყოს თანაბარი ან მეტი). უნდა

აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში მოცემული პრინციპი საქართველოს სინამდვილეში დაცული არ არის.

12.2. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი ვმო-ს წევრ ქვეყნებში

ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადების შემოღების მიზანშეწონილობის საკითხები რეგულირდება ვმო-ს ორი შეთანხმებით. კერძოდ: ,,1994 წლის გენერალური შეთანხმებით ტარიფებსა და ვაჭრობაზე" (მუხლი VI) და ,,შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლის გამოყენებაზე".

საქართველოს სინამდვილეში ნაკლები ყურადღება ეთმობა შიდა ბაზრის დაცვის ისეთ მექანიზმს, როგორიცაა ანტიდემპინგური გადასახადი და ხშირად ამ პრობლემის განეიტრალება ხდება საბაჟო ღირებულების აწევით, რაც ეწინააღმდეგება ვმო-ს შესაბამისი შეთანხმებების მოთხოვნებს. კერძოდ, ,,შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ" (პრეამბულა) ითვალისწინებს, რომ ვმო-ს წევრმა ქვეყნებმა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრაქტიკა არ უნდა გამოიყენონ დემპინგის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც იმას ნიშნავს, რომ დემპინგური ღირებულებით საქონლის შემოტანის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდები არ გამოიყენება. ამ შემთხვევაში საქონელი იბეგრება ანტიდემპინგური გადასახადით.

იმისათვის, რომ შემოღებულ იქნეს ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი, საჭიროა დაკმაყოფილდეს და გაირკვეს რამდენიმე პირობა. კერძოდ:

1. უნდა გაირკვეს საქონლის იმპორტი ხორციელდება თუ არა დემპინგური ფასით;

2. აყენებს თუ არა დემპინგური ფასით შემოტანილი საქონელი ზარალს ადგილობრივი ანალოგიური საქონლის წარმოებას ან ანალოგიური საქონლის შიდა ბაზარს;

3. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღებას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი სამამულო მრეწველობის ან მისი სახელით გაკეთებული წერილობითი განცხადება;

4. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღებას წინ უნდა უძღოდეს აგრეთვე სათანადო გამოძიება, რომელსაც აწარმოებენ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები.

იმპორტირებული საქონელი ჩაითვლება დემპინგურ ფასად შემოტანილად მხოლოდ 3 შემთხვევაში:

ა) თუ ვმო-ის ქვეყნებიდან ექსპორტირებული საქართველოსთვის განკუთვნილი საქონლის ფასი ნაკლებია ამ ექსპორტიორი ქვეყნის შიგნით ანალოგიური საქონლის შესადარ ფასზე (ანუ საბითუმო ფასზე). ამ შემთხვევაში საქონლის ექსპორტის ფასი, ანუ ექსპორტის საბაჟო ღირებულება უნდა შეუდარდეს ექსპორტის ქვეყანაში შიდა ბაზარზე ამ საქონლის გაყიდვის საბითუმო ფასებს;

ბ) თუ ვმო-ის ქვეყნებიდან ექსპორტირებული საქართველოსათვის განკუთვნილი საქონლის ფასი ნაკლებია ვმო-ს ქვეყნებიდან ნებისმიერ მესამე ქვეყანაში ექსპორტირებული საქონლის ყველაზე მაღალ შესადარ ფასთან;

გ) თუ ვმო-ს ქვეყნებიდან ექსპორტირებული საქართველოსათვის განკუთვნილი საქონლის ფასი ნაკლებია საქონლის წარმოშობის ქვეყანაში ამ საქონლის წარმოების ხარჯებს დამატებული მიმოქცევის ხარჯებისა და მოგების ჯამზე.

ვმო-ის შესაბამისი შეთანხმებების მიხედვით ანტიდემპინგური გადასახადის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დემპინგურ სხვაობას, ანუ ზემოაღნიშნულ შესაბამის ფასთა შორის სხვაობას, რაც მოქმედ კანონმდებლობასთან კოლიზიას ქმნის. კერძოდ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ანტიდემპინგური გადასახადის გამოყენების დროს ჩერდება ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის მოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქონელს დავბეგრავთ ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადით, იგი ამავე დროს არ უნდა დაიბეგროს ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადით. აქედან გამომდინარე, საქონელს თუ მხოლოდ დემპინგური სხვაობით დავბეგრავთ, მაშინ მივიღებთ, რომ საქონელი ფაქტობრივად გათავისუფლებულია ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადისაგან. მაგალითად, საქონლის რეალური ფასი შეადგენს 10 ლარს, მაგრამ იგი შემოდის დემპინგური ფასით, რომლის მიხედვით საქონლის ღირებულებაა 5 ლარი. დემპინგური სხვაობა შეადგენს 5 ლარს (10-5). თუ ამ საქონელს დავბეგრავთ ანტიდემპინგური გადასახადით 5 ლარის ოდენობით, მაშინ საქონლის ფასი გახდება 10 ლარი (5 + 5) და იგი დაუბრუნდება საქონლის რეალური ფასის ნიშნულს

დაბეგვრის მიზნებისათვის (სინამდვილეში კი მისი ფასი იქნება 15 ლარი). ამ შემთხვევაში, დაბეგვრის მიზნებისათვის საქონელი არ იბეგრება ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადით და შესაბამისად მცირდება აქციზითა და დღგ-ით ნაზარდი ჯამით დაბეგვრის ბაზა, რაც იძლევა საბაჟო გადასახდელებისაგან თავის არიდების შესაძლებლობას ,,კანონიერი საშუალებების" გამოყენებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დემპინგური ფასით შემოტანილი საქონელი უნდა იბეგრებოდეს, როგორც ანტიდემპინგური, ასევე ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადით, რათა ადგილი არ ჰქონდეს საგადასახადო ბაზის შემცირებას და შესაბამისად საბიუჯეტო დანაკარგებს. სხვა შემთხვევაში, საქონელი უნდა იბეგრებოდეს მხოლოდ ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადით, რომელიც აღემატება დემპინგურ სხვაობას ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის შესაბამისი განაკვეთის ოდენობით.

12.3. საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი ვმო-ის წევრ ქვეყნებში

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი შემოიღება იმავე პრინციპებით და იმავე სიტუაციების გათვალისწინებით, როგორც ეს არის ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღების დროს. თავისი ბუნებით საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი და ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი მსგავსი ხასიათისაა. განსხვავება მდგომარეობს საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის ოდენობის განსაზღვრაში. ყოველივე ეს უკავშირდება სუბსიდიის ცნებას. სუბსიდიის ცნება ფართოა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მას განვიხილავთ მხოლოდ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადთან მიმართებით, კერძოდ, საექსპორტო საქონლის სუბსიდირების ასპექტით.

სუბსიდია ანუ დახმარება მეწარმეებს მიეცემათ სხვადასხვა ფორმით: პირდაპირი და არაპირდაპირი გზით.

პირდაპირი სუბსიდიის ფორმაა, მაგალითად, საბიუჯეტო დოტაცია ან შეღავათიანი საბიუჯეტო კრედიტი. არაპირდაპირი სუბსიდიის ფორმაა, მაგალითად, გათავისუფლება გადასახადებისაგან ან გადასახადების გადავადება, შემცირება (რემისია). ეს ყოველივე საბოლოო ჯამში იწვევს საქონლის ფასის შემცირებას და შესაბამის ბაზარზე საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდას და სხვა არასუბსიდირებული საქონლის შევიწროებას ან განდევნას ბაზრიდან.

ვმო-ს შეთანხმების მიხედვით, სუბსიდირებულ საქონელზე საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი, ანალოგიურად ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადისა, არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სუბსიდიის ოდენობას, რაც საბოლოო ჯამში შემცირებულ ფასში გამოიხატება.

ვმო-ს შესაბამისი შეთანხმებით აკრძალულია საექსპორტო საქონელზე სუბსიდიების გაცემა, გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა.

აკრძალულია:

1. საექსპორტო პროდუქციის პირდაპირი სუბსიდირება.

2. საექსპორტო პროდუქციის შიდა გადაზიდვაზე უფრო შეღავათიანი რეჟიმის შემოღება, ვიდრე ანალოგიური ადგილობრივი შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლის გადაზიდვაზე.

3. სახელმწიფოს მიერ საექსპორტო საქონლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი უზრუნველყოფა იმპორტირებული ან შიდა წარმოების პროდუქციით უფრო უკეთესი პირობებით, ვიდრე ეს გააჩნიათ შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი ანალოგიური საქონლის მწარმოებლებს.

4. სახელმწიფოს მიერ საექსპორტო პროდუქციის გათავისუფლება პირდაპირი გადასახადებისაგან (მაგ. მოგების, ქონების, საშემოსავლო გადასახადები) ან ამ გადასახადების გადავადება ან შემცირება (ე.წ. რემისია);

5. საექსპორტო საქონლის გათავისუფლება არაპირდაპირი გადასახადებისაგან უფრო უკეთესი პირობებით, ვიდრე ეს ხდება შიდა მოხმარებისათვის გამიზნულ საქონელზე (საზოგადოდ, ექსპორტის გათავისუფლება არაპირდაპირი გადასახადებისაგან არ ითვლება სუბსიდირებად);

6. ნებისმიერი სახის ისეთი დახმარება ან მხარდაჭერა საექსპორტო საქონლის მწარმოებელი პირებისათვის, რის შედეგადაც ადგილი აქვს ექსპორტის ზრდას და შესაბამისი იმპორტის შემცირებას, რაც ზიანს აყენებს იმპორტიორებს და შესაბამისად იმპორტირებული საქონლის ექსპორტიორებს.

1958 წლის 1 იანვრიდან ვმო-ს წევრი ქვეყნებისათვის ნებისმიერი საქონლის ექსპორტის სუბსიდირება, რაც იწვევს ასეთი საქონლის გაყიდვას უფრო დაბალი ფასით, ვიდრე ეს საქონელი ეძირს ადგილობრივ ბაზარზე, აკრძალულია. ეს მოთხოვნა ნაწილობრივ არ ეხება სანედლეულო საქონლის ექსპორტს. სანედლეულო

საქონლის ექსპორტის სუბსიდირება დასაშვებია, მაგრამ იმ ზომით, რომ შესაბამისმა ექსპორტის ქვეყანამ მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის სუბსიდირების შედეგად არ უნდა დაიკავოს იმაზე უფრო მეტი ხვედრითი წილი, ვიდრე რეალურად ექნებოდა.

12.4. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები დსთ-ს ქვეყნებთან

დსთ-ს 6 ქვეყანასთან საქართველოს დადებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის ორმხრივი შეთანხმება, ხოლო დსთ-ს 11 ქვეყანასთან - კოლექტიური შეთანხმება.

დსთ-ს 6 ქვეყანასთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების მიხედვით, ამ ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული საქონელი, რომელიც წარმოშობილია ორი (საქართველო და შესაბამისი შეთანხმების სახელმწიფო) სახელმწიფოდან ერთ-ერთში და განკუთვნილია საქართველოში შესატანად - თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. ეს ქვეყნებია:

- რუსეთი (ძალაშია 1994 წლის 10 მაისიდან)
- უკრაინა (ძალაშია 1996 წლის 4 ივნისიდან)
- აზერბაიჯანი (ძალაშია 1996 წლის 10 ივლისიდან)
- სომხეთი (ძალაშია 1998 წლის 11 ნოემბრიდან)
- ყაზახეთი (ძალაშია 1999 წლის 16 ივლისიდან)
- თურქმენეთი (ძალაშია 2000 წლის 1 იანვრიდან)

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2003 წლის 21 იანვრიდან ძალაში შევიდა ,,1994 წლის 15 აპრილის შეთანხმება დსთ-ს ფარგლებში ,,თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ", ხოლო 2000 წლის 30 ნოემბრიდან ძალაშია დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება ,,საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესების შესახებ", რომელიც თავის მხრივ არეგულირებს თავისუფალი ვაჭრობის პირობებს.

1994 წლის 15 აპრილის შეთანხმებამ, ზემოაღნიშნული 6 სახელმწიფოს გარდა, რომელთანაც საქართველოს ჰქონდა ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, მოიცვა აგრეთვე შემდეგი ქვეყნები: ბელორუსი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, უზბეკეთი. მოცემული შეთანხმების მიხედვით საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება საქართველოში ამ ქვეყნებიდან ექსპორტირე-

ბული (საქართველოში იმპორტირებული) ნებისმიერ ამ ქვეყანაში წარმოშობილი საქონელი. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება, მაგალითად, რუსეთიდან ექსპორტირებული და საქართველოში იმპორტირებული ნებისმიერი ამ 11 ქვეყანაში წარმოშობილი საქონელი.

ზემოაღნიშნული 11 ქვეყნიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების დროს ერთდროულად უნდა სრულდებოდეს შემდეგი პირობები:

ა) საქართველოში იმპორტირებული საქონელი უნდა იყოს წარმოშობილი 11 ქვეყნიდან ერთ-ერთ ქვეყანაში;

ბ) ექსპორტიორი ქვეყანა უნდა იყოს 11 ქვეყნიდან ერთ-ერთი;

გ) ექსპორტიორი უნდა იყოს ექსპორტიორი ქვეყნის რეზიდენტი, ხოლო იმპორტიორი - საქართველოს რეზიდენტი;

დ) თუ ექსპორტიორი და გამომგზავნი, ასევე, იმპორტიორი და მიმღები ერთმანეთს არ ემთხვევა (სხვადასხვაა (ანუ, თუ გამომგზავნიც და მიმღებიც შუამავლები არიან, ე.ი. მოქმედებენ ექსპორტიორისა და იმპორტიორის დავალებით), მაშინ საკმარისია, რომ ექსპორტიორი და იმპორტიორი იყვნენ შესაბამისად რეზიდენტები. ამ შემთხვევაში გამომგზავნის და მიმღების სტატუსს მნიშვნელობა არა აქვს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ორმხრივი შეთანხმებებით ზოგიერთ ქვეყანასთან საქართველოს გაფორმებული აქვს ე.წ. „ამოღების ოქმები", რაციმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ქვეყნიდან ზოგიერთი საქონლის საქართველოში იმპორტი არ თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. კერძოდ, რუსეთის ფედერაციიდან შემოტანილი შემდეგი საქონელი:

1) 220300 - ლუდი ალაოსი

2) 2207 - არადენატურირებული ეთილის სპირტი, არანაკლებ 80%-ის სპირტის კონცენტრაციით; ეთილის სპირტი და ნებისმიერი კონცენტრაციის დენატურირებული სხვა სპირტები;

3) 220890910 - არადენატურირებული ეთილის სპირტი 80%-ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით, ჭურჭლის მოცულობით 2 ლიტრი ან ნაკლები;

4) 220890990 - არადენატურირებული ეთილის სპირტი 80%-ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით, ჭურჭლის მოცულობით 2 ლიტრზე მეტი;

5) 2402 - სიგარები, სიგარეტები წაჭრილი ბოლოებით, სიგარილები (წვრილი სიგარები) და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან.

ანალოგიურად, რუსეთი არ ათავისუფლებს საბაჟო გადასახადისაგან საქართველოდან ექსპორტირებულ და რუსეთში იმპორტირებულ შემდეგ საქონელს (სესსნ-ის მიხედვით): 2207; 220890910; 220890990; 2402; 170199100 (შაქარი თეთრი). ასევე ყაზახეთში საქართველოდან ექსპორტირებული და ყაზახეთში იმპორტირებულ შემდეგ საქონელს ყაზახეთი არ ათავისუფლებს საბაჟო გადასახადისაგან:

საქონლის დასახელება	კოდი
ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები	ჯგუფი 22
გარდა:	
მინერალური წყლები	2201
ტკბილი წყლები	2202
ღვინო	2204
არაყი, ვისკი	2208
ძმარი	2209
თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	ჯგუფი 24
შაქარი	1701 99 100

12.5. საბაჟო გადასახდელები ევროკავშირში

ევროკავშირში საბაჟო გადასახდელების სისტემა რეგულირდება ევროკავშირის საბაჟო კოდექსით. ამასთან, ევროკავშირში მოქმედებს საბაჟო გადასახადის ერთიანი განაკვეთები.

ევროკავშირში შემოღებულია საქონლის იმპორტზე (მესამე ქვეყნებიდან) შემდეგი სახის გადასახადები: ა) საბაჟო გადასახადი; ბ) აგრარული გადასახადი (აგრარული საქონლისათვის). რაც შეეხება სხვა არაპირდაპირ გადასახადებს (აქციზი, დღგ), იგი ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის იმპორტის დროს გადაიხდება ევროკავშირის შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით (განაკვეთები დიფერენცირებულია სხვადასხვა ქვეყანაში).

ევროკავშირი განიხილება, როგორც ერთი სახელმწიფო. შესაბამისად ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო საზღვარი და საბაჟო კონტროლი ევროკავშირის ქვეყნებში წარმოშობილ

საქონელზე არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ამ ქვეყნებში წარმოშობილი და ექსპორტირებული (იმპორტირებული) საქონელი საბაჟო გადასახდით და სხვა გადასახადით არ იბეგრება.

ევროკავშირის ბიუჯეტი საკმაოდ მოკრძალებულია წევრი ქვეყნის ბიუჯეტებთან შედარებით და იგი არ აღემატება ეროვნული ბიუჯეტების ჯამის 2,5%-ს.[1] ევროკავშირის ბიუჯეტის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო არის ის საბაჟო გადასახადი, რომელსაც ახდევინებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები იმ საქონლის იმპორტისათვის, რომელიც წარმოშობილია ევროკავშირის ფარგლებს გარეთ (მესამე ქვეყნებში). ასეთი საქონლის იმპორტზე საბაჟო გადასახადის 100% მიიმართება არა ეროვნულ ბიუჯეტებში, არამედ ევროკავშირის ბიუჯეტში.[2]

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ამ ქვეყნებში წარმოშობილი და ამ ქვეყნებიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონელი საბაჟო გადასახდელებით არ იბეგრება, საბაჟო კონტროლი არ არსებობს და შესაბამისად საბაჟო გაფორმება არ ხორციელდება.

რაც შეეხება მესამე ქვეყნებში წარმოშობილი საქონლის იმპორტს ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში ამ საქონლის საბაჟო გაფორმება და შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდა ხდება მოცემულ დანიშნულების ქვეყანაში.

ევროკავშირის ბიუჯეტის შევსების წყარო საბაჟო ან სხვა გადასახადებთან ერთად, არის აგრეთვე აგრარული გადასახადი, რომელიც გადაიხდება ევროკავშირში მესამე ქვეყნების მიერ ექსპორტირებულ აგრარულ საქონელზე.

აგრარული გადასახადი, რომელიც იმპორტირებულ საკვებ პროდუქციაზე გადაიხდება, ორი სახისაა: ა) საკუთრივ აგრარული გადასახადი, რომლის ფუნქციას შეადგენს იმპორტირებული აგრარული საქონლის ფასების აწევა ევროკავშირის შიგნით წარმოებული ანალოგიური საქონლის ფასების დონემდე, და ბ) აგრარული გადასახადი, რომელიც დაწესებულია ევროკავშირში აგრარუ-

---

1. დიკ ლეონარდი, ევროკავშირის სახელმღვანელო, თარგმანი მე-7 გამოცემიდან, თბ. 2002. გვ.115.

2. Таможенное право, под. ред. В.Г. Драганова, М.М. Рассолова, М. 2001. გვ.117.

ლი საქონლის ჭარბი იმპორტის დროს, რათა მოხდეს შესაბამისი ჭარბი საქონლის შემოტანის შედეგად ადგილობრივი საქონლის კონკურენტუნარიანობის დაცვა. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, „საბაჟო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა თანდათან იკლო, ვინაიდან გაერთიანების გარე ტარიფები შემცირებულ იქნა, აგრარული გადასახადები დაეცა, ვინაიდან ევროგაერთიანებაში დაფიქსირებულია ჭარბი საქონლის მზარდი რაოდენობა“[1].

საბაჟო გადასახადის განაკვეთი ანუ ტარიფი ევროკავშირში იმპორტირებულ საქონელზე საშუალოდ 10%-დან - 3%-მდე შემცირდა, რასაც კიდევ უფრო მეტი შემცირების ტენდენცია აქვს[2].

აღსანიშნავია ისიც, რომ აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის ქვეყნები (71 ქვეყანა), რომლებიც ლიმის კონვენციის წევრი ქვეყნებია, გათავისუფლებულნი არიან ყოველგვარი ბაჟისაგან ევროკავშირში მათი ექსპორტის მოცულობის 99,5%-ისათვის ყოველგვარი სანაცვლო დათმობების გარეშე, ხოლო ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი, ბანგლადეში, პაკისტანი და შრი-ლანკა - სარგებლობენ ევროკავშირის შეღავათების ზოგადი სისტემით, რომელიც აძლევს განვითარებად ქვეყნებს მათი მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების ევროკავშირის ბაზარზე უბაჟო შეღწევის საშუალებას[3].

რაც შეეხება საქართველოს, იგი სარგებლობს ევროკავშირისა და რიგი ქვეყნების პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემით (GSP), რომელზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

12.6. ევროკავშირის პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა (GSP) და საქართველო

ევროკავშირთან, შვეიცარიასთან, ჩეხეთის რესპუბლიკასთან, სლოვაკეთთან, კანადასა და იაპონიასთან საქართველო სარგებლობს ე.წ. პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემით, რაც ითვალისწინებს ცალკეული სახის საქონლის იმპორტზე შეღავათების სისტემას საბაჟო გადასახადით დაბეგვრის დროს. ასეთივე შეღავათები

---

1. დიკ. ლეონარდი, ევროკავშირის სახელმძღვანელო - გვ.117.
2. იქვე, გვ.125.
3. იქვე. გვ. 133.

დაწესებულია აგრეთვე პოლონეთისა და აშშ-ის მიერ საქართველოდან ამ ქვეყნებში იმპორტირებული ზოგიერთი საქონლის მიმართ.

ევროკავშირში საქართველოდან იმპორტირებულ საქონელზე შესაბამისი შეღავათები საბაჟო გადასახადის მიმართ 4 კატეგორიის საქონელზე ნაწილდება:

1. ,,ძალიან მგრძნობიარე წარმოება" (უმეტესწილად საფეიქრო ნაწარმი, ტანსაცმელი). თუ ეს საქონელი საქართველოშია წარმოშობილი და იმპორტირებულია ევროკავშირში, მაშინ მასზე გავრცელდება საბაჟო გადასახადის 15%-იანი შეღავათი სტანდარტულ საბაჟო გადასახადთან მიმართებით. ეს იმას ნიშნავს, რომ 15%-ით მცირდება საბაჟო გადასახადის განაკვეთი. ასეთ საბაჟო გადასახადს ხშირად მოდულირებულ საბაჟო გადასახადსაც უწოდებენ (მაგ. თუ საბაჟო გადასახადი შეადგენდა 10%-ს, მაშინ მოდულირებული საბაჟო გადასახადი იქნება ამ შემთხვევაში 8,5%);

2. ,,მგრძნობიარე წარმოება" (ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, ფეხსაცმელი, ელექტრონიკა, ავტომობილები და ა.შ.) ეს საქონელი იბეგრება სტანდარტულ საბაჟო გადასახადთან მიმართებით 30%-იანი შეღავათით;

3. ,,ნახევრადმგრძნობიარე წარმოება" (კერამიკული საქონელი, მინა და მინის ნაწარმი, ჩემოდნები, გამოთვლითი მანქანები და მათი ნაწილები და ა.შ.). ეს საქონელი იბეგრება სტანდარტულ საბაჟო გადასახადთან მიმართებით 65%-იანი შეღავათით.

4. ,,არამგრძნობიარე წარმოება" (ქიმიურ მრეწველობასთან დაკავშირებული საქონელი, საპონი, სარეცხი ფხვნილი, ქაღალდი და მუყაო, ეფირის ზეთი, კოსმეტიკა და ა.შ.). ეს საქონელი მთლიანად თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან.

აღსანიშნავია, რომ 2002 წლის იანვრიდან საქართველოდან პოლონეთში იმპორტირებული ჩაი სარგებლობს საბაჟო გადასახადთან მიმართებით პრეფერენციების გენერალიზებული სისტემებით გათვალისწინებული შეღავათებით, ხოლო ანალოგიური შეღავათები მიანიჭა აშშ-მ საქართველოდან აშშ-ში იმპორტირებულ რიგი დასახელების საქონელს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) სრულუფლებიანი წევრების ნუსხა*

ავსტრალია, 1 იანვარი, 1995
ავსტრია, 1 იანვარი, 1995
ალბანეთი, 8 სექტემბერი, 2000
ამერიკის შეერთებული შტატები, 1 იანვარი, 1995
ანგოლა, 29 ნოემბერი, 1996
ანტიგუა და ბარბუდა, 1 იანვარი, 1995
არგენტინა, 1 იანვარი, 1995
ახალი ზელანდია, 1 იანვარი, 1995
ბაჰრეინის სამეფო, 1 იანვარი, 1995
ბანგლადეში, 1 იანვარი, 1995
ბარბადოსი, 1 იანვარი, 1995
ბელგია, 1 იანვარი, 1995
ბელიზი, 1 იანვარი, 1995
ბენინი, 22 თებერვალი, 1996
ბოლივია, 12 სექტემბერი, 1995
ბოტსვანა, 31 მაისი, 1995
ბრაზილია, 1 იანვარი, 1995
ბრუნეი, 1 იანვარი, 1995
ბულგარეთი, 1 დეკემბერი, 1996
ბურკინა ფასო, 3 ივნისი, 1995
ბურუნდი, 23 ივლისი, 1995
გაბონი, 1 იანვარი, 1995
გაერთიანებული ემირატები, 10 აპრილი, 1996
გაერთიანებული სამეფო, 1 იანვარი, 1995
გამბია, 23 ოქტომბერი, 1996
გერმანია, 1 იანვარი, 1995
განა, 1 იანვარი, 1995
გრენადა, 22 თებერვალი, 1996
გვატემალა, 21 ივლისი, 1995
გვინეა, 25 ოქტომბერი, 1995
გვინეა ბისსაუ, 31 მაისი, 1995

---

* ამ ნუსხის არსებობა იმით არის გაპირობებული, რომ ვმო-ს წევრი და არაწევრი ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის დაბეგვრის ტარიფები განსხვავებულია (P.S. საქონლის წარმოშობისა და ექსპორტიორი ქვეყნის ცნებები კანონმდებლობაში აღრეულია).

გვიანა, 1 იანვარი, 1995
დანია, 1 იანვარი, 1995
დომინიკა, 1 იანვარი, 1995
დომინიკიის რესპუბლიკა, 9 მარტი, 1995
ესპანეთი, 1 იანვარი, 1995
ეკვადორი, 21 იანვარი, 1996
ეგვიპტე, 30 ივნისი, 1995
ელ სალვადორი, 7 მაისი, 1995
ესტონეთი, 19 ოქტომბერი, 1999
ევროკავშირი, 1 იანვარი, 1995
ვენესუელა, 1 იანვარი, 1995
ზამბია, 1 იანვარი, 1995
ზიმბაბვე, 5 მარტი, 1995
თურქეთი, 26 მარტი, 1995
ისლანდია, 1 იანვარი, 1995
ინდოეთი, 1 იანვარი, 1995
ინდონეზია, 1 იანვარი, 1995
ირლანდია, 1 იანვარი, 1995
ისრაელი, 21 აპრილი, 1995
იტალია, 1 იანვარი, 1995
იამაიკა, 9 მარტი, 1995
იაპონია, 1 იანვარი, 1995
იორდანია, 11 აპრილი, 2000
კამერუნი, 13 დეკემბერი, 1995
კანადა, 1 იანვარი, 1995
კატარი, 13 იანვარი, 1996
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1 იანვარი, 1997
კოლუმბია, 30 აპრილი, 1995
კონგო, 27 მარტი, 1997
კოსტა-რიკა, 1 იანვარი, 1995
კოტ დიუარი, 1 იანვარი, 1995
კუბა, 20 აპრილი, 1995
კვიპროსი, 30 ივლისი, 1995
კენია, 1 იანვარი, 1995
კორეა, 1 იანვარი, 1995
კუვეიტი, 1 იანვარი, 1995
ლატვია, 10 თებერვალი, 1999
ლესოტო, 31 მაისი, 1995
ლიხტენშტეინი, 1 სექტემბერი, 1995

ლიტვა, 31 მაისი, 2001
ლუქსემბურგი, 1 იანვარი, 1995
მაკაო, 1 იანვარი, 1995
მაგადასკარი, 17 ნოემბერი, 1995
მალავი, 31 მაისი, 1995
მალაიზია, 1 იანვარი, 1995
მალდივი, 31 მაისი, 1995
მალი, 31 მაისი, 1995
მალტა, 1 იანვარი, 1995
მავრიტანია, 31 მაისი, 1995
მაურიტუსი, 1 იანვარი, 1995
მექსიკა, 1 იანვარი, 1995
მოლდავეთი, 26 ივლისი, 2001
მონღოლეთი, 29 იანვარი, 1997
მაროკო, 1 იანვარი, 1995
მოზამბიკა, 26 აგვისტო, 1995
მიამარი, 1 იანვარი, 1995
ნამიბია, 1 იანვარი, 1995
ნიდერლანდები, 1 იანვარი, 1995
ნიკარაგუა, 3 სექტემბერი, 1995
ნიგერი, 13 დეკემბერი, 1996
ნიგერია, 1 იანვარი, 1995
ნორვეგია, 1 იანვარი, 1995
ომანი, 9 ოქტომბერი, 2000
პაკისტანი, 1 იანვარი, 1995
პანამა, 6 სექტემბერი, 1997
პაპუა ახალი გვინეა, 9 ივნისი, 1996
პარაგვაი, 1 იანვარი, 1995
პერუ, 1 იანვარი, 1995
პოლონეთი, 1 ივლისი, 1995
პორტუგალია, 1 იანვარი, 1995
რუმინეთი, 1 იანვარი, 1995
რუანდა, 22 მაისი, 1996
საფრანგეთი, 1 იანვარი, 1995
საქართველო, 14 ივნისი, 2000
საბერძნეთი, 1 იანვარი, 1995
სანტ კიტი და ნევისი, 21 თებერვალი, 1996
სენტ ლუსია, 1 იანვარი, 1995
სენტ ვინსენტი და გრენადინები, 1 იანვარი, 1995

სენეგალი, 1 იანვარი, 1995
სიერა ლეონე, 23 ივლისი, 1995
სინგაპური, 1 იანვარი, 1995
სლოვაკეთის რესპუბლიკა, 1 იანვარი, 1995
სლოვენია, 30 ივლისი, 1995
სოლომონის კუნძულები, 26 ივლისი, 1996
სომხეთი, 15 სექტემბერი, 2003
სამხრეთ აფრიკა, 1 იანვარი, 1995
სურინამი, 1 იანვარი, 1995
სვაზილანდი, 1 იანვარი, 1995
ტაივანის, პენგუს, ინმენის და მატსუს დამოუკიდებელი საბაჟო
ტერიტორია, 1 იანვარი, 2002
ტანზანია, 1 იანვარი, 1995
ტაილანდი, 1 იანვარი, 1995
ტოგო, 31 მაისი, 1995
ტრინიდადი და ტობაკო, 1 მარტი, 1995
ტუნისი, 29 მარტი, 1995
უნგრეთი, 1 იანვარი, 1995
უგანდა, 1 იანვარი, 1995
ურუგვაი, 1 იანვარი, 1995
ფიჯი, 14 იანვარი, 1996
ფინეთი, 1 იანვარი, 1995
ფილიპინები, 1 იანვარი, 1995
ყირგიზეთი, 20 დეკემბერი, 1998
შვედეთი, 1 იანვარი, 1995
შვეიცარია, 1 ივლისი, 1995
შრი-ლანკა, 1 იანვარი, 1995
ჩადი, 19 ოქტომბერი, 1996
ჩეხეთი, 1 იანვარი, 1995
ჩილე, 1 იანვარი, 1995
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, 11 დეკემბერი, 2001
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, 31 მაისი, 1995
ხორვატია, 30 ნოემბერი, 2000
ჯიბუტი, 31 მაისი, 1995
ჰაიტი, 30 იანვარი, 1996
ჰონდურასი, 1 იანვარი, 1995
ჰონგ-კონგი ჩინეთი, 1 იანვარი, 1995

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №390
2003 წლის 5 აგვისტო ქ. თბილისი

„ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის რეალობის დადგენისა და თანხების დაბრუნების რიგითობის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 10 ივლისის №347 ბრძანებულებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლის შესაბამისად ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულის გადასახადის თანხის რეალობისა და დაბრუნების რიგითობის დადგენის მიზნით, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია ,,ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის რეალობის დადგენისა და თანხების დაბრუნების რიგითობის წესის შესახებ“ თანახმად დანართისა.

2. საგადასახადო დეპარტამენტმა (ი. ზაუტაშვილი) და საბაჟო დეპარტამენტმა (დ. თარხან-მოურავი) უზრუნველყონ დამატებული ღირებულების გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხების რეალობისა და რიგითობის დადგენა აღნიშნული ინსტრუქციით განსაზღვრული წესით.

მ. გოგიაშვილი

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი 200.250.000. 11.117.005.999

დანართი

ინსტრუქცია
ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის რეალობის დადგენისა და თანხების დაბრუნების რიგითობის წესის შესახებ

1. ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის წარმოშობისა და გადამხდელის პირადი ანგარიშის ბარათზე რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხის რეალობას ამოწმებს გადამხდელის ადგილმდებარეობის საოლქო საგადასახადო ინსპექცია და/ან შესაბამისი რეგიონალური საბაჟო ორგანო. აღნიშნული რეალობის სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსი და/ან რეგიონალური საბაჟოს უფროსი.

2. საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსისა და/ან რეგიონალური საბაჟოს უფროსის მიერ ხელმოწერილ და დამოწმებულ ცნობას გადამხდელის პირადი ანგარიშის ბარათებიდან ამონაწერის შესახებ ამ ინსტრუქციის დანართის მიხედვით, ამტკიცებს შესაბამისად საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე და/ან საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე და წარედგინება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შექმნილ სათანადო კომისიას, რომელიც იხილავს აღნიშნულ ცნობას და იღებს გადაწყვეტილებას ამ ინსტრუქციის მე-3 პუნქტში მოცემული რიგითობის შესაბამისად გადამხდელისათვის ზედმეტად დარიცხული დღგ-ის თანხის დაბრუნების შესახებ.

3. ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნება მოხდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 118-ე და 240-ე მუხლებისა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლისა და ,,დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 16 ოქტომბრის №242 ინსტრუქციის შესაბამისად, აგრეთვე ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის თანხის დაბრუნების პროცესის მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 10 ივლისის №347 ბრძანებულებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, შემდეგი რიგითობის დაცვით:

ა) დასაბეგრი ბრუნვის არანაკლებ 25 % -ის ექსპორტის შემთხვევაში ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის შედეგად წარმოშობილი ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხები;

ბ) საქონლის ექსპორტის ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციების შედეგად წარმოშობილი ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხები;

გ) ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხის წარმოშობის ხანდაზმულობის მიხედვით;

დ) საგადასახადო, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით გადამხდელისათვის დარიცხული და ბიუჯეტში ჩარიცხული დღგ-ის თანხები;

ე) საგადასახადო ვალდებულებათა დაფარვის ანგარიშში ამ პუნქტის "ა"-"დ" ქვეპუნქტებში მოცემული შემთხვევების გარდა წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 347

2003 წლის 10 ივლისი ქ.თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის თანხის დაბრუნების პროცესის მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის №557 ბრძანებულების და საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის თანხის დაბრუნება ან სხვა გადასახადების (არასაგადასახადო შემოსავლების) ანგარიშში ჩათვლა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების ერთიანი ანგარიშიდან მომავალი შემოსავლების ხარჯზე, თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს ,,სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების პროცესის მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" თანდართული ინსტრუქცია.

3. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებმა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში გადამხდელთა მიერ ზედმეტად გადახდილი და არასწორად ჩარიცხული თანხების უკან დაბრუნება, გადასახადის ერთი სახიდან მეორეში, აგრეთვე სტიმულირებისათვის კუთვნილი თანხების ხაზინაში გახსნილ ანგარიშებზე გადატანა განახორციელონ დამოუკიდებლად, ეროვნულ ბანკში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სატრანზიტო (საბალანსო, მარეგულირებელი) ანგარიშებიდან მომავალი შემოსავლების ხარჯზე.

ე. შევარდნაძე

ინსტრუქცია სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

თავი I

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ძირითადი პრინციპები

მუხლი 1.

1. ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია დაიცვას გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ან სხვა გადასახადების (არასაგადასახადო შემოსავლების) ანგარიშში ჩათვლის ამ ინსტრუქციაში მოცემული პროცედურები, რაც მოიცავს ცენტრალურ ბიუჯეტში, სოც. უზრუნველყოფისა და სახელმწიფო საგზაო ფონდებში ზედმეტად გადახდილი გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის დაბრუნებას ან სხვა გადასახადების (არასაგადასახადო შემოსავლების) ანგარიშში ჩათვლას.

2. გადაწყვეტილება გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ან სხვა გადასახადების ანგარიშში ჩათვლის შესახებ მიიღება უფლებამოსილი საგადასახადო, საბაჟო ორგანოს ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ.

3. გადაწყვეტილება არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის დაბრუნების ან სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშში ჩათვლის შესახებ მიიღება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 2.

1. სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების ერთიანი ანგარიშიდან, მომავალი შემოსავლების

ხარჯზე, ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 240-ე მუხლის და ,,საქართველოს საბაჟო კოდექსის“ 75-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილი საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საგადასახადო ორგანოს მიერ, სახაზინო სამსახურში წარდგენილი საგადასახადო დავალების საფუძველზე.

2. არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების ერთიანი ანგარიშიდან მომავალი შემოსავლების ხარჯზე სახაზინო სამსახურის მიერ, სახაზინო სამსახურში წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

3. ხაზინა ამზადებს ფისკალურ ანგარიშს გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ან სხვა გადასახადების (არასაგადასახადო შემოსავლების) ანგარიშში ჩათვლის შესახებ, რომელსაც წარუდგენს ყოველთვიურად ფინანსთა სამინისტროს.

4. გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება არ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში.

5. ზედმეტად გადახდილი გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის თანხის დაბრუნება არ განიხილება როგორც ხარჯი. იგი ტარდება როგორც ზედმეტად გადახდილი გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის (ბიუჯეტის შემოსავლის) დაბრუნება და მიეთითება საბიუჯეტო შემოსავლების კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლი.

თავი II.

გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება ან სხვა გადასახადების (არასაგადასახადო შემოსავლების) ანგარიშში ჩათვლა სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების ერთიანი ანგარიშიდან

მუხლი 3.

1. ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნება ან სხვა გადასახადების ანგარიშში ჩათვლა ,,საქართველოს საგადასახა-

დო კოდექსის“ 240-ე მუხლის და ,,საქართველოს საბაჟო კოდექსის“ 75-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოებს შესაბამისი საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს მიერ სახაზინო სამსახურში წარდგენილი საგადასახადო დავალების საფუძველზე.

2. საგადასახადო დავალება მზადდება ცალ-ცალკე, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრული გადასახადების სახეების მიხედვით.

3. ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება ან სხვა გადასახადების ანგარიშში ჩათვლა ხორციელდება ,,საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცენტული განაწილების შესაბამისად.

4. საგადასახადო დავალებას თან უნდა ახლდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობა.

5. გადასახადის დაბრუნება ან სხვა გადასახადების ანგარიშში ჩათვლა წარმოებს საგადასახადო, საბაჟო ორგანოს ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სახაზინო სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი რიგითობით, მოთხოვნის წარმოდგენის თარიღისა და დროის გათვალისწინებით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არ აღასრულებს და უბრუნებს მოთხოვნას ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნების ან სხვა გადასახადების ანგარიშში ჩათვლის შესახებ შესაბამის საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიულ საგადასახადო ორგანოს იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო დავალების თანმხლები დოკუმენტაცია არასრული ან არასრულყოფილია.

7. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო დავალების წარმოდგენის მომენტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზინის სატრანზიტო ან-

გარიშზე, შესაბამისი საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრული გადასახადების სახეში მობილიზებული სახსრები არასაკმარისია შესაბამისი საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დავალებების აღსასრულებლად, აღსრულება განხორციელდება შემდგომ პერიოდში მიღებული შემოსავლების ფარგლებში.

მუხლი 4.

1. არასაგადასახადო შემოსავლის ან სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება ან სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშში ჩათვლა სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების ერთიანი ანგარიშიდან ხორციელდება სახაზინო სამსახურის მიერ, არასაგადასახადო შემოსავლის ან სხვა შემოსულობის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

2. საგადასახადო დავალება მზადდება ცალ-ცალკე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული არასაგადასახადო შემოსავლების და სხვა შემოსულობის სახეების მიხედვით.

3. საგადასახადო დავალებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) გადამხდელის წერილი, ვის სასარგებლოდაც ხდება არასაგადასახადო შემოსავლის ან სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება ან სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშში ჩათვლა;

ბ) იმ აღმასრულებელი, სასამართლო ან საკანონმდებლო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს წერილობითი დასტური, არასაგადასახადო შემოსავლის ზედმეტად შეცდომით გადახდის შესახებ, ვისი გაწეული მომსახურების სანაცვლოდაც იქნა გადახდილი არასაგადასახადო შემოსავალი.

4. არასაგადასახადო შემოსავლის ან სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება ან სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშში ჩათვლა წარმოებს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცი-

ის საფუძველზე, შესაბამისი რიგითობით, სახაზინო სამსახურში მოთხოვნის წარმოდგენის თარიღისა და დროის გათვალისწინებით.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არ აღასრულებს და უბრუნებს მოთხოვნას ზედმეტად გადახდილი არასაგადასახადო შემოსავლის ან სხვა შემოსულობის თანხის დაბრუნების ან სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშში ჩათვლის შესახებ განმცხადებელს და შესაბამის აღმასრულებელ, სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დოკუმენტაცია არასრული ან არასრულყოფილია;

ბ) წერილში მითითებული თანხა აღემატება გადამხდელის მიერ არასაგადასახადო ან სხვა შემოსულობის სახეში გადახდილ თანხას.

6. იმ შემთხვევაში, თუ განცხადების წარმოდგენის მომენტისათვის არასაგადასახადო შემოსავლის ან სხვა შემოსულობის სახეში მობილიზებული სახსრები არასაკმარისია წარმოდგენილი საგადასახადო დავალებების აღსასრულებლად, აღსრულება განხორციელდება შემდგომ პერიოდში მიღებული შემოსავლების ფარგლებში.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება №1621
2002 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების თანხის დაბრუნების პროცესის მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

„ზოგიერთ ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 27 ივლისის N 758 განკარგულების და საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს და მისაღებად ჩაითვალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ თანდართული ინსტრუქციით გათვალისწინებული მექანიზმი.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ.გოგიაშვილი) დაინტერესებულ უწყებებთან ერთად უზრუნველყოს ინსტრუქციასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა ღონისძიებათა განხორციელება.

ე. შევარდნაძე

ინსტრუქცია გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ძირითადი პრინციპები

1. ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია დაიცვას გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ამ ინსტრუქციაში მოცემული პროცედურები, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლისა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლის შესაბამისად მოიცავს ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნებას ცენტრალური ბიუჯეტის, სოციალური

უზრუნველყოფისა და სახელმწიფო საგზაო ფონდების მიმდინარე საგადასახადო შემოსავლებიდან ან გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშებიდან.

2. გადაწყვეტილება გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ მიიღება უფლებამოსილი საგადასახადო, საბაჟო ორგანოს ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ.

მუხლი 2.

1. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საბიუჯეტო შემოსავლების ერთიანი ანგარიშის შიგნით ხსნის ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშებს:

ა) ცენტრალური ბიუჯეტისათვის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო შემოსავლების სატრანზიტო ანგარიშებიდან ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ხაზინის სატრანზიტო ანგარიშზე განთავსებული სახსრების 1 პროცენტის ოდენობით;

ბ) ცენტრალური ბიუჯეტისათვის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო შემოსავლების სატრანზიტო ანგარიშებიდან ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ხაზინის სატრანზიტო ანგარიშზე განთავსებული სახსრების 1 პროცენტის ოდენობით;

გ) სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის - სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საგადასახადო შემოსავლების ხაზინის სატრანზიტო ანგარიშზე განთავსებული სახსრების 1 პროცენტის ოდენობით;

დ) სახელმწიფო საგზაო ფონდისათვის - სახელმწიფო საგზაო ფონდის საგადასახადო შემოსავლების ხაზინის სატრანზიტო ანგარიშზე განთავსებული სახსრების 0,5 პროცენტის ოდენობით.

2. აღნიშნული სარეზერვო ქვეანგარიშებიდან გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის ,,გ“ პუნქტისა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლის შესაბამისად ახორციელებს უფლებამოსილი საგადა-

სახადო, საბაჟო ორგანო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საგადასახადო ორგანო სახაზინო სამსახურში წარდგენილი საგადასახადო დავალების საფუძველზე.

3. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის ,,ა" პუნქტითა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოებს ცენტრალური ბიუჯეტის, სოციალური უზრუნველყოფის ფონდის, სახელმწიფო საგზაო ფონდის მიმდინარე საგადასახადო შემოსავლებიდან, საგადასახადო ორგანოს ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ორგანოს მიერ სახაზინო სამსახურში წარდგენილი საგადასახადო დავალების საფუძველზე.

4. ხაზინა ამზადებს ფისკალურ ანგარიშს გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ, რომელსაც წარუდგენს ყოველთვიურად ფინანსთა სამინისტროს.

5. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება არ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში.

6. ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნება არ უნდა განიხილებოდეს როგორც ხარჯი, იგი უნდა გატარდეს როგორც ზედმეტად გადახდილი გადასახადის (ბიუჯეტის შემოსავლის) დაბრუნება და მიეთითოს საბიუჯეტო შემოსავლების კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლი.

თავი II. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება ცენტრალური ბიუჯეტის, ერთიანი სოციალური უზრუნველყოფის ფონდის და სახელმწიფო საგზაო ფონდის მიმდინარე საგადასახადო შემოსავლებიდან

მუხლი 3

1. ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნება საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის ,,ა" პუნქტითა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოებს შესაბამისი საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს მიერ სახაზინო სამსახურში წარდგენილი საგადასახადო დავალების საფუძველზე.

2. საგადასახადო დავალება მზადდება ცალ-ცალკე, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრული გადასახადების მიხედვით.

3. ზედმეტად გადახდილი თანხა ბრუნდება იმ პროცენტული განაწილების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ,,საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივების შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. საგადასახადო დავალებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) გადამხდელის წერილის ასლი;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტთან შეთანხმებული შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებული, შესაბამისი რეგიონალური საბაჟოს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და რეგიონალური საბაჟოს ბეჭდით დამოწმებული ცნობა გადამხდელის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ (პირადი ბარათი) ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და ინსპექციის (საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოს) ბეჭდით დამოწმებული ცნობა გადამხდელის საგადასახადო კუთხით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ, სახაზინო სამსახურში დავალების წარმოდგენის მომენტისათვის.

5. გადასახადის ან შენატანის დაბრუნება წარმოებს საგადასახადო, საბაჟო ორგანოს ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი რიგითობით, სახაზინო სამსახურში მოთხოვნის წარმოდგენის თარიღისა და დროის გათვალისწინებით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არ აღასრულებს და უბრუნებს მოთხოვნას ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნების შესახებ შესაბამის საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საგადასახადო დავალების თანმხლები დოკუმენტაცია არასრული ან არასრულყოფილია;

ბ) საგადასახადო დავალებაში მითითებული თანხა აღემატება გადამხდელის მიერ საგადასახადო ან საბაჟო კუთხით სხვა გადასახადების სახეებში არსებულ დავალიანებას.

7. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მომენტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზინის ერთი ან სატრანზიტო ანგარიშზე შესაბამისი საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრული გადასახადების სახეში საბიუჯეტო წლის განმავლობაში მობილიზებული სახსრები არასაკმარისია შესაბამისი საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დავალებების აღსასრულებლად, აღსრულება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეებში.

8. საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი თითოეული გადასახადის ადმინისტრირების მომდევნო ვადის დადგომის შემთხვევაში ინფორმაცია გადამხდელის საბაჟო ან საგადასახადო კუთხით ანგარიშსწორების თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ორგანოს მიერ უნდა წარმოდგეს თავიდან.

თავი III. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშებიდან

მუხლი 4.

1. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშებიდან საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის „გ“ პუნქტისა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება სახაზინო სამსახურში შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის, რეგიონული საბაჟოს ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საგადასახადო ორგანოს მიერ

სახაზინო სამსახურში წარმოდგენილი საგადასახადო დავალების საფუძველზე.

2. საგადასახადო დავალება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ფონდებიდან გადასახადის დაბრუნების მიზნით მზადდება ცალ-ცალკე.

3. საგადასახადო დავალება მზადდება ცალ-ცალკე, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრული გადასახადების მიხედვით.

4. ზედმეტად გადახდილი თანხა ბრუნდება იმ პროცენტული განაწილების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ,,საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივების შესახებ" საქართველოს კანონით.

5. საგადასახადო დავალებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) გადამხდელის წერილის ასლი, ვის სასარგებლოდაც ხდება, გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშიდან თანხის დაბრუნება;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტთან შეთანხმებული, შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და ინსპექციის ბეჭდით დამოწმებული ცნობა გადამხდელის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ (პირადი ბარათი), ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებული, შესაბამისი რეგიონალური საბაჟოს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და რეგიონალური საბაჟოს ბეჭდით დამოწმებული ცნობა გადამხდელის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ (პირადი ბარათი) ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და დეპარტამენტის ბეჭდით დამოწმებული ცნობა გადამხდელის ფონდთან ანგარიშსწორების შესახებ სახაზინო სამსახურში დავალების წარმოდგენის მომენტისათვის.

6. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშებიდან ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება წარმოებს საგადასახადო საბაჟო ორგანოს ან საავ-

ტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი რიგითობით, სახაზინო სამსახურში მოთხოვნის წარმოდგენის თარიღისა და დროის გათვალისწინებით.

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არ აღასრულებს და უბრუნებს მოთხოვნას ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნების შესახებ შესაბამის საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საგადასახადო დავალების თანმხლები დოკუმენტაცია არასრული ან არასრულყოფილია.

ბ) საგადასახადო დავალებაში მითითებული თანხა აღემატება გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილ გადასახადებსა და საბაჟო ან საგადასახადო კუთხით ყველა გადასახადის სახეში არსებულ დავალიანებას შორის სხვაობას.

8. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშზე არსებული სახსრები მოცემული პერიოდისათვის არასაკმარისია წარმოდგენილი საგადასახადო დავალებების აღსასრულებლად, აღსრულება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეებში.

9. საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი თითოეული გადასახადის ადმინისტრირების მომდევნო ვადის დადგომის შემთხვევაში ინფორმაცია გადამხდელის საბაჟო ან საგადაახადო კუთხით ანგარიშსწორების თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო, საბაჟო ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ორგანოს მიერ უნდა წარმოდგეს თავიდან.

თავი IV. გარდამავალი დებულებები

მუხლი 5.

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საბიუჯეტო წლის განმავლობაში ორჯერ, გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშებზე არსებულ ნაშთებს გადარიცხავს შესაბამის შემოსავლების სატრანზიტო ანგარიშებზე იმ პირობით, თუ მოცემული პერიოდისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტა-

მენტს ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს ან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საგადასახადო ორგანოს არა აქვს გადასახადის გადამხდელთა წერილობითი განცხადებები გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე.

2. გადაწყვეტილება გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიშებზე არსებული ნაშთების შესაბამისი საბიუჯეტო შემოსავლების ანგარიშებზე განთავსების შესახებ მიიღება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №248
2002 წლის 5 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის №355 ბრძანებულებით და 2001 წლის 15 იანვრის №10 ბრძანებულების „საქართველოს ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის წარმოების, იმპორტის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №391 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ გათვალისწინებული დავალებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ასევე საქართველოს 2002 წლის 10 მაისის 1399-II ს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვბრძანებ:

დამტკიცდეს დებულება „საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ“.

მირიან გოგიაშვილი

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი 200.120.000.12.117.005.445

დებულება „საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ“

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოში შემოტანილ თავისუფალ მიმოქცევაში გაცხადების მიზნით და საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესს.

2. აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონელი და მათზე აქციზის გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. აქციზური მარკების არსებობა მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის ტარაზე (ბოთლზე, ქილაზე, კოლოფზე და სხვა) ითვლება სავალდებულო პირობად მათი რეალიზაციისათვის.

4. დაუშვებელია აქციზური მარკების მესამე პირზე გადაცემა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური მარკებით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის იმპორტიორის მიერ აქციზური მარკების საქონელზე დასატანად უნდა გადაეცეს იმპორტირებული აქციზური საქონლის მწარმოებელს.

5. იმპორტიორებისა და ადგილობრივი მწარმოებლების მხრიდან აქციზური მარკების დანაკლისი, ნებისმიერი ფორმით (დაკარგვა, განადგურება და სხვა შემთხვევები ფორსმაჟორული შემთხვევების გარდა) განიხილება შესაბამისი ოდენობის საქონლის იმპორტად ან მიწოდებად და იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმპორტიორების მიერ აქციზური მარკების მიღებიდან ექვს თვეში საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციზური მარკები ექვემდებარება უკან დაბრუნებას. აღნიშნულ პერიოდში აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ჩაითვლება მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტად და ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება გადასახადებით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით მარკირებული საქონლის იმპორტისას, მოხდება გადასახდელად დარიცხული გადასახადების გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად.

მუხლი 2. აქციზური მარკების რეალიზაცია

1. ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის მიერ მარკირებას დაქვემდებარებული ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებლებზე აქციზური მარკების გაცემა ხორციელდება მათ შესაძენად ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადასახადის გადახდის შესახებ საგადასახადო ინსპექციიდან წარმოდგენილი ცნობისა და გადასახადის გადახდის საგადასახადო დავალების ასლის ან ნაღდი ანგარიშსწორების დამადასტურებელი ქვითრის, ასევე აქციზური მარკების ანგარიშზე წარმოშობილი

ზედმეტობით აქციზური მარკების შესაძენად შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე აქციზური მარკებით მარკირებას დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტიორებზე - გადასახადის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების ან ნაღდი ანგარიშსწორების დამადასტურებელი ქვითრის ასლის საფუძველზე.

ბ) განაცხადს აქციზური მარკების შეძენაზე უნდა ერთვოდეს აქციზური მარკების ნომინალური გადახდის დამადასტურებელი გადასახადების ან/და ნაღდი ფულის გადახდის ქვითრის ასლი.

2. აქციზური მარკების რეალიზაცია ხორციელდება ამ მარკების შეძენის შესახებ განაცხადის წარდგენის საფუძველზე. განაცხადი წარედგინება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურს, ხოლო მეორე ეგზემპლარი უბრუნდება მეწარმე-სუბიექტს თარიღის დასმისა და აღნიშვნის: ,,განაცხადი მიღებულია" გაკეთების შემდეგ. აღნიშვნას ხელს აწერს განაცხადის მიმღები პირი.

3. განაცხადის ფორმები და განაცხადთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია ამ დებულების №1, 2, 3, 4 დანართებში.

4. აქციზური მარკების რეალიზაციის დროს აქციზური მარკების სამსახურის პასუხისმგებელი მუშაკი და აქციზური მარკების მიმღები მეწარმე-სუბიექტის უფლებამოსილი პირი ადგენენ აქტს აქციზური მარკების გაცემისა და მიღების შესახებ (დანართი №5).

5. საქართველოში წარმოებული და საქართველოში იმპორტირებული თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკები მეწარმე-სუბიექტებზე გაიცემა ცენტრალიზებული წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის მიერ.

6. თამბაქოს ნაწარმის იმპორტის შემთხვევაში მეწარმე-სუბიექტი ვალდებულია გააკეთოს განაცხადი, სადაც მითითებული უნდა იქნეს ყოველი ცალკეული თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლისათვის გასაგზავნი აქციზური მარკების ზუსტი რაოდენობა.

ა) განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- თამბაქოს ნაწარმის ნასყიდობის ხელშეკრულება;

- საგადასახადო დავალება ან ნაღდი ფულის გადახდის ქვითრები გადასახადის თანხისა და მარკების ნომინალური ღირებულების გადახდის შესახებ.

ბ) მეწარმე-სუბიექტი ვალდებულია, მიუთითოს თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლის სრული იურიდიული მისამართი, სადაც გაიგზავნება აქციზური მარკები.

გ) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლისათვის აქციზური მარკების გადაგზავნის უზრუნველსაყოფად მეწარმე- სუბიექტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აფორმებს ხელშეკრულებას საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციასთან.

დ) აქციზური მარკების სამსახური მეწარმე-სუბიექტის განაცხადის საფუძველზე სამი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს აქციზური მარკების თამბაქოს მწარმოებელთან შეფუთული სახით მათი რაოდენობის, სერიებისა და ნომრების ჩვენებით შეუფერხებლად გაგზავნის ორგანიზებას.

ე) აქციზური მარკების შეფუთვა ხდება უშუალოდ აქციზური მარკების სამსახურის მომსახურე ბანკში (სადაც ინახება აქციზური მარკები) საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციის მიერ (მისი არსებობის შემთხვევაში) მეწარმე-სუბიექტისა და აქციზური მარკების სამსახურის წარმომადგენლების თანდასწრებით და ბარდება საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელს.

ვ) აქციზური მარკების გადაცემა საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციისათვის (მისი არსებობის შემთხვევაში) მათი მწარმოებლისათვის გადასაგზავნად ხდება დებულების №6 დანართით, აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მარკების რაოდენობის, სერიებისა და ნომრების ჩვენებით. მიღება-ჩაბარების აქტი დამოწმებული უნდა იყოს აქციზური მარკების სამსახურის, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციისა და მეწარმე-სუბიექტის წარმომადგენლების ხელმოწერებითა და შესაბამისი ბეჭდებით.

ზ) აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების აქტი (საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში) შევსებული უნდა იქნეს 4 ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა აქციზური მარკების სამსახურს, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომ-

სახურების ორგანიზაციას, საბაჟო ორგანოსა და მეწარმე-სუბიექტს.

თ) აქციზური მარკების გასაგზავნი საერთო რაოდენობისათვის შევსებული მიღება-ჩაბარების აქტის გარდა აქციზური მარკების ყოველ შეფუთვაზე უნდა იყოს აღნიშვნა მასში მოთავსებული აქციზური მარკების რაოდენობის, სერიებისა და ნომრების შესახებ. შეფუთვებზე არსებული მონაცემები საერთო ჯამში უნდა ემთხვეოდეს გასაგზავნი აქციზური მარკების პარტიისათვის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მონაცემებს.

მუხლი 3. გამოუყენებელი აქციზური მარკების უკან დაბრუნება

1. მეწარმე-სუბიექტები ვალდებული არიან, გამოუყენებელი აქციზური მარკები დააბრუნონ ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურში. ასეთ შემთხვევაში მეწარმე-სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება მარკების დაბრუნების მიზეზების მითითებით. აღნიშნული განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მარკების მისაღებად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების და/ან მისი მომავალ გადასახადებში ჩათვლის შესახებ;

ბ) აქციზური მარკების მიღების დროს აქციზური მარკების სამსახურისა და აქციზური მარკების მიმღების მიერ შედგენილი აქტი აქციზური მარკების გაცემისა და მიღების შესახებ.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის მიერ მიიღება მეწარმე-სუბიექტის მიერ წარმოდგენილი განცხადება აქციზური მარკების უკან დაბრუნების შესახებ, რაზედაც კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

3. გამოუყენებელი აქციზური მარკების უკან დაბრუნების დროს სამსახურის უფროსის მიერ იქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის აღნიშნული მარკების მდგომარეობას მარკებზე დაფიქსირებული სერიებისა და ნომრების მითითებით და ადგენს აქტს მარკების მდგომარეობის შესახებ. კომისიის დასკვნის საფუძველზე სამსახურის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას დაუზიანებელი მარკების შესაბამისი შენახვის ადგილას დაბრუნებისა და მათი შემდგომი გაცემის შესახებ.

4. გამოუყენებელი აქციზური მარკების უკან დაბრუნების შემთხვევაში გადახდილი გადასახადის თანხები ექვემდებარება შესაბამ-

ისი ანგარიშიდან უკან დაბრუნებას, სხვა ან მომავალ გადასახადებში ჩათვლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მეწარმე-სუბიექტის მოთხოვნით შესაძლებელია უკან დაბრუნებული აქციზური მარკების სანაცვლოდ, გადახდილი თანხის ფარგლებში აქციზური მარკების სამსახურის მიერ გაცემულ იქნეს სხვა აქციზური მარკები.

მუხლი 4. დაზიანებული აქციზური მარკების უკან დაბრუნება და განადგურება

1. აქციზური მარკების დაზიანების შემთხვევაში მეწარმე-სუბიექტებს უფლება აქვთ, დააბრუნონ დაზიანებული აქციზური მარკები ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურში. ამისათვის მეწარმე-სუბიექტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება მარკების დაზიანების მიზეზების მითითებით. აღნიშნული განცხადება უნდა შეიცავდეს მარკების მისაღებად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების და/ან მისი მომავალ გადასახადებში ჩათვლის შესახებ;

ბ) აქციზური მარკების მიღების დროს აქციზური მარკების სამსახურისა და აქციზური მარკების მიმღების მიერ შედგენილი აქტი აქციზური მარკების გაცემისა და მიღების შესახებ.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის მიერ მიიღება მეწარმე-სუბიექტის მიერ წარმოდგენილი განცხადება დაზიანებული აქციზური მარკების უკან დაბრუნების შესახებ, რაზედაც კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

3. დაზიანებული აქციზური მარკები დაწებებული უნდა იქნეს ამ დებულების №7, №8 დანართების მიხედვით.

4. უკანდაბრუნებული დაზიანებული აქციზური მარკების განადგურებაზე გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესის მიხედვით.

5. დაზიანებული აქციზური მარკების განადგურება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების ექსპერტიზისა და უტილიზაციის სამსახურის მიერ აქციზური მარკების სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე.

6. დაზიანებული აქციზური მარკების უკან დაბრუნების შემთხვევაში გადახდილი გადასახადის თანხები ექვემდებარება შესაბამისი ანგარიშიდან უკან დაბრუნებას, სხვა ან მომავალ გადასახა-

დებში ჩათვლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე მეწარმე-სუბიექტის მოთხოვნით შესაძლებელია დაზიანებული აქციზური მარკების სანაცვლოდ, გადახდილი თანხის ფარგლებში, აქციზური მარკების ნომინალური ღირებულების გამოკლებით გაცემული იქნას სხვა აქციზური მარკები.

7. გამოუსადეგარი, დაზიანებული აქციზური მარკების დიდი რაოდენობისა (5000-ზე მეტი) და არათანმიმდევრული წყობის შემთხვევაში აქციზური მარკების სამსახურის მიერ ხდება მათი რაოდენობის მიხედვით თვლით მიღება, საერთო რაოდენობის 2% სრული იდენტიფიცირება და შემდეგ დადგენილი წესის შესაბამისად განადგურება.

8. ლუდის აქციზური მარკების სპეციფიკიდან გამომდინარე, მეწარმე-სუბიექტებისათვის დაწესდეს აქციზური მარკების დანაკარგების კომპენსაციის ზღვრული ოდენობა მათ მიერ აქციზური მარკების სამსახურიდან მიღებული აქციზური მარკების საერთო რაოდენობის არა უმეტეს 7 %-ისა, აქციზური მარკების ნომინალური ღირებულების გადახდით, მათ შორის ნიშანდების პროცესში დაზიანებულისათვის -2 %, ხოლო ფაქტიურად უკანდაბრუნებულ, ვადაგასულ პროდუქციაზე - არა უმეტეს 5 % -ისა.

9. ლუდის მწარმოებლებმა დაზიანებულ აქციზურ მარკებზე 5%-იანი კომპენსაციის მისაღებად აქციზური მარკების სამსახურში უნდა წარადგინონ ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან უკანდაბრუნებული ვადაგადასული პროდუქციის რაოდენობის ჩვენებით.

მუხლი 5. აქციზური მარკების აღრიცხვა და კონტროლი

1. პირები, რომლებიც აწარმოებენ აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებულ აქციზურ საქონელს ან მის იმპორტს, ვალდებული არიან ამ დებულების შესაბამისად წარადგინონ ანგარიში აქციზური მარკების გამოყენების შესახებ.

2. აქციზური მარკების გამოყენების შესახებ ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს საანგარიშო თვის 15 რიცხვისა. ანგარიშები წარედგინება ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურს, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს.

3. აქციზური მარკები არ გაიცემა იმ პირებზე, რომლებმაც არ წარადგინეს და/ან წარადგინეს არაზუსტი მონაცემები აქციზური

მარკების გამოყენების შესახებ მე-9 და მე-10 დანართების შესაბამისად.

4. იმ მეწარმე-სუბიექტების პასუხისმგებლობა, რომლებიც არ შეასრულებენ ან არაჯეროვნად შეასრულებენ ამ დებულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

სტიქიური უბედურების, დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში (ხანძრის გარდა) ან ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამო აქციზური მარკების დანაკლისთან, დაზიანებასთან ან განადგურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №297
2002 წლის 20 სექტემბერი ქ. თბილისი

ქონებაზე ყადაღის დადების, დაყადაღებული ქონების ამოღებისა და შენახვის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საგადასახადო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების, დაყადაღებული ქონების ამოღების და შენახვის თანდართული წესები.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. გოგიაშვილი

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი 090.040.070.11.117.005.499

ქონებაზე ყადაღის დადების, დაყადაღებული ქონების ამოღებისა და შენახვის წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესები შემუშავებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე და განსაზღვრავს ქონებაზე ყადაღის დადების, დაყადაღებული ქონების ამოღებისა და შენახვის პირობებს.

მუხლი 2. ქონებაზე ყადაღის დადება

1. ქონებაზე ყადაღის დადება არის გირავნობის უფლების რეალიზაცია და ნიშნავს გადასახადის გადამხდელის ქონების აღწერას, ქონების განკარგვის (გადამხდელის მიერ ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადების) აკრძალვის გამოცხადებას და ქონების შესანახად გადაცემას.

2. დაყადაღებას ახორციელებს ის საგადასახადო ინსპექცია, სადაც მოვალე რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად. ყა-

დაღის დადება ხდება მხოლოდ იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მოვალის საკუთრებად.

3. ყადაღის დადება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, ფორმდება საგადასახადო ინსპექციის უფროსის ბრძანებით და ძალაში შედის მოვალისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

4. ბათილია ყადაღადადებულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ყველა გარიგება.

5. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონების აღწერის აქტში.

6. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების აქტი იგზავნება საჯარო რეესტრში.

7. ფული, ფასიანი ქაღალდები და ფასიანი ნივთები ამოიღება საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის მიერ სპეციალურ საკანში შესანახავად, თუ არსებობს ყადაღადადებული ნივთების ხელყოფის საშიშროება. თუ ყადაღადადებული ნივთები რჩება მოვალესთან, მაშინ ყადაღის დადება ხდება დალუქვით.

მუხლი 3. შეტყობინება ყადაღის დადების შესახებ

1. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადაუხდელი თანხის (რომელიც აღიარებულია გადასახადის გადამხდელის მიერ ან დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით) გადახდევინების მიზნით ყადაღა დაადოს გადასახადის გადამხდელის ქონებას წარმოქმნილი გირავნობის უფლების ფარგლებში, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, რის შესახებაც წერილობით უნდა შეატყობინოს მოვალეს არანაკლებ 30 დღით ადრე.

2. გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) გადასახადის გადამხდელის გვარს და სახელს (ან დასახელებას); გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) შეტყობინების თარიღს;

გ) დაბეგვრის ობიექტს;

დ) დარიცხვის საფუძველს, დარიცხული გადასახადისა და საჯარიმო სანქციების თანხას;

ე) გადასახადის გადახდის მოთხოვნასა და ვადებს;

ვ) გადასახადის გადახდის ადგილს და წესს;

ზ) მითითებას, რომ ქონების დაყადაღება მოხდება შეტყობინების ჩაბარებიდან 30 დღეში;

თ) გასაჩივრების კანონით დადგენილ წესს.

3. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს 7 დღისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალეს შეტყობინება არ მიუღია.

4. შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება საგადასახადო ორგანოს.

მუხლი 4. ქონების დაყადაღების (აღწერის) აქტი

1. ქონების დაყადაღების (აღწერის) აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) დაყადაღების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ინსპექციის დასახელება, საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის სახელი, გვარი და ის პირები, რომლებიც დაესწრნენ აქტის შედგენას;

გ) მოვალის რეკვიზიტები – სახელი, გვარი, მისამართი, (იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, ადგილსამყოფელი), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება, მისი განმასხვავებელი ნიშნები (წონა, მეტრაჟი, ცვეთა და სხვა);

ე) აქტში შეტანილი თითოეული საგნის ცალკე შეფასება და მთელი ქონების ღირებულება;

ვ) თუ საგნების ან/და სადგომები დაილუქა - რომელი საგნები ან/და სადგომები იქნა დალუქული და მათზე დადებული ლუქების რაოდენობა და აღწერილობა;

ზ) იმ პირის დასახელება, ვისაც ქონება გადაეცა შესანახად და მისი მისამართი, თუ შენახვა თვით მოვალეს არ დაევალა;

თ) რომ მოვალესა და ქონების შემნახველს განემარტათ მათი მოვალეობა ქონების შენახვისათვის და გადაცემული ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან გადამალვისათვის პასუხისმგებლობის საკითხი;

ი) მითითება, რომ მოვალესა და სხვა პირებს განემარტათ საგადასახადო ინსპექციის მოქმედებათა გასაჩივრების წესი;

კ) საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის, მოვალის, აღწერის დამსწრე პირების შენიშვნები.

2. ქონების დაყადაღების (აღწერის) აქტს ხელს აწერენ საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი, ქონების შემნახველი, მოვ-

ალე და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ დაყადაღებას. ზემოხსენებული პირების მიერ აქტის ხელმოწერაზე უარის შემთხვევაში, აქტში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

3. თუ მოვალის ქონების დაყადაღებისას მესამე პირები განაცხადებენ ამ ქონებაზე თავის უფლებებს, იგი მიანც შედის აღწერის სიაში და კეთდება აღნიშვნა.

4. საჭიროების შემთხვევაში საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნის შესაბამისად, დაყადაღების პროცესის დროს, საგადასახადო ინსპექციის საქმიანობის უსაფრთხოებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მათი თანამშრომლების კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვას უზრუნველყოფს საგანგებო ლეგიონი.

მუხლი 5. შეფასება

1. ყადაღადადებული ნივთები ფასდება საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის მიერ საბაზრო ფასებით.

2. ყადაღადადებული ქონების შეფასებისას, თუ ცალკეული საგნების შეფასება შეუძლებელია, მოიწვევა ექსპერტი ან აუდიტი.

3. თითოეული დაყადაღებული ნივთის საბაზრო ფასი უნდა მიეთითოს ქონებაზე ყადაღის დადების აქტში.

მუხლი 6. ქონება, რომელიც არ ექვემდებარება ყადაღას

1. ყადაღას არ ექვემდებარება:

ა) პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისათვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის;

ბ) მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები, ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა;

გ) წვრილფეხა საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მეწველი ძროხა, ამ მოვალის არჩევანით - ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი, ან თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა;

დ) პირებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის;

ე) პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.

მუხლი 7. ქონების დაუყოვნებლივ დაყადაღება

1. თუ საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, მას შეუძლია მოითხოვოს გადასახადის დაუყოვნებლივ გადახდა და მისი გადაუხდელობის შემთხვევაში ყადაღა დაადოს გადასახადის გადამხდელის ქონებას წარმოქმნილი დავალიანების გირავნობის უფლების ფარგლებში. ეს გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს სასამართლოს არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. სასამართლო ვალდებულია მომდევნო 72 საათის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება. თუ ამ ვადაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ყადაღის დადების შესახებ, ყადაღა მოხსნილად ჩაითვლება.

2. საგადასახადო ორგანომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება თუ:

ა) გადასახადის გადამხდელი მალავს ქონებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად;

ბ) გადასახადის გადამხდელი ემზადება ქვეყნის დასატოვებლად ისე, რომ არ ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს და არ ახორციელებს არავითარ ღონისძიებებს ამ მიმართულებით;

გ) გადამხდელი ცდილობს გამოცხადდეს გაკოტრებულად;

დ) გადამხდელს ერიცხება ვადაგადაცილებული დავალიანება, 4000 ლარზე მეტი აქვს მფლობელობაში და არ ახორციელებს ღონისძიებებს დავალიანების დასაფარავად.

მუხლი 8. ყადაღის მოხსნა

საგადასახადო ორგანოს მიერ დადებული ყადაღა მოხსნილად ითვლება, თუ გადასახადის გადამხდელმა დავალიანება სრულად დაფარა – დავალიანების დაფარვისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №1037

2002 წლის 17-21 დეკემბერი ქ. თბილისი

გადასახადის გადამხდელის დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ვბრძანებთ:

1. დამტკიცდეს: გადასახადის გადამხდელის დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის წესები და პირობები.

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ზ. სოსელია

რ.გილიგაშვილი

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი 200.250.000.11.117.005.603

გადასახადის გადამხდელის დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის პირობები და წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესები და პირობები შემუშავებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელის დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის პროცედურებს.

2. გადასახადის გადამხდელის დაყადაღებული ქონების რეალიზაცია ხდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, სპეციალიზებულ ღია აუქციონზე.

3. დაყადაღებული ქონების რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტა-

მენტი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციისა და საოლქო საგადასახადო ინსპექციების მეშვეობით.

4. აუქციონი შეიძლება იყოს მხოლოდ ღია და იგი არ დაიშვება სააღსრულებლო ფურცლის გარეშე.

5. საჭიროების შემთხვევაში დეპარტამენტის მოთხოვნის შესაბამისად აუქციონის პროცესის დროს საგადასახადო ორგანოს საქმიანობის უსაფრთხოებას და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მათი თანამშრომლების კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვას უზრუნველყოფს საგანგებო ლეგიონი.

6. დაყადაღებული ქონების რეალიზაცია ექვემდებარება შეწყვეტას, თუ გადასახადის გადამხდელი აუქციონის ჩატარებამდე მოახდენს საგადასახადო ვალდებულებებისა და საგადასახადო ორგანოს მიერ აუქციონის ორგანიზებისათვის უკვე გაწეული ხარჯების დაფარვას.

7. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 2^1 მუხლით განსაზღვრულ ქონებაზე.

მუხლი 2. აუქციონის ორგანიზება

1. აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს ადგენს საგადასახადო დეპარტამენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციისა და საოლქო საგადასახადო ინსპექციების მეშვეობით, რის შესახებაც იგი აუქციონის ჩატარებამდე 30 დღით ადრე აკეთებს განცხადებას, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) აუქციონის ჩატარების დროს და ადგილს;

ბ) ქონების მესაკუთრის დასახელებას და მისამართს;

გ) გასაყიდი ქონების დასახელებას (ქონების მოკლე აღწერას);

დ) ქონების საწყის ფასს, რომელიც წარმოადგენს დაყადაღების აქტში მითითებულ დაყადაღებული ნივთის საბაზრო ფასს;

ე) განცხადებას იმის შესახებ, რომ მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინონ აუქციონის დაწყებამდე;

ვ) აუქციონის პირობებს.

2. დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მიზანშეწონილობის საკითხს განსაზღვრავს შესაბამისი საგადასახადო ორგანო.

3. ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებით უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას, რომელიც გამიზნულია სარეალიზაციოდ.

4. აუქციონის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ გამოცხადება ხდება საგადასახადო ორგანოს მიერ გამოკრული განცხადებით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მუხლი 3. აუქციონის ჩატარების წესები

1. აუქციონს ატარებს შესაბამისი საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი. იგი აუქციონს გახსნილად აცხადებს და სთავაზობს საწყის ფასს.

2. აუქციონი გრძელდება მანამ, სანამ სხვა შემოთავაზება აღარ მოხდება. შესაბამისი საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელმა უნდა გამოაცხადოს ფასის ბოლო შემოთავაზების ავტორი, რის შემდგომ აუქციონი ცხადდება დასრულებულად.

3. პირველ აუქციონზე საბოლოოდ შემოთავაზებული ფასი არ უნდა იყოს ნივთის ღირებულების 70%-ზე ნაკლები.

4. თუ პირველი აუქციონის დროს არ მოხდება შესაბამისი ფასის შემოთავაზება, მაშინ საგადასახადო ორგანო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ნიშნავს განმეორებით აუქციონს, სათანადო ოცდაათდღიანი შეტყობინების გავრცელების შემდგომ და ქონება ხელმეორედ გააქვს გასაყიდად.

5. განმეორებითი აუქციონი ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი. განმეორებით აუქციონზე საბოლოოდ შემოთავაზებული ფასი არ უნდა იყოს ნივთის ღირებულების 50%-ზე ნაკლები.

6. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც ასახული უნდა იყოს აუქციონის მსვლელობა და შედეგები.

7. ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ჩამორთმეულ ქონებას ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შეთავაზებული ფასის არანაკლებ ნახევარი ან 5000 ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შეთავაზებული ფასი.

8. თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. მყიდველს თანხის მთლიანად დაფარვამდე არ გააჩნია საკუთრების უფლება ქონებაზე.

10. თუ მყიდველი ვერ შეძლებს აუქციონზე შესყიდული ქონების ღირებულების სრულად გადახდას დადგენილ ვადებში, ის კარგავს ყოველგვარ უფლებას აღნიშნულ ქონებაზე და მის მიერ ქონების შეძენის მიზნით უკვე გადახდილ თანხაზე. ასეთ შემთხვევაში ამ თანხით მოხდება იმ გადასახადების დაფარვა, რომელთა დაფარვის მიზნითაც თავის დროზე ქონების რეალიზაცია განხორციელდა. საგადასახადო ორგანო ვალდებულია მხედველობაში მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოებები.

11. თუ მყიდველი ვერ შეძლებს აუქციონზე შესყიდული ქონების ღირებულების გადახდას დადგენილი წესით, სახელმწიფო (საგადასახადო ინსპექცია) უფლებამოსილია ქონება მიჰყიდოს მასზე შემოთავაზებული ფასის სიდიდის მიხედვით რიგით მეორე მყიდველს.

12. თუ მეორე აუქციონზეც არ მოხდა რეალიზაცია, საგადასახადო ინსპექციას შეუძლია მოვალეს მისცეს შესაძლებლობა გარკვეულ ვადაში თვითონ მოახდინოს ქონების რეალიზაცია შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების, მხვილ გადამხდელთა ინსპექციისა და საოლქო საგადასახადო ინსპექციების კონტროლით, მაგრამ არანაკლებ ყადაღის აქტში მითითებული ფასისა.

მუხლი 4. დაყადაღებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია

1. დაყადაღებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის წესი და პირობები განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. მალფუჭებად საქონლად ითვლება მხოლოდ ის საქონელი, რომლის შენახვის ვადიდან 3 თვეზე ნაკლებია დარჩენილი.

2. დაყადაღებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს დაუყონებლივ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

3. დაყადაღებული მალფუჭებადი საქონლის სარეალიზაციო ფასი არ უნდა იყოს ნივთის ღირებულების 70 %-ზე ნაკლები.

მუხლი 5. დავალიანების დაფარვის წესი

1. ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში იფარება ამოღებასთან, შენახვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, შემდეგ კი გადასახადის, ჯარიმისა და საურავის თანხები, დარჩენილი სახსრები უბრუნდება გადასახადის გადამხდელს ხუთი საბანკო დღის განმავლობაში.

2. ზემოთ აღნიშნული თანხებიდან ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების ეკვივალენტი თანხა შეიტანება შესაბამისი საგადასახადო ორგანოს სპეციალურ ანგარიშზე, ხოლო გადასახადების თანხები ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

3. ხარჯების სახით ამოიღება:

ა) იმ პირებისათვის ასანაზღაურებელი თანხები, რომელთა მოწვევაც აუცილებელი იყო კარების ან საცავის გახსნისათვის;

ბ) ნივთების შესანახად გადასახდელი თანხები;

გ) მოწვეული ექსპერტის ან/და აუდიტის ხარჯები;

დ) ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა საჯაროდ გამოცხადებისას;

ე) აუქციონის ჩატარებასთან და ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 6. აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების მიღება

1. აუქციონზე შეძენილი ქონების საფასურის მთლიანად გადახდის შემდგომ მყიდველი მიიღებს სერტიფიკატს (მოწმობას) აღნიშნული ქონების მის სახელზე გადაფორმების (ქონების შესყიდვის) შესახებ. სერტიფიკატი (მოწმობა) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი და მასში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი;

ბ) შეძენილი ქონების დასახელება (აღწერილობა) და მისამართი;

გ) ცნობები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ;

დ) ქონების შეძენის ფასი.

2. მარეგისტრირებელი ორგანოები, აუქციონზე ქონების მყიდველის მიერ სერტიფიკატის (მოწმობის) წარდგენის შემთხვევაში უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაარეგისტრირონ ქონების ახალი მესაკუთრე, რომელიც იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ მოსკოვის 1994 წლის 15 აპრილის შეთანხმება.

ნინო ბურჯანაძე
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

თბილისი,
2002 წლის 6 დეკემბერი.
N 1832-Iს

შეტანილია ცვლილება 1999 წლის 2 აპრილის ოქმით

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ

წინამდებარე შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები, შემდგომში ხელშემკვრელ მხარეებად წოდებულნი,

ადასტურებენ რა, თავიანთ ერთგულებას ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის თავისუფალი განვითარებისადმი,

ნერგავენ რა, პრაქტიკაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს,

მოქმედებენ რა, 1993 წლის 24 სექტემბერს, ქ.მოსკოვში მიღებული ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულების დებულებათა მიზანმიმართული რეალიზაციისათვის,

აყალიბებენ რა, პირობებს საქონლისა და მომსახურებათა თავისუფალი გადაადგილებისათვის,

უზრუნველყოფენ რა, ურთიერთ შორის ვაჭრობის დაბალანსებას და მონაწილე სახელმწიფოთა შიდა ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას,

ხელმძღვანელობენ რა, თავიანთი სახელმწიფოთა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისადმი მისწრაფებით,

გამომდინარე ეკონომიკური კავშირის შექმნის ეტაპობრივობიდან,

აღწევენ რა, შეთანხმებას თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ, შემდგომში შეთანხმებად წოდებულს შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხელშემკვრელი მხარეები წინამდებარე შეთანხმების მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფენ ურთიერთქმედებას ეკონომიკური კავშირის პირველი ეტაპის იმ კონკრეტულ ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც მიმართულია:

ექვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო მოსაკრებლებისა და გადასახადების, აგრეთვე ურთიერთვაჭრობისას რაოდენობრივი შეზღუდვების თანდათანობითი გაუქმებისკენ;

საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილებისათვის შექმნილ სხვა დაბრკოლებათა აღკვეთისაკენ;

სავაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის ურთიერთანგარიშსწორებისა და გადასახდელების ეფექტური სისტემის შექმნისა და განვითარებისაკენ;

ამ შეთანხმების არაწევრი ქვეყნების მიმართ სავაჭრო პოლიტიკის კოორდინაციისაკენ;

ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციისაკენ იმ ზომით, რაც აუცილებელია შეთანხმების მიზნების მისაღწევად (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ფინანსთა, საინვესტიციო, სოციალურ, კეთილსინდისიერ კონკურენციის განვითარების სფეროებში და ა.შ.);

დარგთაშორისი და შიდადარგობრივი კორპორაციის ხელშეწყობისა და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისაკენ;

ხელშემკვრელ მხარეთა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის და/ან უნიფიკაციისაკენ იმ ზომით, რაც აუცილებელია თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაბამისი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

2. შეთანხმება ტერიტორიულად მოიცავს ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიებს.

3. თუ ტერმინთა მნიშვნელობა საგანგებოდ არ არის განსაზღვრული წინამდებარე შეთანხმებით ან ხელშემკვრელ მხარეთა სხვაგვარი შეთანხმებით, ამ შემთხვევაში მათი განმარტებისას ხელშემკვრელი მხარეები იხელმძღვანელებენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა უფლების შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის დებულებით.

შეთანხმების ან მის ცალკეულ ტერმინთა განმარტებასთან დაკავშირებით წამოჭრილი უთანხმოებები გადაწყდება წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებული დავების დარეგულირების საპროცედურო წესით.

4. ხელშემკვრელი მხარეები თავს შეიკავებენ ყველა იმ მოქმედებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს და ხელს უშლის მათი მიზნების მიღწევას. ეს დებულება, კერძოდ ეხება ხელშემკვრელ მხარეთა მონაწილეობის პირობებს სხვა რეგიონულ ეკონომიკურ დაჯგუფებებში, აგრეთვე შეთანხმების ფარგლებში ურთიერთობათა რეგულირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. რეჟიმი არმონაწილე სახელმწიფოთა მიმართ

ხელშემკვრელი მხარეები ინარჩუნებენ იმ სახელმწიფოებთან საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა რეჟიმის დამოუკიდებელი განსაზღვრის უფლებას, რომლებიც არ არიან წინამდებარე ხელშეკრულების მონაწილეები.

მუხლი 3. ექვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო გადასახადები, მოსაკრებლები და რაოდენობრივი შეზღუდვები

1. ხელშემკვრელი მხარეები არ იყენებენ ექვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო გადასახადებსა და მოსაკრებლებს, აგრეთვე რაოდენობრივ შეზღუდვებს იმ საქონლის შემოტანასა და/ან გატანაზე, რომელიც წარმოშობილია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან და განკუთვნილია სხვა ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიებისათვის. მოცემული საბაჟო რეჟიმიდან გამონაკლისები ფორმდება დოკუმენტებით, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში შეიმუშავებენ და შეათანხმებენ თავისუფა-

ლი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებათა საერთო ჩამონათვალს, აგრეთვე ასეთ ამოღებათა გამოყენებისა და ეტაპობრივი გაუქმების მეთოდებს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნამდე გარდამავალი პერიოდისათვის.

3. ამოღებათა საერთო ჩამონათვალის შეთანხმებამდე ხელშემკვრელ მხარეთა შორის ურთიერთობისას გამოყენებული იქნება მოქმედი ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და ამ რეჟიმიდან ამოღებათა შესახებ ოქმები, თუ ორმხრივი შეთანხმებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული (დანართი №1).

მუხლი 4. ტექნიკური და სხვა სპეციალური მოთხოვნები (შეზღუდვები)

1. ხელშემკვრელი მხარეები ტექნიკური ბარიერებისა და ანალოგიური ხასიათის სხვა შეზღუდვების ლიკვიდაციის მიზნით ურთიერთვაჭრობისას მიისწრაფვიან ტექნიკურ და სხვა სპეციალურ მოთხოვნათა ჰარმონიზაციისაკენ და ამ დარგში თავიანთი პოლიტიკის შეთანხმებისკენ.

2. ხელშემკვრელი მხარეები დაავალებენ თავიანთ კომპეტენტურ ორგანოებს მოამზადონ შესაბამისი წინადადებები წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა სარეალიზაციოდ მრავალმხრივ ან ორმხრივ საფუძველზე.

მუხლი 5. საქონლის შემოტანასა და გატანასთან დაკავშირებული მოსაკრებლები და ფორმალობები

1. ყველა ის მოსაკრებელი და გადასახდელი (საბაჟო გადასახადების და მათთან გათანაბრებული მოსაკრებლების გარდა), რომელიც დადგენილია ხელშემკვრელ მხარეთა მიერ საქონლის შემოტანასა და გატანასთან დაკავშირებით, ურთიერთვაჭრობისას არ უნდა აჭარბებდეს გონივრულ ფარგლებში პირდაპირ ფაქტობრივ დანახარჯებს.

2. ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს მიაწვდიან ინფორმაციას გადასახდელთა და მოსაკრებელთა სახეობების შესახებ და მიისწრაფვიან მათი რაოდენობისა და ოდენობის შეთანხმებული შემცირებისაკენ.

3. ხელშემკვრელი მხარეები მიისწრაფვიან ადმინისტრაციულ ფორმალობათა გამარტივებასა და უნიფიკაციისაკენ.

4. წინამდებარე მუხლის დებულებები, კერძოდ იმ მოსაკრებლებსა და ფორმალობებზე ვრცელდება, რომლებიც მიეკუთვნებიან:

რაოდენობრივ შეზღუდვებს;
ლიცენზირებას;
სავალუტო კონტროლს;
სტატისტიკურ აღრიცხვას;
დოკუმენტებს, დოკუმენტაციასა და დოკუმენტების დამოწმებას;
ანალიზსა და დათვალიერებას;
კარანტინს, სანიტარულ სამსახურს, ფუმიგაციას და სხვ.

მუხლი 6. საბაჟო პროცედურათა უნიფიკაცია და/ან ჰარმონიზაცია

1. ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ ზომებს საბაჟო ფორმალობათა მაქსიმალური გამარტივებისა და უნიფიკაციისათვის, კერძოდ, საბაჟო და საქონლის თანხმლები დოკუმენტაციის ერთიანი ფორმების შემოღების გზით, მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებზე და ხელშეკრულებებზე ორიენტირებით.

2. ხელშემკვრელი მხარეები დაავალებენ თავიანთ კომპეტენტურ ორგანოებს მოამზადონ წინადადებები საბაჟო პროცედურათა ჰარმონიზაციასთან და საბაჟო დოკუმენტებისა და საბაჟო უზრუნველყოფათა ურთიერთცნობასთან დაკავშირებით.

მუხლი 7. სასაქონლო ნომენკლატურები

1. სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ღონისძიებათა განხორციელებისას, სტატისტიკური აღრიცხვის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლისას, აგრეთვე საბაჟო კონტროლისა და გაფორმებისათვის, ხელშემკვრელი მხარეები გამოიყენებენ საგარეო-ეკონომიკური მოღვაწეობის იმ სასაქონლო ნომენკლატურებს, რომლებიც ეყრდნობა საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზირებულ სისტემას. ამავე დროს, საკუთარი საჭიროებისათვის ხელშემკვრელი მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში ახორციელებენ ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურების შემდგომ განვითარებას.

2. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ეტალონური ეგზემპლარის წარმოებას ახორციელებს რუსეთის ფედერაცია შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული წარმომადგენლობების საშუალებით, მანამ, სანამ სხვა ხელშემკვრელი მხარე არ განაცხადებს ეტალონური ეგზემპლარის დამოუკიდებელი წარმოების შესახებ.

მუხლი 8. შიდა გადასახადები და ფისკალური ხასიათის სხვა მოსაკრებლები

1. ხელშემკვრელი მხარეები პირდაპირ ან ირიბად არ დაბეგრავენ სხვა მხარეთა საბაჟო ტერიტორიებიდან წარმოშობილ საქონელს გადასახადებითა და ფისკალური ხასიათის მოსაკრებლებით იმ ოდენობით, რაც აჭარბებს მათ დონეს ეროვნული საქონლისათვის.

2. ხელშემკვრელი მხარეები წარმოადგენენ სრულ ინფორმაციას ყველა მოქმედი გადასახადებისა და ფისკალური ხასიათის სხვა მოსაკრებლების შესახებ.

მუხლი 9. სუბსიდიები

ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ არ გასცენ საექსპორტო და სხვა სუბსიდიები მათი ტერიტორიაზე მყოფ საწარმოებზე, თუ ასეთი სუბსიდიების გაცემის შედეგად ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობები.

მუხლი 10. ტრანზიტი

1. ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტრანზიტის თავისუფლების პრინციპის დაცვა წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევის უმნიშვნელოვანეს პირობას და შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და კოოპერაციის სისტემაში მისი ჩართვის არსებით ელემენტს.

2. სატრანზიტო გადაზიდვები არ უნდა ექვემდებარებოდნენ დაუსაბუთებელ დაკავებებსა და შეზღუდვებს.

3. ტრანზიტის პირობები, ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობით გადაზიდვის ტარიფებისა და მომსახურების გაწევის ჩათვლით, არ უნდა იყოს იმ პირობებზე უარესი, რომლებსაც ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ ტვირთების საკუთარი გამგზავნებელისა და მიმღებებისათვის, მათი კუთვნილი საქონლისათვის და აგრეთვე ამ ხელშემკვრელი მხარის გადამზიდავებისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ან მიანიჭებენ ნებისმიერი სხვა უცხო სახელმწიფოს ტვირთის გამგზავნელებსა და მიმღებებს, მათ კუთვნილ საქონელს, გადამზიდავებსა და სატრანსპორტო საშუალებებს, თუ ორმხრივი შეთანხმებებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

მუხლი 11. რეექსპორტი

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე არ დაუშვებს იმ საქონლის არასანქცირებულ რეექსპორტს, რომლის ექსპორტის მიმართაც დანარჩენი ხელშემკვრელი მხარეები, რომელთა ტერიტორიიდანაც მო-

მდინარეობს ეს საქონელი, იყენებენ სატარიფო და/ან არასატარიფო რეგულირების ზომებს.

2. ხელშემკვრელი მხარეები ხელს არ შეუშლიან სამეურნეო სუბიექტებს, ჩართონ კონტრაქტებში ის დებულებები, რომლებიც ეხება საქონლის რეექსპორტს.

3. საქონლის რეექსპორტთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქონლის რეექსპორტისა და რეექსპორტზე ნებართვის გაცემის წესის შესახებ შეთანხმების შესაბამისად (დანართი №2), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 12. საწარმოო კოოპერაცია და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა

ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ საწარმოო კოოპერაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების სახელმწიფოთაშორისო (დარგთაშორის, რეგიონულ) დონეზე, აგრეთვე სამეურნეო სუბიექტების დონეზე, მათ შორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმის აღმოჩენით.

მუხლი 13. გამონაკლისები

1. საერთო გამონაკლისები

წინამდებარე შეთანხმება არ ეწინააღმდეგება ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის უფლებას მიიღოს საერთაშორისო პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები იმ საგარეო-ეკონომიკური კავშირების სფეროში, რომლებსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თავისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის ან რომლებიც უეჭველად აუცილებელნი არიან იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესასრულებლად, რომელთა მონაწილეც ის არის ან აპირებს გახდეს, თუ ეს ზომები ეხება:

საზოგადოებრივი მორალისა და წესრიგის დაცვას;

ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას;

ცხოველთა და მცენარეთა დაცვას;

გარემოს დაცვას;

ეროვნული მემკვიდრეობის შემადგენელი მხატვრულ, არქეოლოგიურ და ისტორიულ ფასეულობათა დაცვას;

სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას;

ოქროთი, ვერცხლით ან სხვაგვარი ძვირფასი ლითონებით ან ქვებით ვაჭრობას;

აუნაზღაურებელი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას;

პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვას მაშინ, როცა შიდა ფასი ამ პროდუქციაზე მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შედეგად მსოფლიო ფასებზე დაბალია;

საგადამხდელო ბალანსის დარღვევას.

2. გამონაკლისები უსაფრთხოების მოსაზრებებით.

წინამდებარე შეთანხმებაში არაფერი არ ეწინააღმდეგება ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის უფლებას მიიღოს სახელმწიფოებრივი რეგულირების ნებისმიერი ზომები, რომლებსაც ის საჭიროდ ჩათვლის, თუ ეს ზომები ეხება:

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას, იმ კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის ჩათვლით, რომელიც ითვლება სახელმწიფო საიდუმლოებად;

იარაღით, სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალით ვაჭრობას, სამხედრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ტექნოლოგიათა გადაცემას და შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის წარმოებაში დახმარების გაწევას, აგრეთვე სხვა სამხედრო მიზნებს;

ხლეჩადი მასალებისა და რადიოაქტიურ ნივთიერებათა წყაროების მიწოდებას, რადიოაქტიური ნარჩენების უტილიზაციას;

საომარი ან სხვა საგანგებო მდგომარეობისას საერთაშორისო ურთიერთობებში გამოსაყენებელ ზომებს;

გაეროს წესდების საფუძველზე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისას გათვალისწინებულ ზომებს.

მუხლი 14. სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებათა შემოღების წესი

1. ხელშემკვრელი მხარე წინასწარ აცნობებს სხვა ხელშემკვრელ მხარეს სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებათა შემოღების მიზეზების, ხასიათისა და სავარაუდო ვადების შესახებ.

2. ხელშემკვრელი მხარეები ატარებენ წინასწარ კონსულტაციებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. შეთანხმებული გადაწყვეტილების ექვსი თვის ვადაში მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე მუხლის I პუნქტში მოხსენიებულ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს შემოიღოს სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები საკუთარი შეხედულებისამებრ.

3. განსაკუთრებულ გადაუდებელ შემთხვევებში ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს შემოიღოს სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დარგში, რის შესახებაც ერთდროულად უნდა შეატყობინოს დანარჩენ ხელშემკვრელ მხარეებს და ჩაატაროს მათთან კონსულტაციები.

მუხლი 15. თანამშრომლობა საექსპორტო კონტროლის დარგში

ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ და შეთანხმებულად იმოქმედებენ ექსპორტის კონტროლის დარგში.

მუხლი 16. შეთანხმების მოქმედების სფერო საქონელთან დაკავშირებით

თავისუფალი ვაჭრობის ზონის რეჟიმი ვრცელდება იმ საქონელზე, რომელიც წარმოშობილია ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიიდან და განკუთვნილია დანარჩენ ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიებისთვის.

მუხლი 17. მომსახურება

1. ხელშემკვრელი მხარეები ნაცვალგების საფუძველზე განახორციელებენ შეზღუდვათა თანდათანობით გაუქმებას შეთანხმების სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში მომსახურების თავისუფალი გაწევის პირობათა შესაქმნელად.

2. ხელშემკვრელი მხარეები განსაზღვრავენ მომსახურებათა სახეებს, რომლებზედაც ვრცელდება წინამდებარე მუხლის მოქმედება, და გამოყოფენ მომსახურებათა იმ პრიორიტეტულ სახეებს საქონელბრუნვის უშუალო მომსახურების სფეროში, რომელთა მიმართებაშიც ექსპორტ-იმპორტის ლიბერალიზაციის საკითხები პირველ რიგში ექვემდებარება გადაწყვეტას.

3. ხელშემკვრელი მხარეები იტოვებენ უფლებას შეათანხმონ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე.

მუხლი 18. საგარეო-ეკონომიკური საკითხების სამართლებრივი რეგულირების შესახებ ინფორმაციის გაცვლა

ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმებულად ანვდიან ერთმანეთს ინფორმაციას საგარეო-ეკონომიკური კავშირების შიდასამართლებრივი რეგულირების შესახებ.

მუხლი 19. დავების გადაწყვეტის წესი

ნებისმიერი დავა და უთანხმოება ხელშემკვრელ მხარეთა შორის წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განმარტების და/ან გამოყენების თაობაზე, აგრეთვე სხვა დავა, რომელიც ეხება ხელშემკვრელ

მხარეთა უფლება-მოვალეობებს წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად ან მასთან დაკავშირებით, გადაწყდება შემდეგი წესით:

დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეთა მიერ ურთიერთსშორის უშუალო კონსულტაციების გზით ან მათივე ურთიერთშეთანხმებით სხვა ხელშემკვრელ მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით;

სპეციალური შემთანხმებელი პროცედურის ფარგლებში (სადაო მასალების შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფების შექმნის გზით);

დსთ-ს ეკონომიკურ სასამართლოში;

საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სხვა პროცედურათა ფარგლებში.

შემდგომ პროცედურაზე გადასვლა შესაძლებელია იმ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელთა შორის წარმოიშვა სადავო საკითხები ან უთანხმოება, ანდა ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნით პროცედურის დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის გამო.

მუხლი 20. წინამდებარე შეთანხმების შეფარდება ხელშემკვრელ მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობებთან

წინამდებარე შეთანხმებაში არაფერი არ უნდა იქნას განხილული, როგორც დაბრკოლება ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარისათვის შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები რაიმე სხვა საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად, რომლის მონაწილედაც გამოდის ან შეიძლება გამოდიოდეს ხელშემკვრელი მხარე იმ პირობით, თუ ეს ვალდებულებები არ ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს და მიზნებს.

წინამდებარე შეთანხმების დებულებები არ ეხება იმ უფლებებსა და უპირატესობებს, რომლებიც უზრუნველყოფილია რეგიონალური თანამშრომლობის, სასაზღვრო და სანაპირო ვაჭრობის, პრეფერენციების, თავისუფალი ეკონომიკური და საბაჟო ზონების ჩარჩოებში, რაც რეგულირდება შიდა კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

ხელშემკვრელმა მხარემ, რომელიც აპირებს დადოს პრეფერენციალური, სავაჭრო და ინტეგრაციული შეთანხმებები ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ არიან წინამდებარე შეთანხმების მონაწილეები, წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ დანარჩენ ხელშემკვრელ მხარეებს და მოახდინოს მათი ინფორმირება

ხსენებულ შეთანხმებებში თავისი მონაწილეობის პირობების შესახებ.

წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის ხელშემკვრელ მხარეებად გვევლინებიან ის ხელშემკვრელი მხარეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას და აგრეთვე მასთან შეერთებული სახელმწიფოები.

მუხლი 21. გადასვლა საბაჟო კავშირზე

თავისუფალი ვაჭრობის ზონა განიხილება როგორც საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებისათვის გარდამავალი ეტაპი.

საბაჟო კავშირი შეიძლება შექმნან იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც გამოთქვამენ მის ფარგლებში თანამშრომლობის გაგრძელების სურვილს და რომლებიც შეასრულებენ წინამდებარე შეთანხმების პირობებს.

მუხლი 22. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე შეთანხმებაში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

დათქმები წინამდებარე შეთანხმების მიმართ არ დაიშვება.

მუხლი 23. ძალაში შესვლა

წინამდებარე შეთანხმება დროებით გამოიყენება ხელმოწერის დღიდან და ძალაში შედის დეპოზიტარისთვის ხელმომწერ ხელშემკვრელ მხარეთა მიერ აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ მესამე შეტყობინების ჩაბარების თარიღიდან.

წინამდებარე შეთანხმების დეპოზიტარი არის რესპუბლიკა ბელორუსი.

წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი წლის გასვლის შემდგომ, იმ ხელშემკვრელ მხარეებს, რომელთათვისაც შეთანხმება ძალაში შევიდა, შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება შეთანხმებაში იმ ხელშემკვრელ მხარეთა მონაწილეობის შესახებ, რომელთათვისაც შეთანხმება დროებით გამოიყენება.

მუხლი 24. შეერთება

წინამდებარე შეთანხმება ღიაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოთათვის, რომელიც ცნობს შეერთების მომენტისთვის შეთანხმებებს, მოქმედ დებულებებს და გამოთქვამს მათი სრული მოცულობით შესრულების მზადყოფნას.

შეერთება ხორციელდება განსაზღვრული პირობებითა და წესით, რომლებიც განსაზღვრულია შესაერთებელ სახელმწიფოსთან ცალკეული შეთანხმებით, რომელიც წინასწარ უთანხმდება ყველა ხელშემკვრელ მხარეს და ექვემდებარება მათ მიერ მოწონებას მათი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 25. შეთანხმებაში მონაწილეობის შეწყვეტა

ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს თავისი მონაწილეობა შეთანხმებაში დანარჩენ ხელშემკვრელ მხარეთათვის შეთანხმებიდან გამოსვლის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე ოფიციალური წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით შეთანხმებიდან გამოსვლამდე 6 თვით ადრე.

ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა დარღვევის შემთხვევაში, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს მისი მიზნების მიღწევას, სხვა ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება შეთანხმების ან მისი რომელიმე დებულების მოქმედების შეჩერების შესახებ ამ ხელშემკვრელი მხარის მიმართ, ან მიიღოს გადაწყვეტილება მისი გარიცხვის შესახებ შეთანხმების მონაწილეთა რიგებიდან.

სავარაუდო დავებისა და პრეტენზიების გადაწყვეტის მიზნით, მათ შორის მატერიალური ხასიათისა, წინამდებარე შეთანხმების დებულებები განაგრძობენ მოქმედებას მონაწილეობის შემწყვეტი ხელშემკვრელი მხარის მიმართ ყველა მოთხოვნის სრულ დარეგულირებამდე.

შესრულებულია ქ.მოსკოვში 1994 წლის 15 აპრილს ერთ დედანზე ეგზემპლარად რუსულ ენაზე. ორიგინალი ინახება ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც დაუგზავნის წინამდებარე შეთანხმების ხელმომწერ ხელშემკვრელ მხარეებს მის დამოწმებულ ასლს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელით
მოლდოვას რესპუბლიკის სახელით
სომხეთის რესპუბლიკის სახელით
რუსეთის ფედერაციის სახელით
ბელორუსის რესპუბლიკის სახელით
ტაჯიკეთის რესპუბლიკის სახელით
საქართველოს სახელით
თურქმენეთის სახელით

ყაზახეთის რესპუბლიკის სახელით
უზბეკეთის რესპუბლიკის სახელით
ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელით
უკრაინის სახელით

ოქმი

1994 წლის 15 აპრილის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის თაობაზე შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

1994 წლის 15 აპრილის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმების (შემდგომში - შეთანხმების) მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმების დებულებათა განვითარებისა და გაღრმავების, აგრეთვე თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბების დაჩქარების მიზნით

შეთანხმდნენ მასში შემდეგი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე:

1. 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვების: ,,უზრუნველყოფენ ურთიერთქმედებას" შემდეგ სიტყვები: ,,ეკონომიკური კავშირის პირველი ეტაპის" შეიცვალოს სიტყვებით ,,თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნისათვის".

2. 1-ლი მუხლის, 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,საბაჟო გადასახადის, აგრეთვე მასთან ექვივალენტური მოქმედების მქონე ანაკრებებისა და გადასახადების და რაოდენობრივი შეზღუდვების გაუქმებისკენ".

3. 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის მეხუთე და მეექვსე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას წინამდებარე შეთანხმების მიზნების მისაღწევად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ფინანსების, ინვესტიციების, სოციალური სფეროს, აგრეთვე კეთილსინდისიერი კონკურენციის დარგში და ა.შ."

4. 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიებზე ისე, როგორც ისინი განსაზღვრული არიან მათი ეროვნული კანონმდებლობით".

5. 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვების: ,,საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციით" ჩაემატოს სიტყვები: ,,და WTO -ს შეთანხმებების".

6. შეთანხმებას დაემატოს 1ა მუხლი შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1ა. ხელშემკვრელ მხარეთა მაკოორდინირებელი ორგანო შეთანხმების შესრულებისას

ხელშემკვრელ მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფას, მათი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის საჭირო წინადადებების შემუშავებას, მოცემული შეთანხმების მიზნების მისაღწევად ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმებასა და კოორდინაციას ახორციელებს ეკონომიკური საბჭოს ეკონომიკური კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი).

7. მე-2 მუხლი გამოირიცხოს.

8. მე-3 მუხლის დასახელება შეიცვალოს შემდეგნაირად:

,,მათთან ეკვივალენტური საბაჟო და საგადასახადო მოსაკრებლები და რაოდენობრივი შეზღუდვები".

მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

1. ხელშემკვრელი მხარეები არ გამოიყენებენ მათთან ექვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო და საგადასახადო მოსაკრებლებს და რაოდენობრივ შეზღუდვებს იმ საქონლის შემოტანაზე და (ან) გატანაზე, რომელიც წარმოშობილია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე და განკუთვნილია სხვა ხელშემკვრელი მხარეების საბაჟო ტერიტორიებისათვის".

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ხელშემკვრელ მხარეთა შორის ვაჭრობაში მათთვის წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის მომენტიდან აღარ შემოიღება ორმხრივ შეთანხმებებში ადრე დაფიქსირებულთა მიმართ ახალი, იმპორტისა და ექსპორტის რაოდენობრივი და სატარიფო შეზღუდვები და მათი ექვივალენტური მოქმედების მქონე ზომები.

წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ამოღებები სავაჭრო რეჟიმიდან გამოიყენება ორმხრივ დოკუმენტთა საფუძველზე, რომლებშიც ხელშემკვრელი მხარეები წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან 12 თვის ვადაში შეათანხმებენ მათ ეტაპობრივ გაუქმებას და აუწყებენ ამის შესახებ კომიტეტისა და წინამდებარე შეთანხმების დეპოზიტარს".

11. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„3. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ რაოდენობრივ შეზღუდვებსა და ადმინისტრაციულ ზომებში იგულისხმება ნებისმიერი ზომები, რომელთა გამოყენებაც შეუქმნის ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან წარმოშობილი საქონლის იმპორტს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ან ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან წარმოშობილი საქონლის ექსპორტს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მატერიალურ დაბრკოლებებს ან ადმინისტრაციულ შეზღუდვებს, კვოტირების, ლიცენზირების, ფასების კონტროლის ან მიწოდების განსხვავებული პირობების, ექსპორტის ან იმპორტის მიმართ განსხვავებული მოთხოვნების, ექსპორტიორის ან იმპორტიორის უფლებათა ანალოგიური საქონლის ადგილობრივ მყიდველთან ან გამყიდველთან შედარებით პირდაპირ ან ირიბად შემზღუდველი მოთხოვნების ჩათვლით. წინამდებარე მუხლის დებულებები გამოიყენება ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-13 და მე-13ა მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისათვის ზიანის მიუყენებლად და არავითარ შემთხვევაში არ ახდენს მათზე გავლენას. ეს ეხება აგრეთვე ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ მიღებულ ზომებს, რომლებიც მიმართულია სხვა, საერთაშორისო შეთანხმებით აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად“.

12. მე-4 მუხლი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„4. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს სხვა, ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან წარმოშობილ და მის ტერიტორიაზე იმპორტიორებად საქონელს არა უარეს რეჟიმს, ვიდრე ენიჭება ეროვნულ საქონელს ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის საქონელს იმაში, რაც შეეხება ტექნიკურ და ხარისხობრივ მოთხოვნებს.

2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის დებულებები გამოიყენება იმ ზომებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელთა მიღებაც შეუძლია ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ხარისხის სერტიფიკატების გამოცდის შედეგების ურთიერთცნობის შეთანხმებისა და სხვა ამგვარი შეთანხმებების შესრულების მიზნით, აგრეთვე ადამიანთა, ცხოველებისა და მცენარეთა ჯანმრთელობისათვის რეალური ან სავარაუდო საშიშროების წარმოშობის შემთხვევებში.

3. ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ და ცვლიან ინფორმაციას სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დარგში ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერებისა და სხვა სპეციალურ მოთხოვნათა (შეზღუდვების) თავიდან აცილების მიზნით.

13. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა ,,ინფორმირების" შემდეგ ჩაემატოს სიტყვა ,,კომიტეტი".

14. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვა ,,ფუმიგაციის" შემდეგ ჩაემატოს სიტყვები ,,და სხვა, შემოტანა-გატანასთან დაკავშირებულ პროცედურებს".

15. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში სიტყვების ,,ხელშემკვრელი მხარეები" შემდეგ ამოღებულ იქნას სიტყვები ,,აუცილებლობის შემთხვევაში".

16. მე-8 მუხლის 1-ლ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

,,ამ საქონელს ენიჭება იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ანალოგიურ სამამულო საქონელს იმაში, რაც შეეხება ყველა იმ კანონს, წესსა და მოთხოვნას, რომლებიც ეხებიან მათ გასაღებას შიდა ბაზარზე და გასაღების შეთავაზებას, აგრეთვე შეძენას, ტრანსპორტირებას, განაწილებას ან მოხმარებას".

17. შეთანხმებას დაემატოს ახალი, შემდეგი შინაარსის მე-8ა მუხლი:

მუხლი 8ა. ირიბი გადასახადების გამოყენების წესი

1. ხელშემკვრელი მხარეები ურთიერთვაჭრობისას არ ბეგრავენ ირიბი გადასახადებით (დღგ, აქციზები) საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას), რომლებიც ექსპორტირებულია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან მეორე ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დებულება ნიშნავს დღგ-თი დაბეგვრას ნულოვანი განაკვეთით, აგრეთვე ექსპორტირებული საქონლის აქციზებისაგან განთავისუფლებას. წინამდებარე შეთანხმების მონაწილე იმ სახელმწიფოებში, სადაც დღგ-თი ნულოვანი დაბეგვრა არაა გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით, გამოიყენება დღგ-საგან საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) განთავისუფლება.

3. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ირიბ გადასახადთა გამოყენების წესი ძალაში შედის ხელშემკვრელ მხარეთა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად 2000 წლის 1 იანვრიდან.

18. მე-9 მუხლი შეივსოს შემდეგი პუნქტებით:

„2. ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ სუბსიდიებთან დაკავშირებული ზომების გამჭვირვალობის ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ თხოვნისას ინფორმაციის გაცვლის გზით.

3. კომიტეტი ახორციელებს ზედამხედველობას სუბსიდიების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც განსხვავდება ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერისაგან და შეიმუშავებს მათი გამოყენების რეგლამენტირების წესებს, ხელმძღვანელობს რა საერთაშორისო პრაქტიკით.

4. თუ ხელშემკვრელი მხარეთაგან ნებისმიერი თვლის, რომ სუბსიდიების გამოყენების პრაქტიკა შეუთავსებელია წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტთან, მას შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები წინამდებარე შეთანხმების 113ა მუხლში გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურათა მიხედვით“.

19. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩაითვალოს მე-4 პუნქტად და გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„4. ტრანზიტის პირობები ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობით გადაზიდვის ტარიფების ჩათვლით, განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით“.

20. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„ტრანზიტი ყოველი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ხორციელდება ტრანზიტის თავისუფლების პრინციპით ტრანზიტისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგ გზებზე, ტრანზიტული გადაზიდვებისთვის სხვა ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან ყოველგვარი ისეთი დისკრიმინაციის გარეშე, რომელიც ეყრდნობა ხომალდის ალამს, წარმოშობის, გამგზავრების, შესვლის, გამოსვლის ან დანიშნულების ადგილს, ანდა რაიმე ისეთ გარემოებებს, რაც ეხება საკუთრებას საქონელზე, ხომალდზე, ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე“.

21. მე-11 მუხლი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მიწოდებული საქონლის რეექსპორტის რეგლამენტაცია ხდება 1994 წლის 15 აპრილის დსთს მონაწილე სახელმწიფოებს შორის საქონლის რეექსპორტისას და რეექსპორტზე ნებართვის გაცემის წესის შესახებ შეთანხმებით“.

22. მე-13 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების „რომელთა მონაწილეც“ შემდეგ სიტყვები „ის არის ან აპირებს გახდეს, თუ ეს ზომე-

ბი არ ეხება“ შეიცვალოს სიტყვებით ,,არის ან აპირებს გახდეს თუ ეს ზომები არ გამოიყენება თვითნებურად ან დისკრიმინაციულად და ეხებიან“ და შემდეგ - ტექსტის მიხედვით.

23. შეთანხმებას დაემატოს ახალი 13ა მუხლი შემდეგი შინაარსით:

მუხლი 13ა. სპეციალური სავაჭრო ზომები

1. არაფერი წინამდებარე შეთანხმებაში არ ეწინააღმდეგება ხელშემკვრელ მხარეს მიიღოს სპეციალური სავაჭრო ზომები სხვა ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიებიდან იმპორტირებული საქონლის მიმართ, თუ ეს იმპორტი ხორციელდება ისეთი რაოდენობითა და ისეთ პირობებში, რომლებიც ზიანს აყენებენ ხელშემკვრელ მხარეს ან ქმნიან ასეთი ზიანის შეუქცევად საშიშროებას, აგრეთვე დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტის მიმართ, რომელიც ხელშემკვრელ მხარეს აყენებს ზიანს ან ქმნის ასეთი ზიანის შეუქცევად საშიშროებას.

2. სპეციალური სავაჭრო ზომები შეიძლება შემოღებულ იქნას იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვის ან სპეციალური საიმპორტო გადასახადების ფორმით, აგრეთვე ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბეგარის სახით ზიანის ან ასეთის საშიშროების ლიკვიდაციისათვის საჭირო დროის მანძილზე წინამდებარე მუხლის ან ხელშემკვრელი მხარის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების მიხედვით.

2.1. სპეციალური სავაჭრო ზომის შემოღება შეიძლება მხოლოდ დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეთა შორის კონსულტაციების ჩატარების შემდეგ. ის ხელშემკვრელი მხარე, რომელიც აპირებს შემოიღოს საგანგებო ზომა, ვალდებულია წინასწარ, მაგრამ არა უგვიანეს 30 დღისა დაგეგმილი ზომის შემოღებამდე, აცნობოს იმის შესახებ დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეებს და წამოაყენოს კონსულტაციების ჩატარების წინადადება. წინადადება კონსულტაციების ჩატარების შესახებ გადაეცემა წერილობითი ფორმით, მას თან ერთვის მასალები, რომლებიც ადასტურებენ იმპორტისგან მიყენებული ზიანის, ან ასეთი ზიანის საშიშროების ფაქტს.

წინამდებარე შეთანხმებისათვის მიზნებისათვის მიყენებული ზიანის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკის დარგისათვის მიყენებული არსებითი ხასიათის ზიანი, არსებითი ზიანის მიყენების საშიშროება ან ამ დარგის განვითარებისათვის სერიოზული დაბრკოლების შექმნა.

2.2. ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება უნდა ეყრდნობოდეს არსებულ რეალურ მონაცემებს და მოიცავდეს როგორც იმპორტის მოცულობის და მის ანალოგიურ და უშუალოდ მისი კონკურენტი საქონლის საბაზრო ფასზე იმისი გავლენის ობიექტურ ანალიზს, აგრეთვე ასეთი იმპორტის შედეგების ანალიზს დაინტერესებული ხელშემკვრელი მხარის ამ დარგის მწარმოებლებისათვის.

2.3. იმპორტის მოცულობა განიხილება მისი მნიშვნელოვანი ზრდის თვალსაზრისით აბსოლუტური და შეფარდებითი მნიშვნელობით დაინტერესებული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე კონკურენტული საქონლის წარმოებისა და მოხმარების დონის მიმართ.

2.4. იმპორტის გავლენა საბაზრო ფასებზე განისაზღვრება განსხვავების ფაქტის არსებობის განსაზღვრით იმპორტულ და ანალოგიურ სამამულო წარმოების საქონელს შორის ამ ფასებზე იმპორტის სხვა რაიმე არსებითი ფაქტით, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს მათი დაცემა ან ხელს უშლის ან შეუძლია ხელი შეუშალოს ფასების ზრდას, რასაც ადგილი არ ექნებოდა იმპორტის არარსებობის შემთხვევაში.

2.5. ეკონომიკის დარგზე იმპორტის გავლენის მტკიცებულებები, უნდა ეყრდნობოდეს ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტების შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენენ დარგის მდგომარეობაზე, კერძოდ, გაყიდვების უკვე არსებული ან მომავალი შემცირების, მოგების და წარმოების მოცულობის, წილის ბაზარზე, წარმადობის, კაპიტალდაბანდებათა მსყიდველუნარიანობის, იმ საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების, რომლებიც გავლენას ახდენენ შიდა ფასებზე, შემოსავლებზე ფაქტიური და პოტენციური გავლენის, ზრდის ტემპების, დარგის საწარმოთა ერთობლივი საწესდებო კაპიტალის ზრდის შესაძლებლობათა ან მათ კაპიტალდაბანდებათა ზრდის შესაძლებლობების.

2.6. ზიანის ან ზიანის საშიშროების მტკიცებულება ეკონომიკის დარგისათვის უნდა ეყრდნობოდეს აგრეთვე იმ არასაიმპორტო ფაქტორების შესწავლას, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ დარგის მდგომარეობაზე, მათ შორის ნორმალურ პირობებში განხორციელებული იმპორტის ფასების მოცულობასა და დონეზე, მოთხოვნილებისა და მოხმარების ცვლაზე, შემზღუდველი სავაჭრო პრაქტიკისა და უცხოელ და სამამულო მწარმოებლებს შორის

კონკურენციის შედეგებზე, ტექნოლოგიურ სიახლეებზე, ეკონომიკის დარგის საექსპორტო და საწარმოო მაჩვენებლებზე. ასეთი ფაქტორების მიერ მიყენებული ზიანი არ უნდა იქნას მიკუთვნებული იმ იმპორტისათვის, რომლის მიმართაც შესაძლებელია შემზღუდველი ზომების გამოყენება.

2.7. ეკონომიკის დარგისათვის ზიანის საშიშროების დადგენა ეყრდნობა მხოლოდ ფაქტებს, იმავდროულად მხედველობაში უნდა იქნან მიღებულნი ისეთი ფაქტები, როგორიცაა:

იმპორტის ზრდის დინამიკა, რაც მოწმობს იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდის შემდგომ გაგრძელებაზე;

თავისუფალ საწარმოო სიმძლავრეთა არსებობა, ან ექსპორტიორის საექსპორტო სიმძლავრეების შეუქცევადი და აშკარა ზრდა, რაც მოწმობს იმპორტის გაზრდის რეალურ შესაძლებლობაზე დაინტერესებული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე სხვა გასაღების ბაზრების პოტენციური ტევადობის გათვალისწინებით.

საიმპორტო ფასების ისეთი დონე, რომელიც არსებით დამთრგუნველ ეფექტს ახდენს სამამულო მწარმოებელთა ფასებზე და შეუძლია იმპორტულ საქონელზე მოთხოვნილების შემდგომი ზრდა გამოიწვიოს;

კონკურენტული საქონლის მარაგთა მოცულობა.

2.8. წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი არცერთი ცალკეული ფაქტი ან ფაქტორი თავისთავად არ შეიძლება იყოს ზიანის მიყენების ან ასეთის საშიშროების შესახებ დასკვნის გამოტანის სავალდებულო საფუძველი. დასკვნა ზიანის არსებობის ან არარსებობის შესახებ კეთდება ყველა ამ ფაქტისა და ფაქტორის ერთობლიობის შესწავლის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ზიანი ან მისი საშიშროება გამოწვეულია მხოლოდ იმპორტის მკვეთრი ზრდით ან ასეთი ზრდის არარსებობისას იმ ფაქტით, რომ იმპორტი ხორციელდება იმ ფასებში და პირობებით, რაც ზიანს აყენებს ეკონომიკის დარგს, სპეციალური სავაჭრო ზომის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის არსებობისას ეკონომიკის დარგისათვის მიყენებულ ზიანს ან ასეთის საშიშროებასა და იმპორტის მკვეთრ ზრდას, ან იმპორტის განსაკუთრებულ პირობებში განხორციელებას შორის.

3. კონსულტაციათა მიმდინარეობისას ხელშემკვრელი მხარეები შეეცდებიან გამონახონ პრობლემების ურთიერთმისაღები გადაწყვეტილება.

4. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადაწყვეტილება ვერ მოინახება, კონსულტაციების ჩატარების შემოთავაზებულ მხარეს ექნება სპეციალური სავაჭრო ზომების შემოღების უფლება.

5. განსაკუთრებულად სასწრაფო შემთხვევებში სავაჭრო ზომები შეიძლება მიღებულ იქნას კონსულტაციების ჩატარებამდე იმ პირობით, რომ ასეთი კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება დაუყონებლივ მოხდება.

6. წინამდებარე მუხლში არაფერი არ აყენებს ზიანს და არ ახდენს გავლენას ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ სპეციალური, ანტიდემპინგური ან საკომპენსაციო ზომების მიღებაზე საყოველთაოდ აღიარებული წესებისა და (ან) ხელშემკვრელი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

სპეციალური, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების წინმსწრებ გამოძიებათა მიმართებით ყოველი ხელშემკვრელი მხარე თანხმობას აცხადებს შეისწავლოს მეორე ხელშემკვრელი მხარის წარდგინება და აცნობოს დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეებს იმ არსებითი ფაქტებისა და მოსაზრებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

სპეციალური, ანტიდემპინგური ან საკომპენსაციო ზომების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ხელშემკვრელი მხარეები ყველაფერს იღონებენ პრობლემების კონსტრუქციულად გადასაწყვეტად.

7. წინამდებარე შეთანხმებაში არაფერი არ აბრკოლებს ხელშემკვრელ მხარეებს შეზღუდონ არსებითად მნიშვნელოვანი კონკურენტული საქონლის ექსპორტი შიდა ბაზარზე მისი კრიტიკული უკმარისობის გამო".

24. მე-14 მუხლი გამოირიცხოს.

25. მე-15 მუხლი გამოირიცხოს.

26. მე-17 მუხლის 1-ლ პუნქტში სიტყვებს „ხელშემკვრელი მხარეები" დაემატოს სიტყვები „შეიქმნიან პირობებს მომსახურების ეროვნული ბაზრის ლიბერალიზაციისათვის და" - შემდგომში ტექსტის მიხედვით.

27. შეთანხმებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17ა მუხლი:

„მუხლი 17ა. კონკურენცია სამეწარმეო საქმიანობაში

ქვემოთ ჩამოთვლილი შეუთავსებელია წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად შესრულებასთან იმ ხარისხში, რითაც მას შეუძლია გავლენის მოხდენა ვაჭრობაზე თავისუფალი ვაჭრობის ზონაში:

ყველა შეთანხმება იმ საწარმოებსა და საწარმოთა ასოციაციებს შორის, რომელთა პრაქტიკაც მიზნად ისახავს კონკურენციის აღკვეთას, თავიდან აცილებას, შეზღუდვის ან დამახინჯებას ან არის მათი შედეგი;

ერთი ან რამდენიმე საწარმოს მიერ თავისუფალ სავაჭრო ზონაში გაბატონებული მდგომარეობის უკანონო გამოყენება მთლიანად ან მის არსებით ნაწილში".

28. შეთანხმებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17ბ მუხლი:

„მუხლი 17ბ. სახელმწიფო შესყიდვები

ხელშემკვრელი მხარეები შექმნიან პირობებს სახელმწიფო შესყიდვათა ეროვნული ბაზრების ლიბერალიზაციისათვის ურთიერთგაგებისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საფუძველზე".

29. მე-18 მუხლი გამოირიცხოს.

30. მე-19 მუხლი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

1. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას ამ შეთანხმებით აღებული ყველა ვალდებულების შესასრულებლად.

2. წინამდებარე შეთანხმების მე-13ა მუხლის დებულებისათვის ზიანის მიუყენებლად, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე ჩათვლის, რომ მეორე ხელშემკვრელი მხარე არ ასრულებს შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, და თუ ვალდებულებათა ასეთი უგულებელყოფა პირველი ხელშემკვრელი მხარის ინტერესებს ზიანს აყენებს, ან ასეთით ემუქრება, მას შეუძლია მოსთხოვოს მეორე ხელშემკვრელ მხარეს კონსულტაციების მიმართვის დღიდან. შესაბამისი მოთხოვნის ასლის ჩატარება, რაც უნდა ჩატარდეს ორი თვის ვადაში ორივე ხელშემკვრელი მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მოძებნის მიზნით წერილობით დაიგზავნება წინამდებარე შეთანხმების მონაწილე ყველა ხელშემკვრელ მხარეს და ნებისმიერ მათგანს, თუ იგი ჩათვლის, რომ ამ პუნქტის პირველ წინადადებაში ხსენებული გარემოებები მას ეხება, შეუძლია მონაწილეობის მიღება კონსულტაციებში.

წერილობით მიმართვას თან ერთვის პრობლემების არსზე მთელი ინფორმაცია.

3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში ხსენებული კონსულტაციებისას მხარეები ვერ მიაღწევენ პრობლემის ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას, იმ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც მოითხოვა კონსულტაცია, აქვს უფლება გადაჭრას დავა,

რომელიც ეხება ხელშემკვრელ მხარეთა უფლება-მოვალეობებს, კომიტეტის მიერ რეკომენდირებული სპეციალური შემათანხმებელი პროცედურის ფარგლებში მიმართვის მიღების თარიღიდან 30 დღის განმავლობაში (სამუშაო ჯგუფის შექმნის გზით დავის მასალების შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად).

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტში ხსენებული კონსულტაციის, აგრეთვე ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენებული სპეციალური პროცედურის მსვლელობისას მხარეები ვერ მიაღწევენ პრობლემების ურთიერთმისაღებ გადაწყვეტას, იმ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც მოითხოვა კონსულტაციები, უფლება აქვს უარი თქვას ამ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაგან ვაჭრობის დაახლოებით ექვივალენტური მოცულობის მიმართ ან მიიღოს სხვაგვარი ზომები, რომლებსაც ის საჭიროდ ჩათვლის, რათა არ დაუშვას ეროვნული ეკონომიკისათვის ზიანის მიყენება. ასეთი ზომების არჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ზომებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად არღვევენ წინამდებარე შეთანხმებას. ამ ზომების გამოყენება მაშინვე უნდა შეწყდეს, რაც მეორე ხელშემკვრელი მხარე გააუქმებს იმ გადაწყვეტილებას, რის გამოც ისინი შემოიღეს.

5. წინამდებარე შეთანხმების დებულებები არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავენ ხელშემკვრელ მხარეებს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პროცედურების ფარგლებში მათ შორის წამოჭრილ დავათა განხილვისაგან.

31. მე-20 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე აბზაცი:

„წინამდებარე დებულება არაფრით ეხება ხელშემკვრელ მხარეთა უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვრონ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა რეჟიმი ამ შეთანხმებაში არამონაწილე სახელმწიფოებთან“.

32. მე-20 მუხლის მეორე პუნქტი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

2. წინამდებარე შეთანხმების დებულებები არ ეხება ხელშემკვრელ მხარეთა უფლებებსა და უპირატესობებს, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ ან ანიჭებენ სხვა ხელშემკვრელ მხარეთაგან (ან მხარეებს) ეკონომიკურ გაერთიანებათა, სასაზღვრო ვაჭრობის, განვითარებადი სახელმწიფოების მიმართ პრესკონფერენციების, შიდა კანონმდებლობით რეგულირებულ ეკონომიკურ ან საბაჟო

კავშირთა ფარგლებში ან საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე“.

33. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი გამოირიცხოს.

34. 21-ე მუხლი გამოირიცხოს.

35. 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი გადმოიცეს შემდგომი რედაქციით:

„1. წინამდებარე შეთანხმება ღიაა შეერთებისათვის ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომლებიც ცნობს შეთანხმების იმ დებულებებს, რომლებიც მოქმედებენ შეერთების მომენტისათვის და გამოთქვამს მზადყოფნას შეასრულოს ისინი სრული მოცულობით“.

36. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა დარღვევის შემთხვევაში, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს მათი მიზნების მიღწევას, სხვა ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ უკიდურესი ზომები შეთანხმების მოქმედების ან მის ცალკეულ დებულებათა შეწყვეტის გზით ამ ხელშემკვრელი მხარის მიმართ“.

წინამდებარე ოქმი ძალაში შედის ხელმომწერ მხარეთა მიერ ყველა შიდასახელმწიფოებრივ პროცედურათა შესრულების შესახებ მესამე შეტყობინების დეპოზიტარისათვის ჩაბარების დღიდან.

იმ ხელშემკვრელი მხარეებისათვის, რომლებმაც შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები უფრო მოგვიანებით შეასრულეს, წინამდებარე ოქმი ძალაში შედის შესაბამისი დოკუმენტების დეპოზიტარისათვის ჩაბარების დღიდან.

შესრულებულია ქალაქ მოსკოვში 1999 წლის 2 აპრილს ერთ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. ნამდვილი ეგზემპლარი ინახება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელ სამდივნოში, რომელიც დაუგზავნის წინამდებარე ოქმის ყველა ხელმომწერ სახელმწიფოს მის დამოწმებულ ასლს.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის დაბეგვრის წესისა და დაბეგვრისაგან გათავისუფლებული საქონლის ნუსხის შესახებ

,,საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის" შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის ,,დ" პუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ყოველი შემოსვლისას შემოტანილი დაბეგვრისაგან გათავისუფლებული 300 ლარამდე ღირებულების საქონლად ჩაითვალოს არა უმეტეს 50 კილოგრამი საერთო წონის ტვირთი, რომლის ფარგლებში შეიძლება შემოტანილ იქნეს აქციზური საქონელი N1 დანართში მითითებული ოდენობით, აგრეთვე ერთი პირისათვის საჭირო ოდენობით განკუთვნილი სამკურნალო პრეპარატები და სამედიცინო დანიშნულების საგნები.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის შეფასება.

2. ფიზიკური პირის მიერ არაკომერციული დანიშნულებით შემოტანილი 50-დან 100 კილოგრამამდე წონის ტვირთი იბეგრება საბაჟო გადასახადით 1 ლარით ყოველ კილოგრამზე.

3. ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ერთჯერად 100 კილოგრამზე მეტი წონის ტვირთის ან ერთგვაროვანი საქონლის 20 კილოგრამზე მეტი ოდენობით შემოტანა განიხილება, როგორც საქონლის კომერციული მიზნით შემოტანა და დაიბეგრება საერთო რეჟიმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. უცხოეთში 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოსვლისას ამ დადგენილების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ნორმები იზრდება 5-ჯერ; ამაზე მეტი წონის ტვირთზე გავრცელდება დაბეგვრის საერთო რეჟიმი.

5. საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსული ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (მათ შორის ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების

საქონელი, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალება) იმპორტი არ იბეგრება.

6. ფიზიკური პირის მიერ საქართველოში დროებით შემოტანილი ან საქართველოდან დროებით გატანილი საქონელი შეიტანება საბაჟო დეკლარაციაში.

7. ეს დადგენილება ამოქმედდეს 1 ივლისიდან.

ვახტანგ ყოლბაია
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე

თბილისი,
1996 წლის 13 მაისი
№273-IIს

დანართი N 1

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ყოველი შემოსვლისას დაუბეგრავად შემოსატანი აქციზური საქონლის ნუსხა

1. ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი - 3 ლიტრი
2. ლუდი - 10 ლიტრი
3. თამბაქოს ნაწარმი - 200 ღერი
4. ძვირფასი ლითონისაგან, მელქიორისაგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი – 1 ცალი
5. მანქანური ქსოვის ხალიჩის ნაწარმი – 1 ცალი
6. მსუბუქი ავტომობილის საბურავი – 4 ცალი*

* 4, 5, 6 პუნქტებში მითითებული საქონელი ამჟამად აქციზით არ იბეგრება.

ლიტერატურა

1. 1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (ვმო-ს დოკუმენტი).
2. შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლის გამოყენებაზე (ვმო-ს დოკუმენტი).
3. შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ (ვმო-ს დოკუმენტი).
4. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), მთ. რედაქტორი ალექსანდრე ჩოჩია, მთავარი რედაქტორ-შემდგენელი ზაურ ამილახვარი, მეორე გამოცემა, თბ., 2003.
5. საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, შემდგენლები: **გონერ ურიდია, მერაბ არახამია**, თბ., 2003.
6. **ასლამაზაშვილი ნ.**, საგარეო ვაჭრობა, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2003.
7. **ბასარია ვ., ბასარია რ.**, გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება. თბ., 2003.
8. **გაბიძაშვილი ბ.**, საბაჟო გადასახადების ოპტიმალური სიდიდის დადგენის სტატისტიკური ხერხები, ეკონომიკა, 20, №9.
9. **გამსახურდია გ.**, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბილისი, მერიდიანი, 1997.
10. **გრიშიკაშვილი ა.**, გზა ევროკავშირისაკენ, თბ., 2003.
11. **დიკ ლეონარდი**, ევროკავშირის სახელმძღვანელო, თარგმანი მე-7 გამოცემიდან. თბ., 2002.
12. **კაკულია რ.**, ფინანსების ზოგადი თეორია, თბილისი, 2001.
13. **ლორთქიფანიძე ვ.**, საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, ბიზნეს-კურიერი, 2002.
14. **მალაშხია გ.**, საქართველოს ეკონომიკა. საუკუნოვანი პანორამის შტრიხები, თბილისი, 2002.
15. **მესხია ი.**, საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორები, კონფერენციის მასალები, თბილისი, სიახლე, 2000.
16. **მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო.**, გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი, 2002.
17. **მესხია ი., რუხაია ფ.**, საბაჟო პოლიტიკა როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორი, მაკრო-მიკროეკონომიკა, 2003, №4.

18. მესხია ი., რუხაია ფ., საბაჟო დაბეგვრის რეგულირება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩოებში. ჟურ. გადასახადები, 2004, №3.
19. მოხსენება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს განევრიანების შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბილისი, 2000.
20. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2002.
21. როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ., 2002.
22. რუხაია ფ., საბაჟო ტარიფების დამცავი ფუნქციის შესახებ, ეკონომიკა, 2003, №5-6.
23. რუხაია ფ., საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ფინანსური ასპექტები, სამეცნიერო კრებულში: ,,გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები", ტომი 5, თბილისი, ფსკი, 2001.
24. რუხაია ფ., საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა და მისი სრულყოფის გზები, სამეცნიერო კრებულში: ,,გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები", ტომი 3, თბილისი, ფსკი, 1999.
25. რუხაია ფ., საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების თავისებურებანი გარდამავალ ეტაპზე, სამეცნიერო კრებულში: ,,გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში", ტომი 4, თბილისი, ფსკი, 2000.
26. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 2004.
27. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, ტომი 1, თბილისი, 2001. იგივე, ტომი 2, თბილისი, 2001.
28. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა და საბაჟო გადასახდელები. შემდგენელი თ.ძეგლიგაშვილი. თბილისი, 2003
29. სვანაძე ს., გადასახადების ისტორია, ქუთაისი, 2000.
30. სოფრომაძე ბ., საქართველოს საბაჟო საქმიანობის ნორმატიული ბაზა, მაკრო-მიკროეკონომიკა, 2002, №1.
31. ურიდია გ., საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხები), თბილისი, 2001.
32. ურიდია გ., დვალი თ., საგადასახადო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1987.
33. ურიდია გ., საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხები), თბ., 2001.

34. **ურიდია გ.**, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, თბ., 2002.
35. **ურიდია გ.**, როგორ დავბეგროთ რეიმპორტირებული საქონელი, ჟურნალი ,,გადასახადები", 2000, № 9.
36. **ურიდია გ.**, რა არის საბაჟო ტარიფი, ჟურნალი ,,გადასახადები", 2000, №2.
37. **ურიდია გ.**, საბაჟო გადასახადი და შიგა ბაზრის დაცვის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი ,,გადასახადები", 2002, № 23-24.
38. **ურიდია გ.**, თვითღირებულების კალკულაციის და საბაჟო დაბეგვრის კაუზალური კავშირის საკითხისათვის, ჟურნალ ,,მაკრო-მიკრო ეკონომიკა", დეკემბერი, 1987.
39. **ურიდია გ.**, ფასთა სხვაობა, როგორც საბაჟო ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძველი, ჟურნალი ,,გადასახადები", 2003, № 8.
40. **ურიდია გ.**, არახამია მ., ეროვნული ვალუტის დევალვაციის გავლენა საქონლის ექსპორტზე და მისი ფისკალური შედეგები, ჟურნალი ,,გადასახადები", 2003, № 11-12.
41. **ურიდია გ.**, საბაჟო გადასახდელები, ჟურნალი „გადასახადები", 2003, №19-24; 2004, №1-2.
42. **ურიდია გ.**, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა დსთ-ის ფარგლებში და საბაჟო დაბეგვრის პრეფერენციული სისტემა, ჟურნალი „გადასახადები", 2004, №3.
43. **ქარუმიძე ვ.**, საბაჟო საქმე, თბილისი, 1999.
44. **ქარუმიძე ვ.**, საბაჟო სამართალი, მესამე გამოცემა, თბ., 2003.
45. **ჩანტლაძე ვ.**, ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თბილისი, ისარი, 1995.
46. **ჩიქავა ლ.**, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, მერიდიანი, 1995.
47. **ჭითანავა ნ.**, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი III, 2001.
48. **ხელაია გ.**, საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და სააგარიშსწორებო ურთიერთობები, თბილისი, ლამპარი, 1996.
49. **ჯგერენაია ე.**, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002.
50. **ჯულაყიძე გ.**, ფინანსური სისტემის სრულყოფის საკითხები გარდამავალ პერიოდში, თბილისი, 1999.
51. **ჯოლოხავა თ.**, საბაჟო ეკონომიკა: არსი, დამახასიათებელი ნიშნები, სოციალური ეკონომიკა, 2000, №2.
52. **Арутюнян Г.В.**, Правовое регулирование таможенных платежей, М., 2000.

53. **Беляшов В.**, Таможенный энциклопедический справочник (в двух томах). Минск, 1998.
54. **Воробьёв Ю.**, Основы таможенного дела, М., 1995.
55. **Ершов А.Д.**, Международные таможенные отношения. М., 2000.
56. **Козырын А.Н.**, Таможенная пошлина. М., 1998.
57. **Назаренко В., Назаренко К.**, Таможенное обслуживание внешнеэкономической деятельности. М., 2001.
58. Основы таможенного дела. Под общ. ред. В.Г. Драганова. М., 1998.
59. **Семьянинов А., Крашнинков В., Надмов В.**, Налоги и таможенные платежи. М., 1995.
60. **Соболевская С.Ю., Соболевский Е.Н.**, Схемы налогообложения в рамках таможенных режимов. М., 2002.
61. Таможенное право, под ред. В.Г. Драганова, М.М. Рассолова. 2001.
62. Таможенный энциклопедический справочник (в двух томах) под ред. И.Ю. Краснянского. М., 1995.
63. Чекмарева Г. Основы томоженного дела (краткий курс). Ростов-на-Дону 2001.

აიწყო და დაკაბადონდა საგამომცემლო სახლ
„ბიზნეს კურიერის“ კომპიუტერულ ცენტრში